1. Леонтович О.А. Проблемы виртуального общения // Полемика, № 7 — http://old.irex.ru/publications/polemica/leontovich.htm
2. Crystal , D. The Language Revolution. Cambridge. Polity Press, 2004.
3. E-Writing : 21st Century Tools for Effective Communication / Ed. Pocket, 2001, 368 p.
4. Myers M.J. Development of strategies in the second language development // Revue francaise de linguistique appliquee. Volume VI - 1/juin 2001. - P.137-144.
5. Herring S.C. (ed) Computer-Mediated Communication. Linguistic, Social and Cross-Cultural Perspectives. Amsterdam: Benjamins, 1996.
6. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი, 2004.


*Eka Rusieshvili, Assistant-Professor,*
*Georgian Technical University*

## Electronic Discourse in Linguistics

## Summary

Electronic discourse owes its creation to the emergence of the Internet. In different corners of the earth with limited connecting computers in a network its provide opportunity for the development of electronic forms of communication such as e-mail, forum, chat, etc.. Regarding the increased role of the Internet in the public life of this new type of relationship is very important to master the discourse in other jurisdictions.

***Key Words:*** *electronic discourse, verbal communication, electronic communication, imperial reality.*

*ქეთევან ტაბუცაძე, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი*

# თანამედროვე ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებების სინტაქსურ თავისებურებათა ანალიზი

რეზიუმე

კვლევის ძირითად მიზანს იმ სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტილისტური ხერხების მიზანმიმართული გამოყენება და თავისებურებათა შესწავლა წარ-მოადგენს,რომელიც გამოიყენება შერვუდ ანდერსონის შემოქმედებაში. მათში საგულისხმოა მარტივი და რთული წინადადებების შესაბამისობა, ეკვივალენტურობა. მოთხრობების უმრავლესობაში ჭარბობს მარტივი წინადადებები, რაც მეტყველებს შერვუდ ანდერსონის სტილის ლაკონურობაზე. შერვუდ ანდერსონი უპირატესობას ანიჭებს მაქვემდებარებელ კავშირებს, მრავალიარუსიანი ქვეწყობა ზრდის და ართულებს წინადადების სტრუქტურას. ემოციური დაძაბულობის გაძლიერებას მოთხრობებში ხელს უწყობს სხვადასხვა სტილისტური ხერხის კონვერგენცია - ჩამოთვლილი რიგების წინ დამოუკიდებელ სიტყვების გამეორება, ბგერების ალიტერაცია, ინვერსია, სინტაქსური პარალელიზმი. გაძლიერების სინტაქსურ ხერხებს შორის გამოკვლეულ მოთხრობებში გამოიყენება “It” ნაცვალსახელიანი ემფატიკური კონსტრუქცია, გვხვდება “There” კონსტრუქციის ხშირი გამოყენება, რაც ტექსტში თხრობის განსაზღვრული რიტმის შექმნას ემსახურება. შერვუდ ანდერსონის მოთხრობებში პოლისინდეტონის გამოყენება ცხადყოფს ავტორის მიერ ამ სტილისტური ხერხის მიზანმიმართულ გამოყენებას სასაუბრო ენასთან მიახლოების მიზნით.

*საკვანძო სიტყვები: ტექსტის ატრიბუცია, საშუალო დისპრესია, ინვარიანტი, წინადადებების ეკვივალენტობა, სინტაქსური პარალელიზმი, ინვერსია, პოლისინდეტონი.*

## I. შესავალი

თანამედროვე ინგლისური ლიტერატურული ნაწარმოებები სხვადასხვა სინტაქსური თავისებურებებით ხასიათდებიან,მათ შორის გამოვყოფთ ცნობილი ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის შემოქმედებას. ჩატარებული კვლევის ძირითად მიზანსაც სწორედ იმ სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტილისტური ხერხების მიზანმიმართული გამოყენება და თავისებურებათა შესწავლა წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება აღნიშნული მწერლის შემოქმედებაში.

აღსანიშნავია, რომ წინადადების სიგრძესა და სტრუქტურაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების პარამეტრების და არა მთლიანად ავტორის ინდივიდუალური სტილის განსაზღვრისას.მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია წინადადების სიგრძის, სტრუქტურის ელემენტების, კავშირის საშუალებების თანმიმდევრობის გამოყენება, დამატებითი ინფორმაციისა და გამონათქვამის ემფაზის შესაქმნელად.

II. ძირითადი ტექსტი

მეცნიერი ვ. ი. ფალკოვა თვლის, რომ მხატვრულ ტექსტში დამატებით დატვირთვას იღებს თავის თავზე წინადადების ისეთი პარამეტრები,როგორიცაა სიგრძე და სტრუქტურა. მისი აზრით, წინადადების სიგრძე წარმოადგენს ავტორის სტილის პოტენციურ დახასიათებას. წინადადების სიგრძის საშუალებით შესაძლებელია მთელი რიგი ტექსტების ატრიბუცია,რადგანაც ეს სიდიდე სავსებით ობიექტურია და ადვილად შეიძლება გამოიხატოს სტატისტიკურად [1, 95].წინადადების საშუალო სიგრძის მერყეობა ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოებში, მეტყველების სტილისა და თემატიკის ცვლილებებზე, ანუ ხელოვანის შემოქმედებითი ევოლუციის არაპირდაპირი მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, წინადადების სიგრძე დამოკიდებულია ტექსტის კომპოზიციურ და სტილისტურ თავისებურებებზე. ის არის ნაწარმოების მხატვრული სისტემის შემადგენელი და გამონათქვამის აქტუალიზატორად გამოდის, რომელიც ტექსტს დამატებით შინაარსობრივ და ექსპრეციულ მნიშვნელობას ანიჭებს.წინადადების სიგრძის განხილვის დროს, ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს,რომ ავტორი, ინდივიდუალური სტილის წარმომქმნელი ფაქტორების ზეგავლენით, ქმნის გარკვეულ სქემას, სინტაქსურ შაბლონს, რომელიც რეალიზდება გამუდმებული დარღვევისა და შესრულების პროცესში.[1, 97].

რაც შეეხება შერვუდ ანდერსონის მოთხრობებს, მათში საგულისხმოა მარტივი და რთული წინადადებების შესაბამისობა, ეკვივალენტურობა. მოთხრობების უმრავლესობაში ჭარბობს მარტივი წინადადებები. ტექსტში მარტივი წინადადებების სიმრავლე მეტყველებს შერვუდ ანდერსონის სტილის ლაკონურობაზე. ანდერსონის მოთხრობებში მარტივი წინადადებების ძირითად მასას შეადგენს გავრცობილი წინადადება. გაუვრცობელი წინადადებების რიცხვი ყველა მოთხრობაში უმნიშვნელოა. გაანალიზებულ მოთხრობებში, რთული ქვეწყობილი წინადადებების 45% წარმოადგენს სტრუქტურას ქვეწყობის ერთი იარუსით, ხოლო ქვეწყობის რამდენიმე იარუსიანი რთული წინადადება შეადგენს 55%-ს. მოვიყვანოთ მაგალითები:

Her own room was in an obscure corner and when she felt able to work she voluntarily worked among the beds, preferring the labor that could be done when the guests were abroad, seeking trade among the merchants of Waynesburg (“mother”,p.39).

If you have never been crazy about thoroughbreds it’s because you have never been around where they are much and don’t know any better. ( “I want to know why”, p.122).

წინადადების ყველაზე მოკლე სიგრძე დარეგისტრირდა მოთხრობაში „Respectability”, ყველაზე გრძელი კი მოთხრობაში - „Hands”, აგრეთვე „Death”. ეს იმით შეიძლება აიხსნას,რომ პირველ მოთხრობაში ავტორი ირჩევს დინამიურ სიუჟეტს. მასში აღწერილია გმირის ცხოვრების ისტორია, მისი საქციელი, არ არის ავტორის წიაღსვლები, განსჯა, თხრობისაგან გადახვევა. პირველ მოთხრობაში გმირი დახატულია მისი საქციელიდან გამომდინარე. მოთხრობაში ‘’Death” წინადადების სიდიდე შეიძლება ავხსნათ ავტორის მიერ შერჩეული თხრობის პოზიციით.

შერვუდ ანდერსონის მოთხრობებში, ყველაზე გრძელ წინადადებაში არის 123 სიტყვა. იგი აღწერს ცხენის მარულას სეზონს: ''When the racing season comes on and the horses go to the races and there is all the talk on the streets is the evening about the new colts, and everyone says when they are going over to Lexington or to the spring meeting at Churchill Downs or to Latonya, and the horseman that that have been down in New Orleans or maybe at the winter meeting at Havana in Cuba come home to spend a week before they start out again, at such a time when everything talked about in Ruckersville is just horses and nothing else and the outfits start out and horse racing is in every breath of air you breath, Bildad shows up with a job as cook for some outfit''. (I Want To Know Why,p.120)

ექსპრესიული სინტაქსის ფიგურებიდან შერვუდ ანდერსონისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ინვერსია და სინტაქსური პარალელიზმი. მათი მთავარი ფუნქცია არის გამონათქვამის გარკვეული ერთეულის გადმოტანა წინა პლანზე,მისი სპეციფიკური განლაგების ხარჯზე.ყველაზე გავრცელებულია ადგილის გარემოების ინვერსია.

1.On a chicken farm where hundreds and even thousands of chickens come out of eggs surprising things sometimes happen.(The Egg,p.131)

2.In her room in the shabby old hotel the sick wife of the hotel keeper began to weep and,putting her hands to her face, rocked back and forth. (Death. P.120)

მოთხრობებში რიტმულობის მისაღწევად ანდერსონი უხვად იყენებს სინტაქსური კონსტრუქციების პარალელიზმს.მოვიყვანთ მაგალითებს: The fields were like cups – filled with a green liquid that turned grey in the fall. The mountains were like giants ready at any moment to reach out their hands. The large rocks in the fields were like thumbs of the giants. (The New Englander, p.156)

გაძლიერების სინტაქსურ საშუალებად შერვუდ ანდერსონის მოთხრობებში ითვლება კონსტრუქცია ნაცვალსახელით ,,It'', რომელსაც ემფატიკურს უწოდებენ. მოცემული ემფატიკური კონსტრუქციების გამოყენებით ავტორი ქმნის მოლოდინის სიმძაფრის განცდას,ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან ელემენტს ათავსებს წინადადების ბოლოს,რითაც იყენებს გაჭიანურების ხერხს. მაგალითად:

1.It was his notion that father was angry at him for hanging around (The Egg, p.128)

2.It was in the spring off this thirty fifth year that father married my mother (The Egg, p.128)

There - კონსტრუქციების ხშირი გამოყენება ტექსტში - როდესაც წინადადების ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი კომპონენტი გამოყოფილია, მოთავსებულია წინადადების ბოლოს - არის There - კონსტრუქციები,რომლებიც მოფენილია მოთხრობების მთელ ტექსტში ქმნის თხრობის განსაზღვრულ რიტმს.

შ. ანდერსონის მოთხრობებისთვის დამახასიათებელია მრავალი კავშირის გამოყენების სტილისტური ხერხი,ანუ პოლისინდეტონი.მაგალითად: "Sometimes now I think that boys who are raised regular in houses, and never have a fine nigger like Burt for best friends, and go to high schools and college, and never steal anything, or get

drunk a little, or learn to swear from fellows who know how, and with dirty horsey pants on when the races are going on and the grand stand is full of people all dressed up – What's the use of talking about it?" (I'm a Fool, p.227)

ყველაზე მეტად განმეორებადი კავშირები შ.ანდერსონის მოთხრობებში არის and, or, because; ეს კავშირები აერთებენ სიტყვებს,წინადადებებსა და მთელ აბზაცებს.მარტო ერთ მოთხრობაში "I'm a Fool" კავშირი "And" მრავალი კავშირის ფუნქციით გამოყენებულია 300-ზე მეტჯერ. კავშირებისა და კავშირებითი სიტყვების გამოყენება გაანალიზებულ წინადადებებში ავტორისეულ გამოთქმას, მის მონათხრობს ანიჭებს რიტმულად მოწესრიგებულ სახეს.

## III. დასკვნა

ამრიგად, შერვუდ ანდერსონის მოთხრობების სინტაქსური თავისებურებების კვლევა გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. გამოკვლეული მოთხრობებისათვის დამახასიათებელია მოკლე სინტაქსი, მათში ჭარბობს მოკლე და მარტივი წინადადებები, რაც მეტყველებს ანდერსონის სტილის ლაკონიურობაზე.
2. რთულ წინადადებს შორის მოთხრობებში ჭარბობს ქვეწყობილი წინადადებები, რადგან ანდერსონი უპირატესობას ანიჭებს ქვეწყობილ კავშირებს.
3. ემოციური დაძაბულობის გაძლიერებას მოთხრობებში ხელს უწყობს სხვადასხვა სტილისტური ხერხის კონვერგენცია - ჩამოთვლილი რიგების წინ დამოუკიდებელი სიტყვების გამეორება, ბგერების ალიტერაცია, ინვერსია, სინტაქსური პარალელიზმი.
4. გაძლიერების სინტაქსურ ხერხებს შორის გამოკვლეულ მოთხრობებში გამოიყენება „It" ნაცვალსახელიანი ემფატური კონსტრუქცია,გვხვდება „There" კონსტრუქციის ხშირი გამოყენება,რაც ტექსტში თხრობის განსაზღვრული რიტმის შექმნას ემსახურება.
5. შერვუდ ანდერსონის მოთხრობებში პოლისინდეტონის გამოყენება ცხადყოფს ავტორის მიერ ამ სტილისტური ხერხის მიზანმიმართულ გამოყენებას ავტორის მეტყველების სასაუბრო ენასთან მიახლოების მიზნით.

## ლიტერატურა:


1. ვ. ი. ფალკოვა- ჯოზეფ ჰელერის სატირის ენა, 1981 წ.
2. ვ. ს. გორევაია- თანამედროვე ინგლისური ენის სტილისტურ-ფუნქციური დახასიათება,1985წ.
3. ვ. ა. კუხარენკო- ინგლისური ენის ლინგვისტური გამოკვლევა, 1982წ.
4. ე. კილანავა- შერვუდ ანდერსონის შემოქმედება, 2009 წ.

***Ketevan Tabutsadze, Associated professor***
***Georgian National University***

# The Syntax Analysis of Modern English Short Stories

## Summary

The main target of the work is the research of the specification of those syntax issues which are used in modern American literature and in particular in Sherwood Anderson's works. Research in such direction of two structurally different languages (English and Georgian) gives us the ground to establish syntax structures, sequence using of basic, required options- length, structural elements, and conjunction-for creating additional information and additional emphasis for expressions in English and Georgian as well. There is studied that enlargement of the sentence volume is made by homogeneous parts of the sentence, conjunctions and stylistic usage of enumeration.

There has been determined that in different stories the use of large quantities of Polysyndeton as target use of such stylistic method by the author for the purpose to make the author's speech closer to the spoken language. The research has shown convergence of different stylistic methods-repeating independent words in the sentence, alliteration of sounds, inversion and syntax parallelism.

***Key words:*** *Text Attribution, Middle Dispersion, Invariant, sentence equivalence, syntactic parallelism, Inversion, Polysyndeton.*

# ჟურნალისტიკა
# JOURNALIZM

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

## იტალიის ბეჭდური მედია

რეზიუმე

სტატიაში საუბარია იტალიის, სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, ბეჭდური პრესის შესახებ; მოწოდებულია ცნობები პრესის განვითარების ეტაპებზე და თანამედროვე მდგომარეობაზე; ჩამოყალიბებულია იტალიური ბეჭდური მედიის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები; ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც ძირითადად განაპირობებს იტალიური პრესის განვითარების ტენდენციებს და თავისებურებებს; საუბარია იმ ცნობილი გაზეთების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქვეყანაში, ტირაჟითაც გამორჩეულია და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაშიც დიდი როლი ენიჭება, ისიც არის აღნიშნული, რომ ბეჭდური პრესა ყოველნაირად ცდილობს კონკურენტუნარიანი იყოს მედიასივრცეში, მაგრამ ელექტრონული მაუწყებლობა ამ ქვეყანაში პირველობას არ თმობს.

*საკვანძო სიტყვები: ბეჭდური პრესა, განვითარების ეტაპები, ტენდენციები, თანამედროვეობის გამოწვევები, თავისებურებანი, ზემოქმედების მეთოდები.*

### I. შესავალი

იტალია სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი საინტერესო ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანაა, რომელმაც მსოფლიოს უდიდესი შემოქმედნი შესძინა არქიტექტურის, მხატვრობის, მუსიკის, საოპერო ხელოვნების თუ სხვა სფეროებში. ქვეყანა, რომელშიც 57 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ძირითადად სატელევიზიო სახელმწიფოდ ითვლება, რადგან ბეჭვდით პრესასა და ტელევიზიას

შორის მოსახლეობა ამ უკანასკნელზე აკეთებს თავის არჩევანს. გამოკვლევების თანახმად, სატელევიზიო ინფორმაციას მოსახლეობის 50% ენდობა, ბეჭდვითი მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კი - 30%. იტალიურ პრესას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

## II. ძირითადი ნაწილი

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტიკის ჩანასახი ჯერ კიდევ ძველ რომში შეინიშნება და უკავშირდება იულიუს კეისრის სახელს. მან გამოსცა სენატის სხდომათა ოქმები „acta senatus", რომელიც ეხებოდა სახელმწიფო მართვის საკითხებს. შემდეგ გაჩნდა ოფიციალური ყოველდღიური სამთავრობო ორგანო „ყოველდღიური უწყებანი" (acta diurna publica populi Romani), სადაც ყოველდღიური მნიშვნელოვანი მოვლენების გარდა ზოგჯერ გასართობი მასალა და ანეკდოტებიც კი იბეჭდებოდა. მართალია, ჩვენამდე ვერ მოაღწია ამ გაზეთების ნომრებმა, მაგრამ შემოგვრჩა ამონაწერები ამ ბეჭდვითი ორგანოდან რომაელ მწერალთა ნაწარმოებებში.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით მე-16 საუკუნეში, ვენეცია იქცა მსხვილ სავაჭრო ცენტრად. უამრავი ინფორმაცია იყრიდა თავს ამ ქალაქში. საჭირო გახდა მათი დალაგება, სისტემატიზაცია და გავრცელება. ეს საქმიანობა ივალდებულა ვენეციის ცენტრში დაარსებულმა სპეციალურმა ბიურომ, იქ მზადდებოდა წერილობითი ფურცლები, რომლებშიც უახლეს საინტერესო ამბებზე იყო საუბარი. ეს სპეციალური ფურცლები იყიდებოდა წვრილ მონეტაზე, რომელსაც „გაძეტას" უწოდებდნენ. შემდეგ ეს სახელი დამკვიდრდა საგაზეთო სფეროში. მაგ. რომში გამოდის „გაძეტა უფიჩიალე", ვენეციაში - „გაძეტინო", მესანაში - „გაძეტა დელ სუდ" და ა.შ. რაღა თქმა უნდა, ვენეციაში გამომავალი გაზეთები ხელნაწერი იყო, ძირითადად კვირაში ერთხელ გამოდიოდა და „ავიზოს" (aviso) უწოდებდნენ, რაც შეტყობინებას ნიშნავს.

რაც შეეხება ნაბეჭდ გაზეთებს, 1716 წელს მცირე ფორმატით გამოვიდა რომის ყოველკვირეული "Gracas", რომელშიც ძირითადად არქეოლოგიის საკითხები იხილებოდა, ასევე შუქდებოდა რომის წეს-ჩვეულებებიც. სამი ათეული წლის შემდეგ კი გამოჩნდა „sincero". ეს მოხდა 1750 წელს. გაზეთი გამოდიოდა გენუაში თვეში ორჯერ, შემდეგ კვირაში ორჯერ; ოთხშაბათობით უცხოეთის ამბებს აშუქებდნენ, შაბათი კი ქვეყნის საშინაო ამბებს ეთმობოდა.

პირველი იტალიური გაზეთები, რომლებიც გამოდიოდნენ რომში, ვენეციაში, ფლორენციაში, ტურინში, არ გამოირჩეოდნენ მრავალფეროვნებით, ძირითადად მშრალ ინფორმაციას ავრცელებდნენ და, შესაბამისად, ვერც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევდნენ. 1848 წლის 26 მარტს, კარლ-ალბერტის მეფობის დროს, ლიბერალური ედიქტის საფუძველზე მიიღეს პრესის კანონი, რომელმაც ნაწილობრივ განსაზღვრა ბეჭდვითი მედიის მიმართულება და პრესაში დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობები.

იტალიური პრესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ დიდი

ნაწილი პერიოდული ბეჭდვითი ორგანოებისა, დაახლოებით 60%, ფინანსდება მთავრობის, მსხვილი ბანკების, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების, კორპორაციების მიერ. იტალიის პრესასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას, სახელმწიფო გაზეთებსა და ჟურნალებს აძლევს სუფსიდიებს და შეღავათებს, ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადებისგან, ფასდაკლებით სთავაზობს ქაღალდს, მაგრამ დაფინანსების მთავარი წყარო ბეჭდვითი ორგანოებისთვის იყო და არის რეკლამა. ზოგადად უნდა აღინიშნოს იტალიელების ინტერესი პოლიტიკური ცხოვრების მიმართ. პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება თავისებურად აისახება პრესის მდგომარეობაზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ შესამჩნევლად მატულობს რიცხვი იმ მკითხველებისა, რომლებიც გაზეთს იძენენ. იტალიაში არსებობს ცენტრალური ორგანიზაცია “Assocazione delia Stampa”, რომელშიც გაერთიანებული არიან ცნობილი ჟურნალისტები და პუბლიცისტები. პარლამენტის წევრთა შორისაც ბევრია გამოჩენილი პუბლიცისტი.

თანამედროვე იტალიური გაზეთები ძირითადად ჩამოყალიბდა ფრანგული და ინგლისური მკს-ს გავლენით. იტალიურ გაზეთებში დიდი ადგილი ეთმობა კრიმინალურ ცნობებს, გასართობ მასალას, სენსაციურ ამბებს; უხვადაა კროსვორდები, ტელეპროგრამები. იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ ელექტრონული მაუწყებლობის საშუალებებს, ბეჭდური მკს გათვლილია მკითხველის ემოციაზე. საგაზეთო ენა მაქსიმალურად დაახლოებულია სალაპარაკო მეტყველებასთან, არც პირდაპირი ნათქვამის ხშირად გამოყენებას ერიდებიან, პუბლიკაციების სათაურები არის მყვირალა, გამომწვევი. დიდი ადგილი ეთმობა სპორტს. ინფორმაციები სპორტული სიახლეების შესახებ თითქმის ყველა გაზეთში გვხვდება. იტალიის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი „Gasette dello Sport” მთლიანად სპორტულ თემატიკას ეძღვნება.

გავრცელების მასშტაბის მიხედვით იტალიური ბეჭდური მედია იყოფა საერთოეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ პრესად. განსაკუთრებით პოპულარულია ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები, რაც იტალიურ პრესას განასხვავებს ევროპის სხვა ქვეყნების პერიოდიკისგან. იტალიაში პატარა ქალაქებსაც კი აქვთ საკუთარი გაზეთები. მაგ. ბერგამოში 3 ყოველდღიური გაზეთი გამოიცემა. იტალიაში სამი ეროვნული გაზეთია, რომლებშიც იბეჭდება მასალები როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების შესახებ, შუქდება ყველა სფერო: ეკონომიკა, პოლიტიკა, სპორტი, ხელოვნება. ეს გაზეთებია: „კორრიერე დელა სერა“, „ლა სტამპა“, „ლა რეპუბლიკა“. „Corriere della Sera” (საღამის კურიერი) გამოდის მილანში 1876 წლის 5 მარტიდან. 2005 წელს ის იყო ყველაზე გაყიდვადი გაზეთი იტალიაში. მისი ტირაჟი შეადგენდა 620 000-ს ეგზემპლარს. გაზეთის დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ეუდჟენიო ტორელლი ვიოლიერი. 1900-1925 წლებში გაზეთს მეთაურობდა ლუიჯი ალბერტინი, რომელმაც მოახერხა გაზეთი უფრო გავლენიანი, საინტერესო გაეხადა და მიეზიდა მკითხველი, ტირაჟიც გაეზარდა მილიონ ეგზემპლარამდე. „კორრიერე დელა სერას“ გამოსცემს მედიაჯგუფი RCS (Rizzoli Corriere della Sera). დღესდღეობით გაზეთი გამოდის 800 000 ეგზემპლარის

ოდენობით. ჰყავს დაახლოებით 2, 5 მილიონამდე მკითხველი. ამ გაზეთის ძირითად კონკურანტებად მოიაზრება რომის „რეპუბლიკა“ და ტურინის „სტამპა“. “La Repubblica) ზომიერი მემარცხენე შეხედულებებით გამოირჩევა. დაარსდა 1976 წელს, როგორც სოციალისტური გამოცემა, ძირითადად ორიენტირებული იყო მემარცხენე ლიბერალებზე და კომპარტიის მომხრეებზე. მისი თავდაპირველი ფორმატი შეადგენდა 20 გვერდს, ძირითადად დატვირთული იყო ახალი ამბებით და მოვლენების ანალიზით, მაშინ გაზეთში არ არსებობდა ბიზნესის და სპორტის განყოფილებები. დამაარსებელი იყო კარლო კარაჩიჩოლო, რედაქტორი კი-ეუდჟენიო ცუკკონი, რომელიც ადრე მუშაობდა „კორრიერე დელა სერას“ მოსკოვის კორესპოდენტად. გაზეთის ტირაჟი დაახლოებით 600 000 ეგზემპლარია. გამოსცემს ჯგუფი „გრუპო ლ’ ედიტორიალე ესპრესო’. “La Stampa”-ს ტირაჟით მე-4 ადგილი უჭირავს იტალიაში (300 000) ეგზემპლარი, მისი ახლანდელი მფლობელია ჯგუფი „FIAT”. დაარსდა 1867 წელს ტურინში იტალიელი ჟურნალისტის და მწერლის ვიტტორიო ბერზეციოც მიერ. ადრე გამოდიოდა საზელწოდებით “Gazzetta Piemontese” . 1895 წელს შეისყიდა ალფრედო ფრაზზატიმ და ახალი სახელით გამოსცა. 1999 წლიდან გაზეთს აქვს საკუთარი ვებ-საიტი. “La Stampa” ლიბერალურ ბეჭდურ ორგანოდ ითვლება და გამოირჩევა იმით, რომ გაზეთში მუშაობენ ცნობილი ანალიტიკოსები. დღესდღეობით გაზეთს აქვს საღამოს გამოცემა „სტამპა სერა“ (“Stampa Sera”). 2009 წლიდან დღემდე გაზეთის რედაქტორია მარიო კალაბრეზი. პრესის ამ ორგანოში ერთხანს ცნობილი იტალიელი მწერალი ალბერტო მორავიაც თანამშრომლობდა. 2006 წელს “La Stampa” იყო ერთ-ერთი იმ გაზეთთაგანი, რომელმაც მუჰამედის კარიკატურები გამოაქვეყნა. თითოეულ ეროვნულ გაზეთს აქვს ლოკალური დანართი (დამატება), რაც მის ფართოდ გავრცელებას უწყობს ხელს, მაგრამ პოპულარობით პირველ ადგილს მაინც ადგილობრივი გამოცემები იკავებს, რასაც ხსნიან იმით, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიას თავიანთი განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ და ინფორმაციულადაც ერთმანეთს დიდად არ უკავშირდებიან.

იტალიური პრესა მეტწილად დამოკიდებულია წამყვან მონოპოლიებზე. შეიძლება ითქვას, რომ იტალიის მედია ძირითადად მონოპოლიზებულია. მაგ. ჯგუფი „FIAT”, რომელიც ეკუთვნის ანელლის ოჯახს, არის მფლობელი ზემოთ დასახელებული ცნობილი გაზეთებისა „კორრიერე დელა სერა“, „ლა სტამპა“, „კორრიერე დელა სპორტ“. ამ კომპანიას აგრეთვე ეკუთვნის რამდენიმე სხვა გამოცემაც და საზღვარგარეთის მკს-ს აქციების ნაწილი. პოლიტიკურ პარტიებს და პროფკავშირსაც გააჩნია საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები. ამგვარი გამოცემები, ბუნებრივია, პოლიტიკურად ანგაჟირებული არიან. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის გაზეთი “(Popolo” (ხალხი) რომელიც დაარსდა 1848 წლის 16 ივნისს ტურინში; სოციალისტურ პარტიას-გაზეთი „ავანტი“ (წინ), რომელიც რომში გამოდის და მილანში გამომავალი „ტემპო“ (დრო). რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის 2 ცნობილი ყოველდღიური გაზეთი ‘დჟურნალე დელ პოპოლო“(სახალხო გაზეთი) და „იტალია დელ პოპოლო“ (სახალხო იტალია). კომპარტიის ბეჭდვითი

ორგანოებია გაზეთი „უნიტა“ და ჟურნალები „რინაშიტა“ და „კრიტიკა მარქსისტა“, ასევე „მანიფესტო“. კლერიკალებსაც აქვთ საკუთარი გაზეთები სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ოსსორვატორე რომანო“ (რომაელი დამკვირვებელი), რომელიც ვატიკანში გამოიცემა.

იტალიური გაზეთები არ გამოირჩევიან დიდი ტირაჟით. ამ მხრივ გამონაკ-ლისია შემდეგი გაზეთები: „კორრიერე დელა სერა“(800 000 ეგზემპლარი), „ლა რეპუბლიკა“ (600 000-700 000), მილანის „სეკოლო“ (საუკუნე), რომლის ტირაჟი 100 -120 ათასია, „ლა სტამპა“ (300 000). არც რომის ცნობილი „მესაჯეროს“(ცნობები) და ნეაპოლის „მატტინოს“ (დილა) აქვთ დიდი ტირაჟი, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის წამყვან გაზეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა გაზეთებზეც. მაგ. „ვოჩე რესპუბლიკანა“(რესპუბლიკის ხმა), „დჟუსტიცია“ (სამართლიანობა), „კორრიზი ე კონცონი ტვ“(ტელევიზიის ღიმილი და სახეები); ყოველკვირეულები: „ფამილია კრისტინა“ (ქრისტიანული ოჯახი), „ეპოკა“,“პანორამა“, „ექსპრესო“, “დუენტე“. ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი არ აღემატება 250 000-სს, თუმცა ბოლო დროს ტირაჟის ზრდა შეინიშნება. ყოველდღიური პრესის მეექვსედ ნაწილს შეადგენს სპორტული გაზეთები, მათ შორის გამოირჩევა „გაზეტტა დელა სპორტ“, „კორრიერე დელა სპორტ“ „ტუტტო სპორტ“. ზოგადად გაზეთების 42%% გამოდის ქვეყნის ჩრდილოეთში, 22% - ცენტრალურ ნაწილში და მხოლოდ 14 % -სამხრეთში.

იტალია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სხვა წამყვან ქვეყნებს ვერ სჯობნის ბეჭდური პრესის განვითარების დონით, ერთ-ერთ ლიდერად ითვლება ჟურნალისტების რაოდენობით. ჟურნალისტებს, მართალია, ბეჭდვის კანონი, რომელიც 1948 წელს მიიღეს, აძლევდა შემოქმედებით თავისუფლებას, მაგრამ მცდარი, გადაუმოწმებელი, ტენდენციური, მიკერძოებული ინფორმაციისთვის, რომელსაც შეეძლო დაერღვია საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფოს კრიტიკისთვის და ოფიციალური პირების შეურაცხყოფისთვის მათ პასუხს აგებინებდნენ. 50-იან წლებში სასამართლოს წინაშე დაახლოებით ათასამდე ჟურნალისტს მოუწია წარდგომა.

იტალიის ახალი ამბების ეროვნული სააგენტოა „ანსა“, რომელიც შეიქმნა 1945 წელს და სპეციალებულია საშინაო და საერთაშორისო ინფორმაციების მიწოდებაზე. დღეისთვის ის ემსახურება იტალიის ყოველდღიური გაზეთების უმრავლესობას. ასევე მისი მომსახურებით სარგებლობს საზღვარგარეთული პერიოდული გამოცემები, რადიო და ტელესადგურები. ინფორმაციას გასცემს იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე. აქვს საკუთარი ფოტოსამსახური.

## III. დასკვნა

ბეჭდური პრესა იტალიაში, ქვეყანაში, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, სხვა წამყვან ევროპულ ქვეყნებთან შედარებით განვითარების განსაკუთრებული დონით ვერ დაიკვეხნის, თუმცა საკმაოდ პროფესიონალი და გამოცდილი ჟურნალისტები ჰყავთ. ბეჭდური პრესის მომხმარებელი უფრო პოლიტიკური და სპორტული ინფორმაციებით

ინტერესდება. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური პრესა არ რჩება სახელმწიფოს მხრივ ყურადღებისა და შეღავათების გარეშე, მათი ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად მაინც რეკლამაზეა დამოკიდებული. იტალიური ბეჭდვითი ორგანოები ცდილობენ მკითხველის მიზიდვას გასართობი მასალის და სახალისო ინფორმაციების მიწოდებით, თუმცა სხვა სფეროებსაც სათანადოდ აშუქებენ. პოლიტიკური პარტიების დიდ უმრავლესობას საკუთარი ჟურნალ-გაზეთები აქვთ, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. მედიასფეროში ბოლო დროს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი პრესა. თავიანთ საქმიანობას ააქტიურებენ მედიაჯგუფები და საგაზეთო მონოპოლიები. ბეჭდური პრესა ყველანაირად ცდილობს კონკურენტუნარიანი იყოს მედიასივრცეში, თუმცა ელექტრონული მაუწყებლობა ამ ქვეყანაში პირველობას არავის უთმობს.

**ლიტერატურა:**

1. თ. მეტრეველი. საზღვარგარეთის ჟურნალისტიკის ისტორია. „თეიმურაზ მეტრეველის ფონდი“ 2006.
2. Золотых, А. Политическая власть Италии и СМИ: специфика взаимоотношений / А. Золотых. - http://cyberleninka.ru/article/n/politicheskaya-vlast-italii-i-smi-spetsifika-vzaimootnosheniy.
3. http://А. А. Тонку. ОСОБЕННОСТИ СОВРЕМЕННОЙ ИТАЛЬЯНСКОЙ ПЕРИОДИКИ

*Ketevan Giorgobiani, associated professor,*
*Georgian Technical University*

## Italian Print Media

### Summary

The article talks about a press of Italy, one of the ancient countries of South Europe, which has done it invaluable bit in the world's culture; it provides notifications about development stages and contemporary situation of press; it gives the features of Italian print media and underlines those significant factors, which basically condition development tendencies and peculiarities of Italian press; here is a talking about those famous newspapers which are mostly popular in the country and theseare a mass-circulation newspaper and has a great role in formation of public opinion. The article also notes that a print media tries to be competitive in media space, but an electronic broadcasting prevails in this country.

***Kew words:*** *Print press, development stages, tendencies, challenges of modern times, peculiarities, methods of influence.*

*ნათია ახალაია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# საინფორმაციო ომი

რეზიუმე

სხვადასხვა სახელმწიფოები საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალების დაბლოკვას მიიჩნევდნენ, თუმცა ამ იდეამ პრაქტიკაში არ გაამართლა. ძალიან დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, იმისთვის რომ ცრუ ინფორმაცია არ მოგვახვიონ თავს. მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო სექტორი, საზოგადოების ცნობიერების დონის გაზრდა პროპაგანდის შესახებ, რათა შემცირდეს საინფორმაციო ომის გავლენა.

*საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ომი, საფრთხე, საზოგადოებების დისკრედიტაცია*

## I. შესავალი

XXI საუკუნეში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს უდიდესი მნიშნველობა ენიჭება. დიდია მისი როლი კონფლიქტების წარმოქმნასა და მიმდინარეობაშიც. ,,ის ვინც ფლობს ინფორმაციას, მართავს მსოფლიოს“, ანუ კონფლიქტებშიც იმარჯვებს ის მხარე, რომელსაც განვითარებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიები და ახდენს მოწინააღმდეგე მხარისადმი კომპლექსურ, მიზანმიმართულ დამანგრეველ ინფორმაციულ ზემოქმედებას. დეზინფორმაცია, ცილისწამება, პროპაგანდა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ- ეს ,,იარაღებია“ მნიშვნელოვანი სახელმწიფოს, ლიდერების, საზოგადოებების დისკრედიტაციისათვის. ამ დროს კი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას. თუ როგორ აღიქვამენ დიდი სახელმწიფოები გავრცელებულ ინფორმაციებს.

მაგალითის მოყვანა, ჩვენი ისტორიიდან არ გაგვიჭირდება. დღევანდელი გადასახედიდან, განსაკუთრებით თვალშისაცემია ინფორმაციის სიმწირის, როგორც პრობლემის არსებობა, 90-იან წლებში. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოებას არ გამოუჩენია სათანადო ყურადღება მაშინ, როდესაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტები იწყებდა ჩამოყალიბებას. რუსული მედია, ქართული მედიისაგან განსხვავებით აქტიურად აწარმოებდა საინფორმაციო ომს. რუსული საინფორმაციო საშუალებები თავგამოდებით ამუშავებდნენ პროპაგანდის მანქანას და ცდილობდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაევრცელებინათ დეზინფორმაცია საქართველოს წინააღმდეგ, რომ თითქოსდა საქართველომ გამოუცხადა ომი აფხაზეთს. 90-იან წლებს თუ შევადარებთ უახლოეს წარსულს, კერძოდ 2008 წლის აგვისტოს ომს, აქ უკვე ნათელია ჩვენი ქვეყნის წინსვლა ინფორმაციების გაშუქების თვალსაზრისით. მეორე მხრივ, 2008 წლის 7 აგვისტოს

ძლიერი საარტილერიო ცეცხლის გახსნითა და ამ ყველაფრის პირდაპირი ეთერით ტრანსლირებით საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ კრემლს საშუალება მისცა, ბრძოლის დაწყებისთანავე საინფორმაციო ომში პირველი წარმატებისთვის მიეღწია- რუსმა პროპაგანდისტებმა ქართული ტელევიზიების ვიდეოკადრებს ღამის ცხინვალის კადრები მიუმატეს და მთელ მსოფლიოს ამცნეს, რომ ამ საარტილერიო დაბომბვის შედეგად ცხინვალში 3 000-მდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, რაც სიცრუე იყო. ასევე, ,,რუსეთი ავრცელებდა, რომ ქართული არმიის მიზანი იყო ცხინვალსა და მის შემოგარენში სპეცოპერაციის ,,სუფთა ველის" განხორციელება, რომელიც მიზნად ოსების განდევნას ისახავდა. სინამდვილეში, რუსეთის საოკუპაციო ძალების მხარდაჭერით სწორედ ადგილობრივმა სეპარატისტებმა მოუწყვეს გენოციდი ქართულ მოსახლეობას და გადაწვეს სოფლები". ამ გზით ისინი ცდილობდნენ საინფორმაციო ომის ერთ-ერთი წარმატებული მეთოდის განხორციელებას: ხალხს უნდა აჩვენო, რომ მტერი დაუნდობელი და სასტიკია, შენ კი ჰუმანისტი ხარ. ყოველივე ეს ათვალსაჩინოებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ ომს. საინფორმაციო ომის ნათელი მაგალითია რუსული ფილმიც „08.08.08", რომელიც მსოფლიოს კინოეკრანებზე, ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა ომი დამთავრებულიც კი არ იყო. ფილმს რეკლამად ჰქონდა ,,მსოფლიოს ყველა მონიტორზე". შინაარსის თანახმად კი, ქართველებმა დაიპყრეს ქალაქი და ღამით დაბომბეს, ქართველებმა დახოცეს ოსები, დაარბიეს სოფლები... ინფორმაცია წამში ვრცელდება და შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ამ გზით კი ტერიტორიის დიდი ხნით დამორჩილებაც ხდება შესაძლებელი.

II. ძირითადი ნაწილი

საინფორმაციო ომის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ინფორმაციის გავრცელების მასშტაბებსა და ამ ინფორმაციის სიხშირეს ენიჭება. დაინტერესებული მხარე, მის დაქვემდებარებაში არსებული, სხვადასხვა მედია საშუალებებით ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რომელიც მანიპულირებს საზოგადოებაში არსებული ფობიებით, ეთნო-ნაციონალური სენტიმენტებით და პოლიტიკური დივიდენდების მიღებას ემსახურება და ცვლის საზოგადოების განწყობებს დაინტერესებული ქვეყნების სასარგებლოდ. საინფორმაციო ომის ტაქტიკა, მეთოდოლოგია და სტრატეგიული ამოცანები განსხვავებულია ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, მიუხედავად ამისა, მიზანი ერთია - დაინტერესებული მხარისათვის პოლიტიკური გავლენისა და უპირატესობის მოპოვება. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი რუსეთსა და მის პოპაგანდისტულ ქსელს უკავია, რომელიც აერთიანებს თითქმის ყველა მედიასაშუალებას. მათი დახმარებით კი აწარმოებს საინფორმაციო ომს დასავლეთის წინააღმდეგ- ანტიდასავლური რიტორიკისა და ნარატივის გავრცელებით ის ახდენს რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერებას. საქართველოში, რუსული პროპაგანდის მიზანია მოსახლეობაში გაურკვევლობის, შიშის დანერგვა, დასავლეთთან ინტეგრაციის შეფერხება, საქართველოს პარტნიორების მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივება და დასავლური ღირებულებების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა.

ნათელია, რომ დღეს უმნიშვნელოვანესი ბრძოლის ველი გონებაა. თანამედროვე ომი, მიმდინარეობს 4 სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე. მტრის დასუსტება უნდა მოხდეს ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ომებით, მორალური ზეწოლით. სხვადასხვა ტიპის ზეწოლითა და დეზინფორმაციით ხდება სუსტი მოწინააღმდეგე ლიდერების დაბნევა, რის შედეგადაც მათ გადაწყვეტილების მიღების უნარი ეკარგებათ.

### III. დასკვნა

როგორც ვხედავთ, ინფორმაციული ომი დიდი საფრთხეა. სხვადასხვა სახელმწიფოები, საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად, ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალების დაბლოკვას მიიჩნევდნენ, თუმცა ამ იდეამ პრაქტიკაში არ გაამართლა. ინფორმაციული ბრძოლის თავდაცვითი მხარე არის უსაფრთხოების ზომები, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის დაცვას. უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა კომპიუტერული უსაფრთხოება, მოიცავს ქმედებებს, რათა თავიდან იქნას აცილებული პირდაპირი მტრის ინფორმაციული აქტივობები და ორგანიზება გაუწიოს კონტრ-ქმედებებს. ძალიან დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, იმისთვის რომ ცრუ ინფორმაცია არ მოგვახვიონ თავს. მნიშვნელოვანია ძლიერი სამოქალაქო სექტორი, საზოგადოების ცნობიერების დონის გაზრდა პროპაგანდის შესახებ, რათა შემცირდეს საინფორმაციო ომის გავლენა. ვინაიდან, ტექნოლოგიურმა ომმა, შესაძლოა დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს სამხედრო ტექნიკით აღჭურვილ ომს. ამ ომში, ინფორმაცია შესაძლოა ისე კარგად იყოს შეფუთული, რომ შესაძლოა ადამიანი შეცდომაში დიდი სირთულეების გარეშე შეიყვანოს. საჭიროა, სახელმწიფო სტრატეგიის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანამ შეიძლება დაკარგოს ხალხი, ხალხის დაკარგვამ კი თავის მხრივ შესაძლოა, ტერიტორიის სამუდამო დაკარგვა გამოიწვიოს.

ლიტერატურა:

1. https://www.youtube.com/watch?v=YYG-vVAg7J4
2. https://www.kvirispalitra.ge/samkhedro-thema/21154-sainformacio-omis-teqnologia-daabrale-motsinaaghmdeges-is-rasac-thavad-aketheb.html?device=xhtml

*Natia Akhalaia, PhD student*
*Georgian Technical University*

# Information war

## Resume

Different states considered one of the effective means of combating information warfare to block a media outlet, although this idea did not succeed in practice. Very caution and observation is needed to avoid false information. It is important that a strong civil society, to increase public awareness on propaganda to reduce the impact of news war.

***Keywords:*** *information war, threat, discrediting societies.*

ვაჟა დანელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# სპორტის ტერმინოლოგიის წარმოებისა და დამკვიდრების ზოგიერთი საკითხები თანამედროვე ქართულ პრესაში

რეზიუმე

21-ე საუკუნის დასაწყისში კომუნიკაციის ფორმების გაფართოებამ, საზოგადოებრივმა სოციოკულტურულმა და ენის შესახებ მეცნიერებათა შინაგანმა პროცესებმა თანამედროვე ენათმეცნიერებაში ცვლილებები გამოიწვია, ენის ფუნქციონირების ახალი მხარეები მოითხოვა. დღეს უჭოჭმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოყალიბდა მედიალინგვისტიკა, რომელიც სამეცნიერო რეალობაა, იმის მიუხედავად, როგორ განვსაზღვრავთ მას - როგორც განსაკუთრებულ მეცნიერებას თუ როგორც სამეცნიერო მიმართულებას.

აქცენტირებულია სასპორტო მედიაკომუნიკაციის ცალკეული საკითხები, კერძოდ, ცნებითი აზროვნებისა და სპორტის ტერმინოლოგიის წარმოება და დამკვიდრება თანამედროვე ქართულ პრესაში.

*საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, მედიალინგვისტიკა, მედიაკომუნიკაცია, სასპორტო მედიაკომუნიკაცია, ცნებითი აზროვნება, სპორტის ტერმინოლოგია.*

## I. შესავალი

სასპორტო მედიაკომუნიკაცია რთული სისტემაა, რომელიც, უპირველესად, შემოქმედებითი სფეროების ისეთ ურთიერთკავშირს ეფუძნება, როგორებიცაა სპორტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სპორტისა და ჟურნალისტიკის შერწყმისას ერთგვარი კოდის მქონე სადისკურსიო მედიასისტემა იქმნება. ის არა მარტო ცოდნის გარკვეული სტრუქტურების აღქმის, არამედ იმის გააზრების საშუალებასაც იძლევა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე, რაც ამ სფეროში ხდება სიმბოლოებისა და ნიშნების დონეზე.

დღევანდელი მედიასივრცის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს მედიაკომუნიკაცია, რომლის წიაღშიც წარმოიშვა სასპორტო მედიაკომუნიკაცია. თანამედროვე საზოგადოებაში მისი როლის ამაღლება იმით არის განპირობებული, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სპორტს წამყვანი ადგილი უკავია, როგორც ეროვნული ერთსულოვნების, ხალხთაშორისი ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორს.

სასპორტო მედიაკომუნიკაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებშია გაანალიზებული უცხოელ მეცნიერთა (პ. ვეისი, ჰ. ედვარდსი, მ. ნოვაკი) ნაშრომებში, როცა ყურადღება გაამახვილეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სპორტის ურთიერთდამოკიდებულების ბუნებაზე. მოგვიანებით ამ საკითხს შეეხნენ საბჭოთა მკვლევრები - პ. ვინოგრადოვი, ა. ოგანესიანი, ვ. როდიჩენკო და სხვები.

იმის მიუხედავად, რომ სასპორტო მედიაკომუნიკაცია არსებობის მრავალ წელს ითვლის, მეცნიერულ წრეებში ამ ცნების გამოკვეთილი განმარტება არ არსებობს. ამ ხარვეზის აღმოფხვრის ცდა შეინიშნება რუსი მეცნიერის - ე. ვოიტიკის ნაშრომში. იგი მიიჩნევს, რომ სასპორტო მედიაკომუნიკაცია ეს არის სოციალურ სუბიექტებს (პიროვნებები, ჯგუფები, ორგანიზაციები და ა.შ.) შორის ინფორმაციული ურთიერთზემოქმედება, რომელიც დამყარებლია სასპორტო მასობრივი ინფორმაციის შექმნაზე, გავრცელებასა და მოხმარებაზე.

მედიასფეროს წინა პლანზე წამოწევამ და ყურადღების ცენტრში მოქცევამ წარმოშვა ლინგვისტიკის ახალი სახეობა - მედიალინგვისტიკა, რომელსაც, ფაქტობრივად, საფუძველი 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ეყრება. თუმცა მედიასფერო სოციალური კომუნიკაციის სისტემაში პირველი გაზეთების გამოჩენისთანავე წარმოიშვა. ქართულ სინამდვილეში - მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა პირველი ქართული გაზეთი გამოვიდა.

მართალია, მედიალინგვისტიკა ენის შესახებ მეცნიერებათა დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილი ახალი დარგია, მაგრამ უკვე თავადვე განიცდის დანაწევრებას მეტყველების (პრესა, რადიო, ტელევიზია) და ტექსტების ტიპების (ჟურნალისტური, პიარტექსტები, რეკლამა) მიხედვით.

მედიალინგვისტიკის წარმოშობა იმის შედეგია, რომ ჩვენი საზოგადოება გახდა უფრო ინფორმაციული, კომუნიკაციური. სოციალურმა პროცესებმა ლინგვისტიკა ახალი პრობლემების წინაშე დააყენა, რის გამოც განიცდის ის დიფერენციაციას. თანამედროვე საზოგადოებაში ეს მნიშვნელოვანი პროცესები ხელს უწყობს ენის ახალი ასპექტების გამოვლენას, ცნებითი აზროვნებისა და სპორტის ტერმინოლოგიის კორექტირებასა და განახლებას.

## II. ძირითადი ნაწილი

ქართული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინები: სპორტული სკოლა, სპორტული კლუბი, სპორტული კომპლექსი, სპორტული მოედანი, სპორტული ჟურნალისტი, სპორტული კომენტატორი, სპორტული ჟურნალისტიკა, სპორტული ტერმინოლოგია, სპორტული მედიცინა და მისთანანი. ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინები რუსულის კალკებია (спортивная школа, спортивный журналист, спортивный коментатор, спортивная журналистика, спортивная терминология, спортивная медицина и т.п.) და მათი ამ ფორმით გამოყენება უმართებულოდ მიგვაჩნია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ერთტომეული, 1986) მიხედვით, სპორტულ-ი ნიშნავს - სპორტთან დაკავშირებული, სპორტისათვის განკუთვნილი, სპორტის ხასიათისა, - სასპორტო: ს. მოედანი, ს. ინვენტარი, ს. სეზონი (გვ. 412).

სწორედ ამ განმარტებამ მისცა ბიძგი, ქართულ პრესაში გამოეყენებინათ სპორტული ჟურნალისტის მსგავსი სიტყვათშეხამება. ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში ჟურნალისტი სპორტთანაა დაკავშირებული ან სპორტისთვისაა განკუთვნილი. გარკვეულწილად ასეცაა, მაგრამ იგი უპასუხებს

კითხვაზე - როგორი? სპორტული. ეს განსაზღვრება კუთვნილებაზე კი არა, ჟურნალისტის ნიშანზე მიუთითებს. სასპორტო კუთვნილების გამოსახატავად კი მართებული იქნება დავსვათ კითხვა - რისი ჟურნალისტი? სპორტის.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ სპორტის ჟურნალისტი, სპორტის ჟურნალისტიკა, სპორტის კომენტატორი, სპორტის ტერმინოლოგია, სპორტის მედიცინა და სხვ.

მსგავს შეცდომებს ვხვდებით მეტყველებისას, როცა ვიყენებთ ტერმინებს: სპორტული სკოლა, სპორტული კომლექსი, სპორტული მოედანი და სხვ. ამ და მათს მსგავს სინტაგმებში, შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მსაზღვრელად სიტყვა სასპორტო, რომელიც აშკარად გამოხატავს (სპორტულისგან განსხვავებით) დანიშნულებით მნიშვნელობას. ამიტომაც უნდა ვთქვათ და ვწეროთ - სასპორტო სკოლა, ანუ სპორტისთვის განკუთვნილი სკოლა (საბედნიეროდ, ბოლო დროს ქართულ მედიასივრცეში ეს ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება), სასპორტო კომპლექსი, სასპორტო მოედანი, სასპორტო მედია კომუნიკაცია და სხვ.

საგულისხმოა, რომ წლების წინათ ამბობდნენ და იწერებოდა მუსიკალური სკოლა, ახლა კი მართებულად იყენებენ ტერმინს - სამუსიკო სკოლა. ასევე, რუსულის გავლენით ვწერდით და ვამბობდით - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. ამჟამად კი გვაქვს მართებული ფორმები - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და ა.შ.

თანამედროვე სპორტის ტერმინოლოგიაში პრობლემურია გუნდების დასახელებათა მართლწერისას მათი კუმშვა-კვეცადობა. მაგალითად, რომელი ფორმაა მართებული - გორის „დილის" ფეხბურთელები თუ გორის „დილას" ფეხბურთელები? შინაარსის მიხედვით რომელიმე ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება შეუძლებელია, რადგან: პირველ შემთხვევაში თუ ვიტყვით „დილის" და არა საღამოს ფეხბურთელებიო, მეორე შემთხვევაშიც შეგვიძლია ვთქვათ - „დილას" ფეხბურთელები, საღამოს?

მიგვაჩნია, რომ საზოგადო სახელი დილა, როგორც საკუთარი სახელი მცხეთა, კვეცადია, მაგრამ „დილა" და მისთანანი (თანხმოვანფუძიანი სახელებიც) თუ გუნდის სახელწოდებად არის გამოყენებული, ისინი უნდა გაუთანაბრდეს ადამიანთა საკუთარ სახელებს, ჩაისვას ბრჭყალებში და არ უნდა შეიკვეცოს (არც შეიკუმშოს). მაგალითად, გურიის მთები, მაგრამ ლანჩხუთის „გურიას" შემადგენლობა, ბარსელონის ქუჩები-„ბარსელონას" თავდამსხმელი, მერცხლის ჭიკჭიკი-„მერცხალის" მწვრთნელი და ა.შ.

სპორტი ისეთი სახეობაა, რომლის პრობლემურ არეალში შემოდის გეოგრაფიული სახელები, როგორც სადაურობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. ამდენად, ტერმინთა მართლწერას აქაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ცნობილია, რომ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მაწარმოებელია -ეთ ბოლოსართი. მაგალითად, იმ ადგილს, სადაც თურქები ცხოვრობენ, თურქ-ეთ-ი ჰქვია; თუში - თუშ-ეთ-ი, რუსი - რუს-ეთ-ი და ა.შ. 1968 წელს გამოცემულ ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიულ ლექსიკონში" (მიგვაჩნია, რომ სწორი

ფორმაა ორთოგრაფიის ლექსიკონი. აქაც იმავე პრინციპით - რის ლექსიკონი? და არა როგორი ლექსიკონი? განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ორთოგრაფიული - ორთოგრაფიის ხასიათისა. არასრულყოფილი განმარტებაა. ორთოგრაფია ნიშნავს სწორად წერას. ეს ლექსიკონიც სწორად წერისაა და არა - სწორად წერის ხასიათისა) ევროპული ქვეყნების მართლწერა მოცემულია რუსულის ზეგავლენით დედნის ენაზე წარმოთქმის არგუმენტის მოშველიებით: ჩეხოსლოვაკია, ჩეხია [Czech Republic], შვეცია [Sweden], სერბია [Serbia, Srbija], სლოვაკია [Slovakia], სლოვენია [Slovenia] ხორვატია[Croatia], ხოლო რუმინ-ეთ-ი [Romania], ბულგარ-ეთ-ი [Bulgaria] და რუს-ეთ-ი [Russia] კი რატომღაც ნაწარმოებია -ეთ სუფიქსით. დღევანდელ ქართულში  ზემოაღნიშნული ქვეყნების სახელწოდება, ორი ქვეყნის გარდა, ნაწარმოებია მართებულად - -ეთ ბოლოსართით: ჩეხ-ეთ-ი (სადაც ჩეხი, ჩეხები ცხოვრობენ), სლოვაკ-ეთ-ი (სლოვაკი, სლოვაკები), სერბ-ეთ-ი (სერბი, სერბები), შვედ-ეთ-ი [შვედი, შვედები), ხორვატიისა და სლოვენიის მართლწერა კი რატომ არ შეიცვალა, ჩვენთვის გაუგებარია. ტრადიციით დამკვიდრებულს თუ ვიცავთ. მაშინ, უპირველესად, „შვეცია“ და „ჩეხოსლოვაკია“ უნდა შეგვენარჩუნებინა. არადა, მეტყველებაში უკვე კანტიკუნტად „ჩეხია“ და სერბია“ ფორმების გამოყენების პრეცედენტებიც გვაქვს.  მიგვაჩნია, რომ ტერმინოლოგიის სიზუსტის დაცვას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

III. დასკვნა

თამანედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პლანზე სპორტის წამოწევამ მედიაკომუნიკაციის წიაღში წარმოშვა სასპორტო მედიაკომუნიკაცია, რომლის წინაშეც სოციალური პროცესები ახალ პრობლემებს წარმოშობს და მათი გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებულოი ცნებითი აზროვნებისა და სპორტის ტერმონოლოგიის დროულ კორექტირება-განახლებაზე.

არაერთხელ უთქვამთ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის ვითარდება, იცვლება, რის გამოც ენობრივი პრობლემები უფრო აქტუალური ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სპორტი გამოირჩევა, რადგან გლობალიზაციის პროცესში ის უფრო მეტ ინტერნაციონალურ ხასიათს იძენს, უცხოური ენებიდან ტერმინთა მოდინება-ნასესხობა ეროვნული ლექსიკის გამდიდრებასთან ერთად მის დანაგვიანებასაც იწვევს. მაგალითად, ფეხბურთში - სეივი გააკეთა, მცველი მარცხენა ფლანგზე განლაგდა, მეკარის მოედანში ბურთის გარეშე შეიჭრა; ჭადრაკში - მეტოქე გადაითამაშა და ა.შ. მართალია, ქართული ენა გრამატიკული სტრუქტურით ძალიან ძლერია და ნეოლოგიზაციის პროცესში უცხო წარმომავლობის სიტყვებს თავის საზურველში ახვევს - ქართული ენის გრამატიკის წესებს უქვემდებარებს, თუმცა იშვიათი როდია შემთხვევები, როგორც ძირითად ნაწილში აღვწერეთ, უცხოური გრამატიკული ფორმა მყარად იმკვიდრებს ადგილს ქართულ კონსტრუქციაში (სპორტული ჟურნალისტი, სპორტული კომენტატორი, ორთოგრაფიული ლექსიკონი...), ამიტომ მეტი სიფრთხილე, უცხო კლანჭებიდან თავდასახსნელად ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების ელემენტარული წესების ცოდნა და გამოყენებაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), 1986;
2. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998;
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი მიხეილ ჭაბაშვილი), 1964;
4. მართლწერის ლექსიკონი მედიისთვის, 2016.
5. Е. А. Воитик, Спортивная медиакоммуникация в России в начале XXI в. 2013;

*Vaja Danelia, PhD student*
*Georgian Technical University*

## Sports Terminology Production and Establishment Some Issues in Modern Georgian Press

### Summary

In the beginning of the 21th century, the expansion of communication forms, the internal sociocultural and language sciences processes in modern linguistics have begun, demanding new language functioning. Today, we can undoubtedly say that the medial linguistics, which is a scientific reality, can determine how it is defined as a special science or scientific direction.

This time we emphasized some of the issues of sports media communication, namely, in the modern Georgian press on producing and establishing the terminology and sport terminology.

***Keywords:*** *linguistics, media-linguistics, media communication, sports media communication, conceptual thinking, sports terminology.*

შორენა კოკორაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# სახელმწიფოსა და მედიის როლი ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის შემთხვევებში

რეზიუმე:

სტატიაში განხილულია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები. გაანალიზებულია გახშირებული ძალადობის შემთხვევები და მისი გამომწვევი მიზეზები. ირკვევა, რომ საკანონმდებლო ბაზა ამ მიმართულებით ქვეყანაში ჯერ კიდევ დასახვეწია. მსხვერპლებს შემაკავებელი ორდერი მოძალადეებისგან ვერ იცავს, რის გამოც კონფლიქტები ხშირად ფატალური შემთხვევებით სრულდება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს მედია საშუალებების მხრიდან, აღნიშნული საკითხების ზედაპირულ გაშუქებაზეც. სტატიაში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის ფაქტების ზრდაზე მიუთითებს.

*საკვანძო სიტყვები: ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, ფემიციდი, მასმედია, სახელმწიფო, სამართალდამცავები, სტატისტიკა, კანონი.*

## I. შესავალი

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ჯერ კიდევ ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი რჩება. საზოგადოება კვლავ სტერეოტიპულ გარემოში ცხოვრობს, სადაც უმეტეს შემთხვევაში ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებულ ქმედებად აღიქმება. 2015-2017 წლის მონაცემებით საქართველოში ძალადობის შედეგად 40 ქალი მოკლეს. აღნიშნული მაჩვენებელი სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშია გამოქვეყნებული. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 35 ქალია მოკლული, მათგან 19 - ოჯახში ძალადობის შედეგად; 2016 წელს 32 ქალის მკვლელობაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აქედან 14-ზე გამოძიება ოჯახში დანაშაულის ნიშნით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებითვე ირკვევა, რომ 2013 წელს - 224 შემაკავებელი ორდერი გაიცა. 2014 წელს - 817; 2015 წელს - შემაკავებელი ორდერი 2589 ქალს იცავდა მოძალადისგან ; 2016 წელს - 2877 მოძალადეს მისცეს შემაკავებელი ორდერი; 2017წელს- 4370-ს; 2018 წლის მარტის მონაცემებით კი 965 მოძალადეზე გაიცა შემკავებელი ორდერი.

## II. ძირიადი ტექსტი

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის გახშირებულ ფაქტებს საგანგაშოს ისიც ხდის, რომ გარკვეულ შემთხვევებში, მსხვერპლებმა შესაბამისი რეაგირების თხოვნით, სამართალდამცავ ორგანოებს ინციდენტამდე არაერთხელ მიმართეს. საზოგადოების გარკვეული წრის მხრიდან გულგრილობის გარდა, მთავარ გამოწვევად დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური

გამოყენება წარმოადგენს. ხშირად ძალადობის მსხვერპ ქალთა დასაცავად არ ხდებოდა იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით გათვალისწინებულია და, შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე, სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩება.

ქალთა მიმართ ძალადობა ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს - დაწყებული სიტყვიერი შევიწროვებით და ემოციური ძალადობის სხვა ფორმებით, დამთავრებული ყოველდღიური ფიზიკური და სექსუალური ძალადობით. აღნიშნულ ქმედებებს ხშირ შემთხვევაში ქალთა მკვლელობამდე, ანუ ფემიციდამდე მივყავართ. ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე დაქვემდებარებულნი იყვნენ მათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა ფემიციდის რის-ფაქტორია.

ტერმინი ფემიციდი ევროპაში ფართოდ გავრცელებულია. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 70 ათასამდე ქალსა და გოგონას კლავენ. მილიონობით გოგონას კი სქესის ნიშნის გამო დაბადების საშუალება არ ეძლევა. აღიარებულია, რომ ფემიციდის ხარისხი მის გამოხატვას არ შესაბამება. ათასობით მოკლული ქალია, მაგრამ პრობლემაზე ხმამაღლა გაცილებით ნაკლები საუბრობს.

ფემიციდის დეფინიცია პირველად დაიანა რასელმა მოახდინა. მისმა განსაზღვრებამ დაუდო საფუძველი შემდგომში კვლევასაც. რასელის განმარტებით, ფემიციდი კაცების მიერ ქალების მოკვლაა მათი სქესის გამო. მამაკაცების მიერ ქალების მკვლელობები კი დამცირების, ქალის ფლობის/დაქვემდებარების მიზნითა და ზიზღის გამო ხდება. 2012 წლიდან კი ვენის დეკლარაციაში აღნიშნეს, რომ ფემიციდი არის ქალთა და გოგონათა მკვლელობა, მათი სქესის გამო.

ფემიციდის მასშტაბური გამოვლინება საქართველოში 2014 წელს მოხდა. 11 თვის განმავლობაში მედია საშუალებებით 27 ქალის მკვლელობის ფაქტი გაშუქდა. მკვლელობების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გაზაფხულსა და შემოდგომას დაფიქსირდა. ქალთა მკვლელობების უმეტესობა თბილისში ხდებოდა. ქვეყნის პირველი პირები და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები თავდაპირველად ამ ფაქტებს იმით ხსნიდნენ, რომ მედია ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა, თუმცა საკითხის მიმართ დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ილიას უნივერსიტეტში პატიმრობიდან გათავისუფლებულმა მამაკაცმა ყოფილი მეუღლე იარაღით მოკლა და შემდეგ თავადაც მოიკლა თავი. ამ გახმაურებული მკვლელობის შემდეგ შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი საბჭო. 2015 წელი პრეზიდენტმა ქალის წლად გამოაცხადა. განისაზღვრა ოჯახური ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია. გააქტიურდნენ ქალები, 25 ნოემბერს ქალთა მოძრაობის სახელით 20-მდე ქალაქში საპროტესტო მსვლელობა და აქცია მოეწყო. სოციალურ ქსელში შეიქმნა ქალთა უფლებების დამცველთა სპეციალური ჯგუფები, სადაც ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის საკითხებზე აქტიური მსჯელობა და დისკუსია იმართება. ქალთა ძალადობისა და დისკრიმინაციის კონკრეტულ მაგალითებს განიხილავენ და სამოქმედო სტრატეგიებს სახავენ. „25

ნოემბრის“ ჯგუფში გაერთიანებულნი არიან ქალთა უფლებების დამცველნი და ჟურნალისტები.

მედიის მხრიდან ფაქტების გაშუქება ერთია, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად სიღრმისეულად შუქდება თემები? მედიის წარმომადგენლების დაბალი მგრძნობელობა და არასათანადო ინფორმირებულობა გენდერული საკითხების მიმართ სოციუმში მითებსა და სტერეოტიპების დამკვიდრებას იწვევს. ფაქტების გაშუქებისას ჟურნალისტები წყაროებად იყენებენ მეზობლებსა და იმ პირებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ თავად არ შესწრებიან ფაქტს, მაგრამ გადმოცემით იციან. მესამე პირების მხრიდან გამოყენებული ფრაზები „ასე ამბობენ“, „ასე მითხრეს“ რა თქმა უნდა ინფორმაციის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს. ფემიციდის რისკ-ფაქტორები, როგორიცაა ღირსების მკვლელობები, წარმოდგენილია, როგორც დანაშაულის მოტივი და ხშირად ხდება მოძალადის წარმოდგენა, როგორც სიყვარულით დაბრმავებული ადამიანისა, რომელიც გრძნობების მსხვერპლია. იმ შემთხვევაში თუ მკვლელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მკვლელიც და მსხვერპლიც წარმოჩენილნი არიან, როგორც ძლიერი სიყვარულის მსხვერპლნი. მსგავსი არასწორი სახით ფემიციდისა და ზოგადად გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის სხვადასხვა ფორმების წარმოჩენა, საზოგადოებაში ამ მოვლენის ნორმალიზებას ახდენს. ფემიციდის პრევენციისთვის მედიას მნიშვნელოვანი როლი უკავია. იმ შემთხვევაში, თუ მედიასაშუალებები სააშკარაოზე გამოიტანენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მცდარ და მავნე წარმოდგენებს გენდერულ როლებზე, თუკი ქალები მიიღებენ ინფორმაციას გენდერული ძალადობის რის ფაქტორებზე და მათი თავიდან არიდების გზებზე, ფემიციდის პრევენცია მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თუ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმის არარსებობა ფემიციდის რისკ-ფაქტორებს მიეკუთნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის პრობლემა. კვლევებით გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი ორგანოების ხელმისაწვდომობა ისეთ ინფომრაციაზე, როგორიც არის დამცავი და შემაკავებელი ორდერების ისტორია, ოჯახში ძალადობის ისტორია კონკრეტულ შემთხვევაში, მოძალადის კრიმინალური მონაცემები/ისტორია და ა.შ., მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფემიციდის თავიდან ასარიდებლად. სირთულეს იწვევს, ის შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი მოძალადისგან წასვლას ახერხებს, თუმცა მოძალადის შესახებ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ისტორია, ავტომატურად არ ეგზავნება სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს. სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე და მსხვერპლი სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ. რისკ-ფაქტორებს შორის განიხილავენ ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მოძალადისგან განრიდებისთვის აუცილებელი რესურსების ნაკლებლობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავშესაფრების

არსებობას. ქალები, რომლებიც სისტემატური ძალადობის მსხვერპლნი არიან, ხშირად ვერ ირიდებენ თავიდან ფატალურ შედეგს, აუცილებელ მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირის გამო. არსებული თავშესაფრები და რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსი იმდენად მცირეა, რომ ბევრი ქალი სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური დახმარების გარეშე რჩება.

მსხვერპლი ძალადობრივ ურთიერთობაში წლების განმავლობაში რჩება. როგორც იტალიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩენა, საშუალოდ ქალები 5-6 წლის განმავლობაში იტანენ ძალადობას იქამდე, ვიდრე სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავენ. აღნიშნული შესაძლოა 30 წელსაც კი გაგრძელდეს. მსხვერპლთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი:

- სოციალური დახმარების ნაკლებობა;
- სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერის ნაკლებობა (სერვისებზე სტრუქტურების მხარდაჭერის ნაკლებობა (სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, უნდობლობა);
- გენდერული სტერეოტიპები (ტრადიციული და რელიგიური შეხედულებები და ცრურწმენები);
- შვილებზე ზრუნვის ფაქტორი;
- ეკონომიკური სტატუსი/უმუშევრობა;
- საცხოვრებელი ადგილის დაკარგვის შიში;
- ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

მოძალადესთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორებიდან გამოიყოფა შემდეგი:

- პატრიარქალური ღირებულებები (მკაცრი სტერეოტიპული შეხედულებები მასკულინობაზე);
- ოჯახის სტრუქტურა (ოჯახი, რომელსაც აქვს მკაცრად განსაზღვრული სუბორდინაციული ხასიათი, სადაც ოჯახის თავი მამაკაცია);
- მოძალადის მიერ ბავშვობაში განცდილი ძალდობა (როგორც დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ინტიმურ-პარტნიორულ ურთიერთობებში მოძალადეთა 20% თავად იყო ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში. კვლევათა დიდი ნაწილი ადასტურებს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, დიდი რისკის ქვეშ არიან, მოზარდობისას თვითონ იქცნენ მოძალადეებად.
- ცეხლსასროლი იარაღის ფლობა;
- მოძალადის კრიმინალური ისტორია - წარსულში ნასამართლეობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

იმ ევროპულ ქვეყნებში, სადაც ხორციელდება ინფორმაციის შეგროვება ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი სახის სტატისტიკაა: ესტონეთის მონაცემებით მოძალადეთა 44% იყო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, 75% - ფინეთში, 51% - უნგრეთში, 24% - დიდ ბრიტანეთში, 42% - ნორვეგიაში.

III. დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობა მიჩნეულია ქალების უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევად. ქალის მკვლელობა კი წარმოადგენს ისეთი უფლებების დარღვევას, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, თანასწორობა, ღირსება და დისკრიმინაციის აკრძალვა. ასევე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა. ყველა სახემწიფოს ეკისრებათ ვალდებულება მოახდინონ პრევენცია, გამოიძიონ და დასაჯონ ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობებში დამნაშავეები, აგრეთვე აუნაზღაურონ ფინანსური და მორალური ზიანი გადარჩენილ მსხვერპლებსა და მათ ოჯახებს. სახელმწიფოებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ფემიციდი არის დანაშაული, რომელიც საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების უმოქმედობის შედეგია, ვინაიდან მათ არ ძალუძთ მოახდინონ პრევენცია, დაიცვან და უზრუნველყონ იმ ქალების სიცოცხლის უფლება, რომლებიც ცხოვრების მანძილზე არაერთხელ დაექვემდებარნენ დისკრიმინაციასა და ძალადობას. გენდერული ნიშნით მკვლელობების შესაჩერებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ინსტიტუციურად სუსტია ფემიციდთან საბრძოლველად, მან უნდა შეიმუშაოს უკეთესი საკანონმდებლო სისტემა, რათა მოხდეს მსხვერპლთა და მათი ოჯახების სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა. ასევე, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მედიამ სიღრმისეული და ანალიტიკური სტატიები და რეპორტაჟები მოამზადოს, რათა სამიზნე აუდიტორიამ კარგად გაიაზროს და გაანალიზოს ქალთა მიმართ ძალადობის ფატალური შედეგები.

ლიტერატურა:

1. ამოს ჰერში, საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები, ნიუ იორკი, 1918 წ.
2. ინტერაითსი, დისკრიმინაციის აკრძალვა საერთაშორისო სამართალში, სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, 2011 წ.
3. საერთაშორისო სამართლის კომისიის ყოველწლიური გამოცემა, 2001 წ. ნაწილი II.
4. ALDRIDGE, M.L., and BROWNE, K.D> 92003), “Perpetrators of spousal homicide: Areview”, in Trauma, Violence, and Abuse, n.4, pp.265-276;
5. BALDRY, A. (2008), “Intimate partner violence and risk assessment: the implementation of S.A.P.A., Screening version in Italy”, in WINKEL (2008);
6. CAMPBELL J.C., Risk Factors for Femicide in Abusive Relationships: Results From a Multisite Case Control Study, American Journal of Public Health. (2003);
7. Council of Europe, Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence Agains Women and Domestic Violence – Istanbul Convention – A global tool to prevent and combat violence against women and girls – SAFE FROM FEAR< SAFE FROM VIOLENCE; 2014;

8. FREGOSO R L> Bejarano C Terrorizing women: Femicide in the Americas, Durham, NC: Duke Univeristy Press, 2010.

***Kokorashvili Shorena, PhD student***
***Georgian Technical University***

## The role of state and media in cases of violence and feminism against women

### Summary

Resume: The article discusses the facts of violence against women. The analysis covers cases of frequent violence and causes of this violence. It transpires that the legislative base to prevent the violence against women still requires an improvement. The restraining orders to protect the victims are not effective and in most cases the conflicts and abuse have fatal ending. The author emphasises the superficial media coverage of these issues. The article includes statistical data pointing out the increase of violence and feminism facts against women.

***Key Words:*** *Violence Against Women; Statistics; Femicide; Mass-Media; State; Law-enforcing Law*

*ნათელა ლეშკაშელი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში

რეზიუმე

2017 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართა. არჩევნები მრავალმხრივ საინტერესო იყო ადგილობრივი ონლაინ მედიისთვის. სტატიაში მიმოხილულია სამი საინფორმაციო სააგენტოს (ინტერპრესნიუსი, აიპრესი, ონ.გე) მუშაობა საარჩევნო პერიოდში-არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შეჯამებამდე. როგორც აღნიშნული ვებგვერდების მონიტორინგი აჩვენებს, ძირითადი და ავტორიტეტული საინფორმაციო სააგენტოები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ნეიტრალიტეტი და ობიექტურობა საარჩევნო პროცესების გაშუქებისას, ასევე დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკა და სტანდარტები. თუმცა ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საარჩევნო საკითხების ზედაპირული გაშუქება, ანალიტიკური სტატიების ნაკლებობა.

*საკვანძო სიტყვები: არჩევნები, ონლაინ მედია, გაშუქება, სტატისტიკური მონაცემები*

## I. შესავალი

2017 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართა. 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს 64 მერი და საკრებულოების 2058 წევრი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 1 577 503-მა, მეორე ტურში კი 109 402-მა ამომრჩეველმა.

არჩევნები მრავალმხრივ საინტერესო იყო ადგილობრივი მედიისთვის. არჩევნების გაშუქებაში განსაკუთრებით აქტიურად ჩაერთო ონლაინ მედია.

## II. ძირითადი ნაწილი

არჩევნები 2017 წლის 22 აგვისტოს დაინიშნა. თუ გადავხედავთ 2017 წლის 22 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე (არჩევნების შეჯამებამდე) ონლაინ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, არჩევნები ამ პერიოდში ყველა გამოცემის მთავარ თემას წარმოადგენდა. ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო, რომელიც უშუალოდ საარჩევნო პროცედურებთან, პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ავრცელებდა პრესრელიზებს, მართავდა

ბრიფინგებს და ა.შ. ასევე საარჩევნო თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ როგორც პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე ხელისუფლება. შესაბამისად, მათი აქტივობა და მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიც ონლაინ გამოცემების მთავარ ამბებს წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ონლაინ მედია არ იყო შემოფარგლული მხოლოდ ტექსტობრივი და ფოტო მასალით, ყველა სერიოზული ინტერნეტპორტალი ცდილობდა მის მიერ მოპოვებული ინფორმაციისთვის დაურთო ვიდეომასალაც და მომხმარებლისთვის სრულყოფილი მულტიმედია პროდუქტი შეეთავაზებინა.

რა გავლენა აქვს ონლაინ მედიას, რამდენად ყოვლისმომცველია და როგორია ნდობის ხარისხი, ამ კითხვებზე პასუხი მეტნაკლებად გასცა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ განხორციელებულმა კვლევამ - საზოგადოების განწყობა საქართველოში. კვლევა 2017 წლის 29 ნოემბერი - 19 დეკემბერის პერიოდში ჩატარდა. სულ გამოიკითხა 2, 298 პირი. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორმა ლორა თორნტონმა აღნიშნა, მოსახლეობის 51 პროცენტი ფიქრობს, ონლაინ მედიაში დეზინფორმაციის გავრცელება პრობლემას წარმოადგენს.

NDI-ის კვლევის მიხედვით, კითხვაზე: „ძირითადად რომელი წყაროებიდან იღებთ ხოლმე ინფორმაციას პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ" გამოკითხულთა 21% ინტერნეტს/ფეისბუქს პირველ წყაროდ ასახელებს, მეორე წყაროდ კი 26%, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია თბილისის შემთხვევაში, სადაც ინტერნეტს ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ 33% ასახელებს, მეორე წყაროდ კი 29%. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2014 წლიდან დღემდე თითქმის ორჯერ არის გაზრდილი.

ქართულ ონლაინმედიაში ოპერატიულობითა და ობიექტურობით ერთ-ერთი ლიდერს საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსი" წარმოადგენს. Google Analytics-ის მონაცემებით, სააგენტოს საიტს ყოველდღიურად 45-დან 70 ათასამდე უნიკალური მნახველი ჰყავს.

საარჩევნო პერიოდში „ინტერპრესნიუსზე" აქტიურად შუქდებოდა მიმდინარე მოვლენები. მათ შორის როგორც საარჩევნო პროცედურების ამსახველი, ასევე პოლიტიკოსების წინასაარჩევნო შეხვედრები. ქვეყნდებოდა საინფორმაციო ხასიათის მასალები, ასევე ინტერვიუები და ანალიტიკური პუბლიკაციებიც. აღსანიშნავია რომ კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრები ძირითადად კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში იყო მომზადებული და სათანადო აღნიშვნაც ჰქონდა, (სიმბოლო "NS" რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება "News from Subscriber"). თუმცა ეს აღნიშვნა ზოგადად მკითხველისთვის მკაფიო არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ვებგვერდზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალისგან.

საინტერესოა „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის" შეფასებაც, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში - „საქართველოს 2017 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“ - იყო ჩართული. ორგანიზაციის მეიერ განხორციელებულ მონიტორინგში აღნიშნულია, რომ „ინტერპრესნიუსზე“ „ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (25%) და მთავრობის (24%) საქმიანობა გაშუქდა - „უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (71%) გაშუქებისას. უარყოფით ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ერგოთ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (22%), საქართველოს პრეზიდენტსა (18%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (17%). დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. თბილისის მერობის კანდიდატთა შორის ყველაზე აქტიურად კახა კალაძის (57%) საქმიანობა გაშუქდა. დადებით ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები თბილისის მერობის არც ერთი კანდიდატის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ვებგვერდზე აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების პროცესი, შედეგები და არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები“.

ასევე საინტერესოა კიდევ ერთი საინფორმაციო პორტალი, რომელიც „ინტერპრესნიუსთან“ შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონეა (მუშაობს 2014 წლიდან) საინფორმაციო სააგენტო „აიპრესი“ (ipress.ge). სააგენტომ ვებგვერდზე საარჩევნო პერიოდში დაამატა რუბრიკა „არჩევნები 2017“, რაც მკითხველისთვის საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღებას მნიშვნელოვნად ამარტივებდა. ამასთან, აღნიშნულ რუბრიკას ჰქონდა ქვერუბრიკები: „მთავარი“, რომელშიც ძირითადად ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადებები, არჩევნების შედეგები და რეიტინგებია განთავსებული, „პარტიები“- რომელშიც შესაბამისად პოლიტიკური პარტიების აქტივობა, განცხადებები, წინასაარჩევნო შეხვედრებია ასახული, „ცესკო“ -ამ ქვერუბრიკაში თავმოყრილია ყველა ის განცხადება თუ ინფორმაცია რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაავრცელა და ბოლოს ქვერუბრიკა „მაჟორიტარები“, სადაც სათაურის შესაბამისად ძირითადი ინფორმაცია მაჟორიტარობის კანდიდატებს უკავშირდება. სააგენტო ცდილობდა საარჩევნო პროცესის ყველა ძირითადი მოთამაშე თანაბრად და ობიექტურად გაეშუქებინა. თუმცა ვებგვერდზე შეუძლებელია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების ამოცნობა, რადგან საერთოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალისგან. აიპრესიც ძირითადად საინფორმაციო ხასიათის მასალებს ავრცელებდა, თუმცა გვხვდება ინტერვიუებიც არჩევნებში ჩართულ პირებთან, მათ შორის თბილისის მერობის თითქმის ყველა კანდიდატთან.

მერობის კანდიდატებთან ინტერვიუებსა და მათ წინასაარჩევნო პროგრამებს მკითხველს სააგენტო „ON.GE-ც აცნობდა. საარჩევნო პერიოდში on.ge ასევე ინარჩუნებდა ნეიტრალურ და ობიექტურ ნიშას. არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. on.ge მომხმარებელს სთავაზობდა მრავალფეროვან მულტიმედია პროდუქტს - „on.

ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (31%) და „ქართული ოცნების“ (19%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. ვებგვერდზე თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა თბილისის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა. აქტიურად და ობიექტურად გაშუქდა არჩევნების დღე, დარღვევები საარჩევნო უბნებზე და არჩევნების შედეგები“, -ნათქვამია „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებულ მონიტორინგის შედეგებში.

კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები პრობლემატურია on.ge-ზეც. მართალია მსგავსი სტატიები ქვეყნდებოდა შესაბამისი მითითებით „ქვეყნდება გავრცელების სერვისით“, თუმცა, აღნიშნული მითითება, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი მკითხველისთვის არ იყოს გასაგები.

## III. დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნული ვებგვერდების მონიტორინგი აჩვენებს, ძირითადი და ავტორიტეტული საინფორმაციო სააგენტოები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ნეიტრალიტეტი და ობიექტურობა საარჩევნო პროცესების გაშუქებისას, ასევე დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკა და სტანდარტები. თუმცა ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საარჩევნო საკითხების ზედაპირული გაშუქება, ანალიტიკური სტატიების ნაკლებობა, ასევე იშვიათად შუქდებოდა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და აღნიშნული პროგრამების ანალიზი; ონლაინ მედიის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან.

## ლიტერატურა:


1. 2017 წლის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში -
2. http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/democratic_governance/media-monitoring-of-the-2017-local-self-government-elections-in-.html
3. საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2017 წლის დეკემბრის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRCსაქართველოს მიერ
4. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_GEO_vf.pdf

*Natela Leshkasheli, PhD student*
*Georgia Technical University*

## Coverage of local self-government elections in Georgian online media

### Summary

Annotation: On the 21th of October, 2017, in Georgia, mayor elections of the municipal representative body - self-governing city/self-governing community took place. The elections have become the subject of great interest to local online media in many ways. This article reviews working processes of three news agencies (Interpressnews.ge, Ipress.ge, On.ge) during the elections – from the day that the election date was set until the summing up. As it shows from monitoring of the above-mentioned websites, major and prestigious agencies tried to remain impartial and objective and adhere to journalism ethics and standards in covering electoral processes. However, superficial coverage of election issues and the lack of analytical articles remained one of the major challenges of online media.

***Keywords:*** *Elections, online media, coverage, statistical data*

*გიორგი ფუტკარაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თამარ მეზუკე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ჟურნალისტის ინტენციის ადეკვატურობა საბავშვო გადაცემებში

რეზიუმე

ნაშრომი ეხება ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს – მედიის გავლენას ბავშვთა განვითარების პროცესზე. რას უნდა ემსახურებოდეს ჟურნალისტი და რამდენად ადეკვატურია მისი ინტენცია საბავშვო გადაცემებში? აღნიშნული მცდელობები, რომლებიც ბავშვთა ინტელექტუალურ, მორალურ, ფიზიკურ, ესთეტიკურ ზრდაზე ახდენს გავლენას, ყოველთვის წარმატებული არ არის, რასაც მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კვლევა ცხადყოფს.

***საკვანძო სიტყვები:*** *მას მედია, ჟურნალისტის ინტენცია, ინტენციის ადეკვატურობა საბავშო გადაცემებში*

## I. შესავალი

საქართველოსა და მთელ მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე თემა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხებია.

მედია მოვალეა დაიცვას არა მხოლოდ არასრულწლოვანთა, არამედ ნებისმიერი მოქალაქის უფლება, გაითვალისწინოს მათი ინტერესები, საჭიროებები და საბოლოოდ, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათს სრულ ინტეგრაციას. ზემოაღნიშნული ჟურნალისტური საქმიანობის ერთგვარი დანიშნულებაა, რომლის მთავარი საყრდენია ადამიანი და მისი კეთილდღეობა.

აღსანიშნავია, რომ ერთი შეხედვით მარტივ კომუნიკაციას, რომელიც წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით ყოველდღიურად იჩენს თავს, უსაზღვრო შესაძლებლობები ახასიათებს. რატომ? იმიტომ, რომ ის თითოეული ინდივიდისთვის მსოფლიოს ყველა წერტილშია ხელმისაწვდომი; ფართო მასშტაბების მასმედია კი მნიშვნელოვანი ძალაა საზოგადოებისა და ქვეყნის თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბების პროცესში.

სოციოლოგები ფიქრობენ, რომ მასმედიის ყოველდღიური გავლენა საზოგადოებაზე ქმნის იმ ყოფით კულტურას, სადაც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ. ადამიანები მუდმივად განიცდიან პირდაპირ თუ ირიბ ზეწოლას მედიისგან, რაც ყოველდღიური მესიჯებით – ბილბორდები, SMS შეტყობინებები თუ სხვ. – ვლინდება (Cliffnotes 2016: 1). ზემოაღნიშნული კომუნიკაციის დანიშნულება, ვფიქრობ, არა მხოლოდ ამა თუ იმ პროდუქტის პოპულარიზაცია და გაყიდვაა, არამედ ინდივიდის განწყობის, დამოკიდებულების, გემოვნებისა და ღირებულებების განსაზღვრაც.

II. ძირითადი ნაწილი

მასმედია აღწევს თითოეული ოჯახის, სკოლის, რელიგიის ცნობიერებაში, რითაც საბოლოოდ, ხალხს თავის ღირებულებებს აცნობს; ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოების ქცევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.
მასმედიის გავლენა მძაფრად აისახება საზოგადოების ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც ბავშვები არიან. სწორედ აქ იჩენს თავს მასმედიის ერთ-ერთი ქვეკატეგორია – ბავშვთა მასმედია.

ბავშვთა მასმედია კონკრეტულად ბავშვებისთვის შექმნილ სხვადასხვა სახის ტელე-, რადიო-, ვიდეო-, საგაზეთო თუ ონლაინპროგრამას მოიცავს. მისი მიზანი ერთია – არასრულწლოვანი მაყურებლების ინტერესების გათვალისწინება, მათი ასაკისთვის დამახასიათებელი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვთა ფიზიკური, მორალური, ესთეტიკური თუ სულიერი ზრდის / განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ამ ყველაფერს უნდა ემსახურებოდეს ჟურნალისტის ინტენცია სპეციალურად საბავშვო გადაცემათა მომზადებისას.

მასმედიის მხრიდან ბავშვებზე სხვადასხვა სახის გავლენა არსებობს. მაგალითად, შიში, აგრესია, ძალადობა, თუ პირიქით – თანადგომა, მხარდაჭერა, განათლების წახალისება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კულტურა ხშირად ბავშვებს გამოყოფს საზოგადოების მნიშნელოვანი ფენიდან, როგორც პასიურ მოქალაქეებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე მოვლენები ბავშვებზე მნიშვნელოვნად არ აისახება.

დღევანდელი სატელევიზიო გადაცემებისა და ფილმების დიდი ნაწილი შეიცავს ძალადობისა და აგრესიის შემცველ კადრებს. დღისა თუ საღამოს შოუების უმეტესობა, პოლიტიკური იქნება თუ კომედიური, გაჯერებულია უხეში ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფით, რომელსაც გადაცემის მონაწილეები ერთმანეთს ან სხვა ჯგუფებს აყენებენ. საინფორმაციო გადაცემები სავსეა მკვლელობის, მოტაცების, საგზაო შემთხვევების, ტერორისტული აქტებისა და მსოფლიოს რომელიმე წერტილში მიმდინარე ომის კადრებით. პოპულარული ფილმები და სერიალები ხშირად წარმოაჩენენ ძალადობას როგორც კონფლიქტის მოგვარების ნებადართულ ხერხს: კარგი ბიჭები ცუდ ბიჭებს ხოცავენ, ზოგჯერ იარაღის უზარმაზარი არსენალის გამოყენებით (დიხამინჯია 2017: 1).

მასმედიის მხრიდან გაჟღერებული მესიჯები, თუნდაც ის უშუალოდ ბავშვს არ ეხებოდეს, პროსოციალური შინაარსის მატარებელია და მაყურებლებს მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ თანატოლებთან, უფროსებთან ან უმცროსებთან იმისათვის, რომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში, გამოირჩეოდნენ სხვებისგან მეტი შესაძლებლობით, ნიჭით, გონიერებით, ფიზიკური სილამაზით, ტექნოლოგიით თუ სხვ. ეს ყველაფერი კი მასმედიის გავლენით ვლინდება, რადგან ტელემაყურებელს, ჩვენს შემთხვევაში კი, ბავშვს უყალიბდება შეხედულება, რომ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ვერ გახდება, ანუ ვერ დაიმკვიდრებს თავს სოციუმში, თუ არ გაითვალისწინებს მის გარშემო მოცემულ ყველა პირობას.

საბავშვო გადაცემებში ჟურნალისტის ინტენციის ადეკვატურობის განსაზღვრელად საინტერესოა ამ კუთხით არსებული ქართული და უცხოური კვლევების განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მასშტაბით კონკრეტულად საბავშვო პროგრამების შესწავლა აქტიურად არ მიმდინარეობს, მაინც მოიძებნება რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს. მათ შორისაა, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ 2016 წლის შემოდგომაზე ჩატარებული კვლევა, რომელიც ყველა ეროვნულ მაუწყებელზე ამ პერიოდში არსებულ საბავშვო გადაცემებსა და ორ საბავშვო არხს სიღრმისეულად შეისწავლიდა.

კვლევის მიხედვით, საზოგადოებრივ მაუწყებელი საკმაოდ კარგად წარმოაჩენდა მოზარდებს და პასუხობდა მათ ინეტერსებს. ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელიც არა მარტო „ბასტი ბუბუს", არამედ საბავშვო არხ „ენკიბენკისაც" ჰქონდა, გენდერული სტერეოტიპების არსებობა იყო, რაც აქტიურად ჩანდა მუსიკალურ კლიპებში. რაც შეეხება „რუსთავი 2"-ის ერთადერთ საბავშვო გადაცემას „ეკივოკს", კვლევაში ის კრიტიკულადაა შეფასებული იმის გამო, რომ ბავშვები სასაცილო მდგომარეობაში არიან ჩაყენებული და გასართობ, სასაცილო, საყვარელ არსებად წარმოჩენილნი (მეფარიშვილი 2017: 1).

ბავშვთა გადაცემებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს აქტიურად შეისწავლის უცხოური ლიტერატურაც. მაგალითად, ბავშვთა გადაცემების თავისებურებებზე საუბრობენ დიდ ბრიტანეთში, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ბავშვთა კეთილდღეობაზე მორგებულ სატელევიზიო გადაცემების შექმნაზე.

აღნიშნული კვლევის მიხედვით ასევე ვიგებთ, რომ 6-დან 9-წლამდე ბავშვებს აქვთ უნარი განასხვავონ „ცუდი" და „კარგი" პერსონაჟები ერთმანეთისგან, მაგრამ ხშირად ვერ აღიქვამენ იმ შინაარს, რომელსაც ესა თუ ის პროგრამა სთავაზობს. 8-დან 9-წლამდე ასაკის ბავშვებს უყალიბდებათ მეტად დახვეწილი შეხედულება, 11-დან 13-წლამდე არასრულწლოვნები კი უკვე სიღრმისეულად აღიქვამენ იმ მორალურ და სოციალურ საკითხებს, რომლებიც მათ რეალურ ცხოვრებაში ხვდებათ. შესაბამისად, აუცილებელია მათი ასაკისთვის შესაფერისი გადაცემების არსებობა, რაც ხელს შეუწყობდა მათს სრულ ინტეგრაციას საზოგადოებაში (Jempson, 1999: 2-4).

ტელევიზიის ეფექტებსა და ბავშვთა განვითარებაზე ასევე საუბრობს ამავე ქვეყანაში 2014 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური და საპასუხისმგებლოა. კვლევაში აღინიშნა, რომ ტელევიზიის გავლენა ადამიანზე, მათ შორის, ბავშვებზე, წინა საუკუნის 1940-წლიდან დაკვირვების ობიექტია. სატელევიზიო სივრცეში სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის მრავალი პროგრამაა, რომლებიც განსხვავებულად აისახება ბავშვთა განსხვავებულ ასაკობრივ კატეგორიაზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლები არ აკონტროლებენ ბავშვთა მიერ შერჩეული გადაცემების გემოვნებას ან დანიშნულებას (Powell III, Roberts 2014: 1-2).

ტელევიზია და მცირეწლოვანი ბავშვები – ის საკითხია, რომელიც ავსტრალიის კვლევითი ალიანსის (ბავშვებისთვისა და ახალგაზრდებისთვის) მიერ 2011 წელს შეისწავლებოდა. აღნიშნულ ნაშრომში საუბარი იყო იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ტელევიზია ბავშვთა ფიზიკურ, კოგნიტურ და სულიერ განვითარებაზე. განიხილებოდა სატელევიზიო პროგრამების ის ხარისხი, რომელიც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვთა ინტერესებს; და როლი, რომელიც მშობლებმა უნდა აიღონ მათი შვილების განვითარების პროცესში (Australian Research Alliance for Children & Youth 2011: 3-5).

ბავშვთა გადაცემებს აქტიურად შეისწავლიან ისეთ განვითარებად ქვეყნებშიც, როგორიც ინდოეთია. მაგალითად, 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც ბავშვთა განვითარების პროცესში ტელევიზიის როლზე საუბრობდა, აღნიშნა, რომ ბავშვთა მორალური განვითარება წამყვან თემად განიხილება ინდოეთში.

ბავშვები მსოფლიო მოსახლეობის ერთ-მესამედზე მეტს წარმოადგენენ, მედია ინსტიტუტებს კი შესწევთ ძალა საკუთარი გავლენა მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში აქტიურად წარმოაჩინონ, რაც გულისხმობს იმას, რომ არასრულწლოვნებს მარტივად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე, რაც, თავის მხრივ, მათზე შესაბამისად ახდენს გავლენას (Guru, Nabi, Raslana 2013: 1-3).

ბავშვთა გადაცემები და მასმედიის გავლენა ასევე შეისწავლება ნიგერიაშიც. 2011 წლის ერთ-ერთი კვლევაში, რომელიც შეეხებოდა მასმედიას, როგორც ბავშვთა ქცევის თავისებურებათა განმსაზღვრელ ფაქტორს, საუბარია იმაზე, რომ ბოლო 70 წელია, რაც მასმედია რადიოს, ფილმების, მუსიკისა თუ ტელევიზიის სახით სოციალიზაციის პროცესის მნიშნელოვანი განმსაზღვრელი ელემენტი გახდა. მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვები უკვე მიდრეკილნი არიან იმისკენ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ მშობლებს და არ დაემორჩილონ მათ მოთხოვნებს. მეტიც, ისინი შეიძლება უხეშად მოიქცნენ და გამოავლინონ ერთგვარი გაღიზიანება. ზოგ ბავშვს კი შესაძლოა, დროთა განმავლობაში, ჩამოუყალიბდეს პრობლემური ქცევები, როგორებიცაა: ფიზიკური ძალადობა, ნარკოტიკების მოხმარება, რაიმეს განადგურების / ცეცხლის წაკიდების სურვილი და ა.შ (Kadiri, Mujammed 2011: 198-200).

## III. დასკვნა

როგორც ვხედავთ, ბავშვთა საკითხები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო და ახლაც რჩება საზოგადოებისთვის ერთ–ერთ ყველაზე მგრძნობიარე თემად; საერთაშორისო მაშტაბით ბევრი საბავშვო გადაცემა არსებობს, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, არ / ვერ აკმაყოფილებს ბავშვთა ინტერესებსა და საჭიროებებს; შესაბამისად, ჟურნალისტის ინტენციის ადეკვატურობა საბავშვო გადაცემებში ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ლიტერატურა:

1. მეფარიშვილი, მიშა 2017. საბავშვო გადაცემები დიდებისთვის. ონლაინგამოცემა ნეტგაზეთი http://netgazeti.ge/news/200080/
2. დიხამინჯია, ნანა 2017. მედიაძალადობის გავლენა ბავშვებზე. ინტერნეტ-გაზეთი mastsavlebeli.ge http://mastsavlebeli.ge/?p=13927
3. Australian Research Alliance for Children & Youth 2011. Television and young Children (Quality, choice and the role of parents: what the experts and parents say) https://www.aracy.org.au/publications-resources/command/download_file/id/139/filename/Television_and_young_children_-_Quality,_choice_and_the_role_of_parents_-_what_the_experts_and_parents_say.pdf
4. Guru, B.P. Mahesh Chandra, Nabi, Aabid and Raslana, Raja, 2013. Role of Television in Child Development; Mass Communication and Journalism. https://www.omicsonline.org/open-access/role-of-television-in-child-development-2165-7912.1000153.pdf
5. Cliffnotes 2016. The role and influence of Mass Media https://www.cliffsnotes.com/study-guides/sociology/contemporary-mass-media/the-role-and-influence-of-mass-media
6. Jempson, Mike 1999. Developing Child Friendly Media; http://www.mediawise.org.uk/wp-content/uploads/2011/03/Developing-Child-Friendly-Media.pdf
7. Powell III, John L., Roberts, Michael C 2014. Effect of television viewing on Child development; Encyclopedia Britannica https://www.britannica.com/topic/effects-of-television-viewing-1995158#accordion-article-history
8. Kadiri, K.K. and Mujammed, A.Y. 2011. Mass media as correlates of children's behavioural problems in Kwara State, Nigeria; Journal of Media and Communication Studies; http://www.academicjournals.org/journal/JMCS/article-full-text-pdf/72240A611629



***George Phutkaradze, PhD student***
***Georgian Technical University***

***Tamar Mebuke, Professor***
***Georgian Technical University***


## Adequacy of Journalist's Intention in the Programs for Children


### Summary

The paper deals with one of the most important themes in journalism – influence of media on the development of children. What goals should journalists serve and how adequately is their intention reflected in the programs for children? Such purposes as intellectual, moral, physical, aesthetic development of young generations are not always successfully achieved, as the review of the world surveys reveals.



***Key words:*** *mass media, journalist`s intention, adequacy of intention representation, programs for children*

*მარიამ ქურდიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# საინფორმაციო მაუწყებლობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს საინფორმაციო მაუწყებლობის განვითარების პერსპექტივები. ყოველწლიურად კლებულობს ტრადიციული გაზეთების მკითხველთა და სატელევიზიო ახალი ამბების მაყურებელთა რიცხვი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ინფორმაცია აღარ აინტერესებს. პირიქით, დროთა განმავლობაში ტექნიკის განვითარებამ საშუალება მისცა მომხმარებელს ინფორმაციის გაფილტვრის. მაყურებელს შეუძლია თავად აარჩიოს ის თემა რომელიც მას აინტერესებს და არა ის, რომელსაც ტელევიზია მას საათობრივად სთავაზობს. ამრიგად მედიის წარმომადგენლები რთული ამოცანის წინაშე დგანან, მათ სხვადასხვა მეთოდით და ხერხით უნდა დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნები.

*საკვანძო სიტყვები:* *მაუწყებლობა, მაყურებელი, ჟურნალისტი, ობიექტურობა, საზოგადოებრივი ცნობიერება, ინფორმაცია.*

## I. შესავალი

ევროპაში მაუწყებლის პრინციპების ფორმულირებისას, ინსტიტუტის მკვლევრები მაღალხარისხოვანი ტელეპროგრამის კრიტერიუმებად ხარისხის გარდა მიიჩნევენ ზოგიერთ ფუნქციურ მახასიათებელსაც. ესაა მაგალითად შესაძლებლობა და აუცილებლობა იმისა, რომ აუდიტორიას შეუქმნას სამყაროზე ფართო შეხედულება, გააფართოოს მაყურებლის ჰორიზონტი, პატივი სცეს ადამიანის ღირსებას, ობიექტურად გააშუქოს ახალი ამბები. შემოღებულია შეზღუდვები რეკლამისათვის გამოყოფილ დროზე და მრავალი შესწორება ზნეობრივი დონის შესახებ. განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებისათვის განკუთვნილ გადაცემებში. სიტყვის უსაზღვრო თავისუფლება შეუძლებელია, მედიამ არ უნდა შეარყიოს საზოგადოების საფუძვლები. ინტეგრაციული ფუნქცია დაცულია მრავალი გაფრთხილებით, რომ არ მოხდეს რომელიმე ტელემაყურებლის დისკრიმინაცია, რასის, სქესის, სარწმუნოების და სხვ. გამო.

## II. ძირითადი ნაწილი

საქმის წარმატებით შესასრულებლად ჟურნალისტს ხასიათის განსაკუთრებული თვისებები და პროფესიული ჩვევები უნდა ჰქონდეს, უპირველეს ყოვლისა კი იყოს ობიექტური, პატიოსანი, ცნობისმოყვარე და აკურატული. ის ვალდებულია, ისეთი ამბავი ანუ ინფორმაცია შეარჩიოს, რომელიც მკითხველს დააინტერესებს; მოიპოვოს ფაქტები, რომელთაგანაც პოტენციური მასალა შეიქმნება; შეამჩნიოს,

ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მონაცემებს შორის კავშირები, რადგან ისინი სინამდვილეში ერთი მთლიანობის ნაწილებია. კორესპონდენტი აუცილებლად უნდა იყოს მოხერხებული, შეეძლოს: მოიძიოს ინფორმაციის წყარო, ისეთი ფაქტების, რომლებიც ზედაპირზე არ აწყვია; დიალოგში გამოიწვიოს ადამიანები; შექმნას ინფორმატორების ქსელი, რომელიც მას საჭირო ფაქტებს მიაწვდის ან მიუთითებს, სად შეუძლია ასეთი ფაქტების მიგნება. და ბოლოს, მას მოეთხოვება, იყოს დისციპლინირებული. სწრაფად შეეძლოს ერთი დავალებიდან მეორეზე გადართვა ან ერთდროულად რამდენიმე მასალაზე მუშაობა.უნდა ახსოვდეს, რომ ფაქტი ყოველთვის არ შეესაბამება ჭეშმარიტებას (სინამდვილეს): თითოეულ, ყველაზე გულწრფელ თვითმხილველსაც კი საკუთარი სიმართლე აქვს, ხოლო დეტალების გამოტოვებით შესაძლოა, გამოქვეყნებული ფაქტებით შექმნილი შთაბეჭდილება დამახინჯდეს.

ხშირია კამათი ობიექტურობის არსზე. ჟურნალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სრული ობიექტურობა მიუღწეველია, რადგან პუბლიკაციისათვის ფაქტის შერჩევა სუბიექტური პროცესია. ამიტომ თანამედროვე ყოფაში ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება მიუკერძოვებლობაზე, იმ პიროვნებებსა თუ ორგანიზაციებზე, რომელთაც პუბლიკაცია ეხება. ცხადია, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში სხვა სოციალური ინსტიტუტებიც მონაწილეობენ, მაგრამ ჟურნალისტიკის მიერ სინამდვილის მოდელირება უწყვეტი პროცესია. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უძლიერეს იარაღს.

დღეს ნათელია ქართული სატელევიზიო სივრცის კრიზისული მდგომარეობა, სადაც უმთავრესად სატელევიზიო არხებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების მრავალი პრობლემური ასპექტი იჩენს თავს. უპირველესი და განმსაზღვრელი თავისუფლების ხარისხია, რომელიც მიუხედავად იმისა რომ ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური სისტემებისთვის მეტნაკლებად პირობითი ცნებაა, კომუ-ნიკაციების მფლობელთა ინტერესებისა და კონკრეტული მიზნების გაუთვალისწინებლობა, პრობლემის მხოლოდ გარეგნულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილების პერსპექტივას ტოვებს. სინამდვილეში კრიზისის მიზეზები გაცილებით ღრმაა, ისტორიული განვითარების რამოდენიმე პერიოდზეა განფენილი და ამასთან პრობლემა მრავალ პლასტს მოიცავს. მათ შორის არის არამხოლოდ ორგანიზების ფორმები, არამედ ესთეტიკური, ტექნოლოგიური, მორალურ-ზნეობრივი, პროფესიონალიზმის, ტრადიციისა და ეროვნულობის, სატელევიზიო მემკვიდრეობის, პრიორიტეტების, გემოვნების, შინაარსისა და ფორმის და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები.

საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მანიპულირების ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც ტელევიზია იყენებს, გარკვეული პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მობილიზებაა. ვინაიდან, ყურადღების ცენტრში ის პრობლემა ხვდება, რომელსაც ტელევიზია უჩვენებს, ძირითადი მუშაობა მიდის სწორედ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხვდეს სატელევიზიო ეთერში, ან მოვლენის რა ნაწილის

ჩვენებაა შესაძლებელი, რათა მაყურებელს ერთის მხრივ ინფორმირებულობის განცდა დაეუფლოს, მეორე მხრივ მიიღოს სწორედ ის, რაც წამყვან იდეოლოგიურ მიმართულებას არ დაუპირისპირდება. სახეზეა, რომ ჩვენს სინამდვილეში ახალი ამბების, მწირი ანალიტიკური სატელევიზიო გადაცემების მიერ შექმნილი სამყაროს სურათი, რეალურად არსებულ სინამდვილესთან სრულ შეუსაბამობაში მოდის, რის მკაფიო დასტურს სხვა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები იძლევა. განსაკუთრებით, ბეჭდური მედია, რომლის თავისუფლების ხარისხიც გაცილებით მაღალია, ვიდრე ტელევიზიის. ახალი ამბების საზოგადოებრივ-ჰუმანური მისია დევალვაციას განიცდის, შედეგი კი ქართული ტელეარხებისათვის, შესაძლოა მასობრივად მაყურებლის დაკარგვაში აისახოს. გასტერილებული ინფორმაციის ნაკადში კი, ვეღარც შოკისმომგვრელი შინაარსის სენსაციური ინფორმაცია, ვერც შოუების განსხვავებული ფორმატები დაუბრუნებს ტელევიზიას გახარჯულ ნდობას.

დღეს როდესაც იკვეთება XXI საუკუნის მსოფლიო ჟურნალისტიკის სახე, აშკარად შეინიშნება მედიაზე ორი ძირითადი ფაქტორის - მასობრივი კულტურისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტი, ინტერაქტიული და ციფრობრივი მედია) ზეგავლენა. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ყოველი ქვეყნის მედიამ შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, ამა თუ იმ ხალხის ტრადიციების და მენტალიტეტის გათვალისწინებით.

ჟურნალისტიკის როლი განსაკუთრებით გაიზარდა დამოუკიდებლობის გზაზე ახლად დამდგარი პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებში, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის განსაზღვრისა და მასებამდე დაყვანის საქმეში. სამწუხაროდ მასმედია სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ახალი მსოფლიო წესრიგის პრინციპების, მისი თავისებურებების, ძირითადი განმასხვავებელი ნიშნის სიღრმისეულ ანალიზს, გლობალიზაციის არსისა და მნისვნელობის მეცნიერულ ახსნას. ეს მაშინ როდესაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მოწოდებულნი უნდა იყვნენ, რომ ინფორმირება გაუკეთონ მოსახლეობას თანამედროვე გლობალური პროცესებისა და ამ საქმეში ცალკეული სახელმწიფოს როლისა და ადგილის თაობაზე. აჩვენონ გლობალიზაციის ავ-კარგი, მისი შუქჩრდილები, გლობალიზაციის და ეროვნული სახელმწიფოების პრობლემები. უდავოა, რომ თანამედროვე მსოფლიო ერთი საუკუნის წინანდელი სამყაროსგან განსხვავდება, თუმცა მასმედიის ძირითადი მოთხოვნები, როგორიცაა სიმართლე და ინფორმაციის მუდმივი გადამოწმება, კვლავაც ძალაშია. იცვლება მხოლოდ ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების მასშტაბები და ტექნიკური საშუალებები.

## III. დასკვნა

დღესდღეობით ინფორმაციის გადაცემის საშუალებები უსწრაფესი ტემპებით ვითარდება. ინტერნეტი ამის ნათელი დადასტურებაა, თუმცა თავად ინტერნეტიც განვითარების ფაზაშია და შეიძლება ითქვას, მომავალი წინ აქვს. თითქოს ამ სიტუაციაში ტელევიზიისა და რადიოს როლი უნდა მცირდებოდეს, შეიძლება ეს

ასეცაა, თუმცა ტელემაუწყებლობის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც საკმაოდ დიდია. რატომ კეთდება საზოგადოებრივი მაუწყებლობა? ამის შესახებ ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს, ამასთანავე ეს მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნეომარქსისტული მიდგომის მომხრეებისათვის, ის საზოგადოებაზე ურთიერთქმედების ბერკეტია, ლიბერალებისათვის პლურალიზმის სხვადასხვა სოციალური ასპექტების წარმოჩენის გზა.

სანდო ინფორმაცია, აი, ეს არის მთავარი. აუდიტორია უნდა ენდობოდეს ჟურნალისტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რადგან თუ არ ენდობიან, რატომ უნდა იყიდონ პროდუქცია? ამდენად, თუ გსურთ, რომ თქვენი მედია იყოს უფრო მეტი ვიდრე გასართობი, სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. კუპრეიშვილი ნ. “ახალი მედია ძველი მედიისათვის” თბ. 2011
2. ტომსონი ჯონ. ბ. “მედია და მოდერნულობა” . თბილისი 2014
3. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი /შემდ. თამაზ ჯოლოგუა თბ. 2013

***Kurdiani Mariam, PhD student***
***Georgian Technical University***

## Information broadcasting development perspectives in Georgia

## Summary

Provided article discusses information broadcasting development principles in Georgia. Traditional media consumption, such as newspapers and television broadcasting, loses its popularity on a yearly bases, however this does not imply that people are not interested in information any more. Quite the opposite, technology advances gave consumers ability to filter available information to them. Viewers have the comfort of choosing the topics of their interest and not what the broadcasting provides hourly. Therefore, media providers are facing tough dilemma, they have to satisfy information consumer needs using various methods and techniques.

***Key words:*** *broadcasting, viewer, journalist, objectivity, social awareness, information.*

*მარიამ ქურდიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ინტეგრირებული ნიუსრუმის პრინციპი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინტეგრირებული "ნიუსრუმის" პრინციპი ახალი ამბების განყოფილებისათვის. ეს არის უახლესი სიტყვა მედიაში. საზღვარგარეთ ამ პრინციპს სულ რამდენიმე წელია რაც მისდევენ, საქართველოში კი ის ფეხს ახლა იკიდებს. ინტეგრირებული "ნიუსრუმი" გულისხმობს, ყველა პლატფორმაზე მაუწყებლობას 24 საათიან რეჟიმში. ყველა პლათფორმა კი თავისთავში ტელევიზიას, რადიოსა და ვებს ერთდროულად ნიშნავს. მედიის ინდუსტრია ცვალებადია და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. იზრდება კონკურენცია და ამ ფონზე, აუდიტორიის მოთხოვნებიც იზრდება. ტელევიზია უკვე საკმარისი აღარ არის.

*საკვანძო სიტყვები: ინტეგრირებული, ნიუსრუმი, მედია, ტელევიზია, აუდიტორია, პლატფორმა.*

### I. შესავალი

ინტეგრირებული ნისურუმი გულისხმობს, ყველა პლატფორმაზე - ტელევიზიასა, რადიოსა და ვებგვერდზე მაუწყებლობას 24 საათიან რეჟიმში. სოფლიო ვითარდება და თანამედროვეობას უწყობს ფეხს, აუდიტორია მოელის სანდო, მნიშვნელოვან და დროულ ახალ ამბებს მრავალფეროვან პლატფორმებზე. ახალი თაობები ციფრულ საშუალებებზე ორიენტირებულნი არიან: ისინი ახალ ამბებს და ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა წყაროდან, საინფორმაციო სააგენტოებიდან, ასევე მესამე ქვეყნების საზოგადოებრივი სამსახურებიდან. სწორედ ამიტომ აუცილებელია საქართველომ ახალ მოთხოვნებს ფეხი აუწყოს და ნოვატორულ პრინციპებს მიჰყვეს. არ უნდა გამოგვრჩეს ზემოთ ჩამოთვლილ პლათფორმებთან ერთად - მობილური ტელეფონი. ციფრული აუდიტორიის თვალსაზრისით, მობილური მოწყობილობების მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება და ეს პროცესი ყველა ქვეყანაში შესამჩნევია . ბავშვები ადრეული ასაკიდან ეუფლებიან სხვადასხვა ხელსაწყოებს, ანდროიდებს, რომლის საშუალებითაც შემდგომ ინფორმაციას იძიებენ, თუმცა ეს ინფორმაცია ხშირად გაუფილტრავია, რადგან ინეტრნეტ სივრცე რეგულაციების მიუხედავად რთულად კონტროლირებადია. ინტეგრირებული მულტიმედიური ნიუსრუმის ძირითადი მიზანიც ესაა - აუდიტორიის უზრუნველყოფა ზუსტი ინფორმაციით იმ დროს და იმ პლატფორმით, რომელიც მას სურს. აუდიტორიაზე და კონტენტზე ორიენტირებულ ნიუსრუმში ჟურნალისტური საქმიანობა მიმდინარეობს 24 საათის განმავლობაში, კვირის შვიდივე დღეს, თვის ყველა კვირას და წლის ყველა თვეს.

II. ძირითადი ნაწილი

ინტეგრირებული ნიუსრუმი რამდენიმე ძირითად პრინციპზე მუშაობს ესენია: „ბრეიქინგ" ახალი ამბები, რომელიც პრიორიტეტულია ციფრული პლატფორმისთვის; „განმარტებითი ჟურნალისტიკა" მოვლენიდან საათის, დღის და კვირის შემდეგ; ანალიზი: ინტერპრეტაციული ჟურნალისტიკა მომდევნო დღეებისთვის; საგამოძიებო ჟურნალისტიკა, რომელიც ქმნის უნიკალურ მასალას, ძირითადად ხელსაყრელს ტელევიზიისთვის; "ფიჩერი" ანუ გრძელვადიანი სამუშაო პროცესი სხვადასხვა პლატფორმისთვის; "კრაუდსორსინგი" და გაზიარება: თემები, რომლებიც განეკუთვნება სოციალურ ქსელებს და უზრუნველყოფს აუდიტორიის მონაწილეობას;

ინტეგრირებულ ნიუსრუმში ყველას საკუთარი ფუნქცია აქვს. შექმნილია ახალი სისტემა სადაც პროდიუსერები და ჟურნალისტები კატეგორიებად არიან დაყოფილები. Aრსებობს "სუპერ დესკი", სადაც ახალი ამბების მიმართულების ხელმძღვანელები არიან, ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებებს რომელი თემა როდის და ვის მიერ გაშუქდება. შემდეგ მოდიან პროდიუსერები, ყველა გამოშვებას საათის მიხედვით ჰყავს დამგეგმავი და არიან მიმართულების პროდიუსერები. ახალ "ნიუსრუმში" ჟურნალსიტებიც მიმართულების მიხედვით არიან განაწილებულები, მაგალითად კრიმინალის, პოლიტიკის, სოციალური თემების, კულტურისა და ასე შემდეგ.

რატომ არის საჭირო ინტეგრირება-იმიტომ, რომ მედია ვითარდება და ტელევიზიებმაც უდნა აუწყონ ფეხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. მომხმარებელს აღარ სჭირდება ლოდინი კონკრეტულ საათამდე, რომ ინფორმაცია გაიგოს, მას შეუძლია ეს ყველაფერი ინტერნეტის საშუალებით მოიძიოს. მიტომ წარმატების გზა არის სიძლიერეზე ორიენტირება და განსაკუთრებული შეთავაზების გაკეთება მაყურებლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, მედია უნდა ემსახურებოდეს უდიტორიას, რამდენადაც მისი მხრიდან ახალი ამბების მოხმარების ჩვეულებები ვითარდება ყოველ საათსა და ყველა პლატფორმაზე. ეს ვალდებულება აუდიტორიის მიმართ არის ერთადერთი გზა, ჟურნალისტური პრაქტიკის გაფართოება ახალ 24/7, მულტიმედია, მრავალპლატფორმულ მედიაგარემოში. ახალი ამბების ორგანიზაცია უნდა აიგოს აუდიტორიისა და კონტენტის გარშემო და არა პროდუქციის საჭიროებაზე. ჟურნალისტები უნდა მუშაობდნენ არა ბრენდისა თუ პლატფორმისათვის, არამედ მთელი გუნდისთვის. მაშინ, როდესაც ისინი ძირითადად მუშაობენ საკუთარი განყოფილებისათვის და ბრენდისათვის, ისინი უნდა გახდნენ ხელმისაწვდომები სხვა პლატფორმისა და სხვა განყოფილებებისათვის, მთლიანი პროდუქტის შესაქმნელად.

ახალი ნიუსრუმი არის ერთიანი ახალი ამბების სარედაქციო ერთეული ერთი მენეჯმენტის სტრუქტურით, რომელიც სუპერ დესკით იმართება. „სუპერ დესკი" კარნახობს ფუნქციებს ყველა ჟურნალისტს და აწვდის კონტენტს ყველა პლატფორმას, აუდიტორიის საჭიროებების შესაბამისად. ეს მოდელი მოითხოვს კულტურული და სამუშაო ჩვევების ტრანსფორმაციას. ტრანსფორმაცია, როგორც ერთგვარი გამოწვევა, არის ერთადერთი გზა, რითაც მედია შეძლებს

ძველმოდური ორგანიზაციიდან ინტეგრირებულ ორგანიზაციად გარდაქმნას, რაც უზრუნველყოფს მომავალს 21-ე საუკუნეში და შორეულ მომავალში. ტრანსფორმაციის პერიოდში, ყველამ უნდა აუწყოს ფეხი აუდიტორიას, რადგანაც ისიც ინტეგრირდება მულტიპლატფორმაში და 24/7 საინფორმაციო სამყაროში. ამ მოდელით, ეგოცენტრული საქმიანობიდან და მუშაობის საკუთარი გრაფიკიდან გადავლენ სწრაფ, მულტიმედია საინფორმაციო პროვაიდერზე, რომელიც აუდიტორიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული. ინტეგრირებული "ნიუსრუმი" საშუალებას იძლევა ახალი უნარების შეძენის და მის გავავრცელებას ყველა პლატფორმაზე და არამხოლოდ ერთ განყოფილებაში. ამავე დროს, ინტეგრირებული საქმიანობა წარმოშობს თითოეული პლატფორმის უნიკალურობას. ის წარმოაჩენს ყველა პროგრამას, მის სარედაქციო საქმიანობას და განსაკუთრებით მის ექსკლუზიურ კონტენტს. იდეების მოპარვას ადგილი არ აქვს ინტეგრირებულ სარედაქციო საქმიანობაში, ხდება სიუჟეტების გავლენის მაქსიმალურად გაზრდა. თუმცა, ინტეგრირებულ ნიუსრუმში, შესაძლოა იყოს ინტეგრაციის სხვადასხვა საფეხური. ზოგიერთი ადამიანი, შესაძლოა, მუშაობდეს სხვადასხვა პლატფორმისათვის, მაშინ, როდესაც სხვები მიმაგრებულები იქნებიან ერთ ცალკეულ პლატფორმას, თუმცა, საწყისი ეტაპი არის ის, რომ ყველა თანამშრომლობს და მოქმედებს გუნდური პრინციპით.

ახალი ამბების ახლებური ფუნქციონირება შეიძლება შევადაროთ „ერთ სამზარეულოს, რომელიც რამდენიმე რესტორანს ემსახურება". იმისათვის, რომ ვემსახუროთ მრავალრიცხოვან აუდიტორიას ბევრ პლატფორმაზე, დღისით და ღამით, წარმატების გარანტია არის მხოლოდ ინტეგრირებული, კოლაბორაციული საქმიანობა და პროცესების გამჭვირვალე დაგეგმვა.

აუცილებელია მუდმივი საუბარი აუდიტორიასთან და საზოგადოებასთან. საპასუხო რეაგირება, დიალოგი, დებატები და მონაწილეობა ახლა მულტიპლატფორმული ჟურნალისტიკის მთავარი ელემენტებია. მედია უნდა გახდეს „შუამავალი"და ამ ინტერეაქციის წამახალისებლები. ამავე დროს, აუდიტორიის მიერ მოწოდებული ძვირფასი მასალა (კონტენტი) უნდა იქნას გათვალისწინებული, რედაქტირებული, გამოქვეყნებული და გავრცელებული. ჟურნალისტი უნდა იყოს აქტიური ქომაგი (პროტაგონისტი) და მონაწილე სოციალურ მედიაში. საზოგადოებრივის ყველა ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს, მოიზიდოს და მიაჯაჭვოს აუდიტორია მრავალფეროვან პლატფორმებს.

ჟურნალისტის ურთიერთობა (ინტერაქცია) მის აუდიტორიასთან შექმნის მოძრაობას და მოიზიდავს უფრო მეტ მაყურებელსა და მსმენელს, რომლებსაც მოხიბლავს ამ ჟურნალისტის საქმიანობის და შექმნილი პროდუქციის ხარისხი. ეს ინტერაქცია გამოიწვევს სხვა ადამიანების მიერ იმავე თემით საერთო დაინტერესებას. მავე დროს, ჟურნალისტს მოეთხოვება სარედაქციო გზამკვლევების დაცვა პირადი კონტაქტების გაღრმავებისა თუ სოციალურ ქსელებში კომუნიკაციისას. ასეთი სახის ვალდებულება სულ უფრო გადამწყვეტი ხდება მედიის ეფექტური მმართველობის შესაქმნელად. ახლებური ტიპის, პროფესიონალი მულტიპლატფორმული ჟურნალისტი მუდმივად უნდა იძენდეს ახალ

უნარებს და ავითარებდეს ახალ მეთოდებს.

ინტეგრირებულ პლატფორმაში, როგორც უკვე ვისაუბრეთ ზევით, მნიშვნელოვანი როლი უკავია ინტერნეტს და უახლეს ტექნიკას, როგორიცაა მობილური ტელეფონი. მობილურში შეღწევადობა და მობილური ინტერნეტით კავშირი მსოფლიო მასშტაბის ბუმია. 2015 წლის დასაწყისისათვის მობილურით წვდომამ საქართველოში მიაღწია 128%-ს, მომხმარებლების მიერ შეღწევადობა ათგზის გაიზარდა უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში. ეს პროგნოზი ავალდებულებს ოპერატორს, უზრუნველყოს 90% მოსახლეობის დაფარვა მობილურ სერვისებთან წვდომით - 2020 წლისათვის. 2015 წლის დეკემბრისათვის, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, 1.6 მილიონ ადამიანს აქვს სტანდარტულ მობილურ ინტერნეტთან წვდომა, რაც საქართველოს მოსახლეობის 36%-ს ნიშნავს. ეს ციფრი 2013 წლის იანვარში შეადგენდა 1 მილიონს. მობილური ტელეფონი მომავლის პლატფორმაა. თუმცა, მხოლოდ რამდენიმე რედაქტორი და ჟურნალისტი აცნობიერებს იმას, თუ რამდენად განსხვავდება მობილური ჩვეულებრივი და ციფრული მაუწყებლობისაგან (როგორიც ვებ-ია). როგორც ფორესტერის კვლევების ცენტრის ვიცეპრეზიდენტმა ჯოშ ბერნოფმა თქვა: „ეს არის მობილური გონებრივი გარდატეხა და არა უბრალოდ „პირველ რიგში, მობილური“. ეს არის მომხმარებლების ფსიქოლოგიის რადიკალური ცვლილება. ეს არის მოლოდინი, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ან მომსახურება ხელმისაწვდომია, ნებისმიერ მოწყობილობაზე, სასურველ მომენტში და საჭიროების დროს. წამყვან საგამომცემლო კომპანიებს, როგორებიცაა „ნიუ იორკ თაიმსი“ „ბაზფიდი“ და „რეფაინერი -29“, უკვე აქვთ საათობრივი მობილური გამოქვეყნების განრიგი, რაც აკმაყოფილებს მათი მკითხველების მოთხოვნებს. მაგალითად „ნიუ იორკ თაიმსის“ მობილური აპლიკაციების ჯგუფი განსაზღვრავს დღის იმ დროს, როდესაც მკითხველს სჭირდება ახალი ამბები: 7:00 მომამზადე დღისთვის (ვიყო ინფორმირებული), 9:00 ვიყო კავშირზე, 11:00 მომეხმარე მივადევნო თვალი მიმდინარე მოვლენას, 12:00 გააუმჯობესე ჩემიცხოვრების სტილი, დამეხმარე დაგეგმვაში, 15:00 ინფორმაცია მომაწოდე იმაზე, რაც გამოვტოვე, 16:00 მომეხმარე შეფასებაში, ან მოვლენის განვითარებაში მონაწილეობაში, 21:00 გამართე. Aმრიგად კარგი იქნება, თუ საქართველოშიც შეიქმნება მსგავსი ფორმატი, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული.

## III. დასკვნა

ტრადიციული მაუწყებლიდან მედიის მულტიმედია საინფორმაციო სერვისის გზაზე, ამ შემთხვევაში ტელევიზია ფოკუსირებული უნდა იყოს აუდიტორიაზე, ქართველი ხალხის საჭიროებებსა და ინტერესებზე და ამ ყველაფრის საუკეთესო სახით მიწოდებაზე. მაუწყებელმა ყველა ამბავი აუდიტორიას უნდა მიაწოდოს საჭირო ფორმატით, სწორი პლატფორმიდან, სათანადო დროს და მიზნობრივ აუდიტორიას. ეს არის ინტეგრირებული მულტიმედია “ნიუსრუმის” უპირველესი ამოცანა.

ლიტერატურა:
1. INNOVATION INTERNATIONAL MEDIA CONSULTING GROUP
2. https://www.ama.org/publications/MarketingNews/Pages/strategic-thinking-mobile-mind-shift.aspx

*Mariam Kurdiani, PhD student*
*Georgian Technical University*

## Integrated Newsroom Principle

### Summary

Provided article discusses integrated “newsroom” principle for news agencies. It could be considered as a cutting edge novelty in media business. Foreign agencies have been following given trend for several years now, however in Georgia, it has just started taking shape. Integrated “newsroom” implies broadcasting on all types of platforms 24/7. Furthermore, platform itself encompasses news domain such as television, radio and web space simultaneously. Media industry is constantly developing and Georgia is no exception in this regard. In the realms of ever increasing competition among news agencies, audience becomes even more demanding. TV broadcasting is not enough anymore.

**Key words:** integrated, newsroom, media, broadcasting, audience, platform.

# ეკონომიკა
# ECINOMICS

*ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (ხმს) დანერგვა წარმოებაში

რეზიუმე

აღნიშნული სტატია ეხება წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვას, რომელიც გულისხმობს მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტას და უზრუნველყოფს ნებისმიერი ბიზნესის წარმატებას.

ხარისხის მენეჯმენტს ახასიათებს დაგეგმვა, ანალიზი, კონტროლი და როგორც ორგანიზაციის მართვის საფუძველი ითვალისწინებს: ხელმძღვანელის ლიდერობას; ორინტაციას მომხმარებელზე; პერსონალის ჩართვას საქმიანობაში; მენეჯმენტისადმი სისტემურ მიდგომას; კომპანიის საქმიანობის მუდმივად გაუმჯობესებას; პროფესიონალიზმს.

ხმს დანერგვა ხდება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების ISO 9001 მოთხოვნის საფუძველზე საწარმოში, საშუალებას იძლევა გადავიდეს განვითარების ახალ დონეზე, კონკურენტუნარიანია, იზრდება მენეჯმენტის კულტურა, მინიმუმამდეა დაყვანილი საწარმოს პოტენციური რისკები და დანახარჯები წუნის გამოსწორებაზე და რაც მთავარია მისი რეალიზაცია უზრუნველყოფს ნებისმიერი ბიზნესის წარმატებას.

*საკვანძო სიტყვები: ხარისხი, დაგეგმვა, ანალიზი, კონტოლი, სტანდარტი, ხარისხის ინსტრუმენტი.*

### I. შესავალი

წარმოებაში აუცილებელია დაინერგოს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ხმს), ვინაიდან ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს ბევრი ფაქტორი, როგორიც არის: შემთხვევითი, ადგილობრივი და სუბიექტური. ეს სისტემა უნდა ზემოქმედებ-

დეს პროდუქციის შექმნისთვის არა ეპიზოდურად, არამედ მუდმივად, რათა სტაბილურად შენარჩუნებული იქნას ხარისხის დონე. **ხარისხი ჭეშმარიტად მენეჯმენტის ობიექტია** და ახასიათებს მისი ყველა შემადგენელი ნაწილი: **დაგეგმვა, ანალიზი, კონტროლი.**

**ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ხმს)** ეს არის მეთოდების, გარკვეული ინსტრუმენტების და სისტემების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება საწარმოს მიერ მომხმარებლისათვის მოთხოვნად საქონელზე. გარდა ამისა, ხმს-ის დანერგვა საწარმოში ხორციელდება ბევრი მიზეხის გამო, რომელთა შორის ძირითადია გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა და ბიზნესის ეფექტურობის ამაღლება.

გარანტირებული ხარისხის სისტემის დანერგვა, არის ხარისხის მენეჯმენტის ევოლუციის უმთავრესი შედეგი.

## II. ძირითადი ნაწილი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მთლიანობაში ეს არ წარმოადგენს პროდუქციის თითოეული ელემენტის ერთეულის კონტოლს, მუშაობაში შესაძლო დაშვებული შეცდომების თავიდან აცილებაში, რის შედეგადაც წარმოიქმნება წუნი. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს სწორი ქმედებები ხარისხიანი პროდუქციის შესაქმნელად და უნდა შემუშავდეს კორექტური მოქმედებების ინსტრუქცია. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტების სერიის ISD 9000 -ის საფუძველზე. **ხმს-ის** შემუშავება და დანერგვა შეუძლია ნებისმიერ წარმოებას განურჩევლად საქმიანობის ყველა სფეროსი, საშტატო ერთეულისა და ეკონომიკის სფეროსი, ასევე საწარმოო კომპანიებს, მომსახურების ორგანიზაციებს, სადაც მიმდინარეობს ბიზნეს-პროცესები, რომლებიც მოითხოვენ ოპტიმიზაციას.

**შინაარსი.** ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. ბიზნეს-პროცესებს; 2. თანამშრომელთა ჯგუფებს სხვადასხვა დაკისრებული ფუნქციებით და პასუხისმგებლობით; 3. დოკუმენტებს-სამუშაო ინფორმაციებს **ხმს-ის** შესახებ; პროგრამებს- შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის; ხარისხის გეგმას - დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ვის მიერ და როდის უნდა იყოს გამოყენებული სხვადასხვა პროცედურები თუ რესურსები კონკრეტულ პროექტზე, პროცესზე ან კონტრაქტზე; მუშა და საკონტროლო ინსტრუქციებს; 4. ადამიანურ, ფინანსურ და დროებით რესურსებს.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შეფასება ითვალისწინებს პასუხს ოთხ ძირითად კითხვაზე: 1. გამოვლინდა და შეფასდა თუ არა შესაბამისი პროცესები; 2. განაწილებულია თუ არა პასუხისმგებლობა; 3. დანერგილია და მუშა მდგომარეობაშია თუ არა პროცედურები; 4. ეფექტურია თუ არა პროცესი მოთხოვნილი შედეგების მისაღწევად.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა კომპანიაში (საწარმოში) განპირობებულია მიზეზთა მთელი კომპლექსით. **„ხმს-ის“** დანერგვა კლასიფიცირდება შიდა და გარე მიზეზებით, განიხილება როგორც ორგანიზაციის მართვის საფუძ-

ველი, რომელიც შემდეგია: **ორიენტაცია მომხმარებელზე; ხელმძღვანელის ლიდერობა; პერსონალის ჩართვა; პროცესული მიდგომა; მენეჯმენტისადმი სისტემური მიდგომა; კომპანიის საქმიანობის მუდმივად გაუმჯობესება; მიღებული გადაწყვეტილებისადმი პროფესიონალური მიდგომა; ურთიერთობის გაუმჯობესება მიმწოდებლებთან.**

„ხმს"-ის სერტიფიკაცია დასტურდება სერტიფიკატის მიღებით გარე დამოუკიდებელი აუდიტისაგან.

კომპანიებმა (ორგანიზაციებმა), რომლებმაც **„ხმს"-ის** ეს პროცესი განახორციელეს ხარისხიანად და სრულყოფილად აქვთ შემდეგი უპირატესობანი:

– ხარისხის მომატებით იზრდება პროდუქციის რეალიზაცია;

– მაღლდება მენეჯმენტის კულტურა და მმართველობითი დონე;

– მცირდება დანახარჯები დამუშავებაზე, წარმოებაზე, გამოყენებაზე;

– მცირდება რისკები.

„ხმს" დანერგვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე საშუალებას იძლევა დაინერგოს შემდეგი ამოცანები: კომპანიის ბიზნეს-პროცესები, მათი ურთიერთკავშირი, მონიტორინგი, ეფექტურობის კრიტერიუმების დადგენა და ბიზნეს-პროცესების შეფასება; მენეჯმენტის სისტემის აუცილებელი დოკუმენტების შედგენა; კომპანიაში შემუშავებული დოკუმენტების დანერგვა; მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარების ორგანიზაცია ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრისათვის მუდმივად მათი სრულყოფისათვის; სერტიფიკაციური ორგანოს მიერ დამოუკიდებელი შეფასების ჩატარება სერტიფიკატის მიღებით.

„ხმს"-ის დანერგვა ხდება ექვსი ეტაპით: 1 ეტაპი – მენეჯმენტის სისტემის დიაგნოსტიკური აუდიტის ჩატარება და სამუშაო გეგმის დამუშავება; 2-3 ეტაპები ხელმძღვანელების და სპეციალისტების მიერ ხარისხის მენეჯმნეტის თანამედროვე პრინციპების და ISO 1901-ის მოთხოვნების შესწავლა; მე-4 ეტაპი – ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და დანერგვა ISO 9001-ის შესაბამისად, ბიზნეს-პროცესების აღწერით; საჭირო დოკუმენტაციის შემუშავება, დოკუმენტების დანერგვა; მე-5 ეტაპია – მენეჯმენტის სისტემის შიდა კომპლექსური შემოწმება შესაბამისი ISO 9001-ის მიხედვით; მე-6 ეტაპია – მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკაციის პროცესის კონსულტაცია.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვას თან ახლავს შემდეგი სირთულეები:

1. სტრატეგიული გადაწყვეტისას არ მიღება სისტემის შესაქმნელად ცალკეული თანამშრომლებისა და ხელმძღვანელებისა;
2. მძლავრი ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციონალური მმართველობა, ინოვაციების დანერგვა, რაც არ არის;
3. შიდა ბარიერები ქვედანაყოფებს შორის, ორგანიზაციის საერთო მიზნების არ არსებობა, ნდობის განხეთქილება სხვადასხვა დონის პერსონალს შორის; კორპორატიული ეთიკის დაუცველობა; პერსონალის მოტივაციის არ ქონა;

4. დისბალანსი პასუხისმგებლობაში;
5. წარმოების დაბალი დონის კულტურა;
6. მკაფიოდ გამოხატული მისიის, საერთო იდეოლოგიის, ფილოსოფიის, კომპანიის განვითარების პრინციპების არ ქონა;
7. პროცესები არ არის აღწერილი, გაურკვეველია კვანძური პროცესები, გან-საზღვრული არ არის და არ იზომება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები;
8. მომხმარებელთა დაკმაყოფილების გაზომვის სისტემის და მარკეტინგის არ ქონა;

ამ სიძნელეების გადალახვა შეიძლება ISO 9001-ის რეალური ინსტრუმენტის საშუალებით, რომელიც ამაღლებს საქმის ეფექტურობას და კომპანია თუ წარმოება გადადის განვითარების ახალ დონეზე. აქვს ბევრი უპირატესობა კონკურენ-ტუნარიან კომპანიებთან შედარებით; საქონლის და მომსახურების მოცულობის რეალიზაციის გაზრდა; მთლიანობაში იზრდება მენეჯმენტის კულტურა, რითაც საწარმო იძენს წარმატებულ ახალ დონეს; მინიმუმამდეა დაყვანილი საწარმოს პოტენციური რისკები და დანახარჯები წუნის გასწორებაზე.

III. დასკვნა.

ამრიგად, ხმს დანერგვა გულისხმობს მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტას: საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებას და მათ დანერგვას; ბიზნეს-პროცესების კონტროლს და მათ ანალიზს; შიდა აუდიტის საშუალებით მენეჯმენტის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენას. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სერტიფიკაციის მინიჭება. ყველაფრის ამის გადაწყვეტა საჭიროებს პროფესიონალურ მიდგომას და გარკვეულ ძალისხმევას. მკაცრი კონკურენციის პირობებში თანამედროვე ბაზარზე გამრჯვებული გამოდის ის კომპანია თუ საწარმო, რომელმაც გადააჭარბა თავისი მიზნობრივი აუდიტორიის მოლოდინი და ბოლოს, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, მისი რეალიზაცია უზრუნველყოფს ნებისმიერი ბიზნესის წარმატებას.

ლიტერატურა:

1. ე. ხახუტაშვილი. ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა. ჟურნალი „განათლება“, სტუ, 2017 №3 (19), გვ. 101-105.
2. ნ. ღიბრაძე, ე. ხახუტაშვილი. ტელეკომუნიკაციის კომპანიათა ხარისხის მენეჯმენტი. ლექციების კურსი, სტუ, თბ. 2015, გვ.155.

*Elisabed Khakhutashvili, Associate professor*
*Georgian Technical University*

## The implementation of quality management in manufacturing


### Summary

The following article highlights the advantages of the quality management implementation in manufacturing sector, which ensures the success of the business.

The components of quality management include , the correct planning, business process analyses and control. The quality management system is the complex of various methods and instruments. This implementation serves as a function to manufacture the production, that will be competitive on market and to increase efficiency in company. The system should be implemented at the very start of the the manufacturing process despite its high costs, because the inefficiencies noticed in the middle of manufacturing process will lead to even higher costs.

The implementation process of quality management is done in accordance of ISO 9001. The ISO standard gives the company ability to achieve new stage of development, makes the manufacturing process more effective, increases the management quality.


***Keywords:*** *quality, planning, analyses, control, standard, quality instrument.*

*თამარ ღამბაშიძე, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ორგანიზაციების კრიზისული მდგომარეობის ანალიზი და რისკის მექანიზმი

## რეზიუმე

კომპანიაში ფინანსური სახსრების კრიზისული მდგომარეობა მენეჯერებისაგან მოითხოვს რიგი არატრადიციული ღონისძიებების გატარებას შექმნი-ლი მდგომარეობის გადალახვის მიზნით. შიდა კრიზისის პირობებში საწარმოს მენეჯმენტი იღებს მთელ რიგ თავისებურებებს კომპანიის ნორმალურ მდგომარეობასა და სტაბილურ საქმიანობასთან შედარებით. მისაწვდომი სახსრების სწორი გამოყენება და კონკრეტულ სიტუაციაში საჭირო მოქმედებების დამუშავება შესაძლებელს ხდის გადავიდეთ დაცემიდან განვითარებაზე და ფინანსურ მაჩვენებელთა ზრდის დაგეგმილ ტემპზე.

“krisis” – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გადაწყვეტილებას, გამოსავალს. კომპანიის ეკონომიკური კრიზისი ნიშნავს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რომელსაც ახასიათებს არადამაკმაყოფილებელი მნიშვნელობა მთელი რიგი მაჩვენებლებისა (კოეფიციენტებისა): გადახდისუნარიანობა, რენტაბელობა, ბრუნვადობა, ფინანსური სიმტკიცე და ა.შ. ასეთი მაჩვენებლების დიდი რაოდენობა არსებობს. ყველაზე უნივერსალურ და თვალსაჩინო ინდიკატორებად, რა თქმა უნდა, რჩება კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები: საერთო მოგების ოდენობა და რენტაბელობის დონე. როგორც წესი, კომპანიის კრიზისული მდგომარეობის პირველ ნიშანს წარმოადგენს უარყოფითი ფინანსური შედეგი – საქმიანობის საერთო დანახარჯებით, რენტაბელობის დონის, ან მოგების სწრაფი შემცირება პერიოდების მიხედვით (თუ დანახარჯები არ იყო წინასწარ დაგეგმილი, როგორც აუცილებელი ეტაპი ბიზნესის განვითარებაში).

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური კოლაფსი, ფინანსური აქტივაცია, ეკონომიკური კრიზისი, კონსალტინგური კომუნიკაცია, საინვესტიციო პრიორიტეტები*

## I. შესავალი

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორიც არ უნდა იყოს ფინანსური მდგომარეობის გაუარესების კონკრეტული „ხილული” მიზეზები, ნებისმიერი კრიზისული მდგომარეობის პირველი მიზეზთაგანი მაინც არის კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის (მენეჯმენტის) მოქმედება, ან უმოქმედობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსების დაკარგვის თავდაპირველი მიზეზი ყოველთვის სუბიექტურია. ასე მაგალითად, თუ საწარმომ განიცადა დანაკარგი (ზარალი) ხანძრის ან წყალდიდობის შედეგად, მაშინ პასუხისმგებლობა პირველ რიგში

ეკისრება იმას, ვინც თავის დროზე არ მიიღო შესაბამისი სადაზღვევო პოლისი და ა.შ. თუმცა მენეჯერთა შეცდომები ისევე გარდაუვალია, როგორც თითოეული რგოლის რიგითი შემსრულებლის დატვირთვა.

II. ძირითადი ნაწილი

კომპანიის კრიზისული მდგომარეობა მენეჯერებისაგან მოითხოვს მთელი რიგი არატრადიციული ღონისძიებების გატარებას. მისაწვდომი სახსრების სწო-რი გამოყენება, საჭირო მოქმედებათა სწორი დამუშავება შესაძლებელს ხდის გადა-ვიდეთ დაცემიდან განვითარებაზე და ფინანსურ მაჩვენებელთა ზრდის დაგეგმილ ტემპზე.

კომპანიაში ფინანსური სახსრების კრიზისული მდგომარეობა მენეჯერე-ბისაგან მოითხოვს რიგი არატრადიციული ღონისძიებების გატარებას შექ-მნილი მდგომარეობის გადალახვის მიზნით. შიდა კრიზისის პირობებში საწარ-მოს მენეჯმენტი იღებს მთელ რიგ თავისებურებებს კომპანიის ნორმალურ მდგომარეობასა და სტაბილურ საქმიანობასთან შედარებით. მისაწვდომი სახსრების სწორი გამოყენება და კონკრეტულ სიტუაციაში საჭირო მოქმედებების დამუშავება შესაძლებელს ხდის გადავიდეთ დაცემიდან განვითარებაზე და ფინანსურ მაჩვენებელთა ზრდის დაგეგმილ ტემპზე.

"krisis" – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გადაწყვეტილებას, გამოსავალს. კომპანიის ეკონომიკური კრიზისი ნიშნავს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რომელსაც ახასიათებს არადამაკმაყოფილებელი მნიშვნელობა მთელი რიგი მაჩ-ვენებლებისა (კოეფიციენტებისა): გადახდისუნარიანობა, რენტაბელობა, ბრუნვა-დობა, ფინანსური სიმტკიცე და ა.შ. ასეთი მაჩვენებლების დიდი რაოდენობა არ-სებობს. ყველაზე უნივერსალურ და თვალსაჩინო ინდიკატორებად, რა თქმა უნდა, რჩება კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები: საერთო მოგების ოდენობა და რენტაბელობის დონე. როგორც წესი, კომპანიის კრიზისული მდგომარეობის პირველ ნიშანს წარმოადგენს უარყოფითი ფინანსური შედეგი – საქმიანობის საერთო დანახარჯებით, რენტაბელობის დონის, ან მოგების სწრაფი შემცირება პერიოდების მიხედვით. (თუ დანახარჯები არ იყო წინასწარ დაგეგმილი, როგორც აუცილებელი ეტაპი ბიზნესის განვითარებაში).

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმე ეხება კომპანიის რეალურ მოგებას. ბუღალტრული ან "საგადასახადო" დანახარჯები არ ნიშნავს კომპანიის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას. ზოგჯერ ხდება საპირისპიროდაც, ფორმალური და-ნახარჯები გამოდიან როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო, რომლებიც წარმოიშობა გადასახადების ეკონომიის ხარჯზე.

პირველი, რაც საჭიროებს შესწავლას კრიზისული სიტუაციისას, ეს არის მისი გამომწვევი მიზეზები.

**ისტორიული ანალიზი** - კომპანიის კრიზისული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების ანალიზისათვის პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნას კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკის ცვალებადობა პერიოდების

მიხედვით. სწორედ ასეთი ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ ის მომენტი, როდესაც პირველად იჩინა თავი უარყოფითმა ფაქტორებმა. მას შემდეგ, რაც აღმოჩენილია გარდატეხის მომენტი კომპანიის უღრუბლო ფინანსურ ცხოვრებაში, საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ რა მოხდა კომპანიაში დროის ამ პერიოდში.

**სტრუქტურული ანალიზი** - კომპანიის მთლიანი ფინანსური შედეგი წარმოადგენს ფინანსური შედეგების ჯამს კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სახეობიდან, სხვადასხვა განყოფილებიდან, სავაჭრო ჯგუფებიდან და ა.შ. (ე.წ. რენტაბელობის ცენტრები).

ამიტომ კრიზისული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზთა ანალიზი თავის მხრივ წარმოადგენს ასეთი შეცდომების გამოვლენის პროცესს. იმ მიზეზთა დადგენისათვის, რომლებმაც მიიყვანეს კომპანია კრიზისულ სიტუაციამდე, აუცილებელია შეიქმნას ანალიტიკური ჯგუფი, რომლის

მონაწილენიც უნდა ექვემდებარებოდნენ უშუალოდ კომპანიის მფლობელებს. ასეთი ანალიტიკური ჯგუფის შექმნა ყველაზე მიზანშეწონილად მიმდინარეობს დამოუკიდებელი აუდიტორების, ბიზნეს-კონსულტანტების და სხვა სპეციალისტების მოწვევით. ამასთან, სპეციალისტებმა და კომპანიის უმაღლესი თანამდებობის პირებმა, ვისი საქმიანობაც მოწმდება, ხელი უნდა შეუწყონ მოწვეული სპეციალისტების მუშაობას საჭირო ინფორმაციების მიწოდებითა და მუშაობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნით. სწორედ ამიტომ, ასეთ ანალიტიკურ ჯგუფს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული სტატუსი და საკმაოდ დიდი (უზომო) უფლებამოსილება, რომელიც დამტკიცებულია ხელმძღვანელის ბრძანებით ან დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

კომპანიის მართვის სპეციფიკა შიდა ფინანსური კრიზისის პირობებში

მდგომარეობს მართვაში საჭირო მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებაში, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ნორმალურ პირობებში ხელმძღვანელობისაგან. ანტიკრიზისული მართვა არ უნდა დაიყვანებოდეს მხოლოდ, მაგალითად, შრომისმოყვარეობის უბრალო ამაღლებამდე, ხარჯების შემცირებამდე, მენეჯმენტისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებამდე, კომპანიის აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაციამდე, მარკეტინგული პოლიტიკის სრულყოფამდე და ა.შ. ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა აუცილებელია მუდმივად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება კომპანია. ანტიკრიზისული მართვა მოითხოვს მენეჯერებისაგან კომპანიის ნორმალური მდგომარეობისათვის არატრადიციული და ზოგჯერ მიუღებელი ღონისძიებების გატარებას. ასეთი სახსრების შედგენა და შეკრება, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია იმ კონკრეტულ მიზეზებზე და შეცდომებზე, რომლებმაც მიგვიყვანეს ფირმის რთულ ფინანსურ მდგომარეობამდე. თუმცა ეფექტური ანტიკრიზისული ღონისძიებების ძირითად განსხვავებას წარმოადგენს მაღალი რისკი ჩატარებული ოპერაციებისა, რომლებიც დაუშვებელია ნორმალური პირობების დროს.

ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა ცალკეული თანამშრომლებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის შეფასება წარმოებს რეალიზაციის

მოცულობის, ან სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც ხშირად მოკლებულია ხარისხობრივ შეფასებას. ამასთან, მთლიანი შემოსავალი შეიძლება განისაზღვროს მომხმარებლისათვის გაგზავნილი პროდუქციის რაოდენობით რეალური გადასახადებისა და ა.შ. ჩაუთვლელად. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მენეჯმენტის საქმიანობის ასეთი არასწორი შეფასება, აუცილებელია ანგარიშგების შედგენა, რომელიც დაფუძნებული იქნება ობიექტურ ინფორმაციასა და შესრულებულ სამუშაოზე. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ფულადი ნაკადების მოძრაობის მაჩვენებლები და რენტაბელობის დონე. მხოლოდ ეს ანგარიშგებითი მაჩვენებლები გვაძლევენ ამა თუ იმ რენტაბელობის ცენტრისა და მთლიანად კომპანიის საქმიანობის რეალურ შეფასებას.

დეტალიზაცია -მსხვილი ქვედანაყოფებისა და კომპანიის ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ფილიალების ანგარიშები, რომლებიც, როგორც წესი, ფლობენ ავტონომიურობის საკმაოდ მაღალ დონეს, კრიზისის პერიოდში უნდა შეიცავდნენ ოპერატიული ინფორმაციის მაქსიმალურ რაოდენობას ყველა მნიშვნელოვან ცვლილებაზე ბალანსის სტრუქტურაში და ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანიაში ეკონომიკური კოლაფსის პერიოდში ოპერატიული მართვისა და მატერიალურ რესურსებზე კონტროლის სისტემის დაწესება დაფუძნებული უნდა იყოს მმართველობითი ობიექტების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციაზე. ასეთი დეტალიზაციის არსებობის პირობებში შესაძლებელია არა მარტო სწრაფი რეაგირება არასასურველ მოვლენებზე ცენტრალიზებული თანმიმდევრობით, არამედ, ასევე შესაძლებელია, მივცეთ დროულად საჭირო მონაცემები, ქვედანაყოფების შესახებ მათ უშუალო ხელმძღვანელობას. ისინი არიან დროში შეზღუდულები. ნათელია, რომ საკმაოდ მსხვილი და განვითარებული ბიზნესისათვის მთელი მმართველობითი გადაწყვეტილებების ერთი პირის მიერ მიღების მთლიანად "უზურპირება" არ არის შესაძლებელი. ამიტომ კრიზისის პერიოდში აუცილებელია კომპანიის შიდა ანგარიშგების წარმოდგენა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში. ასე მაგალითად, თუ მსხვილ კომპანიებში შიდა ქვედანაყოფებისა ან ფილიალების სამუშაოების შესახებ ანგარიშები (ბალანსები, ბიუჯეტები, დავალიანების მდგომარეობა და ა.შ.) მიეწოდება ყოველთვიურად ან კვარტალურად, მაშინ კრიზისული სიტუაციის პირობებში ასეთი ანგარიშგების პერიოდულობა დაყვანილ უნდა იქნას კვირაზე ან ათ დღეზე და, საჭიროების შემთხვევაში, დროის უფრო მცირე მონაკვეთებზე.

**სეკვესტრი** - ანტიკრიზისული ზომების მიღების პირველ ეტაპზე გეგმიური დანახარჯების შემცირება კომპანიაში, ან მის ცალკეულ ქვედანაყოფებში, არ უნდა ატარებდეს ტოტალურ ხასიათს. მრავალი მიმდინარე ხარჯი, ადრინდელივით, რჩება სასიცოცხლო მნიშვნელობის და მათ შემცირებას ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები, ამიტომ პირველ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილად ითვლება იმ ხარჯების შემცირება (ან გაყინვა), რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიანი მიმართულებების განვითარებასთან, მაგალითად: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, პერსპექტიული მარკეტინგი და

მრავალი ისეთი დაბანდება, რომლის ანაზღაურების ვადა აღემატება ერთ წელს. კომპანიაში წარუმატებელი პერიოდისას საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისული მდგომარეობის მიზეზების დასაბუთებამდე არ უნდა ჰქონდეს ადგილი მასობრივ დათხოვნას სამსახურიდან და კადრების როტაციას. ამ პერიოდში მიზანშეწონილია სამსახურში ახალი სპეციალისტების მიღების შეწყვეტა.

კომპანიის ფინანსური კრიზისი ნიშნავს არა მხოლოდ რაღაც ლოკალურ დაუდევრობას, ან მენეჯერთა საქმიანობაში ჩავარდნების არსებობას, არამედ ის გამოდის როგორც ბიზნესის განვითარების საბაზრო სტრატეგიის სისტემური შეცდომების შედეგი.

**გეგმების კორექტირება** - სტრატეგია, რომლის შედეგიც აღმოჩნდა ფინანსური დანაკარგები, უნდა შეიცვალოს, ამისათვის, პირველ რიგში, უნდა მოხდეს განვითარების თავდაპირველი გეგმების კორექტირება. ამის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მაგალითად. საქმიანობის რომელიმე სახეობის შემცირება იწვევს ადრე დაგროვილი რესურსების გამოთავისუფლებას. მომგებიანი მიმართულების და ოპერაციების გაფართოება პირიქით, ყოველთვის დაკავშირებულია დამატებითი კაპიტალის მოზიდვასთან. ამ ორი განსხვავებული პროცესის წარმოშობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ურთიერთჰარმონიზაცია. ამასთან, რესურსები კი არ უნდა შემცირდეს, არამედ უნდა ტრანსფორმირდეს ან გარდაიქმნას საინვესტიციო პრიორიტეტებზე დამოკიდებულებით. მოცემული მტკიცება ეხება როგორც საკადრო პოლიტიკას, ისე საწარმოო პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

**"შოკური თერაპიის"** მეთოდი - კომპანიაში ან მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ბიუჯეტის დეფიციტის არსებობის პირობებისას პირველი "იდეა", რომელიც წარმოეშობათ ხელმძღვანელებს - ეს არის დანახარჯების შემცირება (საერთოდ, აუცილებელია არა დანახარჯების შემცირება, არამედ შემოსავლების გაზრდა, მაგრამ უკანასკნელის მიღწევა უფრო რთულია, ვიდრე პირველის). მსხვილი კომპანიების უმეტესი ფინანსური გეგმები წარმოადგენენ ე.წ. "მოქნილ (დრეკად) ბიუჯეტებს", რომლებიც ითვალისწინებენ დანახარჯების დონის დამოკიდებულებას შემოსავლების დონეზე პროცენტული შეფარდებით. აქედან გამომდინარეობს, რომ დანახარჯების შემცირება უფრო ხშირად ხდება ერთნაირი პროპორციით.

სისტემური ფინანსური კრიზისის შემთხვევაში ასეთი მიდგომა დანახარჯების მართვისადმი წარმოადგენს მცდარს, რადგანაც სხვადასხვა ხარჯი ერთნაირად არ მოქმედებს საწარმოს შემოსავლის დონეზე. კრიზისული სიტუაციის პირობებში უფრო მნიშვნელოვანია შევამციროთ ერთი სახის დანახარჯები და გავზარდოთ ის ხარჯები, რომლებიც "სწრაფი" მოგების მიღების საშუალებას იძლევა. ასეთი მოგების სიჩქარე პირდაპირპროპორციული იქნება მასთან დაკავშირებული რისკის ზომისა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება, უფრო ხშირად აქცენტი კეთდება მარკეტინგულ დანახარჯებზე (აგრესიული

რეკლამა, ვაჭრობის არატრადიციული მეთოდები, გასაღების ახალ ბაზრებზე გადასვლა და ა.შ.). ცნობილია შემთხვევები, როცა საერთო კრიზისის პირობებში კომპანიებისათვის წარმატება მოჰქონდა არა დანახარჯების შემცირებას, არამედ მათ გაზრდას შრომის ანაზღაურებაზე.

**"ვა-ბანკი"** - დამატებითი ხარჯები შერჩეულ პრიორიტეტულ მიმართულებებში ზოგჯერ ვერ იქნება მთლიანი მოცულობით ანაზღაურებული მხოლოდ სხვა დანახარჯებზე ეკონომიის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით გარედან სახსრების მოზიდვის საჭიროება დგება. ყველაზე სარისკო, მაგრამ, ამავე დროს, ალბათ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას მოცემულ სიტუაციაში ნასესხები სახსრების მოზიდვა წარმოადგენს. საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა კრიზისულ სიტუაციაში გამოყენებულ უნდა იქნას მთლიანად. ამ შემთხვევაში, საწარმო დგება მნიშვნელოვანი ფინანსური რისკის წინაშე, მაგრამ მისი შედეგიც – კრიზისიდან გამოსვლა საკმაოდ დიდია. ამ "ექსტრემალური" მეთოდის ნაკლოვანებას წარმოადგენს კრედიტის მოზიდვისას ობიექტური სიძნელეების არსებობა, რადგანაც საწარმოს ფინანსური კრიზისი ხშირად ნიშნავს მის ფინანსურ გაკოტრებას, ამიტომ მისაღები საპროცენტო განაკვეთით კრედიტის მოზიდვა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

კომპანიაში ფინანსური წარუმატებლობის საკმაოდ გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს ეფექტური საქმიანობის ძირითადი კრიტერიუმების არასწორი შერჩევა. ასე მაგალითად, ზოგიერთი კომპანია ორიენტირებულია საერთო შემოსავალზე, ან წარმოების მოცულობის ზრდაზე, სხვები კი – ბაზრის მონოპოლიზაციაზე. მოცემული კატეგორიები, რა თქმა უნდა, წარმოადგენენ განვითარების მნიშვნელოვან მიზნებს, მაგრამ ისინი არ უნდა ჩაითვალოს მთავარ მიზნებად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე დიდ ყურადღებას კომპანიაში იმსახურებს შემდეგი ორი საქმიანობის მაჩვენებელი (შედეგი): ფულადი მოგების სიდიდე და მთლიანი კაპიტალის რენტაბელობის დონე. ეს მაჩვენებლები უნდა განისაზღვროს კომპანიაში ფულადი ნაკადების მოძრაობიდან გამომდინარე. ასე მაგალითად, კომპანიის რეალური მოგება – ეს არის დადებით და უარყოფით ფულად ნაკადებს შორის სხვაობა, ხოლო რენტაბელობის დონე ყველაზე ობიექტურად განისაზღვრება, როგორც მოცემული ფულადი მოგების დამოკიდებულება ყველა ფულად ხარჯთან.

სწორედ ამიტომ, კრიზისული სიტუაციის პირობებში, რეფორმირების ძირითად ობიექტებად უნდა გამოდიოდნენ ოპტიმალურობისა და ეფექტურობის კრიტერიუმები, განსაზღვრულ ურთიერთკავშირში ყველა მმართველობით ოპერაციასთან.

ნებისმიერ კომპანიაში ყოველთვის არსებობს განვითარების სხვადასხვა კრიტერიუმები: წარმოების მოცულობა, დანახარჯები, ბრუნვის ვადები, მოგება, რენტაბელობა, საბაზრო წილი და მრავალი სხვა. ეს მაჩვენებლები ყოველთვის წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. ასე მაგალითად,წარმოების მოცულობის გაზრდამ, რაღაც ეტაპზე, შეიძლება გამოიწვიოს რენტაბელობის დონის შემცირება, ხოლო დანახარჯების შემცირებამ, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს

პროდუქციის ხარისხის გაუარესება და ა.შ. ყველა ეს ობიექტური სიძნელეები განვითარების გეგმების დამუშავებისა და კორექტირების პროცესში საჭიროებენ რომელიმე ერთი ოპტიმალური კრიტერიუმის შერჩევას, რომლის მაქსიმიზაცია და მინიმიზაცია უნდა ექვემდებარებოდეს ყველა სხვა დანარჩენი მაჩვენებლის ცვლილებების დინამიკას.

თანამედროვე პრაქტიკაში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება რისკების მართვის მეთოდიკა, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად არახელსაყრელი შედეგების მიღების ალბათობის შეფასების საშუალებას იძლევა. ეს მეთოდები კრიზისული სიტუაციის წარმოშობის რისკის შემცირების საშუალებაა, მაგრამ არ აღკვეთავს მთლიანად, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირებას, მომზადებას და მისი შედეგების გადალახვას.

### III. დასკვნა

თანამედროვე მენეჯმენტი განიხილავს ანტიკრიზისულ მართვას, როგორც ზომათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროს: ფინანსებს, პერსონალის მართვას, მარკეტინგს, პრესასთან, კლიენტებსა და მომწოდებლებთან ურთიერთობებს და ა.შ. კომპანიის საქმიანობის მაჩვენებელთა კომპლექსური ანალიზის სხვადასხვა მეთოდებია შემუშავებული, რომლებიც მაქსიმალურად სრულად ასახავენ საწარმოს მდგომარეობას, ფართოდ არის ცნობილი SWOT ანალიზის მეთოდი, ხოლო ბოლო პერიოდში პოპულარობა მოიპოვა ბალანსირებულ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც მიმდინარე მაჩვენებლებში უმნიშვნელო ცვლილებებზე ოპერატიული და მაქსიმალურად ზუსტი რეაგირების საშუალებას იძლევა.

### ლიტერატურა:

1. Rosenbloom Bert Marketing Channels : A Management Viev, 2003
2. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors by Michael E. Porter (Hardcover - June 1, 2008
3. World Class Production and Inventory Management by Darryl V. Landvater - Business & Economics – 1997
4. Facility Manager's Operation and Maintenance Handbook by Bernard T. Lewis - Technology - 1999
5. Trends and Tools for Operations Management: An Updated Guide for Executives and Managers by Roy L Nersesian - Business & Economics - 2000

***Tamar Gambashidze, Associate professor***
*Georgian technical university*

***asmat Pipia, PhD student***
*Georgian technical university*

## Critical Condition Analyze and risk Mechanism of Organization

**Summary**

The term «crisis management» has recently emerged with the beginning of economic reforms in Russia and with the gradual entry of the country into a state of crisis. Obviously, the economic crisis requires a new type of control, radically different from the management, to be implemented in stable conditions. The aggravation of the crisis in Russia has caused the need for policy crisis management. This special type of management received the name of crisis management. This raises the question of the need for crisis management as a practical activity, science and educational discipline after the country out of the crisis, because, of course, the economic crisis, how deep it was, and ever will be. Crisis management is a form control, which developed the mechanisms of foresight and monitoring of crisis, his analysis of the nature, likelihood, signs, application of methods to reduce negative effects of the crisis and the use of its results for the future a more sustainable development. The causes of the crisis the company can be many and diverse, since the company as an op en system is under the influence of factors of external and internal environments, objective and subjective. Obligatory element of the strategy and tactics of the company must be measures, programs, algorithms, behavior of this or that crisis phenomena that lead an active strategy on the market.

***Key Words:*** *economical collapse, financial activation, economical crisis, consulting communication, investment priorities*

*ღამბაშიძე თამარ, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# რისკების კლასიფიკაცია და შეფასების პრიორიტეტები

რეზიუმე

რისკების იდენტიფიცირება რომ მოვახდინოთ, ანუ რისკები რომ გამოვავლინოთ გვჭირდება ინფორმაცია. ამ ინფორმაციას სხვადასხვა მეთოდებით მოვიპოვებთ. ეს გახლავთ: ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერება; • ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის სქემები; • დოკუმენტების შესწავლა; • გასაუბრება ძირითად პერსონალთან. • ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერებით შეგვიძლია გამოვავლინოთ ხანძრის საფრთხე, ანუ ფიზიკური დათვალიერებით შევაფასოთ, თუ რამდენად დაცულია ორგანიზაციაში ხანძარსაწინააღმდეგო წესები. აგრეთვე შეგვიძლია გამოვავლინოთ ქურდობასთან, ძარცვასთან დაკავშირებული საფრთხეები, ანუ თუ რამდენად დაცულია შენობა. ამ დროს მნიშვნელოვანია შევაფასოთ არამარტო შიდა (თავად საწარმოსათვის), არამედ რისკის გარე ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ბუნებრივი გარემოს ზიანს. ორგანიზაციის ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის სქემებით შეგვიძლია გამოვავლინოთ წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიებზე ნაკლოვანებები, რა ნაკლვანებები შეიძლება არსებობდეს მიმწოდებლებთან და მყიდველებთან ურთიერთობებისას.

**საკვანძო ტერმინები:** რისკის მონიტორინგი, ინციდენტის იდენტიფიკაცია, კაპიტალური რესურსები, პროცენტული განაკვეთის დინამიკა, სადაზღვევო პრევენცია, უკანონო ქმედების რისკი.

## I. შესავალი

რისკების შეფასება ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ორგანიზაციის რისკების მართვის ჰოლისტიკურ პროცესში. რისკების მართვის პროცესი მოიცავს:

- რისკების იდენტიფიკაციას;
- რისკების შეფასებას;
- რისკებზე რეაგირებას;
- რისკებისმონიტორინგს.

პირველი ეტაპი რისკების მენეჯმენტში რისკების იდენტიფიკაცია და შეფასებაა. ორგანიზაციები ატარებენ რისკების შეფასებას, რათა განსაზღვრონ რა რისკები ახლავს თან მისი ძირითადი მისიის და ბიზნეს-ფუნქციების განხორციელებას, ბიზნეს-პროცესებს, პროცესების სეგმენტებს, ინფრასტრუქტურას, სერვისებს და ინფორმაციულ სისტემებს. რისკების შეფასება საფუძველია მრავალი რისკებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და აქტივობებისა, რომელიც მენეჯმენტის იერარქიის ყველა საფეხურზე მიიღება და ხორციელდება.

II. ძირითადი ნაწილი

რისკების შეფასების ეტაპი ოთხი საფეხურისაგან შედგება:

(1) შეფასებისათვის მომზადება;

(2) შეფასების ჩატარება;

(3) შედეგების გაცნობა შესაბამისი მხარეებისათვის:

(4) შეფასების მხარდაჭერა.

რისკების შეფასების ჩატარება მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ორგანიზაციის რისკების წყაროების იდენტიფიკაცია;
- ამ წყაროებიდან მომდინარე საფრთხის შემცველი ინციდენტების იდენტიფიკაცია;
- ორგანიზაციის იმ შიდა სისუსტეების იდენტიფიკაცია, რომელიც საფრთხის შემცველი წყაროების მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული.
- საფრთხის წყაროების მიერ სპეციფიკური საფრთხის შემცველი მოქმედებების ინიცირება
- მათი წარმატებით განხორციელების ალბათობის შეფასება;
- სისუსტეების გამოყენების შედეგად გამოწვეული საფრთხეების გავლენის შეფასება ორგანიზაციაზე, ადამიანებზე, სხვა ორგანიზაციებსა და ქვეყანაზე;
- სისუსტეების გამოყენების ან მათი გამოყენების მაღალი ალბათობის შედეგად შექმნილი ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების განსაზღვრა.

სამყაროში უამრავი რისკია. ზოგიერთი რისკი ცალკეულ ადამიანზე ახდენს გავლენას, ზოგი რისკი მთელს საზოგადოებას უქმნის საფრთხეს, ზოგიერთი სპეციფიკური რისკი მხოლოდ გარკვეული სფეროსა თუ საქმიანობაზე ახდენს გავლენას. რისკით განპირობებული ზარალის გამო დიდი მნიშვნელობა ენი-ჭება მისგან დაცვას, მისი შედეგების თავიდან აცილებას. რისკის და მისგან განპირობებული ზარალის აცილების ეფექტური საშუალებებია: რისკის მართვა და დაზღვევა. რისკის მართვა წარმოადგენს რისკის და მისი შედეგების თავიდან აცილების ან შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობას. რისკის მართვა ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, რადგან რისკის ზომა გავლენას ახდენს ადამიანის, ორგანიზაციის შემოსავლებთან.

**რისკის მართვის მიზანია** ადამიანზე ან ორგანიზაციაზე მოქმედი საფრთხეებზე აქტიური კონტროლი. იგი საშუალებას იძლევა რათა მინიმუმამდე შემცირდეს სხვადასხვა რისკების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალი, კატასტროფული დანაკარგების დადგომის ალბათობა. რაც უფრო მოულოდნელია რისკი მით უფრო მეტი რესურსია საჭირო მისი თავიდან აცილებისათვის ან მის მიერ განპირობებული შედეგების თავიდან აცილებისათვის. და რაც უფრო მეტი ცოდნა გვაქვს რისკის შესახებ, მით უფრო მეტი საშუალებაა მისი მართვისათვის. ამიტომ, რისკის მართვის პროცესი რაც უფრო ეფექტურად არის ორგანიზებული, მით უფრო ეფექტურია ადამიანის ან ორგანიზაციის საქმიანობა.

რისკის მართვის მაგალითებია: საგზაო ნიშნები, რომლებიც საზოგადოებას

აფრთხილებენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, ხანძრის ჩაქრობის სისტემების დამონტაჟება შენობაში, თანამედროვე სიგნალიზაციის სისტემების დაყენება ავტომობილებზე, პროფილაქტიკური სამედიცინო აცრები, რისკის მართვას და მის შედეგად საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება სხვადასხვა სახის საკანონმდებლო აქტების გამოცემა, მაგალითად, საგზაო მოძრაობის წესები, ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

**რისკის მართვა მრავალსაფეხურიანი პროცესია და შედგება სამი ეტაპისაგან:** რისკის ანალიზი; რისკის მართვა; კონტროლი.

რისკის მართვის სქემა: რისკის ანალიზი საწყის ეტაპზე ხდება რისკის ანალიზი. ამ დროს ხდება რისკის სტრუქტურის შესწავლა, მიმდინარე პერიოდში რისკის თვისებების, ხოლო მომავალში მისი შესაძლო ცვლილებების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღება.

რისკის ანალიზი წარმოადგენს რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას იმ საშიშროების მიხედვით, რომელიც შეიძლება ამ რისკმა გამოიწვიოს. აგრეთვე, სადაზღვევო შემთხვევის ფინანსური და ტექნიკური შედეგების პროგნოზირებას და წინასწარ განსაზღვრას.

**რისკის ანალიზის პროცესი იყოფა 2 ეტაპად:**

1. რისკების იდენტიფიკაცია
2. რისკის შეფასება.

რაც უფრო მაქსიმალურადაა გამოვლენილი, ანუ იდენტიფიცირებული რისკი, მით უფრო წარმატებით შეიძლება მისი მართვა. სწორედ ამაში მდგომარეობს რისკების იდენტიფიკაციის არსი.

რისკების იდენტიფიცირება გულისხმობს რისკების სისტემატურ გამოვლენას და შესწავლას, რომლებიც მოქმედებენ ადამიანზე, ორგანიზაციაზე, ანუ რისკების ხარისხობრივ აღწერას და განსაზღვრას.

რისკების იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია შესწავლილ იქნეს:

- საფრთხეები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი;
- ორგანიზაციის რესურსები, რომლებიც შესაძლოა დააზარალოს რისკებმა;
- ფაქტორები, რომლებაც შესაძლოა გაზარდონ ან შეამცირონ რისკების რეალიზაციის ალბათობა;
- რისკის რესურსებზე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალები.

რისკების იდენტიფიცირება იწყება იმ საფრთხეების დადგენით, რომელიც ემუქრება ორგანიზაციას, მის რესურსებს. ორგანიზაციის რესურსებს განეკუთვნება ქონება, კადრები, ფულადი კაპიტალი.

**ორგანიზაციის პერსონალის რესურსებთან დაკავშირებული რისკები მოიცავს ორი სახის პოტენციურ ზიანს.**

**პირველი,** ეს არის დამქირავებლის პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე და მომხმარებლის მხრიდან საწარმოს თანამშრომლების მიმართ პრეტენზიებზე.

**მეორე, ეს არის** გარე რისკები რომლებიც ეხება ცალკეული თანამშრომლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და უკავშირდება მათ მიერ თავიანთ სამსახუ-

რეობრივი მოვალეობის შესრულებას. კაპიტალური რესურსები მოიცავს პასუხისმგებლობის რისკებს და ფინანსურ რისკებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული პასუხისმგებლობასთან.

**პასუხისმგებლობის რისკები** წარმოადგენენ ფინანსური ზარალის რისკებს, რომლებიც გამოწვეულია პროდუქციის ხარისხზე, გამოყენებული ტექნოლოგიების ეკოლოგიური უსაფრთხოებაზე საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან.

**ფინანსური რისკები** დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ დანაკარგებთან, რომლებიც გამოწვეულია საწარმოს გაჩერებასთან, მყიდველის გადახდისუუნარობასთან, ასევე თაღლითობასთან, რაც არ არის იშვიათი ბიზნესში. მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს თუ რა რისკები ემუქრება საწარმოს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ რისკების რეალიზაციას. ეს რისკები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით: სტრატეგიული რისკები: ორგანიზაციის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებული რისკები, კაპიტალის არსებობა, პოლიტიკური გარემოს დინამიკა, კანონმდებლობის ცვლილებები, ბუნებრივი გარემოს ცვლილებები, რეპუტაცია და იმიჯი.

**ოპერაციული რისკები:** ორგანიზაციის ყოველდღიურ საკითხებთან დაკავშირებული რისკები.

**საფინანსო რისკები:** ორგანიზაციის ფინანსების მართვა, საკრედიტო საშუალებები, ვალუტის კურსის ცვლილება, პროცენტული განაკვეთის დინამიკა; საკანონმდებლო შესაბამისობის რისკები: კანონმდებლობასთან შესაბამისობა შრომის დაცვის, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ.

**ქონებრივი რისკები:** რისკები, დაკავშირებული შენობა-ნაგებობებთან, შიგთავსთან, საინფორმაციო და პროგრამულ უზრუნველყოფასთან, აღრიცხვის, საბუღალტრო-ფინანსურ დოკუმენტაციასთან, ფასიან ქაღალდებთან, ავტომობილებთან, საკომუნიკაციო საშუალებებთან.

**საინფორმაციო რისკები:** ინტელექტუალური საკუთრება, ინფორმაციის წყაროები, ინფორმაციის შენახვა და გამოყენება, ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიები.

**პასუხისმგებლობის რისკები:** უხარისხო პროდუქცია, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, მესამე პირთა ინტერესების შელახვა, მომატებულ საფრთხესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

**ბიზნეს რისკები:** წარმოების გაჩერება, მომარაგება, ლოჯისტიკა, კონკურენცია, მარკეტინგი. ადამიანური რესურსების რისკები: ტრავმა, ჯანმრთელობის გაუარესება, გარდაცვალება, უმუშევრობა, სოციალური ვალდებულებები.

**უკანონო ქმედებების რისკები:** თაღლითობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ინტელექტუალური საკუთრება, საინფორმაციო უსაფრთხოება.

რისკების იდენტიფიცირება რომ მოვახდინოთ, ანუ რისკები რომ გამოვავლინოთ გვჭირდება ინფორმაცია. ამ ინფორმაციას სხვადასხვა მეთოდებით მოვიპოვებთ. ეს გახლავთ: ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერება;

- ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის სქემები;
- დოკუმენტების შესწავლა;
- გასაუბრება ძირითად პერსონალთან.

ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერებით შეგვიძლია გამოვავლინოთ ხანძრის საფრთხე, ანუ ფიზიკური დათვალიერებით შევაფასოთ, თუ რამდენად დაცულია ორგანიზაციაში ხანძარსაწინააღმდეგო წესები. აგრეთვე შეგვიძლია გამოვავლინოთ ქურდობასთან, ძარცვასთან დაკავშირებული საფრთხეები, ანუ თუ რამდენად დაცულია შენობა. ამ დროს მნიშვნელოვანია შევაფასოთ არამარტო შიდა (თავად საწარმოსათვის), არამედ რისკის გარე ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ბუნებრივი გარემოს ზიანს. ორგანიზაციის ტექნოლოგიური პრო-ცესების უწყვეტობის სქემებით შეგვიძლია გამოვავლინოთ წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიებზე ნაკლოვანებები, რა ნაკლვანებები შეიძლება არსებობდეს მიმწოდებლებთან და მყიდველებთან ურთიერთობებისას. მაგალითად, როდესაც ორგანიზაციის მომარაგება ხდება ისეთი საქონლით, ან მასალით, რომლის მომარაგების არხები მონოპოლიზებულია, რაც ამცირეს სამეწარმეო თავისუფლების ხარისხს და ზრდის რისკს.

**დოკუმენტების შესწავლა** გულისხმობს ორგანიზაციის წლიური ანგარიშების და ბალანსების გაცნობას, კონტრაქტების შესწავლას, მათ შორის შენობის, მიწის, მოწყობილობა-დანადგარების საიჯარო ხელშეკრულებების შესახებ, ორგანიზაციის სადაზღვევო პოლისების, საგარანტიო შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

რისკების იდენტიფიცირების დროს მნიშვნელოვანია იმ მიზეზები და ფაქტორების მაქსიმალურად გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ რისკის რეალიზაციის ალბათობაზე. განასხვავებენ I და II რიგის ფაქტორებს. I რიგის ფაქტორები წარმოადგენენ რისკის გამომწვევ პირველად მიზეზებს. ხშირად, ისინი ობიექტურ ხასიათს ატარებენ და კონტროლს არ ექვემდებარებიან (სტიქიური უბედურებები, ავარიები და სხვა). II რიგის ფაქტორები გავლენას ახდენენ ზიანის წარმოშობის ალბათობაზე და მის სიდიდეზე. თავად, ისინი არ წარმოადგენენ ზიანის მიზეზებს. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად. ობიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება, მაგალითად, სამშენებლო მასალები, დამცავი სიგნალიზაციის არსებობა, ობიექტის ადგილსამყოფელი, ადამიანის ასაკი და სქესი. სუბიექტური ფაქტორები დაკავშირებულია ადამიანის თვისებებთან, ქცევის თავისებურებებთან. სწორედ ისინი ახდენენ გადამწყვეტ გავლენას რისკობრივ სიტუაციაზე.

რისკების იდენტიფიკაცია აგრეთვე გულისხმობს საფრთხეების მიზეზების დადგენას. **საფრთხეების მიზეზები** შეიძლება იყოს შიდა და გამომდინარეობდეს თვითონ საწარმოსაგან, ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს გარე ფაქტორებით.

**შიდა რისკები** ისეთი საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნენ თა-ვად ორგანიზაციის მიერ დაშვებული შეცდომებით, პერსონალის არასაკმარისი გაცნობიერებულობით, ან ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისათვის საჭირო საშუ-ალებების ნაკლებობით.

**გარე რისკებს** განეკუთვნებიან ისეთი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სტიქიურ უბედურებებთან ან საწარმოსათვის მნიშვნელოვანი კლიენტების გადახდისუუნარობასთან. რისკის იდენტიფიცირების შემდეგ ხორციელდება რისკების შეფასება. რისკის შეფასება, ანუ რისკების გაზომვა გულისხმობს გამოვლენილი რისკების რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრას: შესაძლო ზარალის ალბათობის და ზომის შეფასებას. ამ ეტაპზე ხდება არასასურველი სიტუაციების განვითარების სცენარების ფორმირება. რისკის გაზომვის მეთოდებია:

- რისკის ალბათობის შეფასება;
- რისკების რანგირება, დახარისხება რისკის ალბათობის შეფასება გულისხმობს, თუ რა არის ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები, და რა ალბათობით დადგება ეს რისკები.

ამისათვის საწარმოს მფლობელი აანალიზებს თუ რამდენად ხშირი იყო ესა თუ ის მოვლენა მის საწარმოში. მაგალითად, რამდენად ხშირად ხდებოდა ხანძრები, რამდენად ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან საჭირო მოწყობილობა, იყო თუ არა განმეორებითი ძარცვები და ა.შ. თუ რომელიმე რისკი ყველაზე უფრო ხშირად დგება, მაშინ ცხადია, მისი რეალიზების ალბათობა ყველაზე დიდია და სწორედ ეს რისკი არის ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე. ასეთი შეფასება გვჭირდება იმისათვის, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ საფრთხეებს და ამით უკეთ ვმართოთ რისკი. ამ დროს სასურველია შესაძლო დანაკარგების შეფასება. ჩვეულებრივ იგი ტარდება ქონების დაზიანების და ამ დაზიანების შედეგად საწარმოს გაჩერების დროს. პირველი არის ქონებრივი დანაკარგი, ხოლო მეორე ფინანსური დანაკარგი და გამოიხატება საქონლის ან მომსახურების წარმოების მოცულობის შედეგად შემოსავლების დაკარგვით. ამასთან, პირდაპირი ზიანის გარდა არსებობს არაპირდაპირი ზარალის უამრავი ფორმები, რომლებზეც, როგორც წესი, არ ვრცელდება დაზღვევა.

**რისკების რანჟირება არის რისკის ანალიზის მარტივი მეთოდი.** იგი გულისხმობს რისკების ანალიზს მათი რაოდენობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით, კერძოდ, ვაანალიზებთ ზარალის ზომას, ანუ შესაძლო ზარალის ზომის მიხედვით რომელია უფრო სერიოზული, და რომელია - ნაკლებად სერიოზული, რომელია უფრო სავარაუდო, და რომელია ნაკლებად სავარაუდო.

რისკების შეფასებისას მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს რისკების დაჯგუფება შესაძლო დანაკარგების სიდიდის და ჯერადობის მიხედვით.

შესაბამისად, რისკები შეიძლება გაიზომოს ხარისხობრივად: მაღალი, საშუალო და დაბალი რისკი.

**მაღალი რისკი** - არსებობს რისკის ყოველწელს დადგომის ალბათობა ან ალბათობა მეტია 25 %-ზე; რისკები არსებით გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე; რისკები განაპირობებენ ამა თუ იმ სუბიექტის არსებობის საფუძვლების განადგურებას (მაგალითად, ხანძრის შედეგად საწარმოს სრული განადგურება);

**საშუალო რისკი** - არსებობს რისკის დადგომის ალბათობა 10 წლის

განმავლობაში, ან ალბათობა ნაკლებია 25 %-ზე; რისკები ზომიერ გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე; რისკები ემუქრებიან ამა თუ იმ სუბიექტის არსებობის საფუძვლებს (მაგალითად, საწარმოში ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა ან მსხვილი კლიენტის დაკარგვა);

**დაბალი რისკი** - პრაქტიკულად არ არსებობს მოვლენის დადგომის ალბათობა 10 წლის განმავლობაში, ან ალბათობა ნაკლებია 2 %-ზე; რისკები სუსტ გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასა და საქმიანობაზე; რისკები ზეგავლენას არ ახდენენ ამა თუ იმ სუბიექტის არსებობის საფუძვლებზე (მაგალითად, ქარის შედეგად შენობის ფანჯრების ჩამტვრევა). შესაძლო დანაკარგების სიდიდისა და ჯერადობის თანაფარდობა შეიძლება შემდეგნაირადაც განვიხილოთ.

დაბალი რისკი, როდესაც დანაკარგები ხშირია, მაგრამ მცირე ზომის. საშუალო რისკი - დანაკარგები ნაკლები სიხშირისაა, მაგრამ სიდიდით უფრო სერიოზულია. მაღალი რისკი - კატასტროფული, საკმაოდ იშვიათი დანაკარგები. თუ პირველი და მეორე ტიპის დანაკარგებზე საწარმო საკუთარ შესაძლებლობებს ეყრდნობა, იგივე შეუძლებელია კატასტროფული დანაკარგების დროს. მისი სერიოზული ხასიათი საფრთხის წინაშე აყენებს საწარმოს არსებობას, ხოლო დანაკარგების შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსები შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ გარე დაზღვევის საფუძველზე. ზარალი შეიძლება გავზომოთ დაკარგული ან დაზიანებული ტექნიკის ნაცვლად შეძენილი ახალი ტექნიკის თანხით, აგრეთვე საწარმოს მოგების დანაკარგით. დანაკარგების ალბათობა და მისი ხასიათის სერიოზულობა ფასდება კოეფიციენტების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავენ ექსპერტები წარსული გამოცდილების საფუძველზე.

## III. დასკვნა

ძირითად პერსონალთან გასაუბრებით შეგვიძლია პერსონალთან პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით გამოვავლინოთ ის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, საწარმოო პროცესთან, პროდუქტების რეალიზაციასთან. ამ მეთოდით შესაძლებელია რისკის შეფასება დინამიკაში და მისი პროგნოზირება. თუმცა ასეთი სახის შეფასებები სუბიექტურია, რადგან სხვადასხვა პირი სხვადასხვანაირად აცნობიერებს რისკს.

**ლიტერატურა:**


1. ჩაგელიშვილი პ. დ., ჩაგელიშვილი ლ. პ. – ოპერაციული მენეჯმენტი; თბ. 2008
2. Антонов В.Г.. Крылов В.К., Кузьмичев А.Ю. и др - Корпоративное управление, М.2006
3. Балдин К.В., Антикризисное управление., Питер. 2006
4. Rosenbloom Bert Marketing Channels : A Management Viev, 2003
5. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors by Michael E. Porter (Hardcover - June 1, 2008

6. World Class Production and Inventory Management by Darryl V. Landvater - Business & Economics – 2007

***Tamar Gambashidze, Associate professor***
*Georgian technical university*

***Asmat Pipia, PhD student***
*Georgian technical university*

## Risk Qualification and Estimation Priorities

## Summary

In the world of finance, risk management refers to the practice of identifying potential risks in advance, analyzing them and taking precautionary steps to reduce/curb the risk. When an entity makes an investment decision, it exposes itself to a number of financial risks. The quantum of such risks depends on the type of financial instrument. These financial risks might be in the form of high inflation, volatility in capital markets, recession, bankruptcy,etc. So, in order to minimize and control the exposure of investment to such risks, fund managers and investors practice risk management. Not giving due importance to risk management while making investment decisions might wreak havoc on investment in times of financial turmoil in an economy. Different levels of risk come attached with different categories of asset classes. For example, a fixed deposit is considered a less risky investment. On the other hand, investment in equity is considered a risky venture. While practicing risk management, equity investors and fund managers tend to diversify their portfolio so as to minimize the exposure to risk.

***Key Words:*** *risk monitoring, incident identification, capital resources, percentage rate dynamics, insurance prevention, risk of illegal action.*

*თენგიზ ცაგარეიშვილი*
*ბიზნესის ადმინისტრირების აკად. დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ეკონომიკური ინფორმაცია და მისი როლი მენეჯმენტში

რეზიუმე

ჩვენს დროში, ინფორმაციის როლი და ხასიათი იზრდებოდა და იზრდება. ამიტომ კარგ მენეჯერად შეიძლება ჩაითვალოს ის, ვინც კარგად იცის ინფორმაციის როლის მნიშვნელობა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. საინფორმაციო სისტემის ფორმირებას ფსიქოლოგიური ასპექტიც გააჩნია. საქმე ისაა, რომ განსაზღვრულ ეტაპზე დგება ისეთი მომენტი, როცა მენეჯერს არ ძალუძს აღიქვას და გადაამუშაოს ინფორმაციის მთელი ნაკადი. ადამიანის შესაძლებლობები შეიძლება გაიზარდოს, თუ საინფორმაციო სისტემების შექმნის დროს გამოყენებული იქნება ინფორმაციაზე მუშაობის ეფექტურობის ზრდის არა მარტო ინჟინრული მეთოდები, არამედ საინჟინრო ფსიქოლოგია და ეკონომიკა, აგრეთვე ტექნიკური ესთეტიკისა და დიზაინის მიღწევები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემების დამუშავების ინტეგრირებული სისტემების დანერგვას, რომელიც ითვალისწინებს ყველა მმართველობითი ოპერაციის დანაწილებას შემოქმედებით და რუტინულ ინფორმაციებად, ინფორმაციის დამუშავების მოდელირებას და მონაცემების დამუშავების ცენტრალიზაციას. ყოველივე ეს იძლევა გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის მაღალეფექტური გამოყენების საშუალებას.

*საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი. კომუნიკაცია. ინფორმაცია.*

## I. შესავალი

მენეჯმენტი, როგორც პროცესის ელემენტები (მართვის სისტემა, ფუნქციები და მეთოდები და ა. შ.) რომ ამოქმედდნენ, საჭიროა მათ შორის კავშირის კომუნიკაციის დამყარება. კომუნიკაციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მენეჯმენტის ცალკეული ელემენტების დამაკავშირებელი საშუალებებია, კერძოდ ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის (სტიმულირების) კოორდინაციისა და ა.შ. ფუნქციებს. მოჰყავთ ისინი მიზანმიმართულ მოძრაობაში. მენეჯმენტი თავის საქმიანობაში გეგმავს, აკონტროლებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი, რომლის შედეგად მენეჯერი იღებს ეფექტური გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ ინფორმაციას და დაჰყავს მიღებული გადაწყვეტილება მართვის ობიექტზე – შემსრულებელზე. თუ კომუნიკაცია მოუგვარებელია, მიღებული გადაწყვეტილებანი შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს, შემსრულებელი ვერ ან არასწორად გაიგებს

დაყვანილ დავალებას და ცხადია, შედეგიც არასასურველი იქნება. კომუნიკაციური სისტემის მაღალეფექტური ფუნქციონირება არსებითად განაპირობებს მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხს და მისი შესრულების გარანტიას იძლევა.

მენეჯმენტის პროცესი ყოველთვის გულისხმობს კომუნიკაციურ არხებსა და მასში ინფორმაციის მოძრაობას. მართვის სუბიექტი ობიექტისაგან კომუნიკაციური არხებით იღებს ინფორმაციას დაყვანილი დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ, გამოიმუავებს ახალ გადაწყვეტილებას და მას გადასცემს ობიექტს შესასრულებლად. ამგვარად ინფორმაცია არის სუბიექტსა და ობიექტს შორის კავშირის ფორმა.

ინფორმაცია ლათინური ტერმინია (information) და ნიშნავს „განმარტებას" „შეტყობინებას". ინფორმაცია დამახასიათებელია მართვის ნებისმიერი (ცოცხალი, არაცოცხალი და სოციალური) სისტემისათვის. სოციალურ სისტემას, სხვა სისტემისაგან განსხვავებით, ახასიათებს ინფორმაციის არა მარტო გაცემა და შენახვა, არამედ მის მიღება, შენახვა, შეგნებული გადამუშავება და მიზანმიმართული გამოყენება.

ყველა ტექნოლოგიურ პროცესს თან ახლავს ინფორმაციული ნაკადების წარმოშობა და მიმართვა – მოძრაობა. წარმოების პროცესში ცოცხალი ძალის, მატერიალური რესურსების ნაკადთან ერთად მოძრაობს ინფორმაციის ნაკადიც, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობს უკუინფორმაციასაც – დავალებათა შესრულების ან მიმდინარეობის შესახებ ცნობებსა და ანგარიშებს. ინფორმაციას ეკუთვნის ყველა სახის ცნობები (ზეპირი, წერილობითი, გრაფიკული და ა. შ.), რომლებიც აუცილებელია მენეჯმენტის ფუნქციების შესასრულებლად და შედგება შესაბამისი სიმბოლოებისაგან (ხმები, სიგნალები, ციფრობრივი და ანბანური ნიშნები, პირობითი აღნიშვნები და სხვ.).

## II. ძირითადი ნაწილი

პრაქტიკულ ცხოვრებაში ნებისმიერი ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით არსებობს და გადაიცემა – ზეპირი მეტყველებით, მაგნიტური ჩანაწერით, აღმრიცხველი ტექნიკის ჩვენებით, წერილობითი დოკუმენტებით, პერფოკარტებით, ტელექსით და ა. შ.

ორგანიზაციის საქმიანობა და მისი პოტენციური შესაძლებლობანი განისაზღვრება არა მარტო შრომითი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დონით, არამედ მისი ინფორმაციული ბაზით, გამოყენების უნარით და შესაძლებლობებით.

არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში მენეჯერი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ მას არა აქვს საკმარისი ინფორმაცია ზემოქმედების ობიექტის შესახებ, იგი ვერ შეძლებს წარმოების პროცესის ღრმა ანალიზს. ასეთ პირობებში, ცხადია, მენეჯერის გადაწყვეტილებები ნაკლებად ეფექტურია. რაც

უფრო გაურკვეველია მოვლენათა შედეგი, მით უფრო დიდი იქნება მიღებული ინ-ფორმაცია, ხოლო თუ მოვლენის შედეგი ცნობილია, მიღებული ინფორმაცია ნულს უტოლდება. ინფორმაციის თეორიაში მოვლენის შედეგის გაურკვევლობის დონეს ენტროპიას უწოდებენ.

ინფორმაციის ხარისხზე მოქმედებს ე.წ. ინფორმაციული ბარიერები, რომლებიც იწვევენ მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებას. ასეთი ბარიერებია: გეოგრაფიული, უწყებრივი, ეკონომიკური, ტექნიკური, ტერმინოლო-გიური და ფსიქოლოგიური.

აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად ინფორმაციის ხარისხს განაპირობებს საჭირო ინფორმაციის დროული შემოსვლა (მიღება). ამერიკელი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მენეჯმენტის პრაქტიკაში თუნდაც არასრული ინფორმაციის დროულ, ოპერატიულ მიღებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ძალზე დიდი სიზუსტით შედგენილი ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებას.

მიღებული ინფორმაციის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს მისი სიღრმე, სისრულე და საწარმოს წინაშე დასმულ ამოცანებთან შესაბამისობის დონე. გარდა ამისა, ინფორმაციული მასალის ხარისხს განსაზღვრავს მისი შემოსვლის უწყვე-ტობა და სისტემატურობა, მენეჯმენტის ციკლის უზრუნველყოფა.

თანამედროვე კიბერნეტიკის შემადგენელი ნაწილია ინფორმაციის თეორია, რომლის თანახმადაც არ არსებობს აბსოლუტური ინფორმაცია. იგი მხოლოდ ერთი რომელიმე ობიექტის ან მოვლენის შესახებ შეიძლება იყოს. გარდა ამისა, ინფორმაციას ყველა ცნობა და მონაცემები როდი შეიცავს. ინფორმაცია არის ცოდ-ნის ის ნაწილი, რომელიც ამცირებს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შედეგის მოულოდნელობით ხარისხს.

მენეჯმენტის სისტემაში მოძრავი ინფორმაცია მრავალნაირია. მისი სის-ტემატიზაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება.

1. წარმოების რიგითობის მიხედვით – პირველადი და წარმოებული.
2. ინფორმაციის მატარებლის მიხედვით – დოკუმენტირებული და არა დოკუმენტირებული, ანუ ოფიციალური და არაოფიციალური.
3. დანიშნულების მიხედვით – დირექტიული, საანგარიშგებო და საცნობარო - ნორმატიული.
4. მოძრაობის მიმართულების მიხედვით – შემოსული და გასული.
5. სტაბილურობის მიხედვით – პირობითად ცვალებადი და პირობითად სტაბილური.
6. გამოსახვის საშუალებათა მიხედვით – ტექსტობრივი (ანბანური, ანბანურ-ციფრობრივი) და გრაფიკული (ნახაზები, დიაგრამები, სქემები, გრაფიკები)
7. დამუშავების ხერხის მიხედვით – ექვემდებარება ან არ ექვემდებარება მექანიზებულ დამუშავებას.

ინფორმაცია სახეებისა და წყაროების მიხედვით არის: ეკონომიკური, სა-

წარმოო, ტექნიკური, მეცნიერული. შინაარსის მიხედვით – რაოდენობრივი, ხარისხობრივი და ა.შ.

ეკონომიკური ინფორმაცია მოიცავს ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ფინანსური დაგეგმვის, პირველადი ოპერატიული და საბუღალტრო აღრიცხვის, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა ანალიზის მონაცემებს.

თვით ეკონომიკური ინფორმაცია, მენეჯმენტის ფუნქციებში მისი გამოყენების მიხედვით, შეიძლება დაიყოს შემდეგ ინფორმაციებად: სააღრიცხვო, რომელიც ასახავს მოვლენის განვითარების მდგომარეობას, გეგმიური, რომელშიც აისახება მოსალოდნელი მოვლენა, ნორმატიული და ანალიზურ-საპროგნოზო, სადაც აისახება, ამჟამად მიმდინარე და მომავალში მოსახდენი მოვლენა.

სააღრიცხვო ინფორმაცია თავის მხრივ არის: საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერატიულ-ტექნიკური. საბუღალტრო ინფორმაციის თავისებურება ისაა, რომ აქ ასახულია მოვლენა, რომელიც ნამდვილად მოხდა, ამავე დროს ეს ინფორმაცია ასახავს ფაქტს, რომელიც დიდი ხანია რაც მოხდა. ამიტომ საბუღალტრო ინფორმაციის ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროა რაც შეიძლება შემოკლდეს მოვლენის მოხდენასა და მის ასახვა-გაფორმებას შორის დროის ინტერვალი.

საწარმოს მენეჯმენტში ოპერატიულ-ტექნიკური ინფორმაციის მნიშვნელობა მეტად დიდია. იგი საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში გადახვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. საბუღალტრო ინფორმაციისაგან განსხვავებით, ამ ინფორმაციას არ მოეთხოვება დოკუმენტური (ოფიციალური) გაფორმება და შეიძლება გადაცემული იქნეს ზეპირი მოსმენებით, ტელეფონით.

ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა სახეები მენეჯმენტში ერთნაირ როლს როდი ასრულებენ. მაგალითად, საგეგმო და ნორმატიული ინფორმაცია უშუალოდაა დაკავშირებული წარმოებასთან (საწარმოო ინფორმაციის საშუალებით), ხოლო ბუღალტრული, სტატისტიკური და ოპერატიულ-ტექნიკური ინფორმაცია უზრუნველყოფს უკუკავშირებს. სამრეწველო საწარმოებისა და დარგების ეკონომიკური ინფორმაციის მთლიან მოცულობაში პირდაპირი კავშირის ინფორმაციის ხვედრითი წილი შეადგენს 25%-ს ხოლო უკუკავშირების ინფორმაციისა – 75%-ს.

ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მენეჯმენტში გამოიყენება, მთლიანობაში არის საინფორმაციო სისტემა. ეს სისტემა ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციათა რთული ერთობლიობაა თავისი კომუნიკაციური არხებითა და იერარქიული დონეებით. იგი მოიცავს ქვესისტემებს თავისი წყაროებისა და არხებით, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავებისა და გამოყენების მეთოდებით.

### III. დასკვნა

მეცნიერულად დასაბუთებული საინფორმაციო სისტემის შექმნა წარმოების მენეჯმენტის რაციონალური ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა. ეს

სისტემა ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს საბუღალტრო, სტატისტიკური და სხვა პერიოდული ინფორმაციის მოძრაობის გრაფიკის შედგენას, მათი შემსრულებლებისა და წარდგენის ვადების ჩვენებით, საქმეების ნომენკლატურათა სიას, დოკუმენტმოძრაობის საერთო სქემასა და ორგტექნიკის საშუალებებზე მოთხოვნილებას.

საინფორმაციო სისტემის ფორმირებას ფსიქოლოგიური ასპექტიც გააჩნია. საქ-მე ისაა, რომ განსაზღვრულ ეტაპზე დგება ისეთი მომენტი, როცა მენეჯერს არ ძალუძს აღიქვას და გადაამუშაოს ინფორმაციის მთელი ნაკადი. ადამიანის შესაძ-ლებლობები შეიძლება გაიზარდოს, თუ საინფორმაციო სისტემების შექმნის დროს გამოყენებული იქნება ინფორმაციაზე მუშაობის ეფექტურობის ზრდის არა მარტო ინჟინრული მეთოდები, არამედ საინჟინრო ფსიქოლოგია და ეკონომიკა, აგრეთვე ტექნიკური ესთეტიკისა და დიზაინის მიღწევები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მონაცემების დამუშავების ინტეგრირებული სისტემების დანერგვას, რომელიც ითვალისწინებს ყველა მმართველობითი ოპერაციის დანაწილებას შემოქმედებით და რუტინულ ინფორმაციებად, ინფორმაციის დამუშავების მოდელირებას და მონაცემების დამუშავების ცენტრალიზაციას. ყოველივე ეს იძლევა გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის მაღალეფექტური გამოყენების საშუალებას.

ლიტერატურა:


1. აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., თსუ. 2001
2. ასათიანი რ. მენეჯმენტი, საქართველოს აგრარული უნივერსისტეტი, თბ., 1995.
3. ბაბუნაშვილი გ., მღებრიშვილი ბ. , შუბლაძე გ., მენეჯმენტი თბილისი 1998.
4. ბარათაშვილი ე., მესტვირიშვილი გ. ჯავახაძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 1993.
5. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.
6. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.

*Tengiz Tsagareishvili*
*Georgian Technical University*

# The economic information and its role in management

## Summary

In our times the information volume and the character grew up in and continues to growing as much, That people, no matter how clever, are powerless, store as much the necessary information for the case and is always willing to have his memory of the necessary data, facts. Therefore, a good manager is not the one who knows everything, and much to could remember, But also a the one who can use modern information media, who are always ready for the the exploration and advancement. Enterprise information about is moving inside vertical subordination levels through the system. Such a movement creates a in information flows a relevant an organizational structure of communication system and structure with its hierarchical levels. Thus the communication system can be vertical and horizontal, high, medium and low-level, organizational system in the same way, information about is moving vertically - from below and from the top down.

***Key words:*** *Management. Communication. Information.*

*ინგა გიგაური, ასისტენტ-პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თემურ კუკავა, სტუდენტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# სახელმწიფოს ფინანსური სისტემის რეფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები

რეზიუმე

ცხოვრების დონესა და მათ ეკონომიკურ პირობებს ყველაზე მეტად სწორედ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა განაპირობებს.მილიონობით ადამი-ანის სტაბილურობა და მათი პირობების გაუმჯობესება ფინანსების განმტკიცებაზეა უშუალოდ დამოკიდებული. დემოკრატიული საქართველოს წინაშე მდგარი ფინანსურ-საბიუჯეტო პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური სისტემის რეფორმირებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი საგადასახადო სფეროა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობასა და ოპტიმალური საინვესტიციო კლიმატის შექმნას.იმ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე,უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუძემდებლური მიზანი უნდა გახდეს ეკონომიკის დინამიური რესურსებით უზრუნველყოფა; წარმოების საერთო დონის ამაღლების საფუძველზე - სრული დასაქმების მიღწევა და ინფლა-ციის შეზღუდვა. უნდა აღინიშნოს, მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით ჩვენში მაღალი საპროცენტო განაკვეთი ხელს უშლის ქვეყანაში მეწარმეობის(ბიზნესის), მრეწველობის განვითარებას. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ხელს შეუწყობდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას,დასაქმდებოდა უფრო მეტი ადამიანი, შევი-დოდა ბიუჯეტში ფული და ფულად-საკრედიტო სისტემა უფრო მტკიცე იქნებოდა.

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია; საგადასახადო სფერო, ფულად-საკრედიტო, ფისკალური პოლიტიკა, ფინანსური ბაზარი.*

## I. შესავალი

იმისათვის,რომ ქვეყნის ფინანსური სისტემა დადგეს რეალური ეკონომიკის აღორძინების სამსახურში,აუცილებელია ამ სისტემის ტრანსფორმაცია განხორცი-ელდეს ეროვნული ეკონომიკის ყველა სეგმენტის რეფორმირების პარალელურად. ამოცანა იმაში მდგომარეობს,რომ საქართველოს ფინანსური სისტემის ფისკალუ-რი, მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციები საბიუჯეტო-საგდა-სახადო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფას ემსახურებოდეს,რომ ისინი უფრო ეფექტურად ახდენდნე ფინანსური რესურსების მობილიზაციას და მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად გამოყენებას.

საგადასახადო განაკვეთების შემცირებით სახელმწიფო შექმნის ახალ, დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გასაფართოებლად, რითაც ქვეყნის საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბოლოო ჯამში კი საგადასახადო ბაზის გაფართოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები დაეცემა. შეიზღუდება საგადასახადო ბაზა, რითაც ბიუჯეტის დეფიციტის ხანგრძლივი შენარჩუნების პირობები შეიქმნება. საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამასთან, ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილით მას შეუძლია გააფართოვოს საწარმოო სიმძლავრეები, დანერგოს წარმოებაში უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციისა და გარდაქმნების გზები და საშუალებები რადიკალურად შეიცვალა ,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ პერიოდში.ახალმა ხელისუფლებამ ფინანსური სისტემის რეფორმის ძირითად მიზნად დასახა ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული ეკონომიკის შემოსავლის ეფექტიან განაწილებას და გადანაწილებას. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მიღწეული წარმატებების პარალელურად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაკლოვანებები,რომლებიც ბიუჯეტის შედგენა-შესრულების პროცესს ახასიათებდა.

მიუხედავად იმისა,რომ 2004-2005 წლებში შენარჩუნებულ იქნა ინფლაციის დაბალი ტემპი,მას შემდეგ 13 წელი გავიდა და ქვეყნის ფინანსური სისტემა დღემდე მკვეთრი რეცესიული პროცესებით ხასიათდება. მთელი რიგი სამამულო ნაწარმისა და მოსახურების ფასები (ტარიფები) იზრდება, რაც კიდევ უფრო აუარესებს მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების დონეს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალი უნდა გახდეს რეალური, მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სოციალურად ორიენტირებულ მეურნეობრიობაზე გადასვლა. ამ ამოცანების სარეალიზაციოდ საჭიროა ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება,სოციალური პოლიტიკის რაციონალიზაცია და ეფექტიანობის ამაღლება,საკუთრების სამართლებრივი უზრუნველყოფა და საგარეო ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ სფეროებში ეროვნული ინტერესების დაცვა.

## II. ძირითადი ნაწილი

ქვეყნის ახალი ფინანსური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ფინანსური ბაზრის შექმნა, რომლის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში ფულადი საშუალებების თავისუფალი მოძრაობა. მისი ფორმირება საშუალებას იძლევა შეიქმნას მოქნილი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციასა და მის გადანაწილებას ეროვნული მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე.

ამრიგად, კერძო საკუთრებაზე აგებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეროვნული ეკონომიკის ფინანსური რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა წარმოებს ფინანსური ბაზრის მეშვეობით. იგი არის ეროვნულ მეურნეობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა და ფუნქციონირებს, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის, ისე სასესხო კაპიტალის ბაზრის სახით. ფასიანი ქაღალდების კურსში ასახვას ჰპოვებს წარმოების განვითარების მოთხოვნები და იგი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების გადანაწილებას დარგებს შორის. საფონდო ოპერაციების განვითარება საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში. მის საფუძველზე ხდება საზოგადოებრივი საკუთრების დეცენტრალიზებული მართვის მექანიზმის თანდათანობითი ფორმირება, რაც დაემყარება სპეციალიზებულ საფინანსო დაწესებულებებს - საბროკერო და საინვესტიციო კომპანიებს, სასაქონლო ბირჟების საფონდო განყოფილებებს, საფონდო ბირჟებს. ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად მაკროეკონომიკური და განსაკუთრებით სამრეწველო პოლიტიკის მიზნებთან, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ფისკალური პოლიტიკა იქცეს ისეთ ინსტრუმენტალურ პოლიტიკად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება სწრაფად და სრულად მიღწეული იქნას გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლები. ამისათვის საჭიროა დასახული იქნას ისეთი ფისკალური მაჩვენებლები, რომლების მიღწევის შემთხვევაში ერთდროულად დავაკმაყოფილებთ მრეწველობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნებს. ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით გრძელვადიანი მაკროეკონომიკური მიზნობრივი მაჩვენებლების განხორციელება გულისხმობს: პირველი, „ფარული იმპორტის" შემცირების ღონისძიებებს; მეორე, საგადასახადო სისტემის ორგანოებში კორუფციის შემცირებას; მიუხედავად იმისა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი ძველთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია, იგი დაზღვეული არ არის მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი დებულებებისაგან. საგადასახადო კოდექსში საკმაო რაოდენობის ორმაგი შინაარსის მუხლებია, რომლებიც ართულებენ მეწარმისა და ხელისუფლების ურთიერთობას. ისმის კითხვა: ახალმა საგადასახადო კოდექსმა რამდენად შეუწყო ხელი მეწარმეობის განვითარებას? სამწუხაროდ დადებითი შედეგები უმნიშვნელოა. ხელისუფლებამ აღიარა, რომ დაბალი გადასახადები ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს, თუმცა ფისკალური ინსტრუმენტები სახელმწიფო პოლიტიკის სხვა დარგებს არ მოარგეს. უკიდურესად ლიბერალური ეკონომიკური პროგნოზიდან გამომდინარე, საგადასახადო სისტემა არ გამოიყენეს ცალკეულ სექტორებსა და რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ეს სისტემა არ იქნა გამოყენებული საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად. მაგალითად, სიღარიბის დასაძლევად, ურბანული განახლებისათვის და დეცენტრალიზაციის რეფორმების გასატარებლად.

განსაკუთრებული სირთულეები აქვთ მუშაობაში მცირე მეწარმეებს (100 ათას

ლარამდე ბრუნვის პირობებში), რომლებსაც ძველი კოდექსის მიხედვით 5%-იანი ბრუნვიდან უნდა გადაეხადა გადასახადი, მაგრამ ახალმა საგადასახადო კოდექსმა მცირე მეწარმეებს ეს შეღავათი გააუქმა და ერთიდა იმავე განაკვეთით უნდა გადაიხადოს აბსოლიტურად ყველა გადამხდელმა, როგორც ამას იხდის მსხვილი ბიზნესმენი. სახელმწიფო სექტორში მიზნობრივი დაფინანსების მექნიზმის დანერგვა, ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსების, აღსრულების კონტროლის მწყობრ სისტემაზე გადასვლა ნიშნავს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანდათანობით ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას. საქართველოში იმ წესების დანერგვისათვის პირობების შექმნას, რომლებიც მიღებულია მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში; (მაგალითად, მრეწველობის რომელიმე დარგის რესტრუქტურიზაცია ან სანაცია). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა ასევე მნიშვნელოვნად ამაღლდება, თუ დღესდღეობით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების კოორდინაცია მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის განხორციელდება.

ქვეყანაში ფისკალური სფეროს გაჯანსაღებისათვის მრავალი მიმართულება არსებობს, რომელთაგანაც ჩვენ უფრო ეფექტიანად შემდეგი ღონისძიებების გატარება მიგვაჩნია მიზანშეწონილად: პირველი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის პირობების შექმნა. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესები მოითხოვს მხარდაჭერის ღონისძიებათა არეალის გაფართოებას. კერძოდ, უნდა განხორციელდეს:

1. საგადასახადო რეჟიმის კიდევ უფრო გამარტივება საგადასახადო ტვირთის შენარჩუნებით,
2. დაკრედიტების ისეთი ფორმების განვითარება, რომლებიც ხელს უწყობენ რისკების შემცირებას ტრადიციულ საბანკო სესხთან შედარებით. უპირველესად ეს ეხება ლიზინგს;
3. მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა დელიცენზირების, სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის, კონტროლისა და სანქციის მოწესრიგების მიზნით;

მეორე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტი-ციების კლების ტენდენციები შეინიშნება, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია:

1. სახელმწიფო რეგულირების არარაციონალური პოლიტიკით,
2. დეპრესიული ეკონომიკური ფონით, რომლის გამოსწორებაც შესაძლებე-ლია გონივრული რეგიონალური ინტეგრაციით, საინვესტიციო გარანტი-ებით და საგადასახადო შეღავათებით;
3. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, მაკროეკონომიკური და სხვა სახის რისკებით, რაც შეიძლება აღმოფხვრილი იქნეს მდგრადი მაკროეკონომი-კური პოლიტიკის შენარჩუნებით;
4. კერძო და საჯარო ეროვნული დანაზოგების დაბალი დონით, საკრედიტო რესურსებზე სარგებლის მაღალი განაკვეთით. აღნიშნული ნაკლოვანება-ნის გამოსწორება შესაძლებელია დაზოგვის საგადასახადო წახალისებით,

ანაბრების დაზღვევის სისტემის შექმნით, კონფიდენციალურობისა და ბანკებისადმი ნდობის განმამტკიცებელი ღონისძიებების გატარების მეშვეობით, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების საქმინაობის წახა-ლისების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზის შექმნით, კომერციული ბანკებისათვის ფულის მიწოდებით, საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის ამოქმედებისა და რაც მთავარია მნიშვნელოვანი საინვესტიციო ბიუჯეტის დაგეგმვის საფუძველზე.

საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამო-ყენების ანალიზმა ასევე დაგვანახა, რომ მათ შორის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენს ოპერაციები ღია ბაზარზე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული მოწმობს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ინსტრუმენტის შემდგომი სრულყოფისა და ფარ-თოდ დანერგვის მიზნით განგვეხილა მისი ფუნქციონირების მექანიზმი, რომელიც გამოიყენება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ემისია განიხილება ფართო და ვიწრო გაგებით. კერძოდ, ცენტრალიზებული ემისია ფართო გაგებით გამოიყენება, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტი, ხოლო ვიწრო გაგებით - ფულის მიმოქცევაზე მოქმედი და ფულადი მასის მოცულობის მართვის მექანიზმი, როგორც- სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის არაემისიური დაფინანსების საშუალება, ასევე-მოსახლეობისა და საწარმოების დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზების და მის ხარჯზე ქვეყნის წინაშე მდგარი სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობა.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება,რომ განუვითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მეორე მხრივ კი, საპროცენტო განაკვეთების დინამიკა უფრო მეტად არის დამოკიდებული სტრუქტურულ ფაქტორებზე, ვიდრე მონეტარულ კონდიციებზე. საფონდო ბირჟის განვითარება და ფასიანი ქაღალდებით განკარგვის უფლება ნაკლებად დამოკიდებულს გახდიდა იური-დიულ და ფიზიკურ პირებს საბანკო კრედიტებზე, რაც გაზრდიდა მათი ფინანსუ-რი დამოუკიდებლობის და სამეწარმეო საქმიანობის არეალს და ამასთანავე უფრო მეტად დაზღვეული იქნებოდა მათი საქმიანობის ბიზნეს-რისკები ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორებისგან.

ეკონომიკის განვითარებისათვის სტაბილური მონეტარული ფონის შექმნის მიუხედავად ეკონომიკა კრიზისიდან მაინც ვერ გამოვიდა. ყურადღებას იმსახუ-რებს იმის აღნიშვნაც, რომ ცენტრალურ ბანკს ჯერ-ჯერობით არ შეუძლია საპრო-ცენტო განაკვეთის რეგულირება, ამიტომ მონეტარული პოლიტიკის ძირითად შუალედურ ორიენტირს ფულადი მასის ზრდა და სავალუტო კურსის დინამიკა წარმოადგენს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ინფლაციურ პროცესზე.

აღნიშნულ პროცესში ლარის ნომინალურმა გაცვლითმა კურსმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობის ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალი-ბებაში, როგორც ფინანსური სისტემის სტაბილურობის მარტივმა და თვალსაჩი-

ნო მაჩვენებელმა. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული საქონლის მაღალი ხვედრითი წილისა და სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის მიზნით საქონლის ფასების უცხოური ვალუტით დაფიქსირების გავრცელებული პრაქტიკა უნდა განხორციელდეს პერსპექტივაშიც, ვინაიდან იგი ხელს უწყობს, რომ ფასების დინამიკა მგრძნობიარე გახდეს საკურსო ცვლილებების მიმართ და სწორედ ესეც განაპირობებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელობას.

## III. დასკვნა

ფინანსური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ძირითადი პოსტულატების შემუშავება-განხორციელებით:

1. გულისხმობს საგადასახადო ბაზის გაფართოებას, რომელიც მოითხოვს სამეწარმეო გარემოს მკვეთრ გაჯანსაღებას.ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემო მეწარმეებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველი უნდა იყოს
2. სოფლის მეურნეობის ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებად გარდაქმნა;
3. მეწარმეების მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლება
4. სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის ყოველმხრივი შეზღუდვა.

როცავეხებითეროვნულიმეურნეობისგამოცოცხლებისსაკითხებს,არშეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს ფინანსური სისტემის სრულყოფის პრობლემები მიკროდონეზე. ამ დონეზე ფინანსური სისტემის მიერ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირება ხდება. სწორედ საკუთრების სხვადსხვა ფორმის საწარმოთა ფინანსების მდგომარეობაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია. ეკონომიკურ სუბიექტებს ფინანსური სისტემის გარდაქმნის პროცესში მინიჭებული უნდა ჰქონდეთ რეალური ფინანსური და სამეურნეო თავისთავადობა,რომ დამოუკიდებლად განკარგონ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან ამონაგები,მოგება. შექმნან საწარმოო და სოციალური ფონდები, საინვესტიციო მიზნებისათვის გამოიყენონ საკუთარი და ფინანსური ბაზრიდან მობილიზებული რესურსები, შეასრულონ სახელმწიფოს წინაშე აღებული საგადასახადო ვალდებულებები.

საგადასახადო სისტემა სტიმული უნდა იყოს სამეწარმეო აქტივობისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, წარმოების გაფართოება–განვითარებისა და შესაბამისად, აღნიშნულის კვალობაზე საგადასახადო ბაზის შემდგომი გაზრდისათვის. ანუ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ პრაქტიკაში ეკონომიკური რეგულირებისათვის ცნობილი ლიბერალური საგადასახადო მოდელი. მისი გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრი დიდი ნაწილი და შესაბამისად, შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა

ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

ამრიგად ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს საწარმოებისა და დარგების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების პროცესის სახელმწიფო რეგულირებისაკენ, მათი საინვესტიციო პოტენციალის შესაქმნელად, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის ფინანსური ურთიერთობების სრულყოფისათვის.

**ლიტერატურა;**


1. რ.ბასარია. სახელმწიფოს ფუნქციების ტრანსფორმირება და მათი ფინანსური უზრუნველყოფა გარდამავალ პირობებში. შრომები IV ტომი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., ფირმა „სიახლე“, 2004. გვ., 101-114.
2. რ. კაკულია, ე. ბაბუნაშვილი. ფინანსური სისტემის რეფორმირების აქტუალური საკითხები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები, ტომი VIII. თბ., ფსკი, 2005. გვ., 221-238.
3. რ. ასათიანი. მცდარი მონეტარისტული პოსტულატები და საქართველო ილუზიების ტყვეობაში. შრომები. IV ტომი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბ., ფირმა „სიახლე“, 2004. გვ., 90-100. გ.გამსახურდია, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“,
4. . Зви Боди, Роберт К. Мертон. Финансы. Изд. дом Виьямс. Москва Сант-Петербург Киев. 2004. с.38.
5. http://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3293_1.pdf.



*Inga Gigauri, assistant professor*
*Georgian Technical Univesity*

*Temur Kukava, student*
*Georgian Technical Univesity*


## The main directions of reforming and improvement of effectivness of the state financial system

### Summary


The state of finances in country better stipulates the level of  living and their economic conditions. On the strengthening of finances directly are dependent the stability and improvement of their condition for millions of people. The avoiding of facing before democratic Georgia financial and budgetary problems are possible

only by reforming of financial system, the is one of the main elements of that is the tax scope that should contribute to national economic growth and the creation of optimal investment climate. Between the important problems that affect on the national economy, the most important is properly determination of monetary and credit. The fundamental aim of monetary and credit policy will be a providing of economic by dynamic resources; on the basis of the overall level of production - to achieve full employment and the restriction of inflation. It should be mentioned that high interest rate in our country prevents entrepreneurship (business), development of entrepreneurship in the country. The low interest rate will create new jobs, more people will be employed, in budget will be replenished by money, and money-credit system would be more powerful.

***Keywords:*** *Financial system transformation; Tax sphere, monetary credit, fiscal policy, financial market.*

*გიორგი კიკალეიშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# მეცნიერული მენეჯმენტის ევოლუცია

რეზიუმე

დროის სვლასთან და კოგნიტური ცოდნის დაგროვებასთან ერთად მსოფლიო საზოგადოება მუდმივად ცდილობდა არსებულის გაუმჯობესებას. მიუხედავად, იმისა რომ კაცობრიობამ დასაბამიდან საკმაოდ ნელი სვლით დაიწყო განვითარება, ბოლო 100 წელია არნახული პროგრესი გვაქვს სახეზე, აღნიშნულს მიჰყვა მენეჯმენტის დარგიც.

***საკვანძო სიტყვები:*** *მენეჯმენტი, საბაზრო ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვის მეციერება.*

## I. შესავალი

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ, ადამიანები არ წყვეტდნენ იმაზე ფიქრს, თუ როგორ გაეხადათ საკუთარი და სხვისი რესურსები უფრო მომგებიანი და როგორ მოეხდინათ პროცესების ეფექტიანობის ზრდა.

სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი მართვის მეცნიერების საწყის ეტაპს - მენეჯმენტის კლასიკურ მიმდინარეობას, რომელიც ყალიბდებოდა სამი განსხვავებული სამეცნიერო მიდგომის განვითარების გზით, ესენია: მეცნიერული მენეჯმენტი, ბიუროკრატიული ორგანიზაციები და ადმინისტრაციული პრინციპები.

## II. ძირითადი ნაწილი

მეცნიერული მენეჯმენტი დასაბამს იღებს ფრედერიკ უილსონ ტეილორის (1856-1915) ნაშრომებიდან. წარმატებული ინჟინერი ფ. ტეილორი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იკვლევდა სხვადასხვა საწარმოების არაეფექტიანობის მიზეზებს. მრავალი დაკვირვების და კვლევების შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ მუშების და ზოგადად ქვედა რგოლის არაპროდუქტიულობის გამომწვევი მიზეზი გახლდათ არაეფექტიანი მენეჯმენტი. ტეილორმა დაასაბუთა, რომ წარმოების პროცესის წარმართვა მეცნიერული მიდგომებით უნდა ხდებოდეს და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება წარმატების მიღწევა.

ტეილორის თეორიების აღსრულება პირველად მოხდა კომპანია Bethlem Steel-ს ერთ-ერთ ქარხანაში, 1898 წელს. მან შეისწავლა მუშების მოძრაობა ვაგონებიდან რკინის მადნის გადმოტვირთვისას და შრომის პროცესის სრულყოფის მიზნით, წარმოადგინა წინადადებები ზედმეტი მოძრაობის გამოსარიცხად, რამაც საგრძნობლად, 12,5ტ-დან 47,5ტ-მდე გაზარდა თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება. გარდა ამისა ტეილორმა სამოტივაციო სქემა შესთავაზა ქარხნის მესვეურებს და მისი რეკომენდაციით მუშებს ხელფასი დაენიშნათ სამუშაოს

შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, თუ კადრები ეფექტურად იმუშავებდნენ , მიიღებდნენ გაზრდილ ანაზღაურებას; აღნიშნული სამოტივაციო მიდგომის დანერგვით, მუშების პროდუქტიულობა ქარხანაში იმ დღესვე გაიზარდა.

ტეილორის იდეები, როგორც ცნობილია ჰენრი ფორდმაც გამოიყენა და იგი ითვლება მეცნიერული მენეჯმენტის მიმდევრად. აღნიშნული მეცნიერული მიდგომის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჰენრი ჰანტმა, ფრენკ და ლილიან გილბერტებმა - ისინი იკვლევდნენ ადამიანის ქცევას სამუშაო პროცესში და უკეთესი დაგეგმარებით და სწორი დელეგირებით ცდილობდნენ მათი პროდუქტიულობის ზრდას.

მეცნიერული მენეჯმენტის ძირითადი დებულებები შემდეგია:

- სამუშაო დავალებების შესასრულებლად საჭიროა სტანდარტული მეთოდების შემუშავება;
- ხალხის სამსახურში აყვანა წარმოების სამუშაო დავალების პირობების გათვალისწინებით;
- თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ შრომის სტანდარტული პირობები;
- მუშაკთა მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხდება მათი სამუშაო დავალებების დაგეგმვისა და არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზით;
- შრომის პროდუქტიულობის ასამაღლებლად მუშაკთა მატერიალური სტიმულირება.

ბუნებრივია მეცნიერულ მენეჯმენტს აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ ტეილორის და მისი მიმდევრების ღვაწლი მენეჯმენტის მეცნიერებისათვის ვფიქრობთ, რომ ფასდაუდებელია.

ასევე აღსანიშნავია აბრაამ მასლოუს (1908-1970) ღვაწლიც, რომელიც დასაქმებული ადამიანის ქცევას შეისწავლიდა სამუშაო პროცესში. მასლოუმ ჩამოაყალიბა ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიული პირამიდა, მისი მტკიცებით ადამიანური რესურსი მაშინ აღწევს პროდუქტიულობის პიკს, როდესაც მას დაკმაყოფილებული აქვს ძირითადი მოთხოვნილებები და საჭიროებები.

მეცნიერულმა მენეჯმენტმა თავის მხრივ განვითარება ჰპოვა ჰუმანიტარული მიმართულებით, როდესაც ტეილორის მიმდევრებმა განაგრძეს მათი წინამორბედის საქმიანობა და ადამიანზე ორიენტირებული მართვის პრინციპები ჩამოაყალიბეს. ამ მიმართულებით საინტერესოა ელტონ მეიოს (1880-1949) კვლევები. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მეიო ხანგრძლივად აკვირდებოდა ადამიანთა ქცევას სამსახურში და ცდილობდა მათი პროდუქტიულობის ზრდას. მან მრავალი ექსპერიმენტი ჩაატარა ქ. ჰოტორნში (ილინოისის შტატი, აშშ) კომპანია Western Electric_ში.

მეიოს დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ ადამიანის ნაყოფიერებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანური ურთიერთობები და საზოგადოების ყურადღება. ექსპერიმენტების შედეგად გამოიკვეთა ჰოტორნის ეფექტი - რაც გულისხმობს, რომ როდესაც ადამიანი აღიქვამს შესრულებული საქმიანობის მნიშვნელობას და გრძნობს მისი პიროვნების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, ეს აძლევს მას

სტიმულს მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. აღნიშნულმა ექსპერიმენტებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვეობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: კორპორაციული კულტურა, საორგანიზაციო სტრუქ-ტურის ფორმირების თეორიები, ორგანიზაციაში შიდა კლიმატის შექმნის კონცეფ-ციები და ა.შ.

ამ მართვის თეორიის ერთ-ერთ მეცნიერულ მიმართულებას წარმოადგენს გერმანელი მეცნიერის, მაქს ვებერის (1864-1920) ბიუროკრატიული ორგანიზაციების კონცეფცია.

მ. ვებერი თვლიდა, რომ ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა მკაცრად გაწერილი წესები, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობებით მანი-პულირება არ მოეხდინათ და ისინი ყოფილიყვნენ მიუკერძოებლები მართვის პროცესში. ვებერი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაციის მართვის დროს უნდა ყოფილიყო აბსოლუტურად ყველა პროცედურა წინასწარ განსაზღვრული, სტრუქტურული იერარქიები შედგენილი და მთელი ორგანიზაცია ერთიან სისტემად განხილული.

ვებერმა ჩამოაყალიბა ბიუროკრატიული მიმდინარეობის ძირითადი დებუ-ლებები:

- შრომის განაწილება ხდება მკაცრად გაწერილი თანამდებობრივი მოთხოვ-ნილებების შესაბამისად. ამ შემთხვევაში აუცილებლია დაბალანსდეს თანამდებობრივი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა;
- ფორმალური უფლებამოსილების შესაბამისად, თანამდებობათა ერთობლი-ობა ქმნის სტრუქტურის იერარქიულობას, ისე რომ თითოეული თანამდე-ბობის პირი იმყოფება მხოლოდ ერთი ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში;
- თანამშრომელთა შერჩევა და დაწინაურება ხორციელდება მათი კვალიფი-კაციის შესაბამისად, რაც განისაზღვრება სათანადო კრიტერიუმების მიხედვით;
- ყველა გადაწყვეტილება და ადმინისტრაციული აქტი ფორმდება წერილო-ბითი სახით. ჩანაწერები წარმოადგენს ერთგვარ „სამახსოვროს", რაც უზრუნ-ველყოფს დროში მემკვიდრეობითობის შენარჩუნებას;.
- მენეჯერები არიან ორგანიზაციის მესაკუთრეების მიერ დაქირავებული მუშაკები;
- მენეჯერები მუშაობენ მკაცრად გაწერილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს საიმედოობასა და საქმიანობის განსაზ-ღვრულობას. წესები თანაბრად ეხება ყველა თანამშრომელს;
- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვებერი კომპანიის წარმატების მთავარ ფაქტო-რად მენეჯერს არ თვლიდა და ფიქრობდა, რომ პიროვნული თვისებებით კონკრეტულ ადამიანებს არ შეეძლოთ იმხელა სიკეთის მოტანა, როგორიც შეეძლო წინასწარ განსაზღვრულ ფორმალურ სტანდარტებს.

მიუხედავად იმისა, რომ ვებერის თეორიები დღეს ნეგატიურ კონტექსტში განიხილება, მაინც აქტუალურია, ძირითადად სახელმწიფო ორგანიზაციების მართვის დროს.

მენეჯმენტის მესამე, კლასიკურ მიმართულებად ითვლება ადმინისტრაციული სკოლის პრინციპები, სადაც უმთავრესი ყურადღება ორგანიზაციის მთლიანობასა და მართვის ფუნქციებზე ექცევა.

აღნიშნული კლასიკური მიდგომის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ფრანგი მეცნიერი ანრი ფაიოლი (1841-1925). ფაიოლის იდეები და მიდგომები დღესაც საკმაოდ აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული მენეჯმენტის საქმიანობის დროს. ფრანგმა მეცნიერმა მენეჯერული პროცესები 5 ელემენტად დაჰყო, მისი აზრით ამ საკითხებისადმი თანმიმდევრულობა მენეჯერს გაცილებით ეფექტურს ხდიდა. ფაიოლის 5 ნაწილიანი სამუშაო გეგმა მისმა მიმდევრებმა განავრცეს და დახვეწეს და დღეს ის შემდეგნაირად გამოიყურება:

დაგეგმვა - მენეჯერი უნდა ახდენდეს ნებისმიერი პროექტის წინასწარ დაგეგმვას. დაგეგმვა შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

1. პრობლემის იდენტიფიცირების პროცესი (კონკრეტულმა სამუშაომ რა პრობლემა უნდა გადაწყვიტოს);
2. გუნდის ფორმირება;
3. გუნდში წესების შექმნა.

ორგანიზების პროცესი გულისხმობს:

1. დელეგირებას - შექმნილ გუნდში უფლებების და პასუხისმგებლობების განაწილებას;
2. დროის მართვას;
3. საკომუნიკაციო არხების შექმნას.

მართვის აღსრულების ფაზა, როდესაც კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად გაცემული შესაბამისი დავალებების შესაბამისად მენეჯერი უზრუნველყოფს გუნდის წევრების აქტიურობას დავალებათა რეალიზაციის პროცესში მოტივაციის ამაღლებით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო არხების ეფექტიანი მუშაობა, რათა არ დადგეს არასასურველი შედეგი.

კონტროლი/კოორდინაცია - ამ ეტაპზე ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტა მენეჯერის მხრიდან, ასევე შესრულებული სამუშაოს კონტროლი და მისი შედარება დაგეგმილთან.

ფაიოლის შემდგომ, ადმინისტრაციული სკოლის განვითარებაში და ზოგადად მართვის მეცნიერების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მერი ფოლეტს (1868-1933). ფოლეტი იკვლევდა მართვის ფსიქოლოგიას. თავის ნაშრომებში მან პირველმა განიხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა ეთიკა, მართვის სტილი, ლიდერობა, ძალაუფლება, თანამშრომლებისგან მაქსიმალური უკუგების მიღების გზები. ფოლეტიმ დაასაბუთა, რომ თანამშრომლებზე დადებითი ემოციური ზეგავლენა ზრდის მათ პროდუქტიულობას.

თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიად ითვლება ფაიოლის მიმდევარი, ჩარლზ ბარნარდის (1886-1961) არაფორმალური ორგანიზაციის კონცეფცია. ბარნარდი აქცენტს აკეთებდა ორგანიზაციაში მიმდინარე არაფორმალურ ურთიერთობებზე და ამტკიცებდა, რომ კვალიფიციური მენეჯ-

მენტის პირობებში არაფორმალური ურთიერთობები ხელს უწყობდა კადრების პროდუქტიულობის ზრდას. ბარნარდის ძალაუფლების მიმღეობის თეორიის თანახმად, თანამშრომლები არაფორმალურ პირობებში თვითონ წყვეტენ დაემორჩილონ თუ არა და რამდენად პროდუქტიულად უნდა შეასრულონ მენეჯერის დავალებები, აქედან გამომდინარე იგი მენეჯერებს ვალდებულად თვლის, რომ თანამშრომლებთან პოზიტიური არაფორმალური ურთიერთობები აწარმოონ.

III. დასკვნა

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მენეჯმენტის მეცნიერების სხვადასხვა ხედვები მსოფლიოში აღიარებულია და დღესდღეისობით მათ თანამედროვე ტიპის ტოპ-მენეჯერები აქტიურად იყენებენ კომპანიების მართვისას.

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის დროს, დაგროვილი ცოდნით შემუშავებული აპრობირებული მოდელების რეალიზაცია პროცესებში, ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი გარანტია.

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ., მენეჯმენტის პრინციპები, 2010;
2. შ. მაჭავარიანი, მენეჯმენტის საფუძვლები, 2015;
3. Stepen P. Robbins and Mary Coulter- Managments , Eleventh edition.

*Giorge Kikaleishvili, PhD student*
*Georgian Technical University*

## Sience of Management Evolution

## Summery

With the acceleration of time and the accumulation of cognitive knowledge, the world community has always tried to improve. Despite the fact that human development began to develop very slowly, we have seen an unprecedented progress over the last 100 years, and this leads to developament of the management. In the early 20th century, after the Industrial revolution, people did not stop thinking about how to make their own and others' resources more profitable, how to effect the processes. From this time on the basis of science of management was founded - The classical course of management, which was formed through the development of three different scientific approaches, such as scientific management, bureaucratic organizations, and administrative principles.

***Keywords:*** *Managmant, Market Economics, Organization, Science of Managmant*

*გიგა სიმონიშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები

რეზიუმე

სტატია ეხება თანამედროვეობისათვის დამახასიათებელ ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც, როგორც ტერმინი ირანის ისლამური რესპუბლიკის პრაქტიკაში ახალია. იგი ხასიათდება სახელ-მწიფო ინსტიტუტების უნარით შეიმუშაოს და განახორციელოს რიგი ზომები ეკონომიკური განვითარებისათვის, ასევე სახავს სახელმწიფო პოლიტიკას, რათა შეუწყოს ხელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ მდგრად განვითარებას. აღნიშნულია ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკის სტრატეგიული მიზანი – დაღმასვლის პოლიტიკიდან ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკაზე გადასვლა, გარე და შიდა ეკონომიკურ საფრთხეებთან ეფექტიანი გამკლავება.

*საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მატერიალური დოვლათი, მრეწველობა, ენერგეტიკა.*

## I. შესავალი

თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა ეკონომიური უსაფრთხოების საკითხები. საერთაშორისო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინად იგულისხმება ეკონომიკის მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ქვეყნის საკმაოდ მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა; ეკონომიკური მოთხოვნილების ეფექტიანი დაკმაყოფილება; სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობა და გამოყენება; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

„ეკონომიკური უსაფრთხოების" ცნება ირანის ისლამური რესპუბლიკის პრაქტიკაში ახალია, თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში ის საკმაოდ გავრცელებული და გამოკვლეულია. ეს ეკონომიკისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ისეთი ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაა, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების დაცვა, საზოგადოების სოციალური განვითარება, სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვით უნარებისა და პოტენციალის განვითარება, მიუხედავად გარე და შიდა პროცესებისა. გარდა ამისა, ეკონომიკური უსაფრთხოება ხასიათდება სახელმწიფო ინსტიტუტების უნარით შეიმუშაოს და განახორციელოს რიგი ზომები ეროვნული ინტერესების თუ ეკონომიკური განვითარებისა, ასევე სახავს სახელმწიფო პოლიტიკას, რათა შეუწყოს ხელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ მდგრად განვითარებას.

II. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე რეფორმის ეტაპის მთავარი მიზანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა. ირანის ეკონომიკაში კრიზისის დაძლევას ხელს უწყობს არა მარტო ცალკეული დარგების დროებითი სტაბილურობა, არამედ მათი შემდგომი განვითარებაც.

როგორც წესი, ირანის ეკონომიკის სტრატეგიული მიზანია დაღმასვლის პოლიტიკიდან ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკაზე გადასვლა, გარე და შიდა ეკონომიკურ საფრთხეებთან ეფექტიანი გამკლავება.

ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ მთავარ ეკონომიკურ საფრთხეებად ითვლება:

1. ეკონომიკური სტრუქტურების ტრანსფორმაციის გაძლიერება;
2. საინვესტიციო აქტივობის შემცირება და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ნგრევა;
3. იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდა;
4. სავალუტო რეზერვების საზღვარგარეთ გადინება;
5. საკუთრების ფლობაში საზოგადოების დიფერენცირების გაზრდა;
6. საგარეო ვალის ზრდა;
7. ეკონომიკური ურთიერთობები და სხვ.

სამწუხაროა, რომ ყველა ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს ადგილი აქვს ირანის ეკონომიკაში. მართლაც, გარე და შიდა საფრთხეების ანალიზმა ეკონომიკის უსაფრთხოებაში ცხადჰყო, რომ მთავარ გარე საფრთხეებად ითვლება:

- საგარეო ვალის ზრდა;
- სამთო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტი;
- სტრატეგიული რესურსების და ვალუტის ქვეყნიდან გადინება;
- ამ გაყიდვებიდან შემოსავლების ეფექტიანი გამოყენება;

შიდა საფრთხეებად ითვლება: საფინანსო, ორგანიზაციული და ინფორმაციული ინფრასტრუქტურების არასრულყოფილი განვითარება.

ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის არქონა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საგარეო ვალი რაღაც ასპექტში მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო პოლიტიკასთან და სახელმწიფოს შესაძლებლობებთან საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის დროს.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს, მართლაც, პოლიტიკურ მექანიზმად, როცა მდგრადი განვითარების სხვადასხვა დარგში უსაფრთხოების ამოცანები ვლინდება და წყდება სხვადასხვა დონეზე.

ამასთან დაკავშირებით, როდესაც ქვეყნის ეკონომიკას ვაფასებთ და ვეძებთ კრიზისიდან გამოსვლის გზებს, რათა მივაღწიოთ დადებით ტენდენციებს მდგრად განვითარებაში, ჩვენ მხოლოდ მაკროეკეონომიკური ფაქტორების შესწავლით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ობიექტების მაკროეკონომიკური ანალიზი, როგორიცაა

საწარმოო კომპლექსები და დარგები, ძალზედ მნიშვნელოვანია.

მაკროეკონომიკის დონეზე მთავარი ამოცანებია:

– მრეწველობის მხარდაჭერა და სტიმულირება;
– არაეფექტიანი მრეწველობის რესტრუქტურიზაცია და ლიკვიდაცია;
– მრეწველობის საბაზრო ქცევისა და მოტივების გამოთვლა და რეალიზება.

ამ მიმართულებით მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს პერსპექტულ დარგებსა და წარმოებებს. აქ მთავარია დავადგინოთ „განვითარების წერტილი“. ე. ი. საჭიროა დავადგინოთ დარგი და წარმოება, რომელთა განვითარებაც დადებითად იმოქმედებს სხვა დარგების საერთო მდგომარეობაზე, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და აამაღლებს მათ გადამხდელუნარიანობას. იირ-ში ასეთ „განვითარების წერტილებად“ გამოდიან მსუბუქი, კვებისა და ელექტროენერგიის წარმოება.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება დაფუძნებულია წარმოებისა და დარგების მდგრად განვითარებაზე, რომლის ფუძეთაც ითვლება საწარმოო სიმძლავრეები, ნედლეულის ბაზა, შრომითი რესურსები და მათი ცვლილებებისადმი მზადყოფნა. ამიტომაც წარმოებათა ეკონომიკური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას ენიჭება დიდი მნიშვნელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი მრეწველობის წარმოებას დიდი როლი ენიჭება ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონების განვითარებაში. ამ დარგის წარმოებას აერთიანებენ რა ფინანსურ, მატერიალურ და შრომით რესურსებს, აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნებს და ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

ამ დარგების კონკურენტუნარიანი საქმიანობა, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა მწარმოებელ სუბიექტებთან განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივ ბაზას, რომელიც, თავის მხრივ, გამოდის როგორც კერძო მწარმოებელთა იურიდიული მოდელი. ეს ეხება კვების მრეწველობასაც.

ენერგეტიკა გამოდის როგორც ძირითადი ინდუსტრია არა მარტო მრეწველობის დარგებისათვის, არამედ სოფლის მეურნეობისთვისაც და მთავარ როლს თამაშობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. ამის გარდა, ჰიდროენერგეტიკის განვითარება და რეგულირება წყლის რესურსების საშუალებას მისცემს სახელმწიფოს კორექტირება გაუკეთოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოზიციას რეგიონში.

თანამედროვე მრეწველობის მთავარი მახასიათებელია მდგრადობა და უსაფრთხოება. რაც უფრო მდგრადია მრეწველობის ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მისი უსაფრთხოების შეფასება.

სამამულო მრეწველობაში მათ მდგრადი განვითარების გამოკვლევას ეთმობა დიდი ყურადღება. მაგრამ აქამდე არ არსებობს კომპლექსური მექანიზმი, რომელსაც წარმოების მენეჯერები გამოიყენებენ გადაწყვეტილების მიღების დროს ან გარე სტრუქტურები (ბანკები, სახელმწიფო ორგანოები), რომლებიც აფასებენ მრეწველობის მდგრად განვითარებას. სამწუხაროდ, ის მეთოდიკა, რომელიც გამოიყენება მრეწველობის მდგრადობის შესაფასებლად არასრულყოფილია.

ფინანსური ანალიზის მეთოდები უფრო მისაღებია, რადგანაც უფრო ხელმისაწვდომია და გამოირჩევა თავისი უნივერსალურობით. ლიტერატურის დიაგნოსტიკის მეთოდების არსებობასა და მათი ბანკროტობის პრევენციაზე.

მრეწველობის აღიარება, როგორც მდგრადი განვითარების სუბიექტი, მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების მექანიზმების მოძიებას. მრეწველობის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მატერიალურ და არამატერიალურ მარაგების განაწილებაში თანაფარდობის აღდგენა. ამასთანავე, შემოსავლებისა და ხარჯების ეფექტიანი თანაფარდობა გულისხმობს ისეთ კატეგორიას როგორიც რესურსების გამოყენების ხარჯებია.

მრეწველობის ხარჯების გამოკვლევის მთავარ მომენტად ნამდვილ და ნომინალურ, მიმდინარე და საინვესტიციო, ტრანსფორმირებული და ტრანზაქციური ხარჯების გამოყოფა ითვლება. ასეთი ხარჯების კლასიფიკაცია გვაძლევს საშუალებას შევქმნათ ხარჯების მართვის სტრუქტურა, რომელიც ისახავს მიზნად მათ დაგეგმარებას და კონტროლს.

თავის შინაარსით, მრეწველობა ეს ის სფეროა, სადაც საწარმო რესურსები გარდაიქმნება მზა პროდუქციად. მრეწველობის მოდელი მდგომარეობს წარმოების ამოცანებში, რომლებიც ასახავენ მრეწველობის რეზულტატებს და მათ მრეწველობის ხარჯებზე დამოკიდებულებას, რომლებიც მათ მიღწევებზე მოქმედებს. მრეწველობის საწარმოო პარამეტრები განისაზღვრება კონკრეტული ტექნოლოგიური ამოცანების გამოყენებით პროდუქტის მისაღებად. მრეწველობის მთავარ ამოცანად, როგორც რესურსების ბაზარზე, ასევე მის ბაზარზე გაყიდვის არის ისეთი თანაფარდობის მიღწევა მოცულობასა და სახეობას შორის, რომელიც ფასებს აყალიბებენ და ამით მრეწველობის შემოსავლების ზრდას ხელს შეუწყობს. შემოსავლების გაზრდის გარდა არსებობს სხვა ამოცანებიც, როგორიც არის:

- გაყიდვების მოცულობის გაზრდა;
- საერთო შემოსავლის გაზრდა;
- ხარჯების შემცირება და სტრატეგიული მიზნები.

ყველა ამ ამოცანათა ერთობლიობას მივყავართ მრეწველობისათვის ფუნქციონირების შესაბამისი სფეროს შექმნასთან. მრეწველობას უნდა გააჩნდეს საჭირო რესურსები საწარმოს პროგრამის რეალიზებისთვის. ამასთან ერთად, მრეწველობის მდგრადობის ანალიზი უნდა ჩატარდეს მრეწველობის ხარჯებისა და მზა პროდუქციის ფასების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, რათა ძალისხმევა მიმართული იყოს მრეწველობის მდგრადობის მექანიზმის შესამუშავებლად.

## III. დასკვნა

დაბოლოს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქვეყანაში ეკონომიკის მდგრად მოდელზე გადასვლა ის პროცესია, რომლის რეალიზაციისთვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ქვეყნის მატერიალური დოვლათის წარმოების ეკონომიკური მდგომარეობის

მდგრადობის უზრუნველყოფა, რომელიც გახდება ეროვნული ეკონომიკური პოზიციების გარანტი;

– საწარმო და ინსტიტუციონალური ზრდის ფორმირება;
– მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება.

ქვეყანაში ყველა ობიექტური წინაპირობა არსებობს ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად.

*Giga Simonishvili, PhD student*
*Georgian Technical University*

## Methodological basis for sustainable development of the Islamic Republic of Iran

### Summary

The article deals with the new current issue of modernity, such as economic security, as the term in the Islamic Republic of Iran. It is characterized by the ability of state institutions to develop and implement a number of measures for eco-development, as well as state policy, in order to promote the socio-economic sustainability of society. The strategic objective of the Islamic Republic of Iran is to address the policy of restoring the economy falling, dealing with external and internal economic threats.

***Keywords:*** *sustainable development, material wealth, industry, energy.*

*გიგა სიმონიშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა და მართვის გზები

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ირანის ისლამური რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობასა და მისი მართვის გზებზე. აღნიშნულია, რომ ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარება ხორციელდება ფისკალური და მონეტარული რეალიზაციის საფუძველზე. მოცემულია თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა და როგორ ხდება ბიუჯეტის ზემოქმედება მრეწველობის ეფექტიანობის გაზრდაზე. ასევე განხილულია საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები და საბაზრო ეკონომიკის განვითარების – ლიბერალური და სოციალური – მოდელები.

*საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, ფისკალური, მონეტარული, ლიბერალური მოდელი, სოციალური მოდელი.*

## I. შესავალი

ირანის ისლამური რესპუბლიკის ფინანსური სისტემის განვითარება ხორციელდება ფისკალური და მონეტარული რეალიზაციის საფუძველზე. ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების ფინანსურ და დაკრედიტების სფეროში მთავარ მიმართულებად გამოდის საბანკო სისტემის შემდგომი რეფორმები, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფილება საფინანსო საკრედიტო ორგანიზების მნიშვნელობასა და როლის ამაღლება რეალური ეკონომიკური სექტორის განვითარებაში.

## II. ძირითადი ნაწილი

საბაზრო ურთიერთობის პირობებში მრეწველობის ამაღლების ფაქტორში მთავარი ადგილი ბიუჯეტსა და მრეწველობას შორის ორგანიზაციას უკავია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სუფთა მოგების განაწილებას, რომელიც ფორმირდება ეროვნული ეკონომიკის დარგებში.

ამჟამად, შემოსავლების უდიდესი ნაწილი, რომელიც ფორმირდება მრეწველ სუბიექტებში, იხარჯება საერთო სახელმწიფო საჭიროებაზე, სადაც ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტი ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზის შედგენის პარალელურად. სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება მთავარი ამოცანები და გეგმები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარგების მუშაობის ხარისხის მაჩვენებლები. ამიტომ მთავარ მაჩვენებელთა პროგნოზის ბალანსი მოწმდება სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველზე. თუ პროექტებისა და პროგნოზების შედგენისას არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაძლებლობები, მაშინ ჩნდება მათი კორექტირების საჭიროება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხელი შეეწყოს ცალკეული ეკონომიკური დარგების ამაღლებას, გაიზარდოს შემოსავლები და შრომის ნაყოფიერება, სრულყოფილი გახდეს მრეწველობის სტრუქტურები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოცულობის შესაბამისობასა და ინვესტირებულ რესურსებში და მათ დაბანდებაში.

განვიხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის დინამიკა შედარებით მაჩვენებლებში, ე. ი. პროცენტებში, შიდა მთლიან პროდუქტთან მიმართებაში (ცხრილი 1.). ეს მონაცემები საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ ცვლილებები ირანის ეროვნულ ეკონომიკაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, შემოსავალზე აქციზის ბეგარის წილი, მიწისა და მოსახლეობის ბეგარა თითქმის არ შეცვლილა, რაც სახელმწიფოს მიერ მიღებულ სიღარიბის შემცირების პროგრამის შემცირებაზე მეტყველებს. ყველასთვის ცნობილია, რომ ბიუჯეტში შემავალი უმეტესი ფულადი ნაკადები უბრუნდებათ მრეწველ სუბიექტებს და ეს სახსრები მიემართება კაპიტალურ მშენებლობაზე, ინფრასტუქტურის განვითარებასა და ხელფასების გაზრდაზე.

ცხრილი 1.

ირანის სილამური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი (%-ში შ.მ.პ.)

| მაჩვენებელი | წლები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
| შემოსავალი | 11.2 | 12.2 | 10.1 | 11.7 | 10.8 |
| 1- აქციზი (ბრუნვიდან შემოს.) | 2.1 | 1.9 | 1.3 | 1.8 | 2.3 |
| მოგების გადასახადი | 3.3 | 2.9 | 2.4 | 1.9 | 1.1 |
| მიწის გადასახადი | 0.9 | 0.8 | 0.6 | 0.7 | 0.5 |
| მოსახლეობაზე გადასახადი | 0.8 | 0.9 | 1.2 | 1.5 | 1.3 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 1.6 | 1.8 | 1.9 | 2.1 | 2.2 |
| შემოსავალი საგარეო ეკონომიკურ საქმიანობისგან | 2.5 | 2.8 | 2.9 | 3.2 | 3.4 |
| ხარჯები | 5.8 | 6.2 | 6.4 | 5.9 | 5.7 |
| ეკონომიკის დარგები, სოციალური, კულტურული და სამეცნიერო ღონისძიებები | 5.8 | 6.2 | 6.4 | 5.9 | 5.7 |

**წყარო:** ირანის ეროვნული სტატისტიკური სააგენტოს 2012-2016წლების მონაცემები

ბიუჯეტს შეუძლია იმოქმედოს მრეწველობის ეფექტიანების გაზრდაზე ორი მიმართულებით:

1. ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ფინანსური და მატერიალური რესურსების გადანაწილება;

2. სამრეწველო სუბიექტებიდან ფინანსური რესურსების ამოღების საბიუჯეტო მექანიზმები წმინდა მოგების გადიდებას აძლევს სტიმულირებას.

როდესაც ბიუჯეტში სახსრების მიდინება დიდია, სამრეწველო საქმიანობის შედეგად იზრდება ფინანსური სიტუაციის დამოკიდებულება მრეწველებსა და შრომითი კოლექტივების სტიმულირების შესაძლებლობაზე. სახსრების საბიუჯეტო კონფისკაციის ფორმებმა უნდა აამაღლონ შრომითი კოლექტივის დაინტერესება დანაზოგების გაზრდის, ფინანსების ეფექტიანი გამოყენებისა და შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების.

სახელმწიფო საფინანსო სისტემაში ეკონომიკის რეფორმების დროს, ახალი საკუთრებისა და მეურნეობის ფორმირებაში ხდება ხარისხობრივი ცვლილებები. ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად, ფუნქციონირებს კერძო, კოლექტიური და აქციონერული მრეწველობის ფორმები, რომლებსაც თანაბარი უფლებები და დამოუკიდებლობა აქვთ, რათა განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა. გარდა ამისა, ძირითადი ფონდების გადაიარაღების ოპტიმალური ვარიანტები, საბრუნავი კაპიტალის მობილიზაციისა, უზრუნველყოფს მაღალ შემოსავლებს, რომლებიც არა მარტო ფარავენ ბეგარის გადასახადს, არამედ ასტაბილურებენ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას. ცხრილში (№ 2) მოყვანილია სამრეწველო წარმოების პროდუქტზე მონაცემები ქვეყანაში საკუთრების ფორმების მიხედვით.

ცხრილი 2

**სამრეწველო წარმოების პროდუქტები**

| მაჩვენებლები | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| მრეწველობა, სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| სახელმწიფო სექტორები | 75.3 | 73.4 | 74.6 | 76.2 | 76.5 |
| სააქციო საზოგადოებები | 6.4 | 6.5 | 6.2 | 6.1 | 5.9 |
| ერთობლივი საწარმოების | 9.5 | 9.4 | 9.1 | 9.6 | 9.8 |
| არასახელწმიფო სექტორი | 8.8 | 10.7 | 10.1 | 8.1 | 7.8 |

**წყარო:** ირანისეროვნული სტატისტიკური სააგენტოს 2012-2016 წლების მონაცემები

სამრეწველო პროდუქციის წარმოება საკუთრების ფორმის მიხედვით (% მთლიან მოცულობასთან), როგორც მეორე ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, ი.ი.რ-ში დომინირებს სახელმწიფო სექტორი. ამავე დროს, ერთობლივ საწარმოთა მდგომარეობა არ შეცვლილა, რაც ი.ი.რ-ის მრეწველობის უმნიშვნელო უცხოურ დაფინანსებაზე მეტყველებს. გარდა ამისა, მცირდება სააქციო საწარმოთა წილი, რომლებიც აქციონერულ ორგანიზაციებთან არსებულ არასრულყოფილ ნორმატიულ-უფლებათა ბაზის შედეგია. შეგვიძლია გამოვიყენოთ ათეულობით მაგალითი ირანის მრეწველობაში აქციონერთა უხეში ორგანიზებისა, როცა აქციების შეძენის გარეშე და საწესდებო სახსრების შეტანის გარეშე საწესდებო კაპიტალში უცხოური ინვესტორები შედიოდნენ ამ აქციონერთა საზოგადოების შემადგენლობაში.

ეს გარემოებანი მეტყველებენ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების მნიშვნელობაზე, როგორც წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მთავარ ფაქტორსა და ეკონომიკის გაჯანსაღების ფინანსურ პოლიტიკაზე. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მეწარმე სუბიექტების ფილოსოფია სახელმწიფოსთან მდგომარეობს არა მარტო სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებაში, მათი ამოღებისა და გადახდის გზით მრეწველთა შემოსავლებიდან, არამედ, უშუალოდ, კერძო სექტორის სახელმწიფოს მიერ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერაში, ბეგარას შემცირებისა და საშემოსავლო სარგებლის შეთავაზებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მრეწველობის ეკონომიკური განვითარება, შემოსავლების ზრდა და მისი მეშვეობით ეროვნული ეკონომიკის ფინანსური ბაზის გაფართოება.

ამ პრობლემათა გადაჭრისათვის, სახელმწიფოს და სხვადასხვა საწარმოს საკუთრების ფორმებს შორის, რომელიც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს პასუხობს, საჭიროა საკრედიტო და საგადასახადო სისტემის სრულყოფილება.

საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, სადაც მოქმედებენ უფრო სრულყოფილი საგადასახადო კანონები. მაგალითად, შეიძლება მისაღები იყოს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის განვითარება მეტყველებს ორი საბაზრო ეკონომიკის მოდელის არსებობაზე:

– ლიბერალური მოდელი - ითვალისწინებს სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას სამეწარმეო საქმიანობაში, შეზღუდული ეკონომიკის სახელმწიფო სექტორს, მეწარმე სუბიექტების თავისუფლებას, სახელმწიფოს მცირე მონაწილეობას სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ასეთი მოდელი ახასიათებს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ეკონომიკას.

– ღმწიფო სექტორი და სახელმწიფო რეგულირება, ასეთი მოდელი დამახასიათებელია გერმანიის, ნორვეგიის, შვედეთის ავსტრიისა და იაპონიის ეკონომიკისათვის.

### III. დასკვნა

განხილული მოდელების არსიდან გამომდინარე, ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკისათვის უმჯობესია გამოვიყენოთ საბაზრო ეკონომიკის კომბინირებული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს არჩარევას სამრეწველო პროცესებში, მეწარმე სუბიექტების თავისუფლება, სახელმწიფო ეკონომიკის შეზღუდული სექტორი და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოდელი.

***Giga Simonishvili, PhD student***
***Georgian Technical University***

## Industry of Islamic Republic of Iran and ways of its management

## Summary

The article deals with industry of Islamic Republic of Iran and the ways of its management. It is noted that the development of the country's financial system is based on fiscal and monetary realization. It is given how the state budget is planned and how the impact of the budget is to increase the efficiency of the industry. Financial-credit relationships and market economy development - liberal and social models are also discussed.

***Keywords:*** *budget, fiscal, monetary, liberal model, social model.*

# სოციალური მეცნიერებები
# SOCIAL SCIENCES

*მარინე სურმავა, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## კრიტიკული აზროვნება ცნობილი მკვლევარების ( დ. კლუსტერის, მ.მეისონის, ე. გლასერის, რ. ენისის) შეფასებათა საფუძველზე

რეზიუმე

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და ის თანდათან ვითარდება ადამიანში. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანით მანიპულირება თითქმის შეუძლებელია. ამდენად კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება. კრიტიკული აზროვნების არაერთი განმარტება არსებობს, თითქმის ყველა განმარტებას ერთი საერთო აქვს, ყველგან უმნიშვნელოვანესია არგუმენტირება, რაც არ ახასიათებს ზოგადად ყველა ტიპის აზროვენაზს. კრიტიკული აზროვნება არ არის დაუფიქრებელი ქება და კრიტიკა, იგი მოსაზრებების თუ მტკიცებულებების კარგად არგუმენტირებული შეფასებაა.

*საკვანძო სიტყვები: კრიტიკული, აზროვნება, არგუმენტი, პრობლემა, ჭეშმარიტი, ცოდნა*

### I. შესავალი

კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებლად აზროვნება. როცა მეცადინეობა კრიტკული აზროვნების პრინციპზეა აგებული, ყოველი ადამიანი დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. კრიტიკულად აზროვნება პიროვნული საზრუნავია. შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. ადამიანს საკმარისი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულე.

კრიტიკული აზროვნება საკითხთა დასმით, პრობლემათა განხილვით იწყება, რომელიც გადაჭრას მოითხოვს. ადამიანები თავიანთი ბუნებით ცნობისმოყვარეები არიან. ცნობისმოყვარეობა ყოველგვარი ცოცხალი ორგანიზმის განუყოფელი თვისებაა, რომელსაც მცირეწლოვან ბავშვებში უფრო ვაკვირდებით, ვიდრე მოზარდებში ან სტუდენტებში. ნამდვილი შემეცნებითი პროცესი ყოველ ეტაპზე იმით ხასიათდება, რომ შემმეცნებელი პრობლემის გადაჭრისაკენ, მისივე ინტერესებიდან და მოთხოვნილებებიდან წამოსულ კითხვებზე პასუხების ძიებისაკენ მიისწრაფვის. კრიტიკული აზროვნების დაუფლების სირთულე ნაწილობრივ ისიცაა, რომ ის მრავალგვარ პრობლემათა დანახვასა და გარკვევაში უნდა დაეხმაროს ადამიანს.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ გამოსავალი პერსპექტივაზე გათვლილ განათლებაშია, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ორი პრინციპი. ინფორმაციის მზარდ ნაკადში სწრაფი ორიენტაციისა და საჭირო მასალის გამოძიების უნარი და უნარი, სწორად იქნას გააზრებული და გამოყენებული მიღებული ინფორმაცია. აუცილებელია ინფორმაციის გაცხრილვა, წესრიგში მოყვანა: მნიშვნელოვანის გამოყოფა მეორეხარისხოვნისაგან, ანალიზი, ინტერპრეტაცია და გათავისება. თუკი ჩვენ არ შეგვწევს უნარი, გავერკვეთ საკითხების მრავალფეროვნებაში, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მივიღებთ პასუხებს შეკითხვებზე, მაგრამ ვერ მოვახდენთ მათზე რეფლექსიას. კრიტიკული აზროვნება მუდამ ისწრაფვის დამაჯერებელი არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პრობლემის მისეული გადაწყვეტის გზებს პოულობს და საკუთარ პოზიციას გონიერი, საფუძვლიანი საბუთებით განამტკიცებს. ასევე აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის სხვა გზებსაც და ცდილობს დაამტკიცოს მის მიერ არჩეული გადაწყვეტილების ლოგიკურობა და რაციონალურობა.

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა, რომელიც თანდაყოლილი უნარი არ არის და ის თანდათან ვითარდება ადამიანში. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანით მანიპულირება თითქმის შეუძლებელია. ამდენად კრიტიკული აზროვნების უნარი ადამიანისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება. კრიტიკული აზროვნების არაერთი განმარტება არსებობს, თითქმის ყველა განმარტებას ერთი საერთო აქვს, ყველგან უმნიშვნელოვანესია არგუმენტირება, რაც არ ახასიათებს ზოგადად ყველა ტიპის აზროვნებას. კრიტიკული აზროვნება არ არის დაუფიქრებელი ქება და კრიტიკა, იგი მოსაზრებების თუ მტკიცებულებების კარგად არგუმენტირებული შეფასებაა. განმარტებებიდან ისიც ჩანს, რომ კრიტიკულ აზროვნებას გარკვეული შედეგი აქვს. ასეთი აზროვნების შედეგად რაიმე უნდა დაიჯერო , ან რაიმე უარყო, ან ირწმუნო და შესაბამისი სამოქმედო გეგმა დასახო.

ხშირად კრიტიკულ აზროვნებას შეცდომით კრიტიკასთან აიგივებენ. სინამდვილეში, კრიტიკულ აზროვნებას არ აქვს უარყოფითი კონცეფცია. კრიტიკული არ ნიშნავს ცუდს, ცინიკურად ან სარკასტულად განწყობილს. კრიტიკული აზროვნება ამ შემთხვევაში არ ნიშნავს მიზანმიმართულად მხოლოდ უარყოფითის ძიებას. აზროვნება მოიცავს არა მარტო სწავლად უნარებს, არამედ დამოკიდებულებას,

რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანი კრიტიკულად მოაზროვნედ ჩაითვალოს. საკმარისი არ არის ვისწავლოთ რა არის არგუმენტი, როგორ უნდა ავაგოთ იგი და როგორ გამოვიცნოთ როდის ცდილობენ ადამიანები სუსტი არგუმენტით შეცდომაში შეგვიყვანონ, თუ ადამიანებს არ ჩამოუყალიბდებათ ყოველივე ამის მიმართ დამოკიდებულებები.

## II. ძირითადი ნაწილი

კრიტიკული აზროვნება არის აზროვნების ის სახე, რომელიც პრობლემის გადაჭრას, მის ფორმულირებას, დასკვნის გამოტანას და გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება.კრიტიკული აზროვნება არის მიზანმიმართული პროცესი, რადგან იგი ორიენტირებულია „კონკრეტულ, სასურველ შედეგზე". რეფლექსური აზროვნება არის კრიტიკული აზროვნების ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხება ანალიზის და დასკვნების გადმოტანის პროცესების გააზრებას. დუის აზრით (1993), რეფლექსური გააზრების პროცესში ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ და აკონტროლებენ საკუთარი სწავლის პროცესებს.ამ დროს ისინი აფასებენ, თუ რა იციან, რა სჭირდებათ რომ იცოდნენ და როგორ უნდა აითვისონ ეს საჭირო ცოდნა. კრიტიკული აზროვნების რეფლექსური პროცესების საშუალებით ადამიანს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ დაიხიოს ერთი ნაბიჯით უკან და გაიაზროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები, ის, თუ როგორაა მოგვარებული კონკრეტული პრობლემა, ასევე, ის , თუ რა სტრატეგიები იქნა გამოყენებული სასურველი მიზნის მისაღწევად. კრიტიკული აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც მოიცავს ერთდროულად ორ ან მეტ განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, სხვადასხვა მოსაზრების გაგებას, რაიმე შეხედულების დასაბუთებას და სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე და იმის გაცნობიერებას, რომ სხვასაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი განსხვავებული მოსაზრება. კრიტიკულ აზროვნებას ადამიანი მიმართავს არსებული მოსაზრების „ჭეშმარიტი" ღირებულების დასადგენად. კრიტიკული აზროვნების დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება - მოსაზრების შეცვლა ან ახალი მოსაზრების მიღება. კრიტიკულ აზროვნებას ასევე უწოდებენ „ლოგიკურ" ან „ანალიტიკურ" აზროვნებას. ლოგიკური აზროვნება მსჯელობის სახით მიმდინარეობს. მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს რამდენიმე ცნებას შორის მიმართების დამყარებას და დასკვნის გამოტანას.

ედუარდ გლასერი მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზროვნება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დამოკიდებულება/სურვილი გონივრულად განსაჯო საკუთარი გამოცდილების არეალში არსებული პრობლემები. ლოგიკური ჩაკითხვისა და მსჯელობის მეთოდების ცოდნა. ამ ცოდნის გამოყენების უნარი. როგორც ვხედავთ მხოლოდ მეთოდების ცოდნა და უნარების ფლობა არ არის საკმარისი, მთავარია არსებობდეს კრიტიკული აზროვების გამოყენების პრაქტიკა და ამ პრაქტიკის შედეგების მიღების მზაობა.

რობერტ ენისი გვთავაზობს კრიტიკული აზროვნების დამახასიათებელ მიდრეკილებებსა და განწყობების ჩამონათვალს: ნათლად ჩამოყალიბებული კითხვის, ან მტკიცებულების მოძიება; მიზეზების/ახსნა-განმარტების მოძიება; სრულად ინფორმირებული; დამაჯერებელი წყაროების გამოყენება; მთლიანი სიტუაციის მხედველობაში მიღება; მთავარ საკითხზე კონცენტრირება; ალტერნატივების ძიება; სხვების მოსაზრებების მიმართ გახსნილობა. პოზიციის დაკავება (ან პოზიციის შეცვლა) როდესაც ამისათვის საკმარისი მიზეზი და მტკიცებულებები გაგვაჩნია; რაც შეიძლება მეტი სიზუსტის ძიება, რამდენადაც საკითხი ამის საშუალებას იძლევა; კომპლექსური მთლიანობის შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრული განხილვა; სხვების გრძნობებისა და ცოდნის დონისადმი მგძნობელობა.

კრიტიკული აზროვნების არსის შეჯამება შემდეგნაირადაც შეიძლება; კრიტიკული აზროვნება არის აზროვნების შესახებ ფიქრის ხელოვნება, რომელიც ახდენს აზროვნების ძლერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას. ( საჭიროების შემთხვევაში) მისი გაუმჯობესებული ფორმით წარმოდგენას. პირველი მოითხოვს ისეთი მოაზროვნის არსებობას, რომელიც ანალიტიკურ და შეფასებით აზროვნებაშია დახელოვნებული. მეორე კი - მოაზროვნეს, რომელსაც შემოქმედებითი აზროვნების კარგი უნარი აქვს. ამგვარად, კრიტიკულ აზროვნებას სამი განზომილება აქვს; ანალიტიკური, შეფასებითი და შემოქმედებითი. მართალია ამ ფუნქციებს თეორიული სიცხადის მიზნით ერთმანეთისგან განვასხვავებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პროცესებში სამივემ ერთად უნდა მიიღოს მონაწილეობა. კრიტიკული აზროვნება არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც აზროვნების ცალკეულ ელემენტებად დაშლის იზოლირებული პროცესი. მას შემდეგ რაც ჩვენი აზროვნების შემადგენელ ნაწილებს ცხადად დავინახავთ, მათ შეფასებას უკეთ შევძლებთ. შემადგენელი ნაწილების შეფასება კი მაღალი დონის აზროვნება - კრიტიკული აზროვნების კრეატიული განზომლებაა. ადამიანი ანალიზს იმისთვის აკეთებს, რომ შეაფასოს. შეფასება კი გაუმჯობესებისთვის ხდება.

კრიტიკული აზროვნების ცნობილი მკვლევარი დევიდ კლუსტერი განსაზღვრავს კრიტიკულ აზროვნებას ხუთი ძირითადი პრინციპით:კრიტკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება. ამგვარად, აზროვნება შეიძლება იყოს კონკრეტული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია; ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყისს და არა საბოლოო პუნქტს. ცოდნა აჩენს მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად. კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გააზრებით. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის სარწმუნო არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ გადაწყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით, საფუძვლიანი მოსაზრებებით.არგუმენტაციის სტრუქტურული ელემენტებია: მოსაზრება, მტკიცებულება, დასაბუთება და საფუძველი - ეს ის წინაპირობაა, რომელიც საერთოა ორატორის ან მწერლის და მათი აუდიტორიისთვის. საფუძველს ეყრდნობა მთელი არგუმენტაცია. კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა,

რამდენადაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს. ან როგორც ფილოსოფოსი ჰანა არენდტი წერს „სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ცოცხალ ურთიერთობაში, ვისიმე თანდასწრებით".

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ პედაგოგს რ. ენისს. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა კრიტიკული აზროვნებისთვის მზაობის, განწყობის ან სხვაგვარად, შინაგანი მოტივაციების სისტემა, რომელიც აზროვნების"ხარისხს" განაპირობებს. რ. ენისის კონცეფციის თანახმად, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადაწყვეტილებები იყოს დასაბუთებული. ამისთვის მას სჭირდება წყაროებისა და დასკვნების ალტერნატიული განმარტებების, ახალი ჰიპოთეზების მოძიების უნარი, ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი, საკუთარისაგან განსხვავებული თვალსაზრისების განხილვის უნარი, მისწრაფება მრავალმხრივი ცოდნისა და საკუთარი თვალსაწიერის მუდმივი გაფართოებისკენ. ფლობდეს როგორც საკუთარი, ასევე სხვისი პოზიციის ნათლად წარმოდგენის უნარს. ნათლად და ზუსტად ესმოდეს ნათქვამისა და დაწერილის არსი, სიტუაციის თავისებურებების გათვალისწინებით, ახერხებდეს კონცენტრაციას საკითხსა და დასკვნებზე, ცდილობდეს არ ასცდეს ძირითად თემას. ეძებდეს და წარმოადგენდეს დასაბუთებულ მოსაზრებებს, ითვალისწინებდეს სიტუაციას მთლიანობაში და კარგად იაზრებდეს პოზიციას. პატივს უნდა სცემდეს თანამოსაუბრის აზრსა და ღირსებას ე.ი. შეეძლოს სხვების მოსმენა და გაგება.

მოცემული უნარების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სასწავლო პროცესში ხდება დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე. კრიტიკული აზროვნება არის თავისებური „აზროვნება ცოდნაზე" რომელიც საშუალებას იძლევა „იმისა, რომ შეიქმნას რაღაც ახალი, გამოყენებულ იქნას ადრე მიღებული ცოდნა". ამასთან ერთად, ცნება „ცოდნა" გამოიყენება ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ მიდგომებს კრიტიკული აზროვნების ცოდნის კომპონენტის განსაზღვრებისადმი. ასე მაგალითად, მ. მეისონი მას ახასიათებს, როგორც „ცოდნის გარკვეულ მოცულობას, იქნება ეს კრიტიკული აზროვნების ძირითადი ცნებების ცოდნა, ან ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის ცოდნა, რომლისთვისაც მოგვიანებით შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიტიკული აზროვნება" . რ. ენისი თვლის, რომ კრიტიკული აზროვნება როგორც დისციპლინათაშორისი და ზესაგნობრივი კატეგორია, ატარებს დედუქციურ ხასიათს: ადამიანი იძენს კრიტიკული აზროვნების ინ-ტელექტუალურ უნარებს კონკრეტული დისციპლინის გარეშე და შეუძლია გამოიყენოს ისინი ცოდნის განსხვავებულ სფეროებში. ჯ. მაკ პენი ყურადღებას ამახვილებს კრიტიკული აზროვნების ინდუქციურ ხასიათზე: იგი თვლის, რომ კრიტიკული აზროვნება კონკრეტული მეცნიერული სფეროსგან განუყოფელია. ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის პრობლემების კრიტიკული განხილვის აუცილებელი პირობაა ამ დისციპლინის სიღრმისეული ცოდნა . „ჩვენ არ შეგვიძლია კრიტიკულად განვიხილოთ ბირთვული ფიზიკის პრობლემები, თუკი არაფერი გაგვეგება ბირთვულ ფიზიკაში" - წერს ის.

III. დასკვნა

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ყოველთვის ღიაა სიახლის მიმართ, აღიქვამს სამყაროს მთელი თავისი მრავალფეროვნებით და პრინციპულად იცავს საკუთარ ღირებულებებს. კრიტიკულად მოაზროვნენი აცნობიერებენ მათთვის უცნობ იდეებზე მსჯელობის უსამართლობასა და აბსურდულობას ამ იდეების სიღრმისეული გააზრების გარეშე. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ცნობისმოყვარეობას, გამოკითხვის სტრატეგიების გამოყენებას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის ძიებას. ის მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას. კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, თავაზიან სკეპტიციზმს, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბებული პიროვნული პოზიციის არსებობას გულისხმობს. კრიტიკული აზროვნების არსი არც ისე რთულია. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც ზრუნვა საკუთარ აზროვნებაზე. მისი ღირებულებაც მარტივი გასაგებია. კრიტიკულ აზროვნებას მივყავართ გადაწყვეტილებამდე: რა ვირწმუნოთ და რა არა. აზროვნების ეს ფორმა გონებაში ინფორმაციის შესვლასთან ერთად იწყება და ამ ინფორმაციისადმი პიროვნული პოზიციის გამომუშავებით სრულდება. ესაა აზროვნების ფორმა, რომელიც საკითხის სხვადასხვა პრიზმაში დანახვას, ალტერნატივათა აწონვა-დაწონვასა და გაჩერებას გულისხმობს. ესაა საკითხისადმი არაერთჯერადი და არაერთგვაროვანი მიდგომა, შეკითხვების გზით პრობლემის არსში ჩაძიება, ფიქრი და განსჯა საშუალებათა შესახებ, რაც ოპტიმალური გადაწყვეტილების წინაპირობაა. კრიტიკულად აზროვნება - ესაა დამოუკიდებლად აზროვნება. როცა მეცადინეობა კრიტიკული აზროვნების პრინციპებზეა აგებული, ყოველი ადამიანი დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. ვერავინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენს მაგივრად. შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. ადამიანს საკმარისი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულეების საკითხები. დღევანდელ კონკურენტულ გარემოში უზარმაზარი საინფორმაციო ველებიდან მოიძიო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები, მასში დაინახო მნიშვნელოვანი და ყველაზე ფასეული, 21-ე საუკუნის ლიდერების ყველაზე ფასეული უნარებია, რომლის გარეშე ამ ლიდერთა წარმატების მიღწევა შეუძლებელია. დღევანდელ წარმატებულ ლიდერებს გააჩნიათ უნარები: შეაფასონ როგორც არსებული მდგომარეობა ასევე დაინახონ რეალური შესაძლებლობები, ხოლო როდესაც კონკრეტული პრობლემების წინაშე დგებიან , მის გადაწყვეტას არა მოკლევადიანი არამედ გრძელვადიანი პერსპექტივით უყურებენ. ასევე შესწევთ უნარი გაიხედონ მომავლისაკენ. ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტის ყველასათვის ნაცნობი ფრაზა ყოველთვის უნდა გვახოვსდეს: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობს! „ ყველა ჩვენგანი უნდა ეცადოს ჯანსაღი და კრიტიკული აზროვნების შედეგად გამოიტანოს დასკვნები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბ., 2007, გვ. 388, გამომცემლობა ილიაუნი;
2. დ. კლუსტერი, რა არის კრიტიკული აზროვნება, თბ., 2007 გვ; 320
3. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, ანალიტიკუი აზროვნების შესავალ, თბ., 2014, გვ. 258;
4. Google, Wikipedia.

***Marine Surmava, Associate Professor***
***Georgian Technical University***

## Critical thinking based on assessments of well known researchers.

### Summary

Critical thinking is a high level, witch is not an inherent ability at a human, it develops threw time in us. It is impossible to manipulate with a person, who things critically, so this ability was, is and will be very important. There are many definition of critical thinking, but all of them have something in common, argumentation is very important, but not in all kinds of thinking's. Critical thinking is not just praise and critic, it is an argument rate of proof and thoughts.

***Key Words:*** *Critical, Thinking, Argument, Problem, True, Knowledge.*

*დიმიტრი ბოკუჩავა, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ქურთების პრობლემა და თურქეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უშიშროება

რეზიუმე

დაახლოებით 35-40 მილიონი ქურთი ცხოვრობს მთიან რეგიონში, რომელიც ესაზღვრება თურქეთს, ერაყს, სირიას, ირანს და სომხეთს. ისინი წარმოადგენენ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს ამ ოთხ სახელმწიფოში. მიუხედავად ამისა, ქურთებს არასდროს შეუქმნიათ სახელმწიფო.

ქურთები დღეს ქმნიან თვითმყოფად საზოგადოებას, გაერთიანებულს რასის, კულტურის და ენის მეშვეობით. თუმცა ქურთულ ენაში არსებობს რამდენიმე დიალექტი, რამდენიმე რელიგია. მათი უმრავლესობა სუნიტი მუსლიმია.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა კვლავ დღის წესრიგში დააყენა ქურთების სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი.

პოლიტიკური თვალსაზრისით ქურთების საკითხი თურქეთისთვის წარმოადგენს საფრთხეს, როგორც საგარეო პოლიტიკის, ასევე ეროვნული უშიშროების სფეროში.

*საკვანძო სიტყვები:* *სახელმწიფო. პოლიტიკა, უშიშროება. კონფლიქტები.*

## I. შესავალი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც სახელმწიფო არ აქვთ, ქურთები არიან. ისინი გაფანტული არიან თურქეთის, ირანის, სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე. მათი საერთო რაოდენობა 40 მილიონს აღწევს, აქედან 15 მილიონი ქურთი თურქეთში ცხოვრობს. (რაც თურქეთის მოსახლეობის 19% შეადგენს).

ქურთისტანს უწოდებენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიან მხარეს, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს მოიცავს. აღმოსავლეთიდან ქურთისტანს ესაზღვრება ურმიის ტბა (ირანში), სამხრეთიდან ალ-ჯაზირა (სირიასა და ერაყში) და მარდინის დაბალმთიანეთი (თურქეთში), დასავლეთიდან - აღმოსავლეთ ტავროსის ქედი (თურქეთში). ჩრდილოეთით (თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში) გეოგრაფიული ქურთისტანის საზღვარი ნაკლებ მკაფიოა.

ქურთებმა ადრე მიიღეს ისლამი მათი დიდი ნაწილი სუნიტია, თუმცა მათ შორის არიან ორთოდოქსი შიიტები, ალევიები და იეზიდები.

ქურთები ლაპარაკობენ სამ ძირითად დიალექტზე. ესენია: ქურმანჯი, ზაზა და სურანი. ბოლო პერიოდში ყველა ტომმა აღიარა, რომ ქურმანჯი უნდა იყოს ქურთული ლიტერატურული ენის საფუძველი.

თუ პირველ მსოფლიო ომამდე ქურთები ორ სახელმწიფოში, ოსმალეთსა და სპარსეთში სახლობდნენ, ომის შემდეგ ისინი ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში - თურქეთში, ირანში, ერაყსა და სირიაში აღმოჩდნენ განაწილებული. ამ სახელმწიფოებს კი არ უნდათ ქურთული სახელმწიფოს, თუნდაც ავტონომიურის შექმნა, სხვა სახელმწიფოს ხარჯზეც, რათა არ გაჩნდეს საშიში პრეცედენტი.

## II. ძირითადი ნაწილი

ქურთები საკუთარი პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად წლებია იბრძვიან. ქურთებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება გასული საუკუნის ოციან წლებში შეეძლოთ. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მარცხის შემდეგ ხელმოწერილი სევრის ხელშეკრულება მის შექმნას ითვალისწინებდა: 1920 წელს, სევრის ხელშეკრულებაში[1], რომელიც ოტომანთა იპერიასა და ანტანტას შორის დადებულ სამშვიდობო ზავს წარმოადგენდა 64-ე პუნქტში ასახულია ქურთისტანის, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროექტი: „თუ წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ქურთი ხალხი… …მიმართავს ერთა ლიგის საბჭოს და დაასაბუთებს, რომ… …[ქურთი ხალხის] უმრავლესობას სურს თურქეთისგან დამოუკიდებლობა, და თუ საბჭო მიიჩნევს, რომ ეს [ქურთი] ხალხი მზად არის ამისთვის და [მათთვის დამოუკიდებლობის] მინიჭების რეკომენდაციას გასცემს, თურქეთი ეთანხმება ამგვარი რეკომენდაციის აღსრულებას…“.

შემდგომ ვითარება შეიცვალა, ხოლო დამოუკიდებელი ქურთისტანისთვის განკუთვნილი ტერიტორია თურქეთმა, ერაყმა და სირიამ გაიყვეს. ამ დროს ერაყი დიდი ბრიტანეთის, ხოლო სირია საფრანგეთის პროტექტორატს წარმოადგენდა. ამგვარად, ქურთების ხანგრძლივი ბრძოლა ოსმალეთთან უშედეგოდ დასრულდა.

მუსტაფა ქემალ ათათურქს სათავეში მოსვლა ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლით მოუწია. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მან საფუძველი ჩაუყარა სეკულარულ და მოდერნიზებულ თურქეთს. უმნიშვნელოვანესი მისი რეფორმებიდან იყო კონსტიტუციის შექმნა; ერთ-ერთი მუხლის თანახმად კი, მოქალაქეობა თურქულობას დაუკავშირდა. ანუ მოხდა ერი სახელწიფოს ფორმირება ტიტულარული თურქი ერით სათავეში. ასევე კანონით იყო დადგენილი ის, რომ მხოლოდ თურქი დაიკავებდა მაღალ თანამდებობებს და ა.შ. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქურთული ეთნიკურობის გაძლიერება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება, რადგან ბევრი ქურთისთვის ეს ნიშნავდა იმას, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ თურქები და არა ქურთი და თურქი ერთდროულად.

ყველაზე მეტად ქურთებმა თავიანთი პოზიციები ერაყში გაიმყარეს, რადგან მათ საკუთარი ავტონომიური რეგიონი შექმნეს. ერაყელ ქურთებს საკუთარი პარლამენტი, მთავრობა, შეიარაღებული ძალები და სრულყოფილი

---

[1] სევრის ხელშეკრულება – იყო სამშვიდობო ხელშეკრულება დადებული 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და მოკავშირეებს შორის პირველი მსოფლიო ომის დასასრულებლად. იგი გაუქმებული იქნა თურქეთის დამოუკიდებლობის ომის მსვლელობისას, ხოლო მხარეებმა მის შემცვლელ შეთანხმებას 1923 წელს მოაწერეს ხელი (ლოზანას ხელშეკრულება)

სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ინსტიტუცია გააჩნიათ. სწორედ ეს რეგიონი მოიაზრება ერთიანი ქურთისტანის ძირითად ბირთვად.

ქურთები დღეს შეადგენენ ერაყის 37 მილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 15-20%-ს და განსახლებული არიან ქვეყნის ჩრდილოეთში.

ერაყის ქურთების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1946 წელს შეიქმნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია (ქდპ). თუმცა შიდა დაპირისპირებების და საგარეო ფაქტორების ზემოქმედების გამო, დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება მხოლოდ 2017 წელს მოხერხდა. ბოლო 12 წლის მანძილზე, ქურთები ეტაპობრივად გაძლიერდნენ, როგორც პოლიტიკური, ისე განსაკუთრებით, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრით.

ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის (იგივე ისლამური სახელმწიფო) აღზევების შემდეგ, 2014 წელს, ერაყი ქაოსმა მოიცვა და სამთავრობო ჯარებმა ბევრი ქალაქი უბრძოლველად დატოვეს. ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას ერაყის ტერიტორიაზე სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ თუმცა, დაეშის მთავარი მეტოქე სწორედ ქურთების შეიარაღებული ძალები, სახელად ფეშმერგა აღმოჩნდა. დაეშის დასუსტებასთან ერთად, იზრდებოდა ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაც. მოსულის განთავისუფლებას მოჰყვა ქურთისტანის პრეზიდენტის განცხადება რეფერენდუმის შესახებ და იქვე, ბარზანიმ[2] რეფერენდუმის თარიღიც გამოაცხადა.

ქურთების ერაყის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მთავარ მიზეზს კირქუკის რაიონი წარმოადგენს.

კირკუკი ნავთობით უმდიდრესი რეგიონია, რომელსაც დაეშის გამოჩენამდე ერაყის ცენტრალური მთავრობა აკონტროლებდა და არ შედიოდა ქურთისტანის ავტონომიაში. 2014 წელს კირკუკი დაეშმა უბრძოლველად აიღო მას შემდეგ, რაც ქალაქი ერაყის არმიის შენაერთებმა დატოვეს. რეგიონი დაეშისგან სწორედ ქურთულმა ფეშმერგამ გაათავისუფლა.

კირკუკის საკითხი ასევე შემაშფოთებელია თურქეთისთვის, რომელიც შიშობს, რომ ქურთების მიერ კირკუკის რეგიონის ანექსია გააღვივებს სეპარატიზმს როგორ ერაყში, ისე მთელ რეგიონში თურქეთის ჩათვლით.

ერაყის ქურთისტანის რეგიონულმა მთავრობამ, არაერთი სირთულის მიუხედავად, 2017 წლის 25 სექტემბერს ცალმხრივად მაინც ჩაატარა მრავალჯერ გადადებული რეფერენდუმი დამოუკიდებლობის თაობაზე, სადაც მონაწილეთა 92,7%-მა მხარი დაუჭირა რეგიონის ერაყისგან გამოყოფას.

აღნიშნული რეფერენდუმი დაგმო, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადმა აქტორმა. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმის შედეგები აღიარა - ისრაელი იყო. ისრაელის ინტერესეში, ბუნებრივია, შედის მასთან დაპირისპირებული ისლამაური ქვეყნებისთვის ახალი პრობლემის გაჩენა.

---

[2] მასუდ ბარზანი - ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტი და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის პოზიცია და ის პარადოქსულად კარგი ურთიერთობა, რაც მას ერაყის ქურთისთანთან ჰქონდა. თურქეთი მათ აქტიურად იყენებდა საკუთარი ქურთების სეპარატისტული ზრახვების წინააღმდეგ. თუმცა, დღეს თურქეთის ხელმძღვანელობა უკიდურესად უარყოფითად აფასებს როგორც რეფერენდუმს, ისე დამოუკიდებელი ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას.

ერდოღანმა ქურთისტანის ლიდერს მასუდ ბარზანის "მოღალატე" უწოდა. ის ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონს მილსადენის გადაკეტვითაც დაემუქრა, რომლითაც ჩრდილოეთ ერაყიდან ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება. „ამის შემდეგ ვნახოთ, ჩრდილოეთ ერაყის მთავრობა რომელი არხებით განახორციელებს თავისი ნავთობის მიწოდებას, ან ვის მიყიდის. ბოლო მომენტამდე მქონდა იმედი, რომ მათი ლიდერი არ მიიღებდა მონაწილეობას ჩატარებულ რეფერენდუმში", - განაცხადა ერდოღანმა. მისივე განცხადებით, ამ რეფერენდუმმა შესაძლოა ეთნიკური ომი გამოიწვიოს და თურქეთის უსაფრთხოების დასაცავად ყველა საშუალება განიხილება, მათ შორის სამხედრო საშუალებები.

ოფიციალურმა ბაღდადმა, როგორც მოსალოდნელი იყო არ აღიარა რეფერენდუმის შედეგები და 16 ოქტომბერს პროვინციაში სამხედრო ნაწილები შეიყვანა.

ერაყის ქურთისტანის ხელისუფლებამ რეფერენდუმის შედეგების გაუქმებისთვის და დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესის შეჩერებისთვის მზადყოფნა გამოაცხადა. ქურთები ამბობენ, რომ ამას ოფიციალურ ბაღდადთან დიალოგის დასაწყებად გააკეთებენ, რათა წარმოქმნილი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისის განმუხტვა მოხდეს.

სამოქალაქო ომმა მეზობელ სირიაში სირიელ ქურთებს სიმხნევე შემატა, რომ ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე საკუთარი ავტონომიის მოთხოვნის გეგმა განახორციელებინათ. ქურთები სირიაში ყველაზე მსხვილ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. თურქეთი, სადაც ქურთთა საკმაოდ დიდი დიასპორაა წარმოდგენილი, თურქთა და ქურთთა სეპარატისტული მოძრაობით სერიოზულად არის შეშფოთებული.

სირიელმა ქურთებმა, კერძოდ კი ქურთული დემოკრატიული ერთობის პარტიამ (PYD) გამოაცხადა ე.წ. „ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის" ჩამოყალიბების შესახებ, რომელმაც უნდა გააერთიანოს სამი უპირატესად ქურთების მიერ დასახლებული კანტონი (ჯაზირა, ქობანი და აფრინი). ისინი მიზნად ისახავენ გააერთიანონ ყველა ის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიებზე. ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის ჩამოყალიბება საწინდარი გახდა უფრო მეტი ესკალაციისა და დაძაბულობის რეგიონში.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ PYD მის მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ ხედვაში მკაფიოდ ანტითურქულ და პრო PKK პოზიციას გამოხატავს ღია წინააღმდეგობა თურქეთს, იმის გამო რომ მათ დაკავებული ჰყავთ PKK-ს ლიდერი აბდულა ოჯალანი და არ იცავენ ქურთების უფლებებს. დაპირისპირება ქურთების

რეგიონალურ ლიდერ მასუდ ბარზანისთან , რომელიც ღია მოლაპარაკებებზე მიდის თურქეთთან PKK-ს ფაქტორი უგულებელყოფით (ამას ხაზს უსვამენ იმიტომ, რომ ძირითადად ქურთები მიიჩნევენ, რომ PKK არის ერთადერთი მეთაური ქურთული ნაციონალიზმის).

ანკარას დარჩა ორი გზა: 1. წასულიყო ვა-ბანკზე და ბოლომდე ებრძოლა ყველა შესაძლო გზით, მათ შორის სამხედროთი, რისი შესაძლებლობაც მას აქვს და 2. არაფერი მოემოქმედა, რაც თავის მხრივ არ ნიშნავდა იმას, რომ თურქეთის ქურთები არ გამოვიდნენ პოლიტიკური მოთხოვნებით საკუთარ ტერიტორიაზეც შექმნათ სირიის მსგავსი თვითმმართველი ერთეული.

აშშ სირიელ ქურთებს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, მოკავშირეებად განიხილავს და მათ ინტენსიურად ამარაგებს იარაღით, რაც თურქეთის აღშფოთებას იწვევს. ოფიციალური ანკარა სირიელ ქურთებს ქურთისტანის მუშათა პარტიასთან აკავშირებს, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს.

2014 წლის 17 სექტებერს, ISIS-ის ძალებმა დაიწყეს მასშტაბური თავდასხმა სირიის ჩრდილოეთით მდებარე ქურთულ ტერიტორიებზე ტანკებისა და არტილერიის გამოყენებით. ასე დაიწყო ქობანის პირველი ბრძოლა, რომელიც ოფიციალური მონაცემებით 2015 წლის 26 იანვარს დასრულდა. ქალაქისთვის ბრძოლები იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან იგი განლაგებულია თურქეთ-სირიის საზღვართან და ვინც მას აკონტროლებს შესაბამისად ის ბატონობს საზღვარზე. ეს საზღვარი კი თავისთავად არ არის უბრალო, ვინაიდან თურქეთი არის ნატოს წევრი, შესაბამისად საუბარია უშუალოდ ნატოს საზღვარზე.

მიუხედვად იმისა, რომ კოალიციურ ძალებს თურქეთის დახმარების იმედი ჰქონდათ, მალევე გაირკვა რომ მხარდაჭერა არ იქნებოდა ისეთი როგორსაც ამას დასავლეთში მოელოდონენ. მართალია, თურქეთმა აღმოუჩინა ჰუმანიტარული დახმარება სირიელ ქურთებს, რაც გამოიხატებოდა კონფლიქტის ზონიდან ასიათასობით ქურთი ლტოლვილის მიღებაში  და ასევე შეუშვა მცირეოდენი რაზმები ერაყის ქურთისტანიდან ქობანიში საკუთარი ტერიტორიის გავლით. საბოლოო ჯამში, თურქულმა მხარემ გამოიჩინა უმოქმედობა ქობანის ბრძოლაში, მიუხედავად დიდი დასავლური ზეწოლისა.

„ამ ეტაპზე, ჩვენთვის PYD და PKK ერთი და იგივეა და მათ შორის განსხვავება არ არსებობს. ის ასევე წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციას" - განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის ვიცე-პრემიერის ნურეტინ ჩანიკზის თქმით, თურქეთი არ ეთანხმება სირიაში ანტიტერორისტული კოალიციის სპეცოპერაციებში იმ "ტერორისტული ორგანიზაციის" ჩართვას, რომელიც მათი სახელმწიფოს მომავალს ემუქრება.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ PYD მის მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ ხედვაში მკაფიოდ ანტითურქულ და პრო PKK პოზიციას გამოხატავს. ასეთ პირობებში კი, ლოგიკურია, რომ თურქული მხარე არ დაეხმარა იმ ძალას, რომელიც მას აშკარა ბრძოლას უცხადებს.

აშშ-მა თურქეთს სირიელი ქურთებისთვის იარაღის გადაცემასთან დაკავშირებით გარანტიებიც მისცა: 1) აშშ-ის მეირ სირიელი ქურთებისთვის მიწოდებული იარაღი იქნება დათვლილი და დარეგისტრირებული; 2) იარაღის რაოდენობა და მნიშვნელობა სპეცოპერაციის საჭიროებისამებრ იქნება განსაზღვრული. აშშ დააკვირდება გადაცემული იარაღის გამოყენების პროცესს; 3) თუკი გაირკვევა, რომ მიწოდებულ იარაღს სხვა ადგილებშიც გამოიყენებენ, მიწოდების პროცესი შეწყდება.

აღნიშნული დაპირება საკმარისი არ აღმოჩნდა ერდოღანისთვის და მან თურქეთის საზღვართან სირიის ქალაქ აფრინში სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. გადაწყვეტილება თურქეთის პრეზიდენტმა მას შემდეგ მიიღო, რაც სამხედრო კოალიციამ, რომელსაც სათავეში აშშ უდგას, სირიის ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვართან 30 000-იანი ახალი სასაზღვრო დაცვის ძალების შექმნაა დაანონსა, რომელთაგან 15 000 წევრი სირიელი ქურთებისგან შეიქმნება.

ერდოღანმა თურქეთის პარლამენტში გამოსვლისას დააანონსა, რომ თურქეთის არმია რეგიონში ტერორისტებს მალე გაანადგურებს: „ახლა ამერიკა ჩვენს საზღვრებთან ახლოს ქმნის ტერორისტულ არმიას, რომელიც საფრთხეს უქმნის თურქეთის უსაფრთხოებას. ჩვენი ამოცანაა, გავგუდოთ ეს არმია, სანამ ის დაიბადება. თუ აშშ-ს სურს ამ ველურებთან თანამშრომლობა, ეს მათი საქმეა. მაგრამ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ," – განაცხადა ერდოღანმა. სამხედრო ოპერაციაში თურქებს დახმარებას უწევს სირიის სამოქალაქო ომში ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე მთავარი სეკულარული ძალა, თავისუფალი სირიული არმია (FSA).

თურქეთის გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ დიდწილად მისი დიპლომატიის უშედეგობით არის განპირობებული. გასული წლის განმავლობაში აშშ-ისთვის გამუდმებულმა თხოვნამ სირიელი ქურთებისთვის სამხედრო დახმარება შეეწყვიტა, შედეგი ვერ გამოიღო. ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ, სირიელი ქურთები გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი სამხედრო ოპერაციით ცდილობს დამტკიცოს, რომ ამ რეგიონში ის არის მთავარი მოთამაშე და მისი ჩარევის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. ქურთებმა ერაყში დე-ფაქტო მოიპოვეს დამოუკიდებლობა, თურქეთს ამ პრეცედენტის განმეორება არ სურს სირიაში და ამის პრევენციას ცდილობს. თურქეთი ცდილობს არ დაუშვას კიდევ ერთი ქურთული ანკლავი.

თურქეთისთვის ქურთების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერაყის ქურთისტანში 25 სექტემბერს ჩატარებულმა დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო შემოტრიალება განაპირობა – თურქეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო მის ისტორიულ მეტოქეებთან, ირანთან და ერაყთან, რათა საერთო ძალისხმევით ქურთული საფრთხე შეეკავებინათ. მხარეები სამომავლოდ ამ საფრთხის პრევენციისთვის ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელებაზეც კი შეთანხმდნენ.

ქურთების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა თურქეთის რესპუბლიკაში. ქურთთა ამბოხება, არაერთხელ სასტიკად იქნა ჩახშობილი თურქი სამხედროების მიერ. ქურთების ეროვნული თვითგამორკვევის დაწყების გადამწყვეტ მომენტად თამამად შეგვიძლია 1978 წლის 27 ნოემბერი დავასახელოთ, როდესაც ასპარეზზე გამოდის PKK (ქურთ მუშათა პარტია, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა) აბდულა ოჯალანის მეთაურობით.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში თურქეთში გააქტიურდა მემარცხენე მოძრაობა. ქურთებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ ისინი ამ მოძრაობის საშუალებით შეძლებდნენ საკუთარი უფლებების დაცვას და ჩამოაყალიბეს რამოდენიმე მემარცხენე პარტია.

PKK – Parti Kurkerani Kurdistan – ქურთების მუშათა პარტიამ თავიდანვე განსაზღვრა საკუთარი თავი ლიდერ ძალად ქურთებს შორის ახლო აღმოსავლეთში, რომელიც სოციალისტური და ეროვნული რევოლუციის გზით მიაღწევდა ქურთისტანის გათავისუფლებას (Özcan 2006, 86). მათ მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში, ისინი აცხადებდნენ, რომ ქურთისტანი არის „სახელმწიფოს შიგნით არსებული კოლონია; ქურთებმა უნდა იბრძოლონ გათავისფულებისთვის მტრების (თურქეთი) წინააღმდეგ, რომლებსაც დაპყრობილი აქვთ ქურთისტანი, ყველა შესაძლო ხერხით მათ შორის სამხედროთიც, რათა უზრუნველყოფილ იქნას დამოუკიდებელი, გაერთიანებული და დემოკრატიული ქურთისტანის ჩამოყალიბება“. (Özcan 2006, 87).

1984 წლიდან პარტია ნახევრად სამხედრო დაჯგუფებად გადაკეთდა და მისი მიზანი დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს – ქურთისტანის ჩამოყალიბება გახდა, რომელიც თურქეთის, სირიის, ერაყის და ირანის ქურთულ ნაწილებს გააერთიანებდა.

ანკარას მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ „ქურთისტანის მუშათა პარტიასა“ და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება 1984 წელს დაიწყო, როდესაც ადგილობრივმა ქურთებმა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების სურვილი გამოთქვეს.

ოჯალანი ამ დროს სირიას აფარებდა თავს და იქიდან ხელმძღვანელობდა თანამებრძოლებს. 1998 წელს, ანკარის ზეწოლის შემდეგ, სირიის მოქმედი ლიდერის, ბაშარ ასადის მამა, ჰაფეზ ასადი იძულებული გახდა, ოჯალანი ქვეყნიდან გაეძევებინა. 1999 წელს კი თურქულმა სპეცსამსახურებმა ის კენიაში დააკავეს.

ქურთი მებრძოლებისა და თურქეთის ხელისუფლების დაპირისპირებას წლების განმავლობაში 40 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

მცირე ხნის პაუზის შემდეგ, 2004 წლიდან PKK-მ განაახლა ტერაქტები თურქეთის სხვადასხვა რაიონებში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 2013 წლის მარტი იყო, როდესაც მოხდა აფეთქება AKP-ს შენობაში, სადაც განთავსებულია რეჯეფ თაიფ ერდოღანის ოფისი. ამ მოვლენების შემდეგ, მართალია ოჯალანმა გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, თუმცა უცნობია რამდენად შენარჩუნდება ეს პირობა, რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც PKK შერიგების ინიციატივით გამოდის.

III. დასკვნა

პოლიტიკური უთანხმოებები და თემური დაპირისპირება სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს შორის იყო და იქნება უახლოეს მომავალში ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი თურქეთში ქურთული ნაციონალური მოძრაობის სისუსტისა.

რეგიონის ცვალებადი გეოპოლიტიკის ფონზე, სავარაუდოდ, მაინც შესაძლებელია, რომ ქურთებმა გარკვეულ შედეგს მიაღწიონ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ამერიკასა და თურქეთს შორის ფარული დაძაბულობა ღია პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა.

ლიტერატურა

1. ბატაშვილი დ. როგორ ახორციელებს თურქეთი თავის ახალ გეოსტრატეგიას: თბილისი, 2017.
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ. : დიოგენე, 2003.
3. გრიგალაშვილი ს. თურქეთი თანამედროვე რეგიონალურ პოლიტიკაში. თბილისი 2009
4. ისრაელი და ახლო აღმოსავლეთი. თარგმნა ნინო მესტვირიშვილმა; მთ. რედ. ნინო დეკანოსიძე].თბილისი : პალიტრა L, 2014
5. კაპანაძე ს. ევროკავშირის პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.
6. მანჩხაშვილი მ. თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს. თბილისი : უნივერსალი, 2014.
7. მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში რედაქტორები: თბილისი : უნივერსალი, 2016.
8. მაკკორმიკი ჯ. ევროკავშირის პოლიტიკა. მთარგმნელები: ხათუნა ბასილაშვილი, მაგდანა ჯანელიძე ; კავკასიის უნ-ტის გამ-ბა, 2016 (სტამბა დამანი)
9. მანველიძე ი. ევროკავშირი-გლობალური საერთაშორისო აქტორი. შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტი. თბ. : უნივერსალი, 2011.
10. სანიკიძე გ. რეფერენდუმი ერაყის ქურთისტანში - ახალი გამოწვევა ახლო აღმოსავლეთისათვის. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ოქტომბერი/2017. 21-ე გამოცემა.
11. სვანიძე მ. ,,თურქეთის ისტორია “(1299-2000) თბ. : არტანუჯი, 2007.
12. ჩილოღლუ ი. საერთაშორისო რეგიონული ინტეგრაციის უპირატესობები თურქული და ქართული კომპანიებისათვის. თბილისი 2009
13. ხაზარაძე ნ.სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი. საქ. ეთნოგრ. მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. თბ. 2010.
14. ჭიღვარია გ. თურქეთის გეოპოლიტიკა (1990-2010) / გიორგი ჭიღვარია; ქუთაისი : აკაკი წერეთლის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2011.

15. Barkey Henri J. and Graham E. Fuller. 1998. Turkey's Kurdish Question. Rowman and Littlefield Publishers.
16. N. Tocci, Turkey and the European Union, A journey into the Unknown, Center on the United States and Europe at Brooking, November 2014
17. The European Union and Turkey in 2017.Move On or Apart? By Michael Werz July 21, 2017. Center for American Progress.
18. ზ, ბატიაშვილი. ერაყის ქურთისტანის საკითხი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. https://www.gfsis.org/ge/blog/view/764. მოძიებულია: 01.12.2017
19. Kurdistan referendum: Erdogan says Iraqi Kurds risk 'ethnic war' and threatens military response to vote. Bethan McKernan. http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/kurdistan-referendum-kurdish-turkey-military-recep-tayyip-erdogan-iraq-kurds-krg-independence-a7967566.html მოძიებულია: 22.02.2018
20. Kurdish Dreams of Independence Delayed Again. By Dexter FilkinsOctober 16, 2017. https://www.newyorker.com/news/news-desk/kurdish-dreams-of-independence-delayed-again მოძიებულია: 22.01.2018
21. How Regional Security Concerns Uniquely Constrain Governance in Northeastern Syria. KHEDER KHADDOUR; https://carnegie-mec.org/2017/03/23/how-regional-security-concerns-uniquely-constrain-governance-in-northeastern-syria-pub-68380. მოძიებულია: 22.01.2018
22. Wright, Robin. 2014. Why Kobani Matters?. The Wall Street Journal, 7 October. http://blogs.wsj.com/washwire/2014/10/07/why-kobani-matters/. მოძიებულია: 25.01.2018



***Bokuchava Dimitri, PhD student***
***Gerogian Technikal University***


## The case for Kurdish and Turkish national security

### Summary


Between 35 and 40million Kurds inhabit a mountainous region straddling the borders of Turkey, Iraq, Syria, Iran and Armenia. They make up the fourth-largest ethnic group in the Middle East, but they have never obtained a permanent nation state. Today, they form a distinctive community, united through race, culture and language, even though they have no standard dialect. They also adhere to a number of different religions, although the majority are Sunni Muslims.

Contemporary developments in the Middle East have brought the Kurdish quest for statehood back to attention. From a political outlook, the "Kurdish question" is characterized as being both a foreign policy deterrent and security dilemma for the Turks.


***Key words:*** *State. Policy. Conflicts. Safety*

*თამარ კილასონია, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# პიროვნების „იდენტობა“ და „იდენტიფიკაციის კრიზისი“ თანამედროვე გლობალურ სივრცეში

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა გარკვეული ასახვა ჰპოვა, როგორც ქვეყნების გეოპოლიტიკურ და ეკონომიურ, აგრეთვე კულტურულ მდგომარეობაზე – მსოფლიო დაპატარავდა, ადამიანებს ერთ გლობალურ სივრცეში უწევთ ცხოვრება; ქვეყნები ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ; დაიკარგა ჭეშმარიტი ფასეულობები და ისინი ტექნიკური ცივილიზაციის მიღწევებმა ჩაანაცვლა.

რასაკვირველია, ამ ყველაფერმა ადამიანთა გაუცხოების პრობლემა წამოჭრა. ადამიანთა უმეტესობა ერთმანეთთან რეალურ ურთიერთობებს ვირტუალურ ურთიერთკავშირს ამჯობინებს. გაუცხოება ხდება არა მარტო სოციუმთან და საზოგადოებასთან, არამედ საკუთარ ოჯახთან და საკუთარ თავთანაც კი.

გამომდინარე იქიდან, რომ ჯანმრთელი სოციუმისა და ფსიქიკის პირობებში „მე“ არ ირღვევა, ე.ი. დარღვეული იდენტობის ერთ-ერთი მიზეზი გარემოშია საძიებელი.

გლობალურ სივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა საკუთარი „მე“-ს ანუ იდენტობის დაკარგვა გახდა. იდენტობის პრობლემის კვლევამ XX საუკუნეში საკმაოდ ფართო მასშტაბი შეიძინა, 1960-იანი წლების ბოლოდან კი იგი კულტუროლოგიური დისკურსების უმეტესობაში ერთ-ერთ მთავარ და ცენტრალურ ცნებად იქცა.

*საკვანძო სიტყვები: პიროვნება. იდენტობა. იდენტიფიკაციის კრიზისი. გლობალიზაცია*

## I. შესავალი

ყოველი დიდი ერი, საკუთარი ისტორიის მანძილზე, ხდება რაღაც დიადი იდეის მატარებელი, რომელიც აძლიერებს და უფრო სულიერს ხდის მის ყოფიერებას. ინგლისელებისთვის ეს არის პირადი თავისუფლების იდეა, რომელიც თავისუფლების ქარტიიდან მოდის, ფრანგებისთვის – თანასწორობის იდეა, რომელიც ფრანგული რევოლუციის ლოზუნგი იყო, ამერიკელებისათვის – ლიბერალიზმის პრინციპები და ა.შ. ქართველებისთვის კი, მთელი ქართული სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე, ამგვარ დიად იდეას წარმოადგენდა ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელიც აქტუალური იყო ყველა ეპოქაში. იგი ქრისტიანობასთან ერთად გახდა ეროვნული იდენტობის მოპოვების და შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

თუ გავიხსენებთ უახლესი ისტორიის მოვლენებს, ნათლად დავინახავთ, რომ ქართველები ყოველთვის იბრძოდნენ და არასოდეს ეგუებოდნენ იმ ტოტალურ

მმართველობას, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო. ქართველების დიდი ეროვნული გმირობა იყო ქართული ენის დაცვა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

## II. ძირითადი ნაწილი

XX საუკუნეში, ისევე როგორც XXI-ში ადამიანთა უმეტესობას ჰქონდა დარღვეული ეროვნული ცნობიერება, დაცემული ადამიანური ღირსება, ფეხქვეშ გათელილი მორალი და დამდაბლებული ზნეობა; გამრთელება სჭირდებოდა გახლეჩილ ადამიანურ ფსიქიკასაც.

ზემოთ ჩამოთვლილ სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს დაერთო სხვა, უფრო გლობალური ხასიათის პრობლემებიც. ტექნიკურმა რევოლუციამ, ცივილიზაციის ახალ საფეხურზე ასვლამ ადამიანი ღმერთს დააშორა, რამაც მის ცნობიერებაში უამრავი თავსატეხი გააჩინა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დღეს გამოიკვეთა საკუთარი „მე"-ს ანუ იდენტობის დაკარგვა გახდა, იმ გლობალურ სივრცეში, რომელშიც ჩვენ, სხვა მცირე ერებთან ერთად აღმოვჩნდით. იდენტობის პრობლემის კვლევამ XX საუკუნეში საკმაოდ ფართო მასშტაბი შეიძინა, 1960-იანი წლების ბოლოდან კი იგი კულტუროლოგიური დისკურსების უმეტესობაში ერთ-ერთ მთავარ და ცენტრალურ ცნებად იქცა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, XX-XXI საუკუნეებში ქართული საზოგადოება ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა, მათ შორის მნიშვნელოვანია ეროვნული ცნობიერებისა და კულტურულ ფასეულობათა გადარჩენის აუცილებლობის, ასევე ძირითადი ზოგადადამიანური ღირებულებების დაცვის საკითხიც. უმთავრეს პრობლემად, რასაკვირველია, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება მიიჩნევა. ეროვნული თვითიდენტიფიკაცია და საკუთარი მე-კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც დღეს უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა გარკვეული ასახვა ჰპოვა, როგორც ქვეყნების გეოპოლიტიკურ და ეკონომიურ, აგრეთვე კულტურულ მდგომარეობაზე – მსოფლიო დაპატარავდა, ადამიანებს ერთ გლობალურ სივრცეში უწევთ ცხოვრება; ქვეყნები ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ; დაიკარგა ჭეშმარიტი ფასეულობები და ისინი ტექნიკური ცივილიზაციის მიღწევებმა ჩაანაცვლა.

რასაკვირველია, ამ ყველაფერმა ადამიანთა გაუცხოების პრობლემა წამოჭრა. ადამიანთა უმეტესობა ერთმანეთთან რეალურ ურთიერთობებს ვირტუალურ ურთიერთკავშირს ამჯობინებს. გაუცხოება ხდება არა მარტო სოციუმთან და საზოგადოებასთან, არამედ საკუთარ ოჯახთან და საკუთარ თავთანაც კი.

გამომდინარე იქიდან, რომ ჯანმრთელი სოციუმისა და ფსიქიკის პირობებში „მე" არ ირღვევა, ე.ი. დარღვეული იდენტობის ერთ-ერთი მიზეზი გარემოშია საძიებელი.

იდენტობის დადგენა რთული, მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ესაჭიროება კონკრეტული სივრცე და კონკრეტული დრო, რომელშიც

უნდა მოხდეს მისი მოპოვება. პიროვნული იდენტიფიკაცია ადვილად დგინდება მაშინ, როცა ადამიანს მისთვის იდენტურ სივრცეში უხდება ცხოვრება. პიროვნების იდენტიფიკაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს მისი საცხოვრებელი გარემო. გარემოს ცნებაში იგულისხმება ფიზიკური სივრცეც, რომელიც არასოდეს გვხვდება სოციოკულტურული გავლენისაგან თავისუფალი სახით.

იდენტობის კვლევისას, მოჩნიკ რასტკო მიიჩნევს, რომ იდენტობის თანამედროვე გაგება კრიტიკულია თავისთავად; კრიტიკა ვითარდება ორი მიმართულებით: ხაზის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია ტერმინ „იდენტობის" ხმარება მრავლობით რიცხვში, მხედველობაში გვაქვს რა პიროვნების „სხვადასხვა იდენტობები". მეორე ხაზის კრიტიკოსები კი, მოითხოვენ ცნება „იდენტობიდან" ყურადღების ფოკუსის გადატანას უფრო მოქნილ „იდენტიფიკაციაზე" [1].

ტერმინი „იდენტიფიკაცია" სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ავსტრიელმა ნევროპათოლოგმა და ფსიქოლოგმა ზიგმუნდ ფროიდმა (თავის ნაშრომში „ფსიქოანალიზი", რომელიც ფროიდმა XX საუკუნის პირველ მესამედში ჩამოაყალიბა). შემდგომში კი ეს ტერმინი აქტიურად იქნა გამოყენებული ნეოფროიდისტების – ა. ფროიდისა და ბ. რაპოპორტის – მიერ. ბევრი თანამედროვე ავტორიც, ტერმინ „იდენტობის" სტატიკურობის კრიტიკისას სწორედ ამ ცნებას ანიჭებს უპირატესობას.

„იდენტიფიკაცია" გულისხმობს იდენტობის ფორმირების დინამიკურ, პროცესუალურ ასპექტებს. ფსიქოანალიტიკური ტრადიციით, იდენტიფიკაცია არის ცენტრალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს „მე"-ს თვითგანვითარების უნარს.

აღნიშნული ტერმინი ფართოდ იხმარება სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში, ხოლო, რაც შეეხება ტერმინ „იდენტობას", იგი ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ეგო-ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ერიკ ერიკსონმა დაამკვიდრა. მან ფსიქოლოგიის ცენტრალურ ცნებად პიროვნების ფსიქოსოციალური იდენტობა შემოგვთავაზა. დღეს მეცნიერებაში ორივე ტერმინი იხმარება და, პრობლემის არსის გაშუქებისას, შეუძლებელია რომელიმე მათგანის უგულვებელყოფა. მათ შორის განსხვავება მხოლოდ დინამიზმშია, იდენტიფიკაცია დინამიკურ პროცესს გულისხმობს, იდენტობა კი – უფრო სტატიკურს.

იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე"-ზე, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალური თვითგაიგივებისა და მთლიანობის სუბიექტური გრძნობით; ესაა ადამიანის მიერ საკუთარი თავთან იგივეობის დადგენა (ნაწილობრივ – გაცნობიერებული, ნაწილობრივ კი – გაუცნობიერებელი) სოციოლოგიურ ლიტერატურაში იდენტიფიკაციის ქვეშ მოიაზრებენ პიროვნების სოციალიზაციის ერთ-ერთ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ან გათავისდება ნორმები, იდეალები, ფასეულობები, როლები და მორალური ნიშანთვისებები იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისა, რომელსაც ეკუთვნის მოცემული ინდივიდი.

სოციალურ მეცნიერებებში განასხვავებენ იდენტობების სხვადასხვა ტიპებს:

– სოციალურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება სოციალურ პოზიციასთან ან სტატუსთან);
– კულტურულ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება კულტურულ ტრადიციასთან);
– ეთნიკურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება განსაზღვრულ ეთნიკურ ჯგუფთან);

ჯგუფურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება რაიმე ჯგუფთან) [2. 228-229].

ასევე გამოიყენება ტერმინი „ფსიქოსოციალური იდენტობა“, რომელშიც ინტეგრირებულია ინდივიდუალური თვითიდენტიფიკაციის განსხვავებული ასპექტები. იდენტობა ჩნდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესში და წარმოადგენს სოციალიზაციისა და პიროვნული ინტეგრაციის ფსიქოლოგიური პროცესების შედეგს. ინდივიდი ზოგჯერ ვერ ახერხებს საკუთარი იდენტობის დადგენას, რასაც „იდენტიფიკაციის კრიზისი“ ეწოდება. „იდენტიფიკაციის კრიზისი“ არის სოციალური ფენომენი, რომელიც პოსტმოდერნიზმის კულტურის კონტექსტში გაფორმდა და გულისხმობს რღვევას, რომელსაც განიცდის სუბიექტი საკუთარი პიროვნების თვითგაიგივების შეუძლებლობის პირობებში.

ტერმინი „იდენტიფიკაციის კრიზისი“ ეკუთვნის ჯ. უარდს. ზოგჯერ ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, გარკვეულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდება უუნარო, მკაფიოდ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. იგი ვერ ახერხებს საკუთარი ცნობიერების თვითიგივეობისა და საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, პოვნასა და წარმოჩენას. ინდივიდის მიერ იდენტობის დაკარგვა ასევე შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ასაკობრივ ფსიქოლოგიურ კრიზისთან, ან სოციოკულტურულ სივრცეში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებთან [3. 296].

ა. ვატერმანის აზრით კი, იდენტობის განვითარება არ წარმოადგენს სწორხაზოვან პროცესს. იგი, შესაძლოა, არა მარტო შეჩერდეს, არამედ გაცილებით დაბალ დონეზეც ჩავიდეს. თვით იდენტიფიკაცია განხორციელებული ადამიანიც ზოგჯერ კარგავს უკვე მოპოვებული იდენტობას და კვლავ კრიზისში აღმოჩნდება ხოლმე. თუკი პიროვნება შეძლებს ხელახალი მორატორიუმის წარმატებით გავლას, მას აქვს შანსი, ისევ მოიპოვოს იდენტობა; მაგრამ თუკი მას არ სურს, გააცნობიეროს მომხდარი ცვლილებები და არ დახარჯავს ძალას საკუთარი პიროვნების ძებნაში, იგი დიფუზურ მდგომარეობაში აღმოჩნდება [4. 136].

დიფუზური იდენტობა არის ისეთი მდგომარეობა, როცა ადამიანს არ აქვს მიზნები, ფასეულობები და რწმენა, მაგრამ არ ცდილობს მათ ფორმირებას [4. 136].

ამრიგად, იდენტობა არის მრავალჯერადი პროცესი და დაკარგვის შემთხვევაში მისი აღდგენა პიროვნების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

საზოგადოება ქმნის ისტორიას და ამ პროცესში აღმოცენდება სპეციფიკური იდენტობები, თუმც ეს ისტორია იქმნება ადამიანთა მიერ, რომელთაც საკუთარი სპეციფიკური იდენტობები უკვე გააჩნიათ. აქედან ნათლად გამომდინარეობს, რომ ურთიერთკავშირი იდენტიფიკაციის პროცესში სოციუმსა და პიროვნებას შორის ორმხრივია, ისინი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. არაერთგვაროვან საზოგადოე-

ზაში ეს ქმნის ინდივიდუალური იდენტიფიკაციის ანუ თვითმყოფადობის პრობლემას, მაგრამ ქართული სინამდვილის გათვალისწინებით და, საზოგადოდაც, ვფიქრობთ, რომ უმთავრესი მათ შორის მაინც ეროვნული იდენტიფიკაციაა, რაც ხშირად იდენტიფიკაციის სხვა სახეების გარკვეულ საფუძვლადაც კი გვევლინება.

გლობალიზაცია და მისი თანამდევი პროცესები, რა თქმა უნდა, საქართველოზე და ქართულ საზოგადოებაზეც უდიდეს გავლენას ახდენს. ვერც ქართული საზოგადოება შეძლებს იზოლირებას იმ გლობალური პროცესებიდან, რომელიც ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ადამიანებს, ფაქტიურად, ფორსმაჟორულ სიტუაციებში უწევთ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. ამ პროცესებში ერთმანეთს ეჯახება ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთქმედებების სხვადასხვა ფორმები, სადაც თავს იყრის ეროვნულობასთან არანაირი კავშირის მქონე სოციალური დამოკიდებულებები, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციებისათვის უცხო საბაზრო ურთიერთობები და საკომუნიკაციო ქსელი, სადაც ინგრევა მემკვიდრეობით მიღებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოდელი და იხლართება ტრანსნაციონალურ მოთამაშეთა მიერ შექმნილი სახელისუფლო სტრუქტურები; სადაც ეჭქვეშ დგება ეროვნულობის სუბსტანციური საწყისები, ეროვნულობის ჩარჩოებში დადგენილი კომპეტენციები, მისეული ღირებულებათა სისტემა და თუნდაც მისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის საკითხი.

უდავოა, ნებისმიერ მოვლენას, ბუნებრივი იქნება ეს თუ ისტორიული, განვითარების ორი ძირითადი – დადებითი და უარყოფითი – მხარე გააჩნია. მსოფლიო გლობა-ლურ სივრცეში მყოფი ისეთი პატარა სახელმწიფოების, როგორიც საქართველოა, წინაშე დგას ძირითადი ამოცანა - იმის ანალიზი და პროგნოზირება, თუ როგორ გავლენას ახდენს გლობალური პროცესები სახელმწიფოსა და მის მოსახლეობაზე. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ პროცესების დროს არ დაიკარგოს პატარა სახელმწიფოების ეროვნული თვითმყოფადობა, ტრადიციები და როგორ უნდა მოხდეს ქვეყნიდან ინტელექტუალური პოტენციალის გადინების პროცესის შეჩერება.

ადამიანი არსებობს და მოღვაწეობს ადამიანთა საზოგადოებაში, ამდენად იგი იმყოფება სოციალური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ. ამავე დროს, ნებისმიერ ადამიანში არის პიროვნული, საკუთრივ, მისი გრძნობები თუ ფიქრები, მისი საკუთარი მიკროსამყარო, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის შეპირობებული სოციალური გარემოს მიერ. ამიტომ ადამიანის ფსიქოსოციალური პორტრეტის შექმნა შეუძლებელია იმ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც, იმავდროულად, მისი ფსიქოსოციალური იდენტობის დადგენის პროცესში იღებს მონაწილეობას.

ერიკსონის ნეოფსიქოანალიტიკურ კონცეფციაში ფსიქოსოციალური იდენტობა წარმოადგენს პიროვნების საბაზო ფსიქოლოგიური, სოციალურ-ისტორიული და ეგზისტენციალური მახასიათებლების ერთობლიობას. ერიკსონი ფსიქო-სოციალური იდენტობის ქვეშ ერთდროულად სუბიექტურ გრძნობასაც და ინდივიდუალური „მე“-ს თვითიგივეობისა და მთლიანობის ობიექტურ თვისებასაც მოიაზრებს.

წარმოადგენს რა პიროვნების სასიცოცხლო ღერძს და მისი ფსიქოსოციალური წონასწორობის მთავარ ინდიკატორს, ფსიქოსოციალური იდენტობა აღნიშნავს:

ა) სუბიექტის შინაგან მთლიანობას მის მიერ გარესამყაროს აღქმის პროცესში, საკუთარი მე-ს მდგრადობისა და უწყვეტელობის შეგრძნებას დროსა და სივრცეში;

ბ) ამ მე-ს ჩართვას რაღაც ადამიანურ ერთობაში.

ამგვარად, ფსიქოსოციალური იდენტობა მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

1. ცვალებადი ობიექტების აღქმისა და გამოცდილების ფონზე თვითშეგნების უწყვეტელობის კონსტატაცია (ეგო-იდენტობა);
2. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური განვითარებისა და სულიერი ჯანმრთელობის ნორმა (პიროვნული იდენტობა);
3. რომელიმე სოციალურ ერთობაში შემავალი ინდივიდუალური ყოფიერების მიკუთვნებულობის თვისება (ჯგუფური ან კოლექტიური იდენტობა);
4. ისტორიული სეგმენტის განსაზღვრა (ფსიქოისტორიული იდენტობა);
5. არყოფნის წინაშე ეგზისტენციალური მდგრადობის მოპოვების პირობა (ეგზისტენციალური იდენტობა).

ფსიქოსოციალური იდენტობის ამ ნაირსახეობების საერთო ელემენტი და მათი ფორმირების მთავარი პრინციპი ონთოგენეტიკურ სიბრტყეზე არის ყოფიერების ფსიქოლოგიური და სოციალური პარამეტრების თანაფარდობა [5. 239].

ცნება „იდენტიფიკაციის კრიზისი“ საბოლოოდ დაამკვიდრა ე. ერიკსონმა თავის ნაშრომში „იდენტობა: ახალგაზრდობა და კრიზისი“, რომელიც 1969 წელს გამოსცა. გამოწვეულმა იდენტობის კრიზისმა კი, შესაძლოა, მასობრივი ხასიათი მიიღოს, რომლის შედეგიც ან ნეგატიურია, ან პოზიტიური. ამასთან, იდენტობის მექანიზმი არის აუცილებელი პირობა სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციის მონაცვლეობისათვის.

იდენტობის კრიზისი ასევე შესაძლოა გამოიწვიოს გენეტიკური ჯაჭვის გაწყვეტამ, რომლის მიზეზადაც შეიძლება მოგვევლინოს, მამასთან შემაერთებელი ხაზის გაწყვეტა. კრიზისი განსაზღვრულ ხარისხში მართლაც უნივერსალურია, მაგრამ დროებითი. ჩაშლილი იდენტობის აღდგენა შესაძლებელია მაშინვე, როგორც კი მოხდება დაკავშირება ნებისმიერ რეალურ გენეტიკურ ნათესავთან ან ასოციაციურ წინაპართან. მასში იზრდება შინაგანი დარწმუნებულობა, რომ მიღწეულია ჰარმონია გარესამყაროსთან, რომელიც არანაირად არ დასტურდება გარედან. სწორედ სამყაროსთან „მე“-ს თანახმიერობის გარანტიის არარსებობა აღუძრავს ადამიანს ქმედებისა და ტანჯვის სურვილს. „ვინ ვარ მე“ – ანუ საკუთარი ყოფიერების შეგრძნება არაცნობიერ სფეროში თავისთავად ხდება, მაგრამ ამის გაცნობიერება მეტად რთულ პროცესს წარმოადგენს. მით უფრო ძნელია ეს რეალურ ცხოვრებაში. პერსონოლოგიაში პიროვნულობის კონცეფციის ფუნდამენტურ კატეგორიას წარმოადგენს. არქაული კულტურებისათვის დამახასიათებელი განუვითარებლობა „მე“-სი, როგორც სოციოკულტურული ფენომენისა, უკვე მომწიფებულ კულტურებში იცვლება და პრიორიტეტული ხდება. ქრისტიანობაში დამუშავებული მიკროკოსმოსის თეორია პიროვნებას დიდ როლს ანიჭებს, რადგან ყოველი ადამიანი არის

„ხატი“ პერსონიფიცირებული ღმერთისა. ეს მსოფლმხედველობა გრძელდება და თანდათანობით ვითარდება ევროპულ კულტურულ ტრადიციაში: რენესანსისა და რომანტიზმის კულტურაში, განმანათლებლობასა და მოდერნიზმში. XX საუკუნის ფილოსოფიაში უკვე მთელი სისრულით დამუშავდა მისი არსი და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მან ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიის სტატუსი მოიპოვა.

სარტრი ამბობდა: „მე მჭირდება სხვა, რათა სრულად ჩავწვდე ჩემი ყოფიერების ყველა სტრუქტურას“ ე.ი. საკუთარი არსებობის, ქცევების, გადაწყვეტილებების, თვით საკუთარი ცნობიერების ჩამოყალიბებაშიც კი ადამიანს სჭირდება სხვა, რათა მისი ყოფიერებით შეიგრძნოს საკუთარი ყოფიერება და მისი არსებობით აზრი მისცეს საკუთარ არსებობას, (ამიტომაც უგზავნის ღმერთი სამოთხეში მარტოდმარტო მოხეტიალე ადამს ევას). საბოლოოდ სარტრი მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანი „თავის ყოფიერებაში შეიცავს სხვის ყოფიერებასაც“ [6. 1007-1008].

## III. დასკვნა

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ერთი მყარი დასკვნის გამოტანა: შეუძლებელია, ინდივიდმა იპოვოს საკუთარი ადგილი საზოგადოებისაგან, სოციუმისაგან მოწყვეტით. ვაღიარებთ ამას თუ არა, ერთი ცხადია, საკუთარი თავის შეცნობაში ინდივიდს „ეხმარება“ სხვა, მეტიც, არა უბრალოდ ეხმარება, არამედ სწორედ ის სხვა შეაცნობინებს. პიროვნული იდენტობის განცდის ეს პროცესი იწვევს რეფლექსიას და დაკვირვებას.

**ლიტერატურა:**


1. Растко М., Антиидентичность – Соционавтика (интернет-журнал социальных дисскурс-исследований) – http: // www. socionavtika. narod. ru / printed / Methodo-logos / monchik – pr. htm.
2. Николаев В. Г. Идентичность – Культурология. XX век. Энциклопедия, т. 1, Санкт-Петербург, 1998, с. 238-239
3. Можейко М. А. Идентификации кризис – Постмодернизм. Энциклопедия. Минск. Интерпрессервис – Книжный дом, 2001, с. 296.
4. Антонова Н. В., Психоаналитическая парадигма исследования личностной идентичности – За рубежом, М., 1995, №3, с. 136.
5. Антонова Н. В., Психоаналитическая парадигма исследования личностной идентичности – За рубежом, М., 1995, №3, с. 136
6. Якимова Е. В. Идентичность психосоциальная – Культурология. XX век. Энциклопедия, т. 1, Санкт-Петербург, 1998, с. 239
7. Можейко М. А. Я – Постмодернизм. Энциклопедия. Минск. Интерпрессервис – Книжный дом, 2001, с. 1007-1008.

*Tamar Kilasonia, PhD student*
*Georgian Technical University*

# The „identity" persons and „identification crisis" in the modern global world.

## Summary

The global processes inflowing in the world were reflected both on political and economic, and on cultural position of the countries. - the world became less, people should live in one global world; The countries became closer to each other; true values were lost and the place was taken by technical achievements of a civilization.

Of course, all this has caused a problem of alienation of persons. Most of people prefer the virtual relations, than to communicate really. There are alienations not only to society, but also to the of families and with themselves too.

Proceeding from the fact that in the conditions of healthy society and healthy mentality "I" am not broken one of the main reasons of a problem of identity should be looked for in the outside world.

One of the most important problems which in the global world has let know about itself is loss own "I" i.e. loss of identity.

***Key words:*** *personality. Identity. identification crisis. Globalization.*

*ოთარ ლიპარტელიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# სირიის კრიზისის გამომწვევი მიზეზები

რეზიუმე

ითვლება, რომ სირიის სამოქალაქო ომი გამოწვეულია უამრავი შიდა და გარე ფაქტორებით. აქედან შეიძლება გამოიყოს ქვეყნის არაბალანსირებული პოლიტიკური სისტემა, ეთნიკური და კონფესიური მრავალფეროვნება, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რეგიონალური გაზის საკითხი და გეოპოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. მოცემულ სტატიაში მოკლედ განვიხილავთ ამ პრობლემებს.

*საკვანძო სიტყვები:* *სირია. სამოქალაქო ომი. კრიზისი. კონფლიქტი*

## I. შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ სირიის კონფლიქტი უკვე 6 წელია რაც გრძელდება დღესაც არ არსებობს ზუსტი მიზეზები თუ რამ გამოიწვია ასეთი დაპირისპირება. ზოგადი წარმოდგენა ამ საკითხთან დაკავშირებით იყოფა ლიბერალურ და ანტი-დასავლურად ხედვებად.

ლიბერალური ხედვა ემთხვევა დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისა და აღმოსავლეთის ქვეყნების წარმოდგენებს, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ომი გამოიწვია ქვეყნის ავტორიტარულმა მმართველობამ. ჩაგრული სირიელი ხალხი არაბული გაზაფხულის სტიმულით გამოვიდა ქუჩებში, რომ მიეღო მეტი უფლებები და თავისუფლება, ფართო სახალხო მონაწილეობა, რის გამოც დაიმსახურა მკაცრი რეპრესიები ავტორიტარული რეჟიმის მხრიდან. აღელვებული ხალხის დამშვიდება ვერ მოახერხა ბაშარ ასადის ქმედებებმა კონფლიქტის დარეგულირების მიზნით (2011 წელს საგანგებო მდგომარეობის გაუქმება; 2011 წელს მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება; 2012 წელს რეფერენდუმზე ახალი კონსტიტუციის მიღება [1] და მათ გააგრძელეს ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ.

მეორე ხედვის მომხრეები ადანაშაულებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მიისწრაფის დაამყაროს კონტროლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, მათ შორის სირიაშიც იმისათვის, რომ ჩამოაშოროს ირანს ერთადერთი ძლიერი მოკავშირე რეგიონში და გააძევოს რუსეთი ახლო აღმოსავლეთიდან. აქ ასევე უნდა აღინიშნოს სპარსეთის ყურის მონარქიების როლიც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბაშარ ასადის რეჟიმის გადატრიალებით, რომ დაასუსტონ სტრატეგიული მეტოქე ირანი და მთლიანად ისლამის შიიტური ფრთა, იდეოლოგიური და სულიერი ლიდერობის მოსაპოვებლად რეგიონში. ამით აიხსნება ცნობები ყატარისა და საუდის არაბეთის მხრიდან ოპოზიციური ძალების ფინანსირებისა და წვრთნის შესახებ.

ეჭვგარეშეა ორივე ხედვას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეალობა

რომელიც არსებობდა 2011 წლის გაზაფხულამდე, როდესაც ქვეყანაში დაიწყო სრულმასშტაბიანი პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც მოგვიანებით გადაიზარდა ფართომასშტაბიან სისხლისღვრაში [2].

## II. ძირითადი ნაწილი

როგორც ავღნიშნეთ სირიის პოლიტიკური სისტემა 2011 წლამდე ეყრდნობოდა მმართველობის ავტორიტარულ პრიცნიპს [3].

სირიის რეჟიმი სამოქალაქო ომამდე წარმოადგენდა რელიგიური უმცირესობების ნაკრებს, რომელიც ეფუძნებოდა პარტია ბაასს. ამ პარტიის საშუალებით ალავიტები აკონტროლებდნენ მთელ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს. პარტიის ასეთი ხასიათი საშუალებას აძლევდა მას ყოფილიყო პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში. პარტიის წამყვანი როლი გამაგრებული იყო კონსტიტუციურად, მხოლოდ ბაასს შეეძლო ჩაეტარებინა იდეოლოგიური და სააგიტაციო სამუშო არმიაში. სამხედროების, სპეციალური სამსახურისა და მოხელეების უმრავლესობა იყვნენ ბაასის წევრები. 2009 წლის სახალხო პროგრესული ფრონტის ქარტიის მიხედვით ბაასის უფლებამოსილება შევიწროვდა. აღდგა ბევრი აკრძალული პარტია, მათ შორის სირიის ნაციონალურ სოციალისტური პარტია, ნაციონალ დემოკრატიული ბლოკი. პარლამენტში დაიწყო მსჯელობა დემოკრატიული რეფორმების, ადამიანის უფლებების, პლურალიზმის, ხალხის მონაწილეობის რეალურად უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან ბაასი კვლავ რჩებოდა წამყვან პარტიად ქვეყანაში, მისი გენერალური მდივანი კი ისევ იყო ბაშარ ასადი. ოპოზიციური პარტიები რომლებსაც არ ჰქონდათ დიდი გავლენა მოქმედებდნენ სპეციალური სამსახურის დაკვირვების ქვეშ. მათ არ შეეძლოთ ნორმალურად განეხორციელებინათ წევრების რეკრუტირება. ამან ქვეყანაში გამოიწვია მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბება, რომელსაც ფაქტობრივად არ ჰქონდა მოსახლეობის მოთხოვნილებებზე წვდომა. საზოგადოება ვერ ახერხებდა ნორმალური დემოკრატიული გზებით მიეღოთ პროცესებში მონაწილეობა, გაწევრიანებულიყვნენ პარტიაში და გამოეთქვათ საკუთარი აზრი. პოლიტიკურ თანამდებობაზე ან საჯარო მოხელედ დანიშვნისას არ ითვალისწინებდნენ ადამიანის პროფესიულ მონაცემებს, დანიშვნა ხდებოდა მხოლოდ პარტიისა და რეჟიმის ერთგულებისთვის. როდესაც 2011 წლის მარტში დაიწყო სპონტანური აქციები ხელისუფლებამ ვერ შეძლო სიტუაციის სწორი ანალიზი და ადეკვატური რეაქციის მოხდენა, ის შეიქმნა სპეცსამსახურების მძევალი რომლებმაც გადაწყვიტეს ემოქმედათ მკაცრად და უკომპრომისოდ. შედეგად ხალხის უკმაყოფილებას ისევ დაუპირისპირდა რეპრესიული მანქანა რამაც მოვლენები კონფლიქტის გზით წაიყვანა.

გამოსვლების დაწყებამდე ქვეყანაში ჩამოყალიბდა რთული სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა. ბოლო 20 წლის განმავლობაში სირია ინარჩუნებდა მაღალ შობადობის კოეფიციენტს. 1990 წლისათვის ერთ ქალზე მოდიოდა 5,3 ბავშვი [4].

2010 წელს იმავე მაჩვენებელმა შეადგინა ერთ ქალზე 2.9 ბავშვი. მოსახლეობის ზრდა 2010 წელს შეადგენდა 2 %-ს. მოსახლეობის ასეთმა მკვეთრმა ზრდამ

მნიშვნელოვნად გაზარდა ახალგაზრდების წილი ქვეყანაში (0-14 წლამდე 32%; 15-24 წლამდე 20%) მთავრობამ კი ვერ უზრუნველყო შრომითი ბაზრის სწორი განაწილება. 2011 წელს უმუშევართა დონემ მიაღწია 15 %-ს, განათლებული ახალგაზრდობის 35% იყო სამუშაოს გარეშე. ამ ყველაფერმა ქალაქებში გამოიწვია ფეთქებადსაშიში მდგომარეობა [5. 265].

დემოგრაფიასთან ერთად ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაემატა გვალვებიც რომელიც დაფიქსირდა ქვეყანაში 2007 წლიდან. გვალვებმა სოფლად 800 ათასამდე მეურნეობა გაანადგურეს. ამ ყველაფერმა გამოიწვია მოსახლეობის გადინება სოფლებიდან ქალაქში. 2007 წლიდან 1.5 მილიონზე მეტი ადამიანი გადავიდა სოფლიდან ქალაქში, ამან კი დაარღვია ქალაქების სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ბალანსი. როგორც წესი ახალმოსახლეებს არ გააჩნდათ არაფერი და ვერ ახდენდნენ ადაპტირებას. 2011 წლისთვის გაეროს მონაცემებით შიმშილობდა მილიონზე მეტი სირიელი, მათხოვართა რიცხვი კი გაიზარდა 3 მილიონით. ამას ემატებოდა მილიონზე მეტი დევნილი ერაყიდან და პალესტინიდან [6].

რთულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. კონფლიქტამდე სირიაში ცხოვრობდნენ მრავალი რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები რომელთა შორის არიან ალავიტები, სუნიტები, ქრტისტიანები, ქურთები, დრუზები. 2011 წლისთვის სირია წარმოადგენდა ქვეყანას სადაც მოსახლეობის 10 % მართავდა დანარჩენ 90%-ში შემავალ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს. საზოგადოების სხვადასხვა ფენების მისაზიდათ ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს არ ჰქონდათ პარტიის შექმნის საშუალება. ამის მიუხედავად ხელისუფლებამ ვერ შეაჩერა ჯერ კიდევ ხაფეზ ასადის დროს დაწყებული ისლამიზაციის პროცესი ქვეყანაში [7].

მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესმა აიძულა ხელისუფლება ახალი ურთიერთობები დაემყარებინა წამყვან ისლამურ ორგანიზაციებთან, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ორგანიზაცია „ძმები-მუსლიმები“. 1980 წლიდან ამ ორგანიზაციის წევრობისთვის ქვეყანაში მოქმედებდა სიკდილით დასჯა. 1982 წელს „ძმებ-მუსლიმებმა“ მოაწყვეს ამბოხება ხომსში რომელიც სასტიკად ჩაახშო მთავრობამ. ამ მოვლენების შემდეგ ორგანიზაციის ლიდერებმა დატოვეს ქვეყანა და გაიქცნენ საზღვარგარეთ, რამაც გამოიწვია ორგანიზაციის დროებით გაჩერება. თუმცა საზღვარგარეთიდან კვლავ ხდებოდა დარჩენილი პირების მატერიალური მხარდაჭერა.

ბაშარ ასადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისლამური ორგანიზაციების ნაწილმა მას მიმართეს შერიგების თხოვნით. 2006 წელს სირიის ციხეებიდან განთავისუფლდა „ძმები-მუსლიმების“ 400 წევრი ძალადობასა და ტერორიზმზე უარის თქმის შუამდგომლობით. ბაშარ ასადი ცდილობდა არ დაეჩქარებინა „ძმები-მუსლიმების“ ლეგალიზაცია ქვეყანაში და მათი პოლიტიკურ ველში შესვლა [8].

ქვეყანა კვლავ იმართებოდა სირიული ნაციონალიზმის იდეით, რომლის თავშიც მოქცეული იყო ალავიტებეის უმცირესობა. მათ ინტერესს წარმოადგენდა

სეკულარული ბალანსის დაცვა ქვეყანაში. „ძმები-მუსლიმები“ და სხვა რელიგიური ორგანიზაციები კვლავაც რჩებოდნენ არალეგალურ ჯგუფებად, რომლებსაც არ აძლევდნენ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის საშუალებას და უყურებდნენ დიდი სიფრთხილით [9].

შედეგად 2011 წლისთვის ქვეყანაში არსებობდა არაერთგვაროვანი მდგომარეობა. ერთი მხრივ მიმდინარეობდა ისლამიზაციის პროცესი, მეორე მხრივ კი პარტია და ძალოვანი სტრუქტურები ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს. შედეგად კი ევროპაში მყოფმა „ძმები-მუსლიმების“ ლიდერებმა მხარი დაუჭირეს ამბოხებულებს. 2012 წელს კი მოძრაობის წევრები შეადგენდნენ ოპოზიციური ძალების ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან წილს და გამოდიოდნენ ბაშარ ასადის წინააღმდეგ.

სირიის სამოქალაქო ომი შეუძლებელია არ განვიხილოთ რეგიონალურ კონტექსტში. რეგიონალური და საერთაშორისო ძალების გარედან ჩარევამ შიდაპოლიტიკურ საკითხებში გამოიწვია სიტუაციის ესკალაცია და სისხლისმღვრელი ომი. სირია არის რეგიონის ერთ-ერთ წამყვანი სახელმწიფო, რომელიც ჩართულია ახლო აღმოსავლეთის სისტემის პრობლემებში. მაგალითად როგორიცაა სიტუაცია ერაყში, ირანის ბირთვული პროგრამა, არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი, პალესტინის ურთიერთობები, ტერორისტული სტრუქტურების მოქმედება, შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირება. ყველა ამ თემაზე სირიას ჰქონდა თავისი შეხედულება და ატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას.

როგორც ჩანს რეგიონალური მოთამაშეებიდან ერთ-ერთის საუდის არაბეთის კონფლიქტში ჩარევა სირიისა და ირანის ურთიერთობებმა განაპირობა. საუდის არაბეთისა და ირანის ურთიერთობები არასოდეს არ ყოფილა სამაგალითო, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გამწვავდა ირანის ისლამური რევოლუციის შემდგეგ 1979 წელს. აქედან მოყოლებული ირანსა და საუდის არაბეთს შორის დაპირისპირება მიმდინარეობს იდეოლოგიურ (ერთ ქვეყანას ოფიციალურ დოქტრინად გამოცხადებული აქვს ისლამური ფუნდამენტალიზმის შიიზმის ხოლო მეორეს სუნიზმის მიმდინარეობა. ამასთან ირანულ შიიზმს აქვს რევოლუციული მიმართულება საუდის არაბეთის სუნიზმს კი კონსერვატიული.) ეთნოკონფესიურ (საუდის არაბეთსა და სხვა სპარსეთის ყურის მონარქიებში ცხოვრობენ შიიტური უმცირესობები, რომლებიც წარმოადგენენ ირანისთვის საყრდენ წერტილს საგარეო პოლიტიკაში. ეს კი საფრთხეს უქმნის სპარსეთის ყურის ქვეყნებს.) საერთორეგიონულ (ერაყის შიიტიზაცია, ჰესბოლას გაძლიერება, ირანის გავლენის გაძლიერება, არაბული გაზაფხულის მოვლენები) დონეებზე.

ირანთან დაპირისპირებამ აიძულა საუდის არაბეთი ჩარეულიყო სირიულ მოვლენებში. სირიისა და ირანის ურთიერთობები ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ განმტკიცდა და ბაშარ ასადის დროს სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე მივიდა. საერთო რელიგია, საგარეო პოლიტიკური ინტერესების თანხვედრა ისრაელთან, ლიბანთან, ჰამასთან, ჰესბოლასთან მიმართებაში, ასევე ორივე მხარის მხრიდან მყარი საყრდენის არქონამ ორ ქვეყანას შორის ჩამოაყალიბა მყარი

საგარეო პოლიტიკური კავშირი რომელმაც საქმეში დაამტკიცა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. როდესაც დაიწყო გამოსვლები სირიაში საუდის არაბეთმა ამაში დაინახა საშუალება გაენადგურებინა ირანის მოკავშირე და საყრდენი არაბულ ქვეყნებში, რომელიც დახმარებას უწევდა ირანს ჰქონოდა კონტაქტი შიიტურ საზოგადოებებთან ერაყში, ლიბანსა და იემენში. სირიის კრიზისის დასაწყისში საუდის არაბეთის საერთაშორისო საქმეთა მინისტრმა საუდ ალ ფეისალმა დიკ ჩეინთან და ჯონ ჰანოისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ირანს ჩამოშლის შემდეგ ყველაზე მეტად სირიის სახელმწიფოს დაკარგვა დააზარალებს. ამ ყველაფერმა გამოიწვია საუდის არაბეთისა და ირანის უპრეცენდენტო ჩარევა სირიის სამოქალაქო ომში ერთი მხრივ სირიის ოპოზიციისა და მეორე მხრივ სირიის სამთავრობო ძალების მხარეს. ირანმა საქმეში ჩართო ერთის მხრივ ჰესბოლას შეიარაღებული ფორმირება მეორე მხრივ კი ერაყის შიიტური დაჯგუფება აბულ ფატხა აბასის ბრიგადა. საუდის არაბეთმა თავის მხრივ ფულითა და შეიარაღებით გაუწია დახმარება რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს როგორიცაა ჯაბხატ ან-ნუსრა, ჯაიშ ალ-ისლამი, ახარ აშ-შამი, ანსარ აშ-შამი და სხვები.

საუდის არაბეთის გარდა რომელიც აქტიურ მხარდაჭერას უწევს სუნიტურ ოპოზიციას სირიაში კიდევ არსებობენ ისლამიზაციისა და კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის გამომწვევი ძალები მაგალითად როგორიცაა რეგიონში უმდიდრესი გაზის გიგანტი ყატარი. გაზის იაფი და სწრაფი გზით გატანის შესაძლებლობამ ყატარს გადააწყვეტინა სირიის მოვლენებში მონაწილეობის მიღება ოპოზიციის მხარეს, ამან კი გაზარდა მისი დაპირისპირება ირანთან.

ყატარი მსოფლოს ბაზარს აწვდის 77 მილიონ ტონა ბუნებრივ აირს ყოველწლიურად, საიდანაც დაახლოებით მესამედი მიეწოდება ევროპას. [10].

ამის მიუხედავათ ყატარი მაინც ცდილობს გაზარდოს ბუნებრივი აირის მიწოდება ევროპის ქვეყნებისთვის, რაც მიმართულია მის მთავარ კონკურენტზე გაზპრომზე ზეწოლისკენ. მიწოდების გაზრდასთან დაკავშირებით ყატარის ემირმა შეიხ ხამად ალ-ტანიმ 2009 წელს ანკარაში ვიზიტისას მიაღწია შეთანხმებას ახალი გაზსადენის აშენების თაობაზე, რომელიც გაივლიდა საუდის არაბეთს, იორდანიას, სირიას და თურქეთს შემდეგ კი გავიდოდა ევროპაში. სირია წინ აღუდგა ამ პროექტის რეალიზებას, მან პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით 2011 წელს ხელი მოაწერა შეთანხმებას ირანთან და ერაყთან, სამმხრივ მემორანდუმს გაზსადენის მშენებლობის შესახებ ირანი-ერაყი-სირია [11].

ამ პერიოდში ქვეყანაში უკვე მიმდინარეობდა დაპირისპირება სახელმწიფო ძალებსა და პროტესტანტებს შორის, თუმცა დემონსტრაციები ატარებდნენ შიდა ხასიათს და მოთხოვნები შეეხებოდა არა ბაშარ ასადის გადადგომას, არამედ ქვეყანაში რეფორმების გატარებას. ყატარის ჩართვა ოპოზიციური ძალების მხარეს, ტერორისტული სტრუქტურების აქტიური ფინანსირება, ჯიჰადისტების წვრთნა და მომზადება გამოწვეული იყო ასადის ალავიტური რეჟიმის ლოიალურად განწყობილი ისლამური რეჟიმით ჩანაცვლების სურვილით, რომელიც უკვე აღარ შეუშლიდა ხელს სარფიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და არ

იქნებოდა ხელის შემშლელი რეგიონში პოლიტიკური და იდეოლოგიური მისწრაფებების განხორციელებაში.

არაბული გაზაფხულის მოვლენებამდე თურქეთი და სირია ერთმანეთისკენ ისწრაფოდნენ. ეს შეიძლება აიხსნას თურქეთის პოლიტიკური ამბიციებით და სირიის სურვილით, რომ რეგიონში ყოლოდა კიდევ ერთი სტრატეგიული პარტნიორი ირანის გარდა, რომელსაც შეეძლო გავლენა ექონია სირიისთვის ისეთ მნიშნელოვან პრობლემებზე როგორიცაა გოლანის სიმაღლე და მთლიანად პალესტინის საკითხი. სირიისთან კავშირი ანკარას საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიეღო პალესტინისა და ისრაელის საკითხის დარეგულირებაში, ჰქონოდა გავლენა მოძრაობა ჰამასზე რომლის შტაბი მდებარეობს დამასკოში და რომელსაც აქვს პარტნიორული ურთიერთობები სირიის სახელმწიფოსთან. ამასთან ერთდ თურქეთს სირიასთან დაახლოება აძლევდა კარგ საშუალებას უკეთესათ ებრძოლა ქურთი მეამბოხეების წინააღმდეგ.

როდესაც სირიაში დაიწყო არეულობა ანკარამ დაიკავა ფრთხილი პოზიცია: ის არ უჭერდა მხარს ასადის რეჟიმს მაგრამ არ გამოდიოდა მისი გადადგომის მოთხოვნით. ასეთი სიფრთხილე განპირობებული იყო დასავლური ქვეყნების ლოდინის რეჟიმში ყოფნით. საწყის ეტაპზე თურქეთი ასადს მოუწოდებდა რეჟიმის რეფორმირებას და სთავაზობდა სირიის პრეზიდენტს ძალოვან სტრუქტურებში დაენიშნა ზომიერი ისლამისტები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ განეხორციელებინათ ქვეყანაში თურქული მოდელის სახელმწიფო. ამასთან ეს მისცემდა თურქეთს საშუალებას გამხდარიყო შუამავალი მოლაპარაკებების პროცესში და გადაიყვანდა მას პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესში. იმის გამო, რომ ასადის რეჟიმმა გამოავლინა საგარეო ფაქტორების მიმართ მიუღებლობა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი იძულებული გახდა შეეცვალა კურსი და აღიარა სირიის კონფლიქტის მოგვარების შეუძლებლობა სათავეში ბაშარ ასადის ყოფნის შემთხვევაში. იმისათვის, რომ გაეტარებინა დასავლეთის პოლიტიკა და ანგარიში გაეწია შეერთებული შტატებისათვის თურქეთმა ნება დართო დასავლეთს გამოეყენებინა მის ტერიტორიაზეა არსებული სამხედრო ბაზები. ამის დახმარებით ისინი ვარაუდობდნენ ასადის რეჟიმის სწრაფად რღვევას და ამბოხებულების გამარჯვებას. 2011 წელს სტამბოლში შეიქმნა სირიის ნაციონალური საბჭო რომელშიც გაერთიანდნენ როგორც მუსლიმი ძმები ისე დასავლელი უფლებადამცველები და თავი გამოაცხადეს სირიის ლეგალურ ოპოზიციად. 2011 წელს თურქეთმა მხარი დაუჭირა არაბული ლიგის სახელმწიფოების გადაწყვეტილებას შეჩერებოდა ორგანიზაციის წევრობის უფლება სირიის სახელმწიფოს და დაეწესებინათ მისთვსის სანქციები [12. 61-65].

თურქეთის ამ გადაწყვეტილებებმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი სირიისა და თურქეთის ურთიერთობებს და გავლენა იქონია კონფლიქტის ესკალაციაზე სირიაში.

## III. დასკვნა

განსაკუთრებული როლი სირიის კრიზისში უკავია ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც გამოდი-ოდა ასადის რეჟიმის გადადგომის მოთხოვნით და აქტიურათუჭერდამხარსსირიისოპოზიციასროგორცტექნიკურადისეფინანსურად. სირიის ხელისუფლების სამართალდამცავი ძალებისა და დემონსტრანტების დაპირისპირების საწყის ეტაპზე ამერიკა თავს იკავებდა მკვეთრი განცხადებებისა და მოქმედებებისგან, ის უბრალოდ შემოიფარგლებოდა მოწოდებებით სირიის ხელისუფლების მიმართ შეეჩერებინათ ძალადობა. 2011 წლის აგვისოში ბარაკ ობამამ პირველად განაცხადა, რომ ბაშარ ასადს უნდა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. 2011 წლის ოქტომბერში ქვეყნებმა გამოიწვიეს თავიანთი ელჩები და გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები. 2012 წლის აგვისტოში ობამამ ხელი მოაწერა ბრძანებას რომელიც ნებას რთავდა დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს და სხვა განყოფილებებს დახმარება გაეწიათ სირიელი ამბოხებულებისათვის. 2012 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყატარში გამართულ სირიის ოპოზიციის გაერთიანებულ ფორმუზე ჩამოყალიბებული სირიის ნაციონალური რევოლუციური და ოპოზიციური ძალები აღიარა სირიელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლებად. 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დადგენილებით სირიის ოპოზიციურ ძალებს გაეწიათ დახმარება იარაღის სახით. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება სირიის ოპოზიციისთვის შეადგენს დაახლოებით ნახევარ მილიარდ დოლარს.

### ლიტერატურა:


1. Syria Sanctions List//Official Journal of the European Union. ნანახია: 14.04.2017. http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2013:147:0014:0045:EN:PDF
2. Syria Country Profile 2009//The Fund for Peace. – Washington DC: The Fund for Peace. www.fundforpeace.org/global/states/ccppr12sy-countryprofile-syria-07e.pdf ნანახია: 14.04.2017
3. Ziaden Radwan. Countries at the Crossroads 2011: Syria. ნანახია: 14.04.2017. https://freedomhouse.org/sites/default/files/inline_images/SYRIAFinal.pdf
4. Syria//The World Factbook. ნანახია: 14.04.2017. https://www.cia.gov/library/publications/theworld-factbook/geos/sy.html
5. Batatu H. Syria's Pesantry, the Descendants of its Lesser Rural Notables and Their Politics. Princeton: Princeton University Press, 1999.
6. Seager Richard, Mohtadi Shahrzad. Climate Change in the Fertile Cresent and Implications of the Recent Syrian Drought. – National Academy of Science of the USA. ნანახია: 15.04.2017. http://www.pnas.org/content/112/11/3241.full#ref-4
7. Global Assessment Report on Disaster Risk Reduction. 2011//United Nations. http://www.preventionweb.net/english/hyogo/gar/2011/en/home/executive.html ნანახია: 15.04.2017.
8. Neil MacFarquhar. Trying to Mold a Post-Assad Syria from Abroad//The New York Times, 2012. http://www.nytimes.com/2012/05/06/world/middleeast/from-abroad-trying-to-mold-a-post-assad-syria.html. ნანახია: 15.04.2017.

9. Khaled Yacoub Oweis. Syria's Muslim Brotherhood Rise from Ashes//Reuters, http://www.reuters.com/article/us-syria-brotherhood-idUSBRE84504R20120506. ნანახია: 22.04.2017.
10. Crooke Alastair. The great game in Syria//Asia Times, http://www.atimes.com/atimes/Middle_East/MJ22Ak01.html. ნანახია: 22.04.2017.
11. Turkey – Qatar working group in the pipeline//Pipeline International. 2009. http://pipelinesinternational.com/news/turkey_qatar_working_groups_in_the_pipeline/8095. ნანახია: 22.04.2017
12. Алексеев В. Новая сирийская стратегия Тегерана // Современный Иран. Информационно-аналитический журнал. № 44. 2015.

***Otar Liparteliani, PhD student***
***Georgian Technical University***

## Causes of Syrian crisis

## Summary

It is believed that the Syrian civil war is caused by numerous internal and external factors. Here we can outline country's unbalanced political system, ethnic and confessional diversity, economic and social problems, regional gas issues and geopolitical situation in the Middle East. In this article we briefly discuss these problems.

***Key word:*** *Syria. Civil war. Crisis. Conflicts.*

*ნატო მახათაძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა ქვეყნის განვითარებისთვის (პოლიტიკური კულტურა საზოგადოებაში)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური კულ-ტურის საკითხები. ავტორი ცდილობს გამოავლინოს ამ ორი მიმართულების ურთიერთქმედების თავისებურებები, რომელნიც ქმნიან სახელმწიფოსა და სა-მოქალაქო საზოგადოებას შორის არსებულ ჯანსაღ, რთულ, წარმატებულ და ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ ურთიერთობებს. შედეგად სამოქალაქო საზოგადოების და პოლიტიკური კულტურის გამლიერება სახელმწიფოს სტაბი-ლურობის და განვითარების საფუძველია.

*საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება. პოლიტიკა. კულტურა. დემოკრატია*

## I. შესავალი

სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა ის თემებია, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში აქტუალურია და არა მარტო იმიტომ, რომ ეს საკითხები ერთ სივრცეში მოიაზრება სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელთან მიმართებაში, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა ჯაჭვურ სისტემას ქმნიან და ეს მდგომარეობა სტაბილურობის და განვითარების გარანტია. რაც უფრო ძლიერია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო განვითარებულია პოლიტიკური კულტურა, შესაბამისად ხდება ინტერესების დაცვა და ცნობიერების ამაღლება. სა-ინტერესოა ბოლო ათწლეულის განმავლობაში რამდენად განვითარდა სამოქალაქო საზოგადოება, რამდენად განვითარდა გლობალურად, როგორ შეიცვალა, რამდენად სტაბილურია პოლიტიკური კულტურის მონაცემები, განსაკუთრებით იმ ქვეყ-ნებში, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზაზე არიან და დემოკრატიულ ნიშნულს მოყვებიან შესაბამის მარჯასთან გატოლებით.

## II. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ დემოკრატია მუდამ ვითარდება, მისთვის მახასიათებელი პრინციპები უცვლელი რჩება, გზები კი უმჯობესდება ან/და ზოგ ეტაპზე მარტივ-დება. ეს ფაქტი და თვითონ პროცესი დემოკრატიისა სამოქალაქო საზოგადობის განვითარებას უწყობს ხელს; საუბარია იმ სამოქალაქო საზოგადოებაზე, რომე-ლიც გარკვეულ წილად გახდა საზოგადოების კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სინონიმი. სამოქალაქო საზოგადოების სინამდვილე

განისაზღვრება, როგორც თანხვედრა იდეალური პროექტისა და საზოგადოების მდგომარეობის რეალური მიღწევების, რომელიც ამ პროექტის განხორციელებასთან არის კავშირში. იმისათვის, რომ სწორედ გავიგოთ რა არის და როგორი არის დღეს სამოქალაქო საზოგადოება და განსაკუთრებით მისი განვითარების პერსპექტივა, ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესის სუბიექტური შემადგენელი ვიცოდეთ, რომელიც სამოქალაქო აქტიურობის დონეს ახასიათებს და განსაზღვრავს მოსახლეობის კულტურას და ცნობიერებას. სამოქალაქო საზოგადოება რა არის თუ არა მოქალაქის თავისუფლების გამოვლენის აქტიური სფერო, სადაც მოქალაქე ან ინდივიდუალურად მოქმედებს ან ერთიანდება ასოციაციაში ან ორგანიზაციასთან და ამას აკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი სამოქალაქო პოზიცია და გამოთქვას დამოკიდებულება, თავისი მოსაზრება ქვეყნის აქტუალური პრობლემების და ქვეყნის მომავლის საკითხთან დაკავშირებით?! განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების მთავარი პრინციპია _ ინტენსიურობა, რაც ნიშნავს კომუნიკაციას, გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობას. აქვე ვოლტერის ცნობილ ფრაზას მოვიტან მაგალითად: _ „მეზიზღება თქვენი მოსაზრება, მაგრამ სიცოცხლეს შევწირავ თქვენი უფლებისთვის გამოთქვათ აზრი“. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება არ არის უპრინციპობა, არც ტოტალური თანხმობა ერთმანეთთან, ის არც მხოლოდ პლიუსია და არც თავისთავად მხოლოდ მინუსი, არ არის პოლარიზებული და რადიკალური ერთ სისტემაში, ის არის თავისუფალი ადამიანების კომუნიკაციის ადგილი, სადაც ამ ადამიანებს შეუძლიათ კატეგორიულად არ დაეთანხმონ ერთმანეთს, სადაც შეუძლიათ იკამათონ და მიაღწიონ კომპრომისს.

საწყისი სამოქალაქო საზოგადოებისა არის აზროვნება და რეფლექსია (რეფლექსია – ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, (ღირებულებების, ინტერესების, მოტივების, ემოციების, საქციელის) ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება) შესაბამისად თანამედროვე აზროვნების კულტივაცია, ეს არის ყველაფრის განვითარების საფუძველი, ეს არის ზოგადად განვითარების საფუძველი. რაც შეეხება, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციებს, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი მაჩვენებელი აქვს. მისი პრეროგატივა არის, როგორც ადამიანთა კერძო ცხოვრების სფეროების დაცვა, პოლიტიკური ხელისუფლების შეკავება როგორც აბსოლუტური ბატონობისგან, ძალაუფლების განაწილებისგან, გაყოფისაგან, თავისთავად სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვის კონტროლით, ასევე, საზოგადო ურთიერთობების და პროცესების სტაბილიზაცია, კომერციული სფეროს საზოგადოების (ბიზნესკლასი) და სახელმწიფოს შორის ბალანსის დამყარება, საზოგადო ინტერესების წამოწევა და დაცვა, მუდმივი მშვიდობიანი ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის ცხოვრებაში დანერგვისთვის.

ყოველ სოციალურ საკითხთან ისტორიული, სივრცობრივი ფაქტორების გათვლისწინებით, დაკავშირებულია დროებითი, განვითარებადი და ცვალებადი პრობლემები _ საზოგადოებრივი მოქალაქეობის პრობლემა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკითხია, რომელსაც მეცნიერულ და პოლიტიკის

დონეზე განიხილავენ. (მისი აქტუალურობა 50 წელი გრძელდება, უწყვეტად, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ტემპორალური მდგომარეობიდან გამომდინარე). ჩვენი სასიცოცხლო ფუნქციების დემოკრატიზაციის, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ახალი პრინციპული ურთიერთობის ჩამოყალიბების იმედთან დაკავშირებულია ამ ინსტიტუტის დაარსება და განვითარება, სტაბილურობა, შეთანხმება, სამართლებრივი სახელმწიფოს რაობა, ცივილური საბაზრო ურთიერთობა, სოციალური კომუნიკაციის თავისუფლება, საკუთრების უფლება, ადამიანის უფლება და ა.შ. ყოველივე ზემოჩამოთვლილი სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების ასპექტში უნდა იყოს განხილული და გამოყენებული. და მაინც, მიუხედავად არსებული მონაცემებისა, აუცილებლად დაისმის კიდევ ერთი კითხვა: - უფრო კონკრეტულად, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება? პასუხის გაცემა შეგვიძლია როგორც წერდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, პლურალისტული დემოკრატიის კონცეფციის ერთ-ერთი დამფუძნებელი რობერტ ალან დალი, ასე: – „აუცილებელია აქტიური მოქალაქეების კრიტიკული მასა, ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს გარკვეული პოლიტიკურ-კულტურული, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კლიმატი, რომელიც მოქალაქეებს უბიძგებს ინიციატივისკენ და სამოქალაქო სოლიდარობისკენ“. ინგლისელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი კი სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური კულტურის შესახებ თეორიაში, რომელიც თანხვედრაშია სტრუქტურულ ფუნდამენტალიზმთან წერს: – „სამოქალაქო საზოგადოება, პირველ რიგში, შედგება, სამოქალაქო ქმედებებისგან და ინიციატივისგან, რომელიც განისაზღვრება მნიშვნელოვნად დომინანტ პოლიტიკურ, კულტურულ და სამოქალაქო მენტალიტეტით“. არიან მეცნიერები, რომლებიც ეთანხმებიან აზრს, რომ სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის თავისუფალი მოქალაქეების თვითმმართველობის, ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული არაკომერციული მიმართულების, ასოციაციების და ორგანიზაციების სფერო, რომელიც დამოუკიდებელია პირდაპირი ჩარევებისგან, თვითნებური რეგლამენტირებისგან ბიზნესისა და საჯარო ხელისუფლების მხრიდან და სხვა უნებლიე გარე ფაქტორებისგან. საინტერესოა, ამერიკელი პოლიტოლოგის დევიდ ისტონის კლასიკური სქემა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საზოგადოების მხარდაჭერისა და მოთხოვნების ფილტრი პოლიტიკური სისტემისადმი. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს, აუცილებელ პირობას სამართლებრივი სახელმწიფოს და მისი თანასწორი პარტნიორობის მშენებლობის ასპექტში. მშენებლობა კამათის და მრავალი აზრის გარეშე არ არსებობს, ამიტომაც დაწერა ფრანგმა ფილოსოფოსმა შარლ მონტესკიომ: – „სამოქალაქო საზოგადოება ეს არის, ადამიანების ერთმანეთისადმი მტრობის საზოგადოება, რომლის შეწყვეტის გზა მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა“. გერმანელი ეკონომისტი კარლ მარქსი და სოციოლოგი ფრიდრიხ ენგელსი მიიჩნევდნენ სამოქალაქო საზოგადოებას ადამიანთა ქმედების, ეკონომიური და მატერიალური ცხოვრების სფეროდ და თვლიდნენ, რომ სწორედ ის წარმოადგენს

პირველადობას სახელმწიფოსთან მიმართებაში, სამოქალაქო ცხოვრება კი როგორც ჯამი მრავალფეროვანი ინტერესებისა ამყარებს სახელმწიფოს. და ბოლოს, საქართველოს ეროვნული პარლამენტის ელექტრონული ვერსიიდან ამონარიდს მოვიტან, სადაც წერია: „ცნების შინაარსი მოიცავს არასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მთელ ერთობლიობას, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს (მათ შორის რელიგიურსაც)". სამოქალაქო საზოგადოების არსზე, განვითარების დონეზე დამოკიდებულია აქტიურობა, საუბარია იმ პოლიტიკურ აქტიურობაზე რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოს, ქვეყნის სისტემაში. პოლიტიკური აქტიურობა კი გამომდინარე იმავე სისტემიდან, მუდმივ კავშირშია პოლიტიკურ კულტურასთან. პოლიტიკური კულტურა ეს არის ზოგადი კულტურის და მემკვიდროების ნაწილი, ისტორიული გამოცდილების ჩათვლით, სოციალური და პოლიტიკური ვითარების მახსოვრობა, პოლიტიკური ღირებულებები, ორიენტაცია და უნარჩვევები, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ ქცევაზე. პოლიტიკური კულტურა არის შედარებითი პოლიტოლოგიის ძირითადი ცნება, რომელიც მსოფლიო პოლიტიკური სისტემის შედარებითი ანალიზის საშუალებას გვაძლევს. მას აყალიბებს სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოებას კი პირიქით პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურა მოქალაქეებს უყალიბებს აუცილებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცოდნას, შეხედულებებს, ამაღლებს პოლიტიკურ ცოდნას, განათლებას; ქმნის ინტეგრაციულობას, რომელიც ეხმარება საზოგადოებას და ხელისუფალთ თანხმობის მიღწევაში, არსებული პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების მიერ არჩეული პოლიტიკური წყობის ჩარჩოებში, აერთიანებს ძალისხმევას გარკვეული სოციალური მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში; პოლიტიკურ კულტურას კომუნიკაციური ფუნქცია აქვს, რომელიც პოლიტიკური პროცესის მონაწილეებთან კავშირის დამყარებაში ეხმარება, ეს კავშირი პოლიტიკური კულტურის ელემენტების გადაცემას და პოლიტიკური გამოცდილების დაგროვებას გულისხმობს; აქვს ასევე, რეგულაციური ფუნქცია, რაც გულისხმობს პოლიტიკური ღირებულებების, ქცევის ნორმების, მოტივების, მიზნების, მიმართულებების საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამყარებას. და ბოლოს ეს არის აღმზრდელობითი ფუნქცია, რაც პიროვნების, როგორც პოლიტიკის სრულფასოვანი სუბიექტის, მოქალაქის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა და ის პოლიტიკური სოციალიზაციის ხელშემწყობია. როდესაც კონკრეტულ ელემენტზე ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ მის ფუნქციებზე; როდესაც ფუნქციების არა მარტო ჩამოთვლა, არამედ განმარტება ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერების მხრიდან საკითხით ინტენსიური დაინტერესებაა.

ელემენტის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი როლით სისტემაში; პოლიტიკური კულტურის როლი მდგომარეობს პოლიტიკური რისკების შემცირებაში _ იგულისხმება რისკები, რომელიც არასახარბიელოა და რომელიც აუარესებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. თუ ეს ასეა, მაშინ საინტერესოა შემდეგი, რატომ არის განსხვავებული ვითარება, სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკური კულტურის ასპექტით, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური თუ პოლიტიკური

წყობა ამ ქვეყნებში ერთი ან თითქმის ერთნაირი დონეა? პოლიტიკური კულტურა დამოკიდებულია მნიშვნელოვნად, ქვეყნის ზოგად კულტურაზე. მრავალი სოციოლოგი და პოლიტოლოგი აღნიშნავს, დასავლეთის და აღმოსავლეთის პოლიტიკური კულტურის პრინციპულ სხვაობას. ამიტომ ამ ქვეყნების პოლიტიკური კულტურა დამოკიდებული არის კონკრეტულ მდგომარეობაზე. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კულტურა დამოკიდებულია ჩვენს მდგომარეობაზე.

პოლიტიკური კულტურის როლისა და ადგილის ანალიზი, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო საზოგადოების სამომავლო განვითარების პერსპექტივის და ფორმირების ძირითად ასპექტებზე, ეს არის ამოცანა და სწორედ ამით იხსნება სპეციფიკური მოპყრობა, სოციალ-პრაქტიკული სამეცნიერო მნიშვნელობა არსებულ საკითხების მიმართ.

პოლიტიკური კულტურა ეს არის ფასეულობათა-ნორმატიული სისტემა, რომელსაც მისდევს საზოგადოება, ეს არის პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, რომელიც არსებობს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მიერ გავრცელებული და ზოგადად მიღებული ძირითადი პოლიტიკური ფასეულობების და იდეალების სახით. პოლიტიკური კულტურა ირეკლავს პოლიტიკური ცხოვრების ხარისხს, დემოკრატიულობის დონეს, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობას, ადამიანების აქტიურობის პოლიტიკურ დონეს, პოლიტიკური კომპეტენციის ხარისხს, პოლიტიკურ სფეროში ადამიანთა ქცევის ტიპს. რაზეა დაფუძნებული პოლიტიკური კულტურა? ორგანიზებულ ურთიერთქმედებისკენ მიმართულ ადამიანთა შესაძლებლობაზე, პოტენციალზე მიზნის მიღწევის პროცესში. სპეციალიზირებულ დონეზე, პოლიტიკური კულტურა ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა, იდეოლოგია, მმართველობითი სამუშაო, სამხედრო და პოლიციის საქმე და ასე შემდეგ, ანუ ეს არის ყველაფერი ის, რაც ხდება რეალურ საზოგადოებაში, სახელმწიფოში. ის თუ, რა ხდება დღეს „ქვეყანაში", როგორია დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ, შიდა თუ საგარეო მიმართულებით, როგორია ჩვენი ქმედება, შედეგი, სწორედ ეს არის პოლიტიკური კულტურა. ხოლო არასპეციფიკურ სივრცეში, ეს არის ადამიანებს შორის მეტი პიროვნული ურთიერთობა, ეს ურთიერთობა შეიძლება ვიგულისხმოთ, გნებავთ სამსახურეობრივ ასპექტში, გნებავთ, საერთო ინტერესების დაცვისას ან პირადი მოსაზრების გამოხატვისას. კულტურის ეს სფერო აუცილებლად აერთიანებს ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც გულისხმობს ადამიანის და სოციალური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას და დამოკიდებულებას სახელმწიფოს მიმართ. ეს გამოცდილება თავისთავად არ არსებობს პოლიტიკური ორგანიზაციების მიღმა. პოლიტიკური კულტურა თავის ისტორიას ჰპოვებს სახელწიფოში, პარტიაში, პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელსაც აქვთ თავიანთი სიმბოლოები (ღერბი, დროშა, ჰიმნი და ა.შ.). აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურა განსხვავებულია სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში, ეს ნიშნავს იმას, რომ კულტურას განსხვავებული ფორმა შეიძლება ქონდეს და ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოების გამიჯვნისას. სუბიექტების გარეშე არ არსებობს პოლიტიკა,

სუბიექტების პოლიტიკური კულტურის შიგთავსი და შესაბამისი საზოგადოების პოლიტიკური კულტურის შიგთავსი, როგორც ყველაფერი სამეცნიერო მიმდინარეობაში, რამდენიმე ელემენტთა ჯგუფად შეიძლება დავყოთ. თუმცა, სანამ ამ მიმართულებაზე ვისაუბრებთ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გამოვტოვოთ ის მეცნიერები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით პოლიტიკური კულტურის თეორიის განვითარებაში, ესენი არიან ამერიკელი მეცნიერები ჰ. ალმონდი, ს. ვერბა, ლ. პაი, უ. როზენბაუმი, ინგლისის მხარეს ამ მიმართულებით წარმოადგენს დ. კაბანაჰი, გერმანელი თეორეტიკოსი კ. ფონ ბოიმე, ფრანგი მეცნიერი მ. დიუვერჟიე ასევე ცნობილია თავისი მოსაზრებებით და ა.შ. სწორედ ამ მეცნიერების დახმარებით და მათ მოსაზრებაზე დაყრდნობით, მეცნიერებაში პოლიტიკური კულტურის გაგების ორი ძირითადი გზა განვითარდა, პირველი, პირობითად დავარქვათ, მიმართულების მიმდევრები თვლიან, რომ ისინი აიგივებენ პოლიტიკურ კულტურას პოლიტიკის სუბიექტურ შინაარსთან, და მის ქვეშ გულისხმობენ სულიერი მოვლენების (ამ მოსაზრებას ემხრობიან იგივე, უკვე ნახსენები ჰ.ალმონდი, ს. ვერბა, დ.დივაინი) და სიმბოლოების (ლ. დიტმერი) ერთობლიობას. ასე, ალმონდი, ვერბა და პაი თვლიან, რომ პოლიტიკური კულტურა ეს არის ფასეულობათა, სიმბოლოების და რწმენის, პოლიტიკური ქმედებების, მიზნების განხორციელების, გეგმის სისტემა. პოლიტიკური კულტურის ეს განსაზღვრება არის კლასიკური. ის საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადამიანებს გამოცდილების დაგროვების და სწავლის პროცესში უყალიბდებათ საზოგადოების ასე თუ ისე მდგრადი, განსაზღვრული ორიენტაციის მაგალითი პოლიტიკურ სისტემასთან, მის ინსტიტუტებთან, პოლიტიკური პროცესის სხვა მონაწილეების და საკუთარი თავის მიმართ. ისინი ქმნიან წესრიგს და პოლიტიკურ წესრიგს ანიჭებენ მნიშვნელობას და ამასთან ერთად განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის ქცევას. სწორედ ამ ორიენტაციას პირველი განმარტების მიმდევრები უწოდებენ „პოლიტიკურ კულტურას“. რაც შეეხება პოლიტიკური კულტურის მეორე გზის ახსნა-განმარტების მიმდევრებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი პოლიტიკურ კულტურაში ხედავენ ნორმატიული მოთხოვნების გამომჟღავნებას (ასე თვლის ს. ვაითი), ქმედების მაგალითების ტიპიურ შერწყმას (ამ აზრს ემხრობა და ნათელი წარმომადგენელია ჯ. პლეინო), პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალებას (უ. როზენბაუმი). სწორედ, ეს ბოლო ელემენტი _ განსაზღრავს პოლიტიკური კულტურის დონეს ანუ პოლიტიკური მოღვაწეობის სტილს, როგორც ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების ყველაზე მეტად ტიპიურ ფორმას, რაც ააშკარავებს, სახელმწიფო ცხოვრების ტრადიციების და საზოგადო ნორმების გაცნობიერების, გათავისების დემონსტრირების ხარისხს.

დავუბრუნდეთ სუბიექტების პოლიტიკური კულტურის შინაარს. არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასახელოთ სამი ძირითადი ელემენტი: ეს არის სუბიექტის მხრიდან პოლიტიკური ინსტიტუტების დახმარებით თავისი ინტერესების დაცვის გათვითცნობიერება, შემდეგ სუბიექტების იდეოლოგიური მოსაზრება, ანუ იგივე იდეები იმ პოლიტიკური ინსტიტუტის რაობის შესახებ, რომელიც უნდა ააშენონ და დაიცვან, იდეები დამოკიდებულების შესახებ და

ბოლოს სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარი თავის ჩართულობის გარკვეული, განსაზღვრული ტიპის შესახებ პოლიტიკურ მიმართულებებში, პოლიტიკურ დამოკიდებულებაში.

უკანასკნელი ელემენტის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ისიც შედგება რამდენიმე ქვეელემენტისგან, რომელიც შინაარსობრივად ძალიან მნიშვნელოვანია შედეგისთვის: დამოკიდებულება კანონისადმი, დამოკიდებულება არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან მთლიანობაში და ასევე მის ცალკეულ ინსტიტუტებთან მიმართებაში, დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესების სხვა მონაწილეებთან და ა.შ. საინტერესოა როგორ ვლინდება, პიროვნულ დონეზე, კულტურა პოლიტიკაში. ის თავს იჩენს პოლიტიკურ კულტურულობაში, რომელიც გულისხმობს ადამიანში მკაფიო პოლიტიკური პოზიციის არსებობას, ღრმა პოლიტიკური და იურიდიული ცოდნას, მორალურ რწმენას, იდეოლოგიურ პრინციპებს. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა, როგორია და ვინ არის პოლიტიკურად კულტურული პიროვნება _ მარტივად, ეს არის პიროვნება, რომელიც თავისუფალია დოგმატიზმისგან, ცრურწმენებისგან.

პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში მონაწილეობს თავისთავად ბევრი ფაქტორი, მაგრამ პირველ რიგში საზოგადო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები. რატომ პარტიები? იმიტომ რომ პარტიები პოლიტიკური აზროვნების და ქმედების იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიან. ქმნიან ადამიანთა დამოკიდებულებას პოლიტიკური გაერთიანებების მიმართ. პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში ასევე დიდ როლს ასრულებს, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებია მასმედია. მასმედია ქმნის, აყალიბებს სტერეოტიპებს, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ცნობიერებას და ქმედებას. პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში, ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ ასევე, ისეთი საზოგადო ძალები, როგორიც არის ეთნიკური, საქმიანი (ბიზნესმენთა საზოგადოება) და ა.შ. მნიშვნელოვან როლს იკავებს აკადემიური წრე.

სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მთავარ ელემენტად პოლიტიკური კულტურა გვევლინება. მის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრება. მის გარეშე, ვერ განისაზღვრება და შეუძლებელია შედგეს დამოკიდებულება ცალკეულ ქვეყნებთან და საერთაშორისო მასშტაბით.

პოლიტიკური კულტურის ტიპსა და დონეზე დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკური მონაწილეობის და ქმედებების, პოლიტიკური მოქმედების ხასიათის, საზოგადოების ცივილიზირებულობის დონის ფორმები, საშუალებები და მასშტაბები.

## III. დასკვნა

გამომდინარე იქიდან და მსგავსად იმისა, თუ როგორ განსაზღვრავს ზოგადად კულტურა ადამიანის ცხოვრების, ქმედების სხვადასხვა სფეროებში ქცევის წესებს და ფორმებს, ასევე, განსაზღვრავს და აწესებს პოლიტიკური კულტურა პოლიტურ

სფეროში თამაშის წესებს და ქმედების ნორმებს. პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური სისტემის ფასეულობების ურთიერთდამოკიდებულების და შესაბამისობის დონე და ხარისხი განსაზღვრავს ამ სისტემის მდგრადობას და ცხოვრებისუნარიანობას. ისტორია თავისას ამბობს. რომის იმპერიაც კი, არა იმდენად ძალაუფლებაზე იყო დაფუძნებული, როგორც მისი მცხოვრებლების/მოქალაქეების თამხმობასა და კეთილგანწყობაზე. დღეს, მრავალი ქვეყნის _ პირველ მაგალითად მოვიყვანდი დიდ ბრიტანეთს, დასავლეთის ქვეყნების სტაბილურობა, ასევე დაფუძნებულია მოქალაქეების და ხელისუფლების სუბიექტების მაღალ პოლიტიკურ კულტურაზე. კულტურული სტანდარტები განსაზღვრავენ ხალხის, პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური რეჟიმის და სახელისუფლებო ინსტიტუტების ქმედების ფორმებს და მაგალითებს. შესაბამისად რაც უფრო დაბალია პოლიტიკური კულტურის კოეფიციენტი საზოგადოებაში, მით მეტი ავტორიტარიზმია კონსტიტუციაზე. რეფორმების სურვილის შემთხვევაში მისი სიღრმე და სიჩქარე პოლიტიკური კულტურის დონეზეა დამოკიდებული.

და ბოლოს, თანამედროვე საზოგადოებაში, სამოქალაქო ინიციატივებთან, ქმედებასთან, პოლიტიკური სისტემის ორგანიზებასთან წვდომა არის სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების უმთავრესი პირობა. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ხელს უწყობს და აძლიერებს თვით სახელმწიფოს, ეს უდაოა, მაგრამ... აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, შესაძლებელია როგორც დადებითი ასევე ნეგატიური ტენდენციების გამოჩენა. ამ შემთხვევაში თავისთავად საჭიროა დაცულ იქნას ბალანსი დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური კულტურის განვითარებისთვის.

**ლიტერატურა:**


1. სამოქალაქო საზოგადოება“ სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი-თბილისი 1998 [რედ. ლევან ბერძენიშვილი]
2. პოლიტიკური კულტურა - ლარი დაიმონდი
3. International Encyclopedia of the Social Sciences, New York: Macmillen, 1968, Vol. 12, p. 218 (quoted in Jo Freedman, The Political Culture of the Democratic and Republican Parties (1986) .
4. Political Culture and Democratic Homeostasis: A Critical Review of Gabriel Almond and Sidney Verba’s The Civic Culture Tommaso Pavone (tpavone@princeton.edu), April 7th, 2014.
5. Ирхин Ю.В., Зотов В.Д., Зотова Л.В. Политология
6. The Oxford Handbook of Civil Society -http://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780195398571.001.0001/oxfordhb-9780195398571 ბოლო ნახვა 15.01.2008. 17: 00
7. Civil Society and Government. Edited by Nancy L. Rosenblum and Robert C. Post 2002 https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2002-05-01/civil-society-and-government ბოლო ბახვა 10.01.2018. 18:09

8. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14300. ბოლო ნახვა 15.01.2018.18:10Culture et politique de Bertrard Badie 2017
9. http://pdftoday.co/2717806083-books-s1s11584652s-1ss2s2cd28415s-2s.html ბოლო ნახვა 4.01.2018. 21:00
10. Political culture (Basic concepts in political science) Walter a Rosenbaum
11. Publ ished by Praeger 2008
12. http://all-politologija.ru/knigi/politologiya-uchebnoe-posobie/sushhnost-soderzh-anie-funkcii-politicheskoj-kultury ბოლო ნახვა 13:01:2018 16:07

***Nato Makhatadze PhL student***
***Georgian Technical University***

## Civil Society and political culture for country develpment (Political culture in society)

### Summary

The article considered questions, items of a civil society and political culture. The author reveals features of interactions of political culture and civil society which (depends on the level of interactions) generate interesting, healthy, difficult, prosper and contradictory social interactions between the state and civil society. In that case, strengthening of civil society and political culture promote also strengthening of the state.

***Key words:*** *Civil society. Policy. Culture. Democracy*

*კონსტანტინე პეტრიაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ლიბიის კრიზისი და მისი გადაჭრის გზები

რეზიუმე

რელიგიური ექსტრემიზმი - ერთ-ერთი უდიდესი საფრთხეა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. რელიგიური ექსტრემიზმი და ძალადობა, ქვეყნებისა და ცივილიზაციების რღვევისკენაა მიმართული. ახლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი რელიგიური სიძულვილის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. ამ რეგიონის ზოგიერთ ქვეყნებში ასეთმა სიძულვილმა სიტუაცია ისეთ სამხედრო კონფრონტაციამდე მიიყვანა, რომელმაც დიდი საფრთხე შეუქმნა სამ კონტინენტს - აზიას, ევროპას და აფრიკას. ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო ისლამური რადიკალიზმის საშიში გამოვლინებაა, რომელიც ცდილობს თავის გავლენის გაზრდა ისლამურ სამყაროში, და წარმატების შემთხვევაში - მთელ სამყაროშიც კი.

ლიბია, როგორ არშემდგარი სახელმწიფო, ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ისლამური რადიკალიზმის გაფართოებისათვის. მუამარ კადაფის რეჟიმის შეცვლამ მთელ ქვეყანაში გამოიწვია ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების გაძლიერება. საერთაშორისო საზოგადოების როლი მნიშვნელოვანია ლიბიის კრიზისის მოგვარებაში, რადგან მათი მონაწილეობის გარეშე, ლიბიის მოსახლეობის მცდელობა მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ამაო იქნება. შესაბამისად, ყველა მონაწილეს, რომელიც ჩართულია ლიბიის კრიზისში სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია.

*საკვანძო სიტყვები: ლიბია. ისლამიზმი. რადიკალიზმი.*

### I. შესავალი

არშემდგარი სახელმწიფოები და პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტური კერები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიოსათვის. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მიუხედავად, რაც ასევე მოიცავს მშვიდობის დამყარების მიზნით სამხედრო ინტერვენციასაც, მსოფლიო თანაცხოვრება მაინც აღსავსეა სახიფათო და საშიში მოვლენებით. რელიგიური ექსტრემიზმი თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. რელიგიური ექსტრემიზმი არა მარტო რელიგიურ ჯგუფთა შორის წარმოშობს უთანხმოებას, არამედ ეთნიკური და სოციალური შუღლის გაღვივების წინაპირობაცაა და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოთა შორის სამხედრო დაპირისპირებას უდებს საფუძველს.

რელიგიური ექსტრემიზმისა და მისგან გამოწვეული კონფრონტაციის ნათელი მაგალითია მცირე აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის („MENA“) რეგიონი. აღნიშნული რეგიონის რიგ ქვეყნებში მსგავსი კონფრონტაცია უკვე გადაზრდილია სამხედრო დაპირისპირებაში და წარმოადგენს დიდ საფრთხეს სამივე – აზიის, ევროპისა და

აფრიკის – კონტინენტისთვის. „ისლამური სახელმწიფო“ ერაყსა და სირიაში („ISIS“), ისლამური რადიკალიზმის სახიფათო გამოვლინება, ცდილობს გაზარდოს თავისი გავლენა მთელ მუსლიმურ სამყაროში და შემდეგ მთლიანად მსოფლიოში.

II. ძირითადი ნაწილი

ამჟამად, ლიბია, როგორც არშემდგარი სახელმწიფო, წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს რადიკალური ისლამის გავრცელებისთვის. მუამარ კადაფის რეჟიმის დაცემის შემდეგ, ლიბია გადაიქცა შიდა და გარე პოლიტიკურ მოთამაშეთა – მათ შორის: ადგილობრივი მოსახლეობა, ეთნიკური ჯგუფები, ქვეყნის შიდა რეგიონები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები – კონფრონტაციის ადგილად. უკვე მეექვსე წელი დაიწყო მას შემდეგ, რაც ქვეყანა იმყოფება ერთიანი ხელისუფლების გარეშე. მსგავსი უკონტროლობა ხელს უწყობს ისეთი რადიკალური ისლამური ჯგუფების, როგორიცაა „დაეში“ („DAESH“ – ISIS-ის არაბული სახელწოდება), ქსელისა და ძალაუფლების ლიბიაში გავრცელებას.

საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვანია რეგიონში რადიკალური ისლამის გავრცელების შემცირება. აღნიშნული კრიზისის გადასაჭრელად განიხილება სხვადასხვა მეთოდი, რაც მოიცავს, როგორც ლიბიაში სრული სპექტრის სამხედრო ინტერვენციის განხორციელებას, ასევე შეზღუდულ სამხედრო ჩარევას რადიკალური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიმართ. ლიბიის კრიზისის გადასაჭრელად საერთაშორისო თანამეგობრობის ასევე განიხილავს „რბილი ძალის“ პოლიტიკის გამოყენებას, პოლიტიკური მოლაპარაკებებსა და სოციალური დახმარების პროცესის განხორციებას. ლიბიის კრიზისის მოგვარების პროცესში თითოეული ამ მეთოდის გაყენება ხდება სხვადასხვა სიხშირით.

2011 წელს სამხედრო ჩარევამ დაშალა ლიბიის სამოქალაქო საზოგადოება და გამოიწვია ქვეყნის ნაწილებად დაყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია უფრო აქტიურად ჩაერთოს მშვიდობის აღდგენის პროცესში, რათა შეამციროს კრიზისი ლიბიასა და მთლიანად რეგიონში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ უახლოეს პერიოდში სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევა შეუძლებელია და პროცესის დასრულებას ქვეყანაში თაობათა ცვლაც შეიძლება დასჭირდეს.

საბოლოო შედეგი, რაც საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა მიაღწიოს ლიბიაში არის – ქვეყნის ტერიტორიალური ერთიანობა, ერთიანი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო სისტემის საფუძვლების შექმნა, ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების დაწყება, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებაში მხარდაჭერა, ეკონომიკური განვითარების საფუძვლების შემუშავება, სოციალური და საგანმანათლებლო განვითარების ბაზისის შექმნა და ქვეყნის რეგიონალურ და გლობალურ გარემოში მონაწილეობისათვის საერთაშორისო მხარდაჭერა.

**საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ლიბიის კრიზისის გადაჭრაში.** ლიბიის გეოპოლიტუკური მდებარეობა მნიშვნელოვანია, როგორც აფრიკის კონტინენტის,

ასევე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთისათვის. ქვეყნის საინტერესო მდებარეობა იზიდავს სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერთიანებული ერები (the United Nations „UN“), აფრიკის კავშირი (the African Union „AU“), ევროკავშირი (the Europe Union „EU“), არაბთა ლიგა (the Arab League „AL“) და სხვა, აქტიურად არიან ჩართულნი ლიბიის საკითხის მოგვარებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციია „გაერო“ ლიბიის კრიზისში ჩართულია 1970 წლიდან. გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთი რეზოლუცია აქვს მიღებული ლიბიაში მიმდინარე პროცესების მშვიდობიანად მოგვარებისა და კეთილდღეობის დამკვიდრებისათვის. გაეროს თაოსნობით 2015 წლის დეკემბერში წამოწყებულ იქნა მოლაპარაკების პროცესი (გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური წარმომადგენელი მარტინ კობლერის ხელმძღვანელობით) [1] ლიბიაში კრიზისის მოსაგვარებლად. მოლაპარაკების მაგიდაზე მოწვეულნი იყვნენ ლიბიაში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქვეყნის ადგილობრივი ეთნიკური და რეგიონალური ლიდერები, და ლიბიის საკითხით დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები [2]. მოლაპარაკებები წარიმართა მაროკოს სამეფოს ქალაქ შკირატში და დასრულდა პოლიტიკური შეთანხმების გაფორმებით. შეთანხმებიდან გამომდინარე, გაეროს უშიშროების საბჭომ გამოსცა რეზოლუცია 2259 (23 დეკემბერი 2015), რომელიც მიესალმებოდა „შკირატის პოლიტიკურ შეთანხმებას ლიბიაში კრიზისის დასრულების თაობაზე“ და მოუწოდებდა მოწინააღმდეგე მხარეებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას გადაედგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ლიბიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

აფრიკის კავშირი არის კონტინენტალური ასოციაცია, რომელიც აერთიანებს კონტინენტზე მდებარე ყველა ქვეყანას (გარდა მაროკოს სამეფოსი) და მიზნად ისახავს აფრიკის მთელ კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის გავრცელებას. აფრიკის კავშირი შეიქმნა 2000 წლის 11 ივლისს 52 სახელმწიფო მეთაურის მიერ კონსტიტუციონალური შეთანხმების ხელმოწერის შედეგად [4].

აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ აფრიკის კავშირის ორგანიზაციული გაძლიერება პირდაპირ დაკავშირებული იყო მუამარ კადაფის ასოციაციის პრეზიდენტობის პერიოდთან (2009-2010 წწ.). აფრიკის კავშირი აქტიურად არის ჩართული აფრიკის კონტინენტზე საერთაშორისო თანამეგობრობის ხელმძღვანელობით წარმოებულ სამშვიდობო მისიებში, მათ შორის მალისა და ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში. აფრიკის კავშირს შეუძლია უფრო აქტიური და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ლიბიაში მშვიდობის განმტკიცების პროცესში.

ევროკავშირისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მშვიდობიანი და უსაფრთხო სამხრეთი საზღვარი. ლიბია, როგორც არშემდგარი სახელმწიფო, ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის წარმოადგენს დიდ საშიშროებას. ლიბიაში გადის ენერგორესურსების (გაზი და ნავთობი) მომარაგების ძირითადი

კორიდორი, რომელიც აფრიკის კონტინენტიდან ლიბიის გავლით მიემართება ევროპაში. ევროპული უსაფრთხოების სისტემისათვის ასევე მომეტებული საფრთხის შემცველია ევროკავშირის ქვეყნებში ლიბიიდან მიგრანტთა უკონტროლო შემოდინება. ამისათვის ევროკავშირმა 2013 წლიდან დაიწყო „ევროკავშირის საზღვრების დაცვის მისია ლიბიაში" („EU Border Assistance Mission (EUBAM) in Libya"), რომელიც მოქმედებს ევროპული „ძირითადი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის" („GSDP") ჩარჩოს ფარგლებში. დამატებით, ევროკავშირი მზადაა ითანამშრომლოს აფრიკის კავშირთან, რათა დაამყაროს მშვიდობა და უსაფრთხოება აფრიკის კონტინენტზე. ევროკავშირმა, აფრიკის კავშირმა და გაერომ განსაზღვრეს 2015-2018 წლების პრიორიტეტები, რაც ითვალისწინებს აფრიკის კავშირისა და აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა თავდაცვის შესაძლებ-ლობების რეფორმას [5]. აღნიშნული რეფორმა საშუალებას იძლევა, რომ აფრიკაში შემცირდეს კრიზისი, გადაიდგას არსებითი ნაბიჯები უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დამყარებისათვის ჩრდილო აფრიკის რეგიონში, და შესაბამისად ლიბიაში მოხდეს ამ მოვლენათა დადებითი ასახვა.

არაბთა ლიგა (the AL) 1945 წელს ჩამოყალიბდა და მის მიზნად „არაბული ქვეყნების" დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება განისაზღვრა. არაბთა ლიგის მთავარ ფუნქციად ასევე აღინიშნა „არაბულ სამყაროში" თანამშრომლობის განვითარება და ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთთანადგომა. ორგანიზაციას ჰყავს 28 წევრი, მათ შორის ერთ-ერთი მათგანია ლიბია. 2011 წელს არაბთა ლიგა გამოვიდა ლიბიის ხელიფულების ოპოზიციის მხარეს და მხარდაჭერა გამოუცხადა კადაფის რეჟიმის შეცვლას. ამჟამად არაბთა ლიგას შესაძლებლობა აქვს უფრო აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო თანამეგობრობის ხელმძღვანელობით წარმოებულ ლიბიის მშვიდობის დამყარების პროცესში და მისი ორგანიზაციის წევრებ-სახელმწიფოების მიერ უფრო არსებითად განხორციელდეს ლიბიის საჭიროებათა მხარდაჭერა [6].

ლიბიის პროცესში მონაწილე ძირითად სახელმწიფოთა ინტერესები. სხვადასხვა სახელმწიფო მეტ-ნაკლები აქტიურობით არის ჩართული ლიბიის პროცესებში. ზოგიერთ მათგანს თავისი ინტერესებიც გააჩნია რეგიონში. დაინტერესებულ ქვეყანათა შორის გამოსაყოფია _ იტალია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი. აუცილებელია მოხდეს ლიბიაში მიმდინარე პროცესებში თითოეული ამ სახელმწიფოს როლისა და დამოკიდებულების გაანალიზება და განხილვა.

იტალია წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მოთამაშე ქვეყანას ლიბიის პროცესებში. იტალიისა და ლიბიის ურთიერთობა ისტორიული საფუძვლებიდან მომდინარეობს. ლიბია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იყო იტალიის ნაწილი. მან დამოუკიდებლობა მხოლოდ 1945 წელს ომის დასრულებისას მოიპოვა. იტალიის ხელისუფლებასა და ბიზნეს სექტორს ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირები აქვთ ლიბიასთან. იტალიური ბიზნეს კომპანიები არიან ენეგრორესურსების ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორები ლიბიიდან ევროპაში. იტალიის ხელისუფლებამ მიიღო

გადაწყვეტილება და ამჟამადაც საკუთარი სამხედრო ძალის მეშვეობით იცავს ენერ-გორესურსების საცავებს ლიბიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. შესაბამისად, ლიბიაში ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის" გაძლიერება პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს იტალიის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის. სწორედ ამიტომაც, ლიბიაში მიმდინარე კრიზისის გადაჭრის მიზნით იტალიამ გამოხატა სრული მზადყოფნა კოალიციის ფარგლებში აქტიურად განიხილოს სრული სპექტრის სამხედრო ჩარევის შესაძლებლობა [7].

საფრანგეთი არის მეორე ძირითადი მოთამაშე სახელმწიფო ლიბიის პროცესში. საფრანგეთის ინტერესი მდებარეობს ლიბიის სამხრეთ მხარეს, საბ-საჰარას რეგიონში. ეს რეგიონი ესაზღვრება ფრანგულ ენოვან ქვეყნებს, როგორიცაა _ მალი, ჩადი, ნიგერი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ასევე ალჟირსა და ტუნისს. საფრანგეთის ლიდერობით მიმდინარეობს ევროკავშირის მშვიდობის დამყარების ოპერაციები („ძირითადი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის" („GSDP") ფარგლებში) მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი საერთაშორისო არენაზე იყო ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე მუამარ კადაფის რეჟიმის. 2011 წელს საფრანგეთი სამხედრო ძალის მეშვეობით უჭერდა მხარს კადაფის ოპოზიციას. ლიბიის კრიზისი, „დაეშის" გაძლიერება და არალეგალური მიგრაცია საბ-საჰარას რეგიონიდან ლიბიის გავლით ევროპისაკენ საფრანგეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის წარმოადგენს გამოწვევას. საფრანგეთი, იტალიის მსგავსად, განიხილავს ლიბიაში კოალიციური ძალების შემადგენლობაში სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობას. ასევე, „საფრანგეთის ინტერვენცია ლიბიაში მოახდენს მისი პოლიტიკური და სამხედრო პოზიციების გაძლიერებას საჰელსა და მაღრიბის მხარეებში" _ ფ. ბენტანკორი (F. Bentancor) [8].

გაერთიანებული სამეფო ასევე აქტიურად იყო ჩართული 2011 წელს ლიბიაში მუამარ კადაფის ხელისუფლებიდან ჩამოშორების პროცესში. გაერთიანებული სამეფოს ინტერესები ლიბიაში არის ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ბრიტანულ ბიზნეს კორპორაციებს ნავთობის სარეწაო საწარმოები აქვთ. ამჟამადაც, გაერთიანებული სამეფო სამხედრო ძალების სპეციალური საავიაციო სერვისის (SAS) მეშვეობით ატარებს სპეციალურ ოპერაციებს ლიბიის აღმოსავლეთ რეგიონებში. სპეციალური საავიაციო სერვისის წევრები ეხმარებიან ადგილობრივ სამხედრო და გასამხედროებულ ფორმირებებს, წვრთნიან მათ, აწვდიან სადაზვერვო ინ-ფორმაციებს და ამზადებენ ქვედანაყოფებს „დაეშთან" საბრძოლველად. თუმცა გაერთიანებული სამეფოს ძალისხმევა, რომ მოგვარდეს ლიბიის კრიზისი, არ არის საკმარისი. გაერთიანებული სამეფოს ქმედებები მიმართულია ბრიტანული ბიზნეს ინტერესების დაცვისაკენ [9].

ეგვიპტე, როგორც მეზობელი ქვეყანა, გამოხატავს წუხილს ლიბიაში კრიზისის გაფართოების გამო. ეგვიპტისათვის ისლამური რადიკალიზმის გაშლა არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს. ეგვიპტემ რამდენჯერმე გაიარა ხელისუფლების რევოლუციური ცვლილება და ამჟამად, მისი სახელმწიფოებრივი სიძლიერე

სრულად არის ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებზე დამოკიდებული. ეგვიპტეს უკვე აქვს ისლამური რადიკალიზმის საფრთხე მის აღმოსავლეთ რეგიონში _ სინაის ნახევარკუნძულზე. შესაბამისად ეგვიპტისათვის დასავლეთ საზღვართან ლიბიის ტერიტორიაზე ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა საკმაოდ საფრთხის შემცველია. ბრიტანელების მსგავსად, ეგვიპტელები ცდილობენ შეამცირონ „დაეშის" გაფართოება ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილში. ლიბიის ტერიტორიაზე ეგვიპტეს გაგზავნილი ჰყავს სპეციალური დანიშნულების ძალები [8]. ეგვიპტელი სამხედროები ბრიტანელების მსგავსად წვრთნიან ადგილობრივ სამხედრო შენაერთებს და მხარს უჭერენ მათ „დაეშის" წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალჟირისა და ტუნისისათვის თანაბარ საფრთხეს წარმოადგენს ლიბიის კრიზისის გაფართოება. ტუნისს, ისევე როგორც ალჟირს, ლიბიასთან გააჩნია გრძელი სასაზღვრო პერიმეტრი. საზღვრის სიგრძე და ბუნებრივი კონდიციები რიგ სასაზღვრო უბნებზე ქმნიან უკონტროლობას, რაც საშუალებას აძლევს არალეგალურ მიგრანტებს დაუბრკოლებლად იმოძრაონ ქვეყნებს შორის. ლიბიაში „დაეშის" ბევრი მიმდევარი სწორედაც, რომ ალჟირიდან და ტუნისიდან არის ჩამოსული. მეორე მხრივ, ტუნისისა და ალჟირის სამართალდამცავი ორგანოები ხშირად გამოავლენენ ლიბიიდან უკან დაბრუნებულ „დაეშის" მებრძოლებს. ერთ-ერთი ინციდენტის დროს, 2016 წლის გაზაფხულზე ტუნისის ქალაქ გარდენსში ტუნისის უსაფრთხოების სამსახურების მიერ სამხედრო ოპერაციის შედეგად განადგურებულ იქნა 36 „დაეშის" მებრძოლი [9]. ორივე ქვეყნისთვის, ალჟირისა და ტუნისისათვის, მნიშვნელოვანია დამყარდეს მშვიდობა ლიბიაში და გაიზარდოს უსაფრთხოების ზომები რეგიონში.

ლიბიის შიდა სიტუაცია და ადგილობრივი საზოგადოება. ლიბიის შიდა გარემო საკმაოდ ურთიერთსაწინააღმდეგოა. ქვეყანაში არის დაახლოებით 140 ტომობრივი დაჯგუფება, რომლებიც გაშლილი არიან ლიბიის სამ ისტორიულ ზონაში [10]. ეს ზონებია:

1) ტრიპოლიტანია (მთავარი ქალაქია ლიბიის დედაქალაქი ტრიოლი), რომელიც მოიცავს ლიბიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს;

2) კირენეიკა (მთავარი ქალაქი ბენგაზი), რომელიც მოიცავს ლიბიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ხმელთაშუა ზღვიდან საჰარას უდაბნომდე;

3) ფეზანი _ რეგიონი მდებარეობს ლიბიის სამხრეთ ნაწილში. მოსახლეობა სიმჭიდროვის მიხედვით მაღალია ქვეყნის ჩრდილოეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში. ასევე, ტომთა უმეტესობა სახლობს ლიბიის ორ ძირითად რეგიონში _ ტრიპოლიტანიასა და კირინეიკში. შესაბამისად, ტომთა ადგილობრივი ავტორიტეტები დამოუკიდებლად მართავენ ქვეყნის ამ რეგიონებს.

ქვეყანაში არსებულმა საგარეო და საშინაო დაპირისპირებამ ჩამოაყალიბა ორი ოპოზიციური ხელისუფლება. პირველი მდებარეობს ქალაქ ტაბრუკში და აკონტროლებს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს. საკანონმდებლო ხელისუფლებას აღნიშნულრეგიონშიწარმოადგენს„წარმომადგენელთასახლი",რომელიცმხარდაჭერილია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ (მ.შ. გაერო, არაბთა ლიგა). მეორე

ხელისუფლება მდებარეობს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში და აკონტროლებს ქვეყნის დასავლეთ ნაწილს. აღნიშნული ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოა „ეროვნული კონგრესი“, რომელიც მხარდაჭერილია ადგილობრივი მძლავრი სამხედრო ალიანსების მიერ. ორივე წარმომადგენლობით ორგანოს გააჩნია საკუთარი სამთავრებო სააგენტოები და თავდაცვისა და უსაფრთხოების სერვისები [2].

მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ფუნქციონირებს ორი მთავრობა, მათი კონტროლი არ მოიცავს მთლიან ქვეყანას. ლიბიაში ჯერ კიდევ მრავლად არის მთავრობისგან უკონტროლო ტერიტორიები, ტომები და ადგილობრივი საზოგადოებები. „დაეშმა“ მონახა რამდენიმე ასეთი უკონტროლო ტერიტორია (როგორც მაგალითად ქალაქი სირტა, ქალაქი დერნა და სხვ.) და თავი იქ დაიმკვიდრა. „დაეშმა“ დაიკავა ლიბიის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლის ცენტრალური ნაწილი, ხოლო მისი მიმდევრები ცდილობენ კიდევ უფრო გააფართოონ კონტროლის არეალი. „დაეში“ ცდილობს თავის რიგებში მიიზიდოს ლიბიის დამოუკიდებლად მცხოვრები ტომების წარმომადგენლები და აფრიკის მუსლიმური ქვეყნებიდან პროპაგანდის მეშვეობით აწარმოოს ლიბიაში მიმდევართა მობილიზება.

„შკირატის პოლიტიკურ შეთანხმება ლიბიაში კრიზისის დასრულების თაობაზე“ წარმოადგენს ქვაკუთხედს ლიბიაში ერთობის ჩამოსაყალიბებლად. შეთანხმების თანახმად, მხარეები გამოთქვავენ მზადყოფნას ლიბიაში ერთიანი ხელისუფლების შექმნისათვის. საერთაშორისო თანამეგობრობის გარანტიები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №2259 [3] წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციის აშკარა მხარდაჭერასა და ლიბიაში კრიზისის შემცირების საფუძველს.

აქვე გასათვალისწინებელია ლიბიის მოსახლეობის მოთხოვნები. უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ დაიწყოს ლიბიაში სოციალური და საგანმანათლებლო კონდიციების გამოსწორება. ერთიანი პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლების შექმნა ხელს შეუწყობს ამ პრობლემათა დაძლევას. სწორედ ამისათვის არის საჭირო საერთაშორისო თანამეგობრობამ ყველანაირად შეუწყოს ხელი ლიბიაში პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბებას, და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, ინვესტიციებითა და მხარდაჭერით გააუმჯობესოს ლიბიის მოსახლეობის უსაფრთხოება, ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური და საგანმანათლებლო დონე და სხვა.

ნატო-ს როლი ლიბიის პროცესში. ნატო შეიქმნა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რათა განეხორციელებინა ევრო-ატლანტიკური სივრცის თავდაცვა და უსაფრთხოება. ლიბიის კრიზისი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის არის ერთ-ერთი გამოწვევა. მიუხედავად ამისა, ნატო-ში სამხედრო საშუალებებით ლიბიის კრიზისი გადაჭრის კონსენსუსი არის მყიფე.

2011 წელს ნატო-ს ოპერაციამ „ერთიანი მფარველი“ („Operation Unified Protector”) ოპოზიციას მისცა საშუალება მოეშორებინა კადაფის რეჟიმი ლიბიის ხელისუფლებიდან [11]. თუმცა მოვლენებმა, რომლებიც სამხედრო ოპერაციის შემდეგ განვითარდა, დაშალა ლიბიის ერთიანი ხელისუფლება. რიგი ექსპერტი

გამოთქვამს ვარაუდს, რომ მსგავსი ფართო ხასიათის სამხედრო ინტერვენცია გამოიწვევს დამატებით კრიზისს. თუმცა ფაქტია, რომ საგარეო სამხედრო ჩარევის გარეშე შეუძლებელია ადგილობრივი ძალებით ლიბიაში „დაეშის“ ზეგავლენის შემცირება.

ნატო-ს სამხედრო ინტერვენციას ლიბიაში შეუძლია „დაეშის“ მიმდევართა რაოდენობის მკვეთრი გაზრდა. ტომები, რომლებიც ნეიტრალურები არიან დღეს და არ არიან ისლამური რადიკალიზმის მიმდევრები, ნატო-ს სამხედრო ოპერაციისა და ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდის შედეგად, სავარაუდოდ გადაიხრებიან „დაეშის“ მიმდევართა მხარეს. ყოველივე ეს, სამხედრო გზით ლიბიის კრიზისის გადაჭრის საკითხს უფრო სახიფათოს ხდის.

ამჟამად ნატო აწარმოებს სადაზვერვო ოპერაციებს ლიბიასა და მის სამეზობლო რეგიონებში. დამატებით ნატო-ს აქვს შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა სამხედრო საშუალებით მხარდაჭერა გაუწიოს აფრიკის კავშირსა და ლიბიის მეზობელ ქვეყნებს. სამხედრო დახმარება (Military Assistance „MA“) მოიცავს მრავალ შესაძლებლობას. ნატო-ს დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით (IS-PDD, NSHQ, CCOMC და სხვ.) საშუალება აქვს საერთაშორისო თანამეგობრობას კვალიფიციური დახმარება გაუწიოს ლიბიაში კრიზისის შემცირებაში.

## III. დასკვნა

ყველა ზემოაღნიშნული შიდა და გარე მოთამაშეები, როგორებიცაა: ტომობრივი გაერთიანებები, ადგილობრივი ორგანიზაციები, სახელმწიფოები და საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად არიან ჩართული ლიბიის კრიზისის გადაჭრის პროცესში. რიგ შემთხვევებში, პროცესში ჩართულ მოთამაშეებს აქვთ დიამეტრულად განსხვავებული ხედვები და გზები კრიზისის შესამცირებლად. ეს განსახვავებულობა კი გავლენას ახდენს პროცესის მიმდინარეობაზე. „შკირატის პოლიტიკურ შეთანხმება ლიბიაში კრიზისის დასრულების თაობაზე“ (17 დეკემბერი 2015) ლიბიის შიდა პარტიებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის წარმოადგენს საფუძველს, რომ შუამავლობითა და სამშვიდობო ძალისხმევის გზით დაძლიონ ლიბიის კრიზისი. უპირველესი ნაბიჯი, რაც ბიძგს მისცემს ამ პროცესს არის ლიბიაში მოქმედი ყველა მხარის მიერ აღიარებული ერთიანი ხელისუფლების ჩამოყალიბება. დამატებით, საგარეო პარტნიორების მიერ უნდა მოხდეს სამშვიდობო პროცესის ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერითი ღონისძიებებით განმტკიცება. ეს სწორედ ის სფეროა, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა მოახდინოს მეტად „რბილი ძალის პოლიტიკის“ გატარება.

ძირითადი როლი მშვიდობის დამყარების პროცესში უნდა შეასრულოს გაერომ. ასევე აფრიკის კავშირი, ევროკავშირი და არაბთა ლიგა უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ლიბიის სამშვიდობო პროცესში. აფრიკის კავშირი არის ერთ-ერთი ყველაზე ნეიტრალური მოთამაშე და შესაძლოა ყველაზე ობიექტური მხარე ლიბიის ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ევროკავშირი, როგორც ეკონომიკურად ყველაზე ძლიერმა ორგანიზაცია, უფრო აქტიურად უნდა ჩაებას ლიბიის

ეკონომიკური, სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის პროცესის წარმართვაში. არაბთა ლიგა წარმოადგენს არაბთა სამყაროში მნიშვნელოვან ორგანიზაციას და მისი გავლენა ლიბიის მოსახლეობაზე გასათვალისწინებელია. შესაბამისად, ლიბიაში კრიზისის შესამცირებლად არაბთა ლიგას, მისი წევრი სახელმწიფოების დახმარებით, შესაძლებლობა აქვს განახორციელოს მეტი ეკონომიკური და საფინანსო ინვესტიცია.

ლიბიის პროცესში ჩართულ სახელმწიფოებს აქვთ ეროვნული ინტერესები. მნიშვნელოვანია, რომ ამ სახელმწიფოებმა მათ ინტერესები და ძალისხმევა ლიბიაში შექმნილ ერთიან ხელისუფლებასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ან საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ერთიანად წარმოებულ სამშვიდობო პოლიტიკის ჩარჩოში განახორციელონ.

სასურველია ნატო აშკარა სამხედრო მეთოდებით არ ჩაერიოს ლიბიის კრიზისში. ნატო-ს მიერ სამხედრო ძალით ლიბიის პროცესებში პირდაპირი ჩარევა გამოიწვევს ქვეყანაში რადიკალური ისლამის მიმდევრების საგრძნობლად მომატებას. ნატო-მ მისი სამხედრო საშუალებები უნდა მიმართოს ლიბიის მეზობელი ქვეყნებისა (ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი) და აფრიკის კავშირის სამხედრო შესაძლებლობების გასაძლიერებლად, და შესაბამისად აღნიშნული ქვეყნებისა და ორგანიზაციების დახმარებით უნდა მოახდინოს ლიბიის კრიზისზე ზეგავლენა.

ლიტერატურა:

1. Гатилов: Россия не видит трудностей с принятием резолюции СБ ООН по Ливии, 13 декабря 2015, Подробнее на ТАСС: http://tass.ru/politika/2524579
2. Одна страна - два правительства: как живет Ливия после “арабской весны”, 14 декабря 2015, Подробнее на ТАСС: http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/2525534
3. 20151223_ UN Security Council resolution 02259.pdf; (23 December 2015) http://www.globalr2p.org/media/files/resolution2259.pdf
4. https://en.wikipedia.org/wiki/African_Union
5. Rein, Conrad. ‘Enhancing Peace and Security in Africa through Institutional Cooperation.’ Contemporary Security Policy 36, no. 2 (2015)
6. www. Arableagueonline.org
7. Garavoglia, Matteo and Leore Ben Chorin. “Italy is the key to fighting ISIS in Libya.” Brookings (25 March 2016)
8. Bentancor, Fernando. “To the shores of Tripoli.” Open Democracy (7 February 2016): 1 online resource.
9. Abderrahmane, Abdelkader. “The dangers of a new Libyan intervention.” IRIN News (28 March 2016): 1 online resource.
10. Special Report : ”Libya’s Tribal Dynamics, Stratfor,” (February 25, 2011)
11. Smith-Windsor, Brooke A. ‘AU-NATO Collaboration: Implications and Prospects.’ Rome: NATO Defense College, Research Division (2013)

***Konstantine Petriashvili PhL student***
***Georgian Technical University***

**The crisis in Libia and the ways of its solution**

**Summary**

Religious extremism is one of the major threats to the international community. Religious extremism and the violence that comes with it results in torn apart nations and civilizations. The Middle East and North Africa (MENA) region is a clear example of religious hatred. In certain countries of MENA region this type of hatered has already resulted in a military confrontation, which created greater threat for all three contienents – Asia, Europe and Africa. The Islamic State of Iraq and Syria, the dangerous manifestation of Islamic radicalism, is trying to expand its influence in the Islamic World, and in case of success – in the whole world.

Libya, as a failed state, is a fertile ground for the expansion of Islamic radicalism. The change of Muammar Gaddafi's regime has led to uncontronable situation throughout the country and the rise of various ethnic and religious groups. The role of international community in solving Libyan crisis is very improtanat because without their involvement the Lybian population's efforts to promote peace and stability will be in vain. Consequently, every actor involved in the Libyan crisis has a vital role in promoting peace in Libya and worldwide.

***Key words:*** *Libya. Islamizm. Radicalizm.*

*დავით ჩხეტიანი, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# ჰიბრიდული ომი

რეზიუმე

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას არა მარტო მის საზღვრებთან, არამედ გლობალური მასშტაბით.

თანამედროვე რუსეთის საგარეო მისწრაფებები სულ უფრო ემსგავსება, როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა ეპოქის პოლიტიკას, თავისი განუჭვრეტელობითა და ირაციონალიზმით. იგი, როგორც პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციების მქონე სახელმწიფო ცდილობს, მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში ჰეგემონი გახდეს. ამ ჭრილში, დღევანდელი რუსეთის მთავარი ინტერესი საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო სისტემის ბიპოლარულობის აღდგენაა.

სტატიაში, ჰიბრიდული ომის გააზრებისა და გაგებისათვის, განხილულია ის ხერხები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი ცდილობს დასახული მიზნების მიღწევას

*საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, ცივი ომი, ოკუპაცია, კონფლიქტები, ჰეგემონია*

## I. შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას არა მარტო მის საზღვრებთან, არამედ გლობალური მასშტაბით. ამას მრავალი ფაქტიც ადასტურებს, თუნდაც უახლესი ისტორიიდან, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ გასულ და XXI საუკუნის პირველ ათწლეულს, საქართველოს, სომხეთ-აზერბაიჯანის, დნესტრისპირეთის კონფლიქტებით დაწყებული და ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომებით დამთავრებული. მოვლენები განსაკუთრებული სისწრაფით განვითარდა უახლოეს წარსულში რაც დაგვირგვინდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით, ყირიმის ოკუპაციით და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული კონფლიქტის გაღვივებით და საბოლოოდ რუსეთის მიერ წამოწყებული კამპანიით სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმის გადასარჩენად. არცერთი ზემოთჩამოთვლი კონფლიქტი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, ისინი ან კვლავ აქტიურ ფაზაში მიმდინარეობენ ან გადასული არიან დროებითი კონსერვაციის მდგომარეობაში და მიღებული აქვთ ეგრეთწოდებული „გაყინული“ კონფლიქტის სახე, რაც ესოდენ დამახასიათებელია რუსეთის „გათიშე და იბატონე“ პოლიტიკისათვის.

II. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე რუსეთის საგარეო მისწრაფებები სულ უფრო ემსგავსება, როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა ეპოქის პოლიტიკას, თავისი განუჭვრეტელობითა და ირაციონალიზმით. იგი, როგორც პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციების მქონე სახელმწიფო ცდილობს, მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში ჰეგემონი გახდეს. ამ ჭრილში, დღევანდელი რუსეთის მთავარი ინტერესი საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო სისტემის ბიპოლარულობის აღდგენაა. თუმცა ისევე როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს, ამ ჯერზეც ყოველივე ეს კვლავ საშინაო ვითარების და ეკონომიკური ფონის გაუარესების ხარჯზე ხორციელდება, რომლის გადაფარვასაც კვლავ ცდილობს საგარეო „წარმატებებით". მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს უმთავრესი განსხვავებაც. „ცივი ომის" ეპოქაში, ორმხრივი ბირთვული შეკავებისა და „გარანტირებული ურთიერთგანადგურების" პოლიტიკის წყალობით, არსებობდა გარკვეული თამაშის წესები რომლებზეც ორივე მხარე თანხმდებოდა რაც უფრო შესაძლებელს ხდიდა მოვლენების თუნდაც მიახლოებითი პროგნოზირებას.

სხვა ვითარებაა დღესდღეობით. საკუთარი მიზნების მიღწევის მიზნით, პრეზიდენტ პუტინის ავტოკრატიულმა რეჟიმმა, მიმართა ისეთ ხერხებს რომელთა წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი გახდა რაციონალური პოლიტიკის მიმდევარი დასავლეთისათვის. ამ ხერხებსა და მეთოდებს, რომელსაც რუსეთი ფართოდ იყენებდა ყველა ზემოთაღნიშნულ კონფლიქტში აკადემიურმა სამყარომ და მასმედიამ გამოუნახა ახალი სახელი: ჰიბრიდული ომი.

ვცადოთ ჰიბრიდული ომის ჭრილში გავანალიზოთ ის მეთოდები და საშუალებები რომელთა ერთობლიობაც გამოიყენა კრემლის რეჟიმმა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, იმისათვის რომ დავადგინოთ, არის ეს რაღაც ახალი „გენიალური" გამოგონება თუ უკვე დიდხანს არსებული იმპერიალისტური პოლიტიკის უბრალოდ მოდერნიზირებული განვითარება თანამედროვე საშუალებებით. ამ მიზნით უნდა სწორად განისაზღვროს უშუალოდ ტერმინი და განვიხილოთ იმ ფაქტორთა ჩამონათვალი რომელნიც ახასიათებენ ამ სახის მოქმედებებს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ თუ რას წარმოადგენს ჰიბრიდული ომი, პირველ რიგში, მოვიშველიოთ აშშ ერთობლივი ძალების სარდლობის მიერ 2009 წელს ადაპტირებული განმარტება, რომელიც საუბრობს ჰიბრიდულ საფრთხეზე: „მოწინააღმდეგე ერთდროულად და მოქნილად იყენებს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და საინფორმაციო საშუალებებს კონვენციურ, ასიმეტრიულ, ტერორისტულ და კრიმინალურ საბრძოლო მეთოდებთან ერთობლიობაში" [1]. იგი ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო მოთამაშეების კომბინაციებს საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ჰიბრიდულ ომს როგორც ტერმინს ამ სახით პირველი ამერიკელი პოლკოვნიკი ვილიამ ნემეცი მოიხსენიებს თავის 2003 წლის სამაგისტრო ნაშრომში „მომავლის ომი და ჩეჩნეთი: ჰიბრიდული ომის მაგალითი". ნემეცის აზრით ჩეჩნური საზოგადოება ჰიბრიდულ მდგომარეობაში იმყოფებოდა წარსულისა და თანამედროვეობის აღრევის შედეგად სადაც თანამედროვე არქიტექტურა დაშენებულია ტრადიციულ

კლანურ-გვარობრივ ფუნდამენტზე. ეს სტრუქტურა აძლევდა ჩეჩნებს ომისათვის მობილიზაციის საშუალებას და შემდგომშიც უზრუნველყოფდა ბრძოლის აქტიურ მხარდაჭერას ოჯახური კავშირების მეშვეობით. ამ ჰიბრიდული საზოგადოებიდან ომის ახალი ჰიბრიდული ფორმა წარმოიშვა რომელიც ზედმიწევნით მოქნილი და ეფექტური სახით აერთიანებდა ბრძოლის როგორც რეგულარულ ასევე არარეგულარულ ელემენტებს [2]. ჩეჩნებმა წარმატებით განახორციელეს დასავლური და საბჭოთა დოქტრინების სინთეზი პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკასთან უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოქნილობას, რაც აძლევდათ საშუალებას სწრაფად და ეფექტურად გადაეტანათ ძალისხმევა პარტიზანული ბრძოლიდან კონვენციურ ტაქტიკაზე ვითარებიდან გამომდინარე.

აშშ შეაიარაღებული ძალების ოფიცერი, პოლკოვნიკი ჯონ მაკვინი განსაზღვრავს ამ უკანსაკნელს როგორც ოპერაციების წარმოების ძირითად მეთოდს ასემეტრიული ომის დროს [3]. მისი განმარტებით ჰიბრიდული კონფლიქტები არის სრული სპექტრის საომარი მოქმედებები ორივე ფიზიკურ და კონცეპტუალურ განზომილებაში, პირველი ბრძოლა შეიარაღებული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ და მეორე უფრო ფართო ბრძოლა მოქმედებათა თეატრში ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და იმავდროულად ბრძოლა ზოგადი მხარდაჭერისათვის საშინაო და საერთაშორისო არენებზე. იმისათვის, რომ მოხდეს საბრძოლო თეატრის კონსოლიდაცია და სტაბილიზაცია, უნდა დაუყოვნებლივ აღდგენილი იქნას უსაფრთხოება, აუცილებელი კომუნალური მომსახურება, ადგილობრივი ხელისუფლება, თავდაცვის სტრუქტურები და ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტები.

თუმცა ტერმინი ჰიბრიდული ომი ან საფრთხე არასოდეს უხსენებიათ მაგრამ ეს უკანასკნელი უცხო ხილი არ არის არც რუსი ავტორებისათვის. გენერლები მაჰმუტ გარეევი და ვლადიმერ სლიფჩენკო ჯერ კიდევ გასული საუკინის მიჯნაზე წერდნენ ომისადმი ახალი მიდგომების შესახებ. მაგრამ აქ ნამდვილად გამოსარჩევია რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის ვალერი გერასიმოვის ნაშრომი „მეცნიერების მნიშვნელობა მომავლის განჭვრეტაში“. აქ იგი უკრაინის მოვლენების წინსწრებით პროგნოზირებს ძალის ფარულად გამოყენებას პარამილიტარისტული და ამბოხებულთა ჯგუფების მეშვეობით და ხაზს უსვამს ბრძოლის ასიმეტრიულ მეთოდებზე დაყრდნობას [4]. გერასიმოვი აუცილებლად თვლის ომის ფიზიკური განზომილების გარდა საინფორმაციო და კიბერგანზომილებების ათვისებას და არ გამორიცხავს იერიშების მიტანას სამიზნე ქვეყნის სამოქალაქო მიზნებზეც კი მისი პარალიზებისა და დემორალიზების მიზნით. ამისათვის იგი ემხრობა სპეციალური ძალებისა და ულტრათანამედროვე საბრძოლო საშუალებების (დრონების, რადიო ელექტრონილი ბრძოლისა და კიბერშეტევების) გამოყენებას. ამ შემთხვევაში რეგულარული სამხედრო ძალების გამოყენება მხოლოდ საბოლოო ფაზებში ხდება საჭირო მშვიდობისმყოფელებისა და სხვა ანალოგიურ როლებში. ერთი მთავარი განსხვავება რუსი ავტორებისა არის ის რომ ისინი ძირითადად წერენ არა თუ როგორ დაიცვას სახელმწიფომ თავი ჰიბრიდული საფრთხეებისაგან, არამედ პირიქით როგორ მიაღწიოს წარმატებას ამგვარი მეთოდების გამოყენებით.

სხვა ექსპერტები თვლიან, რომ ჰიბრიდული ომი წარმოადგენს სამხედრო სტრატეგიას, რომელიც კონვენციური და არაკონვენციური სამხედრო მოქმედებების ერთგვარი ნაზავია კიბერომთან. ამ დროს ხდება საბრძოლო ოპერაციების კომბინირება იატაკქვეშა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებთან, პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალებით, რითაც აგრესორი მხარე ცდილობს თავიდან აიცილოს საპასუხო აგრესია და ანგარიშგება მსოფლიო საზოგადოების წინაშე საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში [5]. აღსანიშნავია რომ ექსპერტთა უმეტესობა თვლის, რომ ჰიბრიდული ომი არ წარმოადგენს არაფერს ახალს, რაც აქამდე არ გაკეთებულა და არ მომხდარა. ცნობილი ექსპერტი კეირ ჯაილსი მაგალითად ამტკიცებს რომ ომის ეს ნაირსახეობა უკვე მრავალი საუკუნეა არსებობს და მხოლოდს მისი ზოგიერთი ასპექტია ახალი დანამატი რაც გამოიწვია ტექნოლოგიების განვითარებამ და მათმა ადაპტაციამ ამგვარი მიზნებისათვის [3]. აქ ნამდვილად ხაზგასასმელია პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მნიშვნელობა, რომელსაც ასე ოსტატურად იყენებს კრემლი, როგორც საკუთარი მოსახლეობის აზრის ჩამოყალიბებაში ასევე გარე დამკვირვებლებზე ზეგავლენისათვის. მედიაზე სრული კონტროლის დამყარებით კრემლმა ფაქტიურად ალტერნატიური რეალობა შექმნა მთელი რუსეთის მაშტაბით [3].

არსებობს აზრიც, რომ თვითონ ტერმინი ზედმეტად ზოგადი და აბსტრაქტულია, და უბრალოდ ასახავს კონვენციური თვალსაზრისით აღმატებულ მოწინააღმდეგესათან დაპირისპირების აქამდეც კარგად ცნობილ ასიმეტრიულ მეთოდებს მაგრამ, როგორც უკვე ავღნიშნეთ თანამედროვე ტექნოლოგიების ადაპტაციით [6].

ყოველ შემთხვევაში, რაზეც უმეტესობა თანხმდება, „ჰიბრიდული ომი" მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- არასტანდარტულ, კომპლექსურ და მოქნილ მოწინააღმდეგეს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე სახელმწიფოს ან არა-სახელმწიფო ორგანიზაცია-დაჯგუფებას [6]. რუსეთის როლი უკრაინის კონფლიქტში შესანიშნავი მაგალითია პირველისა ხოლო ჰეზბოლა ან ეგრეთწოდებული ისლამური სახელმწიფო კი მეორის შემთხვევაში. სახელმწიფოები ასევე შეიძლება იყენებდნენ მარიონეტულ ორგანიზაციებს თუ დაჯგუფებებს საკუთარი მიზნების მისაღწევად.
- მოწინააღმდეგე ყოველთვის იყენებს კონვენციური და არაკონვენციური მეთოდების კომბინაციას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს უკანონო ბანდფორმირებების, ტერორისტული აქტებისა და კრიმინალური სამყაროს გამოყენებას [7]. გავიხსენოთ რუსეთის მოქმედებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარე რაიონებში 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომამდე და ომის დროს.
- ჰიბრიდული მოწინააღმდეგე გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფი ადაპტაციის უნარით [6]. ამ უკანასკნელის შესანიშნავი მაგალითებია მოძრაობა თალიბანი ან ეგრეთწოდებული ისლამური სახელმწიფო, რომლებიც მიუხედავად მოწინააღმდეგის კონვენციური ძალების სრული უპირა-

ტესობისა ახერხებენ არა მარტო გადარჩენას, არამედ ვითარდებიან და ასევე აფართოებენ საკუთარ კონტროლის სფეროს. ხოლო საფრთხის შემთხვევაში კი იოლად უჩინარდებიან ადგილობრივ მოსახლეობაში და მოგვიანებით გვევლინებიან ახალი ფორმით, როგორც „ალ-კაიდა ერაყი“ მოგვევლინა ისლამური სახელმწიფოს სახით მაშინ, როდესაც პირველი მთელ მსოფლიოს უკვე დიდი ხნის განადგურებული ეგონა.

- ჰიბრიდული მოწინააღმდეგე იბრძვის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური შეიარაღებისა და საშუალებების გამოყენებით [7]. ისეთი შეიარაღების სისტემები როგორიცაა მართვადი ხომალდსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო თუ საზენიტო რაკეტები უკვე გავრცელდა სახელმწიფოებრივი შეიარაღებული ძალების საზღვრებს გარეთ და ხშირია მათი გამოყენება ტერორისტული თუ სხვა სახის დაჯგუფებების მიერ. გარდა ამისა ტექნოლოგიების განვითარებამ შედეგად გამოიღო ამ სახის შეიარაღების წარმოება კუსტარულ დონეზეც კი. სწორედ ამგვარად აწარმოებს ჰეზბოლა რაკეტებს რომელთა საშუალებითაც ბომბავს ებრაელებით დასახლებულ რაიონებს. ასევე უკვე გვხვდება კუსტარულად დამზადებული დრონები (უპილოტო საფრენი აპარატები), დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობები და სხვა საშუალებები, რომელთაც ფართოდ გამოიყენებენ ტერორისტული ორგანიზაციები მსოფლიოს მასშტაბით. კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამაც თავის წილად მკვეთრად აამაღლა ამგვარი ჯგუფების ბრძოლისუნარიანობა, რადგან სწრაფი და დროული კავშირი უკვე დიდი ხანია მხოლოდ სამხედრო ძალების ფუფუნება აღარ არის. ტრდიციულ ოთხგანზომილებიან ბრძოლის ველს (ხმელეთი, ჰაერი, წყალი, კოსმოსი) დაემატა კიდევ ერთი – კიბერგანზომილება, რომელმაც შეიძლება დანარჩენზეც უფრო კრიტიკული მნიშვნელობა მოიპოვოს.
- მასმედიის საშუალებებისა და პროპაგანდის ფართო გამოყენება როგორც მოწინააღმდეგის დეზორგანიზების ასევე რეკრუტირების მიზნებით. ეს უკანასკნელი ასევე ფართოდ გამოიყენება დანაშაულის გადაბრალებისა და „ალტერნატიული სიმართლის“ წარმოჩენისათვის. კარგი მაგალითებია რუსული პროპაგანდა უკრაინის წინააღმდეგ და ეგრეთწოდებული ისლამური სახელმწიფოს მესვეურთა მიერ წარმოებული მებრძოლთა წარმატებული რეკრუტირება ევროპისა და აშშ-ს მოსახლეობაშიც კი.

ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებიდანაც კარგად ჩანს, რომ მეტად ძნელია რამე დაუპირისპირო ჰიბრიდულ ომს. ტრადიციული შეიარაღებული ძალებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ჰიბრიდულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. ამგვარ გამოწვევებთან გამკლავება ასევე რთულია კოლექტიური თავდაცვითი ორგანიზაციებისათვისაც, როგორიცაა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი.

III. დასკვნა

ჰიბრიდული საფრთხეების დასაძლევად მხოლოდ ეგრეთწოდებული „ხისტი ძალა“ საკმარისი არ არის. ჰიბრიდული მოწინააღმდეგის ძალისხმევით ხშირად კონფლიქტური სიტუაცია ღვივდება შეუმჩნევლად და მათზე მყისიერი რეაგირებაც კი შესაძლოა უკვე დაგვიანებული იყოს. სამწუხაროდ ბევრი ჰიბრიდული ომის პირისპირ ყოფნისას ხაზს უსვამს მხოლოდ მის სამხედრო-მილიტარისტულ ნაწილს – ომს. შესაბამისად ცდილობს გამოსავალი იპოვოს ასევე სამხედრო გადაწყვეტილებაში და „დაამარცხოს“ იგი. მაგრამ ამგვარი მიდგომა გამოსავალი არ არის. უმთავრესი რაც გამოარჩევს ჰიბრიდულ ომს არის მისი უფრო ფართე სპექტრში გამოყენება, რომლის დროსაც საბრძოლო მოქმედებებამდე შეიძლება საქმე საერთოდაც არ მივიდეს. ჰიბრიდული ომი წარმოადგენს ძალისხმევის უფრო ფართო მასშტაბით მიმართვას და ისეთი მექანიზმების გამოყენებას როგორიცაა: ეკონომიკა, სოციალური ფონი, ენერგო უსაფრთხოება, ინფორმაცია, მასმედია და კიბერ შესაძლებლობები კონვენციურ და არაკონვენციურ საბრძოლო მოქმედებებთან ერთობლიობაში. ეს არის ღია და ფარული მოქმედებების კომბინაცია, ზეგავლენის, იძულების, შანტაჟის, პროვოცირების, საბოტაჟისა და სხვა ყველა ხელთ არსებული მეთოდების გამოყენებით, პასუხისმგებლობისა და ბრალის სხვაზე გადაბრალებით, რაც განსაკუთრებით რთულს ხდის სათანადო რეაგირებას.

ლიტერატურა:


1. Glenn R., 'Thoughts on Hybrid Conflict', Small Wars Journal, 2 March 2009,
2. Nemeth, W. J., "Future War and Chechnya: A Case for Hybrid Warfare", Thesis, Naval Postgraduate School, Monterey, California, June 2002, http://calhoun.nps. edu/bitstream/handle/10945/5865/02Jun_Nemeth.pdf?sequence=1
3. Джонатан Маркус, "Гибридная война Путина-головная боль НАТО," BBC РусскаяСлужба, 1.12.2014, http://www.bbc.co.uk/russian/international/2014/12/141106_nato_russian_strategy.
4. Герасимов, В. "Ценность науки в предвидении", Военно-промышленный Курер, 27фев. 2013
5. "Deterring hybrid warfare: a chance for NATO and the EU to work together?" NATO Review,http://www.nato.int/docu/review/2014/Also-in-2014/Deterring-hybrid-warfare/EN/index.htm.
6. Fleming, Brian. "Hybrid threat concept: contemporary war, military planning and the advent of unrestricted operational art." Us Army CGSC, DRP, (17.05.2011).
7. Deep, Alex "Hybrid War: Old Concept, New Techniques", Small wars Journal 2.03.2015, http://smallwarsjournal.com/jrnl/art /hybrid-war-old-concept-new-techniques

*David, Chkhetiani, PhL student*
*Georgian Technical University*

# Hybrid war

## Summary

The contemporary international community with great distress observes the developments of Russia's aggressive foreign policy which threatens peace and stability not only in its neighborhood. This can be confirmed by numerous facts taken even from the most recent history up to the current moment: the Chechen Wars, covert or open participation in the conflicts in Nagorno-Karabakh, Trans-Nistria, Georgia, the annexation of Crimea and last but not the least the military campaign to support the Regime of Syrian president Bashar Al-Asad. This is not the complete list of Russia's Hard Power adventurism. None of the conflicts, mentioned above, are over yet. All of them are still ongoing, or are just "frozen," used by Kremlin as a mechanism of influence. Discussing the events mentioned above everybody started talking about the Hybrid War, a new "Wunderwaffe" of president Putin that is so difficult to counter.

This article will examine the means and ways that Russia has chosen to achieve its ends in order to define what is so called Hybrid War. It will argue that it has not started just with the annexation of Crimea and proxy-conflict in the east Ukraine, but has much deeper roots throughout the history. The article will show that multiplicity of efforts committed by Kremlin, as an extension to the state policy, as methods for achieving political goals have always been out there with different names and different complexity. Nonetheless with the progress of the technologies they are evolving and adapting and the recent terms of Hybrid War or Hybrid Threat are just new names made up by academic circles and media.

***Key Words:*** *Hybrid War, Cold War, Occupation, Conflicts, Hegemony.*

# სამართალმცოდნეობა

# LAW

*ნონა ჟველია, ისტორიის აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## რა მექანიზმები იცავს ადამიანის უფლებებს ეროვნულ დონეზე?

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ამოქმედება შეუძლებელია მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე. მოქალაქეებს, რომელთა უფლებები იქნა დარღვეული ეროვნულ დონეზე, შეუძლიათ საკუთარი უფლებების დაცვა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობითაც.

არსებობს ადამიანის უნივერსალური უფლებებისა და რეგიონალური სისტემების ეპოქაა. უნივერსალური სისტემა თავის თავში მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რეგიონული სისტემები შექმნილია გარკვეული რეგიონებისათვის, მაგალითად, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა, რომელიც მუშაობს ევროპის ფარგლებში, ამერიკათშორის სისტემა - მუშაობს ამერიკის შტატებში და ა.შ.

***საკვანძო სიტყვები:*** *ადამიანის უფლებები. დემოკრატია. სამართალი*

### I. შესავალი

ადამიანის უფლებათა რეალიზაციისათვის საჭიროა ეროვნულ დონეზე სპეციალური მექანიზმების ჩამოყალიბება. მხოლოდ საკანონმდებლო აქტების არსებობა, რომლითაც ადამიანის უფლებებია დეკლარირებული, საკმარისი არ არის. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს 1937 წლის საბჭოთა კონსტიტუცია, რომლითაც აღიარებული იყო მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ 30-იან წლებში ხორციელდებოდა ყველაზე მძვინვარე ტერორი და რეპრესიები.

II. ძირითადი ნაწილი

ადამიანის უფლებათა ეფექტურად დაცვისათვის, ერთი მხრივ სავალდებულოა სახელმწიფომ შექმნას ეროვნულ დონეზე სპეციალური მექანიზმები, ორგანოები, რომლებითაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და მეორე მხრივ მნიშვნელოვანია სოციალური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება „ქვევიდან", საზოგადოებიდან.

ნებისმიერ ადმინისტრაციულ სისტემას (იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები, თუ სხვა) აქვს ადამიანის უფლებათა იგნორირების მიდრეკილება. იგნორირება ხდება იმ ზომამდე, რამდენადაც ეს დაშვებულია საზოგადოებრივი აზრით, იმ ზღვრამდე, რამდენადაც ამას გასაქანს მისცემენ მოქალაქეები, სანამდეც ასეთ დარღვევებს საზოგადოება მოითმენს. უახლესი პერიოდის მოვლენები ახლო აღმოსავლეთში (ეგვიპტე, ლიბია და სხვა) ცხადყოფენ, რომ მოქალაქეებს აღარ ძალუძთ მოითმინონ უფლებების უხეში და სისტემატიური დარღვევა ხელისუფლების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივ ანუ ეროვნულ ინსტიტუტებს შორის განასხვავებენ სასამართლო და არასასამართლო მექანიზმებს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სასამართლო გარანტიებია. კონსტიტუცია მოქალაქეებს სასამართლო დაცვის გარანტიას აძლევს. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42). სასამართლოს მიერ ასეთი სახის სარჩელების მიღება არის მათი კანონიერების გარანტად აღიარებისა და კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ჩამოყალიბების საფუძველი. კონსტიტუციური უფლებები შეიძლება დაცული იქნეს უშუალოდ იმ პირის მიერ, რომლის უფლებაცაა დარღვეული (მაგალითად: საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში, კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში) დარღვეული უფლებების დაცვა შეიძლება მოითხოვოს მოქალაქეთა გაერთიანებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (მაგალითად, პროფკავშირებმა), ასევე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანომ (მაგალითად, პროკურორმა).

პირველ ყოვლისა, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციური გარანტია სასამართლოა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. აქ იგულისხმება აგრეთვე ადამიანის უფლება, მისი საქმე განხილული იქნეს კომპეტენტური და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. საქმე უნდა განიხილოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე (საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საერთო სასამართლოების სისტემა გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების საშუალებას იძლევა, ადამიანს აქვს უფლება და ეძლევა შესაძლებლობა, გაასაჩივროს სასამართლოში სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზიციებისა და თანამდებობის პირთა ქმედებები.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ორგანოებში ადამი-

ანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმი არსებობს (სასამართლო, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები, სახალხო დამცველი), ამგვარი დაცვის წესი სხვადასხვა ორგანოში განსხვავებულია.

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ერთიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში. საკონსტიტუციო კონტროლის ეს ორგვარი ფუნქცია – კონსტიტუციის დაცვა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა – განუყოფელია.

იქ, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოები ფუნქციონირებენ საკონსტიტუციო სარჩელის წარმდგენა შესაძლებელია ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის მიზნით. მაგ., საქართველოს ორგანულ კანონში („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ აღნიშნულია:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. (1-ლი მუხლი 1-ლი პუნქტი);
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თვის (საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი). საკითხთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ე. ქვეპუნქტი).
3. საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება პირადად მიმართოს საქართველოს მოქალაქემ, რომლის უფლებები იქნა დარღვეული;
4. საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ის ჩათვლის, რომ ნორმატიული აქტები ან ცალკეული საკანონმდებლო ნორმები არღვევენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

**სახალხო დამცველი.** უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმს მიეკუთვნება ომბუტმენის ინსტიტუტი. „ომბუტმენი“ შვედური სიტყვაა და სხვა პირის ინტერესების წარმომადგენელს ნიშნავს. სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ: ომბუტმენი – სკანდინავიის ქვეყნებში, სახალხო დამცველი – საქართველოში, შუამავალი – საფრანგეთში, ხალხის დამცველი – ესპანეთში, ბუნდესტაგის სამხედრო რწმუნებული – გერმაიაში და სხვა.

ომბუტმენი, სახალხო დამცველი, თანამდებობის პირია, რომელსაც ირჩევენ (მაგალითად: შვედეთში დანიაში, ფინეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში. საქართველოსა და სხვა ქვეყნებში) ან ნიშნავენ ((მაგალითად საფრანგეთში შუამავალი ინიშნება მინისტრთა საბჭოს დეკრეტით. დიდ ბრიტანეთში ადამიანის უფლებათა საპარლამენტო რწმუნებულს. პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით ნიშნავს დედოფალი) და რომლის მოვალეობაა, იყოს არბიტრი მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის. რათა გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები. ხელისუფლების

ორგანოებისა და ოფიციალური თანამდებობის პირების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც, მოქალაქეთა აზრით, ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლებები და თავისუფლებები. ის საჯარო მოხელეა თანამდებობის პირია, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლინებასა და უფლებების დაცვაზე კონტროლს.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი უმრავლესობით 5 წლის ვადით ირჩევს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 43).

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა რეგულირდება 1996 წლის 16 მაისის ორგანული კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემა განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილის თუ სხვა გარემოებისა, საქართველოს სახალხო დამცველი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას; საქართველოს სახალხო დამცველი ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

2009 წლის 16 ივლისს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ. კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს, რაც იმით ვლინდება, რომ საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.

საქართველოს სახალხო დამცველი მოქმედებს დამოუკიდებლად და მას უფლება აქვს, დამოუკიდებლ.ად შეამოწმოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა, ასევე მათი დარღვევის ფაქტები, როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებელებებში დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია. მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს სახალხო დამცველს.

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა. განცხადებისა და საჩივრის მიღების შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების თაობაზე, რის შესახებაც ეცნობება განმცხადებელს. საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია, აცნობოს განმცხადებელს საჩივრის შემოწმების შედეგები კანონის დადგენილი წესით.

საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს შემოწმების ჩატარებისას:

ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობი ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. ყველა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია, ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც დასჭირდება საქართველოს სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

შემოწმების პროცესში ან საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის, ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება, ან გასაჩივრებულია, ვალდებულია, საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.

**პარლამენტი.** საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის საქმიანობას დიდი მნიშვნელოვა აქვს ადამიანის უფლებათა სწორი რეალიზაციისათვის, რადგან თვით კონსტიტუციური ნორმა ზოგჯერ ზოგადია და მოითხოვს კანონით მისი რეალიზაციის პროცესისათვის დაზუსტებას. გარდა ამისა, პარლამენტი ის ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო წესით თვითონ ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს და ინსტიტუტებს. ამ სფეროში მნიშვნელოვანია აგრეთვე პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია. პარლამენტი, ზოგადად, ან მისი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით შეისწავლის, როგორ იცავს აღმასრულებელი ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კანონებს, და რამდენად იქნა მიღწეული კანონით დასახული მიზანი ამ სფეროში. პირს, რომლის უფლებებიც დაირღვა, ან არსებობს ამ უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე, შეუძლია მიმართოს პარლამენტს ან ცალკეულ პარლამენტარებს თავისი უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, პარლამენტის წევრებს, თუ მათთვის ცნობილი გახდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, თავისი ინიციატივით შეუძლიათ ჩაერიონ და მოითხოვონ ასეთი ფაქტების აღკვეთა.

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა;

გ) ნებისმიერ თანამდეობის პირს, მოხელეს მასთან გათანაბრებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე;

დ) სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები ან/და მოამზადოს დასკვნები, მოიწვიოს სპეციალისტები/ექსპერტები საექსპერტო ან /და საკონსტიტუციო სამუშაოთა შესასრულებლად;

ე) გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში, წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში უნდა მიეთითოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით წარუდგენს მოხსენებას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყველა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია, ყოველმხრივ

დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც დასჭირდება საქართველოს სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

შემოწმების პროცესში ან საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება, ან გასაჩივრებულია, ვალდებულია, საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.

## III. დასკვნა

საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა სწორი რეალიზაციისათვის, რადგან თვით კონსტიტუციური ნორმა ზოგჯერ ზოგადია და მოითხოვს კანონით მისი რეალიზაციის პროცესისათვის დაზუსტებას. გარდა ამისა, პარლამენტი ის ორგანოა, რომელიც საკანონმდებლო წესით თვითონ ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს და ინსტიტუტებს. ამ სფეროში მნიშვნელოვანია აგრეთვე პარლამენტის საკონტროლო ფუნქცია. პარლამენტი, ზოგადად, ან მისი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით შეისწავლის, როგორ იცავს აღმასრულებელი ხელისუფლება ადამინის უფლებათა დაცვის სფეროში კანონებს, და რამდენად იქნა მიღწეული კანონით დასახული მიზანი ამ სფეროში. პირს, რომლის უფლებებიც დაირღვა, ან არსებობს ამ უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე, შეუძლია მიმართოს პარლამენტს ან ცალკეულ პარლამენტარებს თავისი უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, პარლამენტის წევრებს, თუ მათთვის ცნობილი გახდა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, თავისი ინიციატივით შეუძლიათ ჩაერიონ და მოითხოვონ ასეთი ფაქტების აღკვეთა.

პირი ვისი უფლებებიც იქნა დარღვეული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, სარგებლობს ადმინისტრაციული სამართლით განსაზღვრული დაცვის საშუალებები. სხვადასხვა ქვეყანაში ეს წესი სხვადასხვაგვარად მოქმედებს, მაგრამ, ზოგადად, ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს აქვთ საშუალება, კორექტირება გაუკეთონ არა მარტო თავიანთ მოქმედებას, არამედ იმ დაწესებულებების მოქმედებასაც, რომლებიც მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

ლიტერატურა:


1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2005
2. ბოროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ., გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ., დემოკრატია და მოქალაქეობა, თბ., 2011.
3. კორკელია, კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004.

4. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., 2005.
5. სმიტი რონ, კ. მ. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, თბ., 2006.
6. ჰეივუდი ე., პოლიტიკა, თბ., 2008.

***Nona Zhvelia***
***Georgian Technical University***

## What mechanisms to protect a human rights on the national level?

## Summary

Contemporary societies by human rights and freedoms of is not only in the state domestic case. The citizens, whose rights were violated at the national level will be able protect his rights to appeal to international courts.

There are the world of universal human rights and regional systems. The universal system includes the United Nations system and regional systems are created for specific according to regions: European system of human rights protection, which operates in Europe, the Inter-American system - operates in the Americas and African countries for the system - combining African countries.

***Key words:*** *Human Right. Democracy. Law*

*გიორგი ჩაჩანიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# სამართალი და სამართლიანობა

რეზიუმე

სამართალი და სამართლიანობა აზრობრივად ერთ დატვირთვას ატარებს, მაგრამ სამართალი სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს, იდეურად 21-ე საუკუნეს სამართლიან ეპოქას უწოდებენ, რაშიც დიდი როლი სამართლის მეცნიერების განვითარებამ შეასრულა. თუმცა, ვერ იქნება სრულყოფილი მანამ სანამ სამართალი არ დაუახლოვდება სამართლიანობის პრინციპებს, სადაც მთავარი მონაწილე არის ადამიანი, ამიტომ მთავარი საზრუნავიც ადამიანია, მისი აღზრდა, სათანადო განათლება, სოციალური უზრუნველყოფა და ა. შ.

ადამიანი, განსაკუთრებით მოზარდი არ უნდა მივიდეს დანაშაულობამდე, მაშასადამე, უნდა შევძლოთ ახალი ადამიანის ფორმირება, რომლისთვისაც მთავარი გახდება ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიცაა: სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვ. რომელიც შეუძლებელია სამართლისა და სამართლიანობის გარეშე.

*საკვანძო სიტყვები: სამართალი, სამართლიანობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, დროული პრევენცია.*

## I. შესავალი

ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ სამართლიანობა სახელმწიფოს ზნეობრივი წესრიგია, ხოლო სამართლიანი სამართალი ღვთიური წესრიგი.

სამართალი, ეს სიტყვა მართიდან ნაწარმოები სიტყვაა, რაც სწორს ნიშნავს, სამართლიანობა ისევე განიმარტება, როგორც სამართლიანის თვისება და მოიცავს სიმართლის მოყვარულს, სიმართლის მიმდევარს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია სინამდვილესთან, სისწორესთან, ეჭვმიუტანლობასთან, ჭეშმარიტებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს სამართლიანობის უმთავრესი პრინციპი – არ გაუკეთო სხვას ის, რაც არ გსურს შენი თავისათვის. სამართლიანობის ეს პრინციპი სრულყოფილი ფორმით გვხვდება სახარებაში – „როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ, ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი“ (სახარება მათესი 7, 12).

სამართალი და სამართლიანობა აზრობრივად ერთ დატვირთვას ატარებს, მაგრამ სამართალი სამართლიანობას უნდა ემყარებოდეს. იდეურად, XXI საუკუნეს სამართლიან ეპოქას უწოდებენ, რაშიც დიდი როლი სამართლის მეცნიერების განვითარებამ შეასრულა. თუმცა, ვერ იქნება სრულყოფილი მანამ სანამ სამართალი არ დაუახლოვდება სამართლიანობის პრინციპებს. დღეისათვის „მეცნიერების“, როგორც ცნების უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს, შესაბამისად, რთულია დარგების მეცნიერებად აღიარება. მეცნიერება ცოდნის განსაკუთრებული სისტემაა

და ეხება არა ცოდნის რომელიმე კონკრეტული ნაწილს, არამედ მეთოდოლოგიას. ამ მიზეზის გამო, ცნება, „მეცნიერება“ გამოიყენება დარგში იმ ცოდნის აღსანიშნავად, რომელიც მეცნიერული მეთოდოლოგიით არის მოპოვებული და ის ვერ განვითარდება საზოგადოების გარეშე.

ამრიგად, სამართლისა და სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში მთავარი მონაწილე არის ადამიანი, მაშასადამე მთავარი საზრუნავიც ადამიანია, მისი აღზრდა, სათანადო განათლება, სოციალური უზრუნველყოფა და ა. შ. ეთიკური ადამიანისათვის ადვილად მისაწვდომია ფასეულობის გაგება, როგორიცაა: ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობის შესრულება.

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება რთულია, როცა საზოგადოება ორიენტირებულია მხოლოდ ფულზე, კარიერასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე და უპირისპირდება მარადიულ ღირებულებებს. ანუ, მართლმადიდებლურ რჯულის კანონებს. ქართული სამართლის მეცნიერებას უპირველესი კავშირი უნდა ჰქონდეს მართლმადიდებლურ თეოლოგიასთან, რომ შეძლებისდაგვარად სრულყოფილად განისაზღვროს სამართლის ნორმებში სამართლიანობის პრინციპები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო და ქართული საზოგადოება ვერ განვითარდება.[1]

## II. ძირითადი ნაწილი

ადამიანის განვითარება ხდება ტრადიციულად, ეტაპობრივად და საკუთარი თავის რეალიზაციაზე ზრუნავს თანმიმდევრულად, ცდილობს გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი (თუ არ არის რაიმე პათოლოგიური გადახრა, რაც შემაფერხებელი იქნება მისი განვითარებისათვის) ამდენად, ადამიანი ის ფენომენია, რომელიც სამართლიანობის დამკვიდრებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს, სხვა საკითხია ეს როგორ ადამიანს შეუძლია.

სოციალურ გარემოში პიროვნების ჩამოყალიბება ორ ძირითად პროცესს მოიცავს:

1. სოციალური ადაპტაცია;
2. ინდივიდუალიზაცია, ანუ თვითრეალიზაცია.

პირველ შემთხვევაში, ადამიანი უპირატესად ორიენტირებულია საკუთარი თავის შეცვლაზე, რეალობის შესაბამისად. მეორე შემთხვევაში კი – პირიქით, გამოხატულია ტენდენცია – მოირგოს სამყარო საკუთარ თავზე, რა დროსაც სახეზეა დევიანტური ქცევისა და ცხოვრების წესის მახინჯი ფორმა, ანუ, ანტისოციალური ქცევის გამოხატული ნიშნები.

განვიხილოთ ისეთი ქცევა, რომელიც არ შეესაბამება საზოგადოების ან ოფიციოზის მიერ დადგენილ სოციალურ ნორმებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა მოქმედება, რომელიც შეუსაბამოა არსებულ კანონებთან, წესებთან, ტრადიციებსა და სოციალურ პირობებთან და მისი გამომვლენი პიროვნებები იწვევენ ნეგატიურ შეფასებას სხვა ადამიანების მხრიდან. მთავარი თავისებურება ისაა, რომ ასეთ ადამიანებს აქვთ უნარი ზიანი მიაყენოს გარშემომყოფთ.

[1] „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში“, ლექციების კურსი, თბ., 1990.

ეთიკა-ტერმინი პირველად გამოიყენა არისტოტელემ, როგორც კვლევის განსაკუთრებული დარგის აღნიშვნა. სწორედ ეთიკა გვასწავლის შევაფასოთ ყოველგვარი სიტუაცია და შესაძლებელი გავხადოთ (ჭეშმარიტება) სწორი საქციელის დადგენა. ეთიკური ფასეულობათა მნიშვნელობის გაცნობიერება ხდება აღზრდის პროცესში და თავისთავად განლაგდება ადამიანში რწმენისა და ქცევის ფასეულობათა სახით.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი – ანტუან ეგზიუპერი ამბობს: „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ – მას მიაჩნია და ესეც არის, რომ უმთავრესია პირველსაწყისი გარემო პირობები, ოჯახი და არა კომპიუტერი და ოცდაოთხსაათიანი ძიძა. პიროვნება უნდა აღზარდოს პიროვნებამ. მრუდე ინტერსთა სფერო და არაჯანსაღი მიდრეკილებები საფუძველია ბავშვის უზნეო და უსამართლო არსებად გადაქცევისა. სწორი ორიენტირების ჩამოყალიბებაში კი უდიდესი მნიშვნელობა სწორედ განათლებას, რწმენასა და სულიერებას ენიჭება.

ამდენად, აღარავინ დაობს იმაზე, რომ განათლებას (ანუ ამაღლებულ ზნეობას), რომელიც მაღალ ღირებულებაზეა დაფუძნებული, მივყავართ სამართლიანობის დამკვიდრებამდე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ მიიჩნევენ სამართალს „საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების გონივრულ და ზნეობრივ საშუალებად“. თუმცა, დღემდე ეძიებენ მეცნიერები და საკამათოა „სამართლის განსაზღვრება“. ასე იყო ყველა დროსა და ყველა ეპოქაში და ასე არის დღესაც. დემოკრატიული განვითარების ხარისხი ვერ იქნება გარანტი იმისა, რომ კონკრეტული პიროვნება არ დაარღვევს სამართლის ნორმებს, ე. ი. თითოეულ ადამიანს (მოქალაქეს) ვერ მოვთხოვთ ქვეყანაში მოქმედი ყველა კანონის ცოდნას, ისიც ცნობილია, რომ კანონის არ ცოდნა არ ათავისუფლებს პიროვნებას პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე ერთადერთი გარანტი ზნეობაა. ამიტომაც, არსებობს მეცნიერული აზრი, რომ სამართლიანობა ზნეობის შემადგენელი ნაწილია.

ენრიკო ფერი თვლიდა, რომ დანაშაულობას, როგორც ნებისმიერ ადამიანურ საქციელს გააჩნია 3 ძირითადი მიზეზი:

1. ანთროპოლოგიური;
2. ფიზიკური;
3. სოციალური.

ამ ეტაპზე ყველაზე მართებული იქნებოდა 3-ე კატეგორიაზე, ანუ სოციალურ ფაქტორზე გაგვემახვილებინა ყურადღება. რადგანაც ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მრავალფეროვანია თავისი არსით. სოციალურ გარემოში იგულისხმება არა მხოლოდ იმ პირთა წრე ან საზოგადოების ნაწილი, სადაც ცხოვრობს დამნაშავე, არამედ ასევე ის სოციალური ინსტიტუტები და მთელი სახელმწიფო-პოლიტიკური წეს-წყობილება, სადაც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს. რა დროსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანების ზნეობრივი აღზრდის საკითხი.

სოციალურ პირობებში იგულისხმება ოჯახური მდგომარეობის გავლენა, კლასობრივი მდგომარეობა, შრომის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრება ქალაქად და სოფლად, განათლება, აღზრდა, რელიგია, პოლიტიკური წყობა.

ომები და ასე შემდეგ. ასეთი მრავალფეროვნება კი მ. გერნეტის „დანაშაულობის სოციალური ფაქტორიები“-ს მიხედვით იწვევს მათ კლასიფიკაციას, საუბარია თვითონ მიზეზების განზოგადებაზე. ანუ ზოგადად რა უნდა მივიჩნიოთ მიზეზად.

დანაშაულობის მიზეზებთან მიმართებით გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ შევამციროთ დანაშაულობის მიზეზები, მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ დამნაშავესა (პიროვნების) და დანაშაულობის პრევენციაზე.[2]

ნამდვილად არ არის გადაჭარბებული, როცა ვამბობთ, დანაშაულის შემცირების, ან პრევენციის მიზნით, მუშაობა არ არის საკმარისი, ამას ადასტურებს რეგისტრირებული დანაშაულის შემთხვევათა შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები:

2017 წელს სულ რეგისტრირებულია 6857 შემთხვევა;

2018 წელს კი რეგისტრირებულია 8871 შემთხვევა.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მატებამ შეადგინა 30%-მდე. აშკარაა ზრდის ტენდენცია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ოჯახური ძალადობის, განზრახ მკვლელობების და არასრულწლოვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის რიცხვი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა აგრესიით გამოწვეული შედეგები. საჭიროა თეორიულიდან სინთეზში პრაქტიკული მოქმედება. ადამიანი, განსაკუთრებით მოზარდი არ უნდა მივიდეს დანაშაულამდე. უნდა შევძლოთ ახალი ადამიანის ფორმირება, რომლისთვისაც მთავარი გახდება ფუნდამენტური ღირებულებები, როგორიცაა: სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვა, რომელიც შეუძლებელია სამართლისა და სამართლიანობის გარეშე.

## III. დასკვნა

საქართველოში სამართლიანობისა და სამართლის ნორმების დაახლოებისათვის საჭიროა ბევრად განსხვავებული მიდგომა, ვიდრე დღეს არის. საქართველოს კანონი – „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ (2011 წლის 28 სექტემბერი, N1081), ვერ პასუხობს არასრულწლოვანებთან მუშაობისათვის საჭირო მოთხოვნას. სიტყვაც არ არის ნახსენები მთელ ამ პროცესებში ფსიქოლოგების ჩართულობაზე და მათ როლზე.

არაკეთილსინდისიერი ადამიანები მუდამ იარსებებენ და ამათ ვერანაირი მოდელი ვერ აღკვეთს, მთავარია მართვის სისტემა არ იყოს არაკეთილსინდისიერი. თუმცა, მართვის არც იდეალური სისტემა არ არსებობს, მაგრამ ეჭვგარეშეა ის, რომ სკოლებში უნდა ისწავლებოდეს არა მხოლოდ საგნები, არამედ ცხოვრება. მედია სივრცე არ უნდა იყოს გაჯერებული სიძულვილის გამოხატვით, აგრესიას უნდა დაუპირისპირდეთ განათლებით, სპორტით და სხვ. მთავარია სიღრმისეული

[2] კრიმინალური შეხედულებანი სამართალზე და სამართლიანობაზე, თბილისი, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2017.

და სამართლიანი კვლევა. მიუღებელია უკიდურესი ზომების გატარება, არამედ მოხდეს მისი დროული რეაბილიტაცია და მომავალში ასოციალური ქმედების ჩადენის ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს თანმიმდევრული ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდებას – ოჯახის, პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ერთობლივი ძალისხმევით, ანუ, საჭიროა მულტიდისციპლინური მიდგომა, მუშაობა. განსაკუთრებით საყურადღებოა „ბავშვის უფლებათა კონვენციის" პირველი მუხლი, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს და მიუთითებს, რომ „ბავშვს" მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით.

სამწუხაროდ, გადაღლილი თუ გულგრილი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად დანაშაულის აღქმისათვის და იჩენს ინერტულობას. ე. ი. ჯერ კიდევ არ არის ჯეროვანი ნდობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მართებული იქნებოდა სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, შეიქმნას პრევენციაზე დაფუძნებული, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სახელმწიფო ინსტიტუტი – ცენტრი ან სკოლა, მძელად აღსაზრდელთა რეაბილიტაციისათვის, სადაც ძირითადად იმუშავებენ ფსიქოლოგები, სათანადო კვალიფიკაციით მომზადებული პედაგოგები და სადაც მოზარდი იგრძნობს სამართლიანობას, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მოახდინოს სამართლიანმა ადამიანმა. ეს დაეხმარება მათ სახელმწიფო კანონების სწორად აღქმასა და დაძლევაში. ამისათვის კი უნდა მომზადდეს კანონპროექტი შესაბამისი ორგანოების მიერ და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს, რაც იქნება თეორიულიდან სინთეზში პრაქტიკული მოქმედება, რომელიც მიგვიყვანს სამართლიან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მიზნამდე – **„საქართველო დანაშაულის გარეშე!"**

**ლიტერატურა:**

1. კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართალზე და სამართლიანობაზე, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 2017;
2. სახარება მათესი, 7, 12;
3. ფაფიაშვილი შოთა, „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში", ლექციების კურსი, თბ., 1990;
4. საქართველოს კანონი, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ", 2001 წლის 28 სექტემბერი;
5. თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, ჟურნალი N1, 2013;
6. გაეროს გენერალური ასამბლეა, 1985 წლის 29 ნოემბერი, მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორიცელების შესახებ „პეკინური წესები";
7. სატელევიზიო სივრცე – გადაცემა „პირისპირ", 201 წლის 5 დეკემბერი, 22.0 სთ;

8. გაეროს გენერალური ასამბლეა, 1989 წლის 20 ნოემბერი, „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
9. შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული (2018.03-5) სტატისტიკა.



***Giorgi Chachanidze, PhD student***
***Georgian Technical University***


## Law and justice

## Resume


Law and justice have a sense of meaning, but law should be based on justice, ideally the 21st century was called a fair epoch, which has played a major role in the development of law science. However, it cannot be perfect until law does not bring justice to principles, where the main participant is a man, so the main concern is the man, his upbringing, proper education, social care, and so on.

People, especially adolescents, should not go to crime, so we are able to form a new person for which the fundamental values will be, such as love, friendship, virtue and others, which is impossible without law  and justice.



***Key words:*** *law, justice, juvenile justice, timely prevention.*

*ეკატერინე ძმანაშვილი, დოქტორანტი*
*საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია*
*პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

# არაბული სახელწოდების ქართველი მოხელეები შუა საუკუნეებში მუშრიბი

რეზიუმე

ქართულ საიატორიო წყაროებში, დამოწმებულია, ქალაქის მოხელეთა რამდენიმე არაბული სახელწოდებანი: **მუშრიბი,** რომელიც შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, სიგელებსა თუ გურჯებში გვხვდება. საქართველოში, არაბული სახელწოდების მოხელეების შემოსვლის და დამკვიდრების სხვადასხვა გზები არსებობს. მაგრამ ძირითადი მაინც არაბთა შემოსვლა და მფლობელობაა საქართველოში. ასევე იქონია დიდი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიურმა, კულტურულმა თუ პოლიტიკურმა ურთიერთობამ აღმოსავლურ მუსლიმანურ ქვეყნებთან. ეს მოხელეთა ინსტიტუტები ქართულ სინამდვილეში თბილისის საამიროს გზით შემოდიან. ასე რომ ცხადია ქართულ ქალაქებში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტების არსებობა, და მისი ზეგავლენა იგრძნობა.

ქალაქების ნორმალური, ყოველდღიური ყოფისათვის აუცილებელი იყო მოხელეთა ინსტიტუტების შექმნა. მათ გარეშე წარმოუდგენელია ქალაქების, როგორც სავაჭრო და მთავარი ცენტრების გამართული ფუნქციონირება. ცხადია თბილისი, როგორც კავკასიის უდიდესი ქალაქი და სავაჭრო ცენტრი ვერ იქნებოდა ამ მოხელეების გარეშე.ამ მოხელეთა თანამდებობის აუცილებლობას თავად ქალაქის ცხოვრების წესი კარნახობდა. მითუმეტეს საქართველოში, ხომ მრავალიცხოვანი მუსლიმური მოსახლეობა არსებობდა. მიუხედავად ამისა ეს სამოხელეო ინსტიტუტები დიდხანს ვერ შერჩნენ განიცადეს ტრანსფორმაცია და სხვას დაუთმეს ადგილი.

***საკვანძო სიტყვები:*** *მუშრიბანა, სამოხელეო აპარატი, მასტაკი, მუქიფი, კარის მწიგნობარი, ხაზინდარი, თავლიდარი,*

## I. შესავალი

ქართულ საისტორიო წყაროებში, დამოწმებულია ქალაქის მოხელეთა რამოდენიმე არაბული სახელწოდება. ერთ–ერთი მოხელეა **მუშრიბი.**

**მუშრიბი** - (არაბ. mušrif - ზედამხედველი, მეთვალყურე, მწერალი). ისლამურ ქვეყნებში მუშრიბს, უპირველესად, ევალებოდა სასახლის ქონებისა და შემოსავლების აღწერა, ამასთანავე, სასახლის მოხელეებზე ინფორმაციის შეკრება და უმაღლესი ხელისუფლისათვის მოხსენება. ნიზამ ულ-მულქის თანახმად, ყველას, ვინც ინიშნებოდა მაღალ თანამდებობაზე, უნდა ჰყოლოდა მისთვის საიდუმლოდ მიჩენილი მუშრიბი, რომელსაც რეგულარულად უნდა მიეწოდებინა სულტნისათვის ინფორმაცია მოცემული თანამდებობის პირის საქმიანობის და მდგომარეობის შესახებ.

ქართულ სინამდვილეში მუშრიბი, ისევე, როგორც ქალაქური სამოხელეო წყობისათვის დამახასიათებელი სხვა ტერმინოლოგია, არაბთა ბატონობის პერიოდში შემოდის. ერთიან ქართულ მონარქიაში მუშრიბი როგორც ფინანსებთან დაკავშირებული მოხელე, **მეჭურჭლეთუხუცესის** უწყებაში შედიოდა. როგორც ჩანს, მუშრიბი დამაკავშირებელი რგოლი იყო სამეფოს კარის ცენტრალურ უწყებასა და ქალაქის სამოხელეო აპარატს შორის.

## II. ძირითადი ნაწილი

მუშრიბის მოვალეობას შეადგენდა ქალაქში შემოტანილი სავაჭრო საქონლისა და ნავაჭრის აღნუსხვა, აკრეფილი ბაჟისა და სხვა სავაჭრო გადასახადების მეჭურჭლეთუხუცესისათვის ჩაბარება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მუშრიბს ქალაქური საქონლის ნაწილი (სამეფო ძღვენი, სანელებლები, მასტაკი) სხვა „უხუცესებისათვისაც“ (როგორც ჩანს,**მუქიფეებისათვის** და სამზარეულოს ზედამდგომთათვის) უნდა მიერთმია.

მუშრიბი ისტორიულ საბუთებში ჩანს XV ს-იდან. საქალაქო ცხოვრების დაცემასთან ერთად ამ დროს მისი ფუნქციები აშკარად შეკვეცილი ჩანს, ამიტომ მუშრიბი ზოგჯერ კარის **მწიგნობრის** ფუნქციასაც ასრულებს. მუშრიბის სინონიმია მწერალი (საბუთების შემდგენი). ამ დროის საბუთებიდან ცნობილია ქალაქის **(თბილისის)** და გორის მუშრიბები.

მუშრიბის სარგო იყო მამული, რომელსაც მეფისაგან სამსახურის სანაცვლოდ იღებდა. გარდა ამისა, ქალაქის მუშრიბის სასარგებლოდ დაწესებული ყოფილა გადასახადი. „დასტურლამალის“ მიხედვით, ქალაქის ერთ-ერთ საბაჟო გადასახადს „მუშრიბანა“ ეწოდებოდა. XVI-XVIII სს-ის მასალების მიხედვით, მუშრიბების ძირითადი საქმიანობა ანგარიშწარმოება იყო. ამ სახელოს ვხვდებით სხვადასხვა დაწესებულებაში (სალარო, ქარხანა), სადაც კი საფინანსო დოკუმენტების შედგენა იყო საჭირო. მუშრიბის ჯამაგირი, სარგო და წილი განისაზღვრებოდა მისი სამუშაო ადგილისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით.[8: 259].

მუშრიბის თანამდებობა, ჩვენში თბილისის საამიროს გზით უნდა შემოსულიყო. აღმოსავლეთის ქალაქებში მუშრიბს ორი მოვალეობა აკისრია: კარის შესანახად განკუთვნილი თანხის კონტროლი და მეთვალყურეობა, ჯაშუშობა.

ნიზამ ალ–მულქი წერს: ,,ყველას, ვისაც ეძლევა დიდი თანამდებობა, საჭიროა დაენიშნოს საიდუმლოდ მუშრიბი, მან ამის შესახებ არაფერი უნდა იცოდეს, ის სისტემატურად შეატყობინებს ხოლმე მის საქმეებსა და მდგომარეობაზე“. ნიზამ ალ–მულქი მუშრიბს ზედამხედველად მოიხსენიებს:

,,Мушриф долженъ былъ знать все что происходить въ дергахъ и доносить объ этомъ когда найдеть нужнымъ вкаждом городъ и каждой мъестности у него долженъ былъ быть представитель. [13 :33].

მუშრიბის მოვალეობის საკითხს, განხილვის დროს ბარტოლდი აღნიშნავს: ,,იმის გამო, რომ ზეიჰაკისთან მუშრიბები ყოველთვის მოხსენებულნი არიან ხაზინდარებთან ერთად და სასახლის ქონების აღწერას აწარმოებენ, შეიძლება დავსკვნათ,

რომ მათი კონტროლი ძირითადად ეხებოდა იმ თანხას, რომელიც კარის შესანახად იყო განკუთვნილი".

Терминъ ,,ишрафъ"буквално значить ,,наблюдение съ высокаго мъста".Мушрифъ (наблюдатель). [12: 240].

მუშრიბი ქართულ წყაროებში ,,ხელმწიფის კარის გარიგებაშია" დამოწმებული. სადაც ვკითხულობთ: ,,მუშრიბი რაც ქალაქთა საჭურჭლე(ნი) შევა და ნავაჭრი რაც შევა, და სანელებელი, მასტიკი და სამარხო წამალი, საკმარი თუ თუთუბო, ესეც **მუშრიბმან იცის"–ო.**[9: 21]. ამ ცნობიდან გამომდინარე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: ,,ქალაქთა ბაჟი და სავაჭრო გადასახადი ჰბარებია ქართველ მუშრიბს".

მუშრიბს, უპირველესად, ევალებოდა სასახლის ქონებისა და შემოსავლების აღწერა. რაც კარგადაა აღწერილი, დასტულამალში". ,,დასტურლამალში' მუშრიბის შესახებ აღნიშნულია, რომ: ,,არის სალაროს ნაზირის სახელო და თაბუნი კაცნი რომ ეს იმას უნდა ებაროს: სალაროს თავლიდარი თუშმლის შვილი ბეჟან; ყორღანაშვილი ფარემუზ; იეგულასშვილი თამაზა; **სალაროს მუშრიბი** ნასყიდა; არღუთასშვილი ოღუზა. ზემოთ ჩამოთვლილი მოხელენი საფინანსო უწყების სამწერლო საქმეს,( **სალაროს მუშრიბები).** ჩაბარება– გაცემას (სალაროს თავლიდარები). და ანგარიშწარმოებას (მუსტოფი) განაგებდნენ. ესენი ჯამაგირის დამრიგებელი მოხელენიც იყვნენ; მოლარეთუხუცესის სარგოს წიგნში ვკითხულობთ: ,,სხუა მოლარეთუხუცესის სარგო: ჯამაგირზედ თუმანზედ ორი შაური მოლარეთუხუცესისა არის, ორ–ფულ–ნახევარი **მუშრიბისა,** ორ–ფულ ნახევარი თავლიდარისა, და ნახევარი შაური მოლარეებისაარის , ჯამაგირის თუმანზე [10: 59 ].

მუშრიბის უფლება–მოვალეობასთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: ,,ქალაქში მოღვაწეობდა აგრეთვე ,,ქალაქის მწერალი" ქალაქის მწერლის მეორე სახელი **,,ქალაქის მუშრიბი"** უნდა ყოფილიყო. მაგ: ქ. გორში არსებობდა **,,გორის მუშრიბის"** თანამდებობა. სითარხნის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ თუმანიანთ მამუკაშვილისადმი, (1649 წ. 21 მარტი) ვკითხულობთ:

,,უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ–ვეზირნო, ქალაქისა, გორისა და ჩუენისა საბატონოს მოურავნო, **მუშრიბნო** და მებაჟენო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურას შეეცილებით და მოუშლით თუინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი ქ[ორონი]კ[ონ]სა ტლზ, მარტის კა, კარისა ჩუენისა სალაროს **მუშრიბის** ფირალისითა"[11: 211].

გარდა ამისა სახლთხუცის კაცი **მუშრიბთან** ერთად ,,ხევისთავის" სასამართლო საქმეშიც იყო გარეული. დასტურლამალის სულხან მდივნის ვარიანტის ერთი ცნობიდან ჩანს, რომ უსალთუხუცის–კაცოთ და **უმუშრიბოთ** ხევისთავს საზღაურის აღება არ შეეძლო: ,,რომელიც ჴევისთავი სოფელში **უმუშრიბოთ** და უსახლთუხუცის–კაცოთ მივიდეს და საზღაური აიღოს, ქურდულად ზღოოს"–ო. [1:172].

მუშრიბი ზოგჯერ კარის მწიგნობრის ფუნქციასაც ასრულებს. ეს კარგად ჩანს, ალექსანდრე მეფის სიგელში სუმბატ ურდოველაშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ:

,,ჩუენ, მეფეთა –მეფემან ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ  და ძეთა ჩუენთა: ვ ა ხ ტ ა ნ გ,  დ ე მ ე ტ რ ე,  გ(იორგ)ი, [და|  დ ა ვ]ით  ესე სიგელი ამისად  ნიშნად [გი]ბოძეთ თქუენ, ჩუენისა კარისა მწიგნობარსა, **მ|უშრიბსა** უ რ დ ო ვ ე ლ ა ს  შ ვ ი ლ ს ა  ს უ [მ]ბ ა ტ ს“ [7:1601].

,,დასტურლამალის' ჩელიექის ბაჟის სარგოს წიგნში ერთ–ერთ საბაჟო გამოსაღებს **,,მუშრიბანა“** ეწოდება. ,,ბამბის საპალნეზედ ორი აბასი არის.თიუ ღარიბი კაცი მოიტანს,ერთი შაური **მუშრიბანა** არის“. რაკი **მუშრიბანა** ბაჟთან იყო დაკავშირებული, უნდა ვიფიქროთ რომ ქალაქის მწერალი ანუ **მუშრიბი** ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის ამწერელი მოხელე უნდა ყოფილიყო [1:174].

,,ხელმწიფის კარის გარიგება“ და ვ. გაბაშვილის მიერ მოტანილი საბუთები უფლებას გვაძლევს ჩვენი მუშრიბის საკითხავი ქალაქთა ბაჟს და სავაჭრო გადასახადს დავუკავშიროთ; ხოლო რადგან ამ გადასახადს მუშრიბი კი არ ინახავს , არამედ აღწერს და საჭურჭლეში აბარებს, ალბათ ამიტომაა ბეიჰაკისთან ის ხაზინდარებთან ერთად მოხსენიებული. ამავე დროს, რადგან **მუშრიბი** სასახლის ქონების აღწერას აწარმოებდა, მისი კონტროლი იმ ქონებასაც ეხებოდა, რომელიც კარის შესანახად მიდიოდა. აქედან გამომდინარე ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთის ქალაქებშიც მუშრიბების  ძირითადი და თავდაპირველი მოვალეობა დანიშნულება სწორედ ეს იყო.(ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის აღწერა, სასახლის ქონების, კარის შესანახი ქონების აღწერა). ბეიჰაკისაც მისი ეს მოვალეობა აქვს აღნიშნული. **მუშრიბისთვის** მეთვალყურის როლის დაკისრება, კი მეორეხარისხოვანი მოვლენაა და უფრო გვიანდელიც. (ბეიჰაკიმ თავისი შრომის წერა 1018 წ. დაიწყო. ცნობილია, რომ ის მაჰმუდ ღაზნეველის კარზე მოღვაწეობდა და მის  ხელთ იყო სასახლის დოკუმენტები. მისი ცნობები სასახლის მოხელეთა და მათი უფლება–მოვალეობის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო და ნდობის ღირსია) [3:155].

მუშრიბი, ისევე როგორც სხვა მოხელეები, თბილისის შემოერთების შემდეგ უნდა იყოს შემოსული საქართველოს საქალაქო წყობილებაში, მაგრამ რით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში ,,ხელმწიფის კარის გარიგების“ უადრეს ის არაა დადასტურებული? ამ საკითხის ახსნაში იქნებ ნიზამ ალ–მულქის ერთი ცნობა დაგვეხმაროს: ,,არ არის საჭირო–წერს–ის–რომ მათი (მუშრიბების) შესანახი ყოველთვიური თანხა ხალხს აწევს ვალად, რომ ეს ახალ სიმძიმედ იქცეს (ხალხისათვის).რაც მათ (მუშრიბებს) ერგებათ შრომისათვის, ბეით ალ–მალიდან მიეცეთ, რომ ისისნი არ საჭიროებდნენ მექრთამეობასა და მატყუარობას“. [13: 84]. ე. ი. მოსახლეობას ,,სამუშრიბო გამოსაღები“ არ ადევს. ადრინდელი ხანის ჩენს ხელთ მყოფ საბუთებში (გიორგი II, დავით აღმაშენებელი, გიორგი III). საუბარია სამოხელეო გამოსაღებთაგან განთავისუფლებაზე. ეს საბუთები იმ სამოხელეო ინსტიტუტების არსებობაზე მიგვითითებენ, რომელთა გამოსაღები მოსახლეობას აწევს. მუშრიბი ისეთ ძეგლში შეიძლება იყოს მოხსენიებული(შემდეგ, როგორც ჩანს, ჩვენში ეს წესი იცვლება, რასაც ,,დასტურლამალის“ ,,მუშრიბანა“ უთითებს).  სადაც საუბარია ამ თანამდებობაზე  დანიშვნის შესახებ, ან მისი საქმიანობის შესახებ.

ასეთი ძეგლი კი ,,ხელმწიფის კარის გარიგება“–ზე უადრესი ჩვენ ხელთ არა გვაქვს. [3:155–156].

### III. დასკვნა

**მუშრიბის** ფუნქციებისა და მოვალეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის შეესაბამება ქალაქის მმართველობის ერთ–ერთ მთავარ მოხელეს, რომლის ფუნქციაშიც, სავარაუდოდ იქნებოდა ფინანსების განკარგვა. ასე რომ **მუშრიბი** საკმაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თანამდებობის პირია. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ ქართულ სამოხელეო სინამდვილეში დამკვიდრდა აღნიშნული სახელო, ამ სახელოს დიდმნიშვნელო-ბაზე მეტყველებს ის, რომ **მუშრიბი** მოხსენიებულია სამეფო სიგელებში.

### ლიტერატურა


1. გაბაშვილი ვ., ,,დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით“, XIII-მოამბე–აკად.ნ.მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე,თბილისი, 1942.
2. გაბაშვილი მ. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში; 1981.
3. მ.ლორთქიფანიძე– ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.30;1954).
4. საქართველოს ისტორიის წყაროები,ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს; თბ.1984.
5. ივ. ჯავახიშვილი–ქართველის ერის ისტორია, თბ. ტ.VI. თბ.1982.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.-Hd-1351;
7. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.-Ad-1601
8. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში; ( შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურშვილი,ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი).თბ. 2017.
9. ხელმწიფის კარის გარიგება 1993.
10. დასტურლამალი 1949
11. ქართულ–სპარსული ისტორიული საბუთები 1955: (ტექსტი დაადგინა,თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ.ფუთურიძემ); თბილისი., 1955.
12. Бартольтд–Туркестанъ въ эпоху монгольскаго нашествия; ч II, СПБ, 1900.
13. Сиасет-Наме– книга о правлении вазира XI столетия низам ал-мулька; Москва-Ленинград 1949.
14. Я.А. Мамандян– О торговле и городах Армении.Эреван.1930.

*Ekaterine Dzmanashvili, PhD student*
*Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

## Georgian officials of Arabic names in the middle Ages

## Summary

In Georgian historical sources several Arabian names are certified: **Mushrib** - Court accountant which we find in Georgian sigils and deeds. There are different ways of Arabic name officials' entries in Georgia. But the key of them is the entrance of the Arabs in Georgia and their proprietorship. In addition, Georgian economic, cultural and political relations with the eastern Muslim countries had a great impact. These institutions of civil servants in the Georgian reality come through the Tbilisi Emirate. So, it is obvious that the existence of official institutions with Arabic name and its impact is felt in Georgian cities.
Creation of officials' institutions was necessary for everyday life of Cities. Without them, the arranged functioning of both trade and the main centers of cities were impossible. Obviously, Tbilisi would not be the largest city and a trade center in the Caucasus without these officials. The necessity of officials posts was dictated by the city's lifestyle. Especially in Georgia, where the numerous Muslim population existed. Despite this, these official institutions could not livable; they underwent a transformation and others took their place.

***Key words:*** *Court accountant, state official apparatus, Mastak, court official in charge of gifts, Court Bibliographer, paymaster, royal treasury official.*

# საბუნებისმეტყველო დისციპლინები

# SCIENCE

*ანზორ ხაზეიშვილი, ემერიტუსი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ნინო ხაზეიშვილი, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მარიამ ხაზეიშვილი, ასისტენტ-პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ახალი ინჟინრული ხერხით

რეზიუმე

განხილულია დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ახალი ინჟინრული ხერხით.

პოტენციური ენერგია განისაზღვრება დარტყმული სხეულის განივკვეთებში შიგა ძალოვანი ფაქტორებით, რომელიც დარტყმის წერტილში მოდებული დინამიკური ძალის მოქმედებითაა წარმოშობილი.

ეს ხერხი სხვადასხვა სახის დარტყმის (განივი, გრძივი, გრეხითი და სხვ.) შემთხვევებშიც გამოიყენება.

**საკვანძო სიტყვები:** სისტემის სიხისტის კოეფიციენტი, პარალელური, მიმდევრობითი და შერეული შეერთება.

### I. შესავალი

დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშება ძირითადად ხორციელდება დინამიკურობის კოეფიციენტისა და სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდის გამოყენებით.

ზოგჯერ დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრა შეუძლებელია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ახალი, ინჟინრული ხერხის გამოყენებით, სხვადასხვა სახის დარტყმის (განივი, გრძივი, ღუნვა-გრეხითი და სხვ.) შემთხვევაში, აუცილებელი არ არის დინამიკურობის კოეფიციენტის ცოდნა.

**II. ძირითადი ნაწილი**

განვიხილოთ ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე მუდმივკვეთიანი დრეკადი კოჭი, რომელზედაც H სიმაღლიდან $Q$ ტვირთი ეცემა (ნახ. 1,ა). დრეკადი კოჭის შეხებამდე ვარდნილი ტვირთი აგროვებს კინეტიკურ ენერგიას, რომელიც მთლიანად გადადის კოჭის დეფორმაციის პოტენციურ ენერგიაში (ენერგიის კარგვას თელვასა და ხახუნზე უგულებელვყოფთ) [3}, ე. ი.

$$T=U \qquad (1)$$

დარტყმის წერტილში მოვდოთ უცნობი დინამიკური ძალა $P_{\text{დ}}$ (ნახ.1 ბ) და ამ ძალით პოტენციური ენერგია განვსაზღვროთ.

პოტენციური ენერგიის საანგარიშო ფორმულას აქვს [1]:

$$U = P_{\text{დ}} Y_{\text{დ}}/2\cdot \qquad (2)$$

ვინაიდან $Y_{\text{დ}} = P_{\text{დ}}/C$ (C არის დარტყმის წერტილში სისტემის სიხისტე), (2)-ით მივიღებთ:

$$U = P_{\text{დ}}^2/2C \qquad (3)$$

როდესაც დრეკადი სისტემა შედგება სხვადასხვა სიხისტის ელემენტისაგან, მაშინ სისტემის სიხისტე დარტყმის წერტილში აღვნიშნოთ $K$-თი, რომელიც რიცხობრივად დარტყმის წერტილში ერთეულოვანი გადაადგილების გამომწვევი ძალის ტოლია.

ელემენტების შეერთების მიხედვით K განისაზღვრება ფორმულებით [2]:

პარალელური შეერთება:

$$K = \sum_{i=1}^{n} C_i \qquad (4)$$

მიმდევრობითი შეერთება:

$$K = 1{:}\sum_i^n 1{:}\, C_i \qquad (5)$$

შერეული შეერთება:

$$K = 1{:}\left[\left(1{:}\sum_i^n C_i\right) + \sum_i^n 1{:}\, C_i\right] \qquad (6)$$

სადაც $C_i$ არის ცალკეული ელემენტის სიხისტის კოეფიციენტი დარტყმის წერტილში.

მაშასადამე (3) მიიღებს სახეს:

$$U = P_{\text{დ}}^2/2K \qquad (7)$$

ვარდნილი სხეულის კინეტიკური ენერგია ტოლია:

$$T = Q(H + Y_{\text{დ}}) = QH + P_{\text{დ}}/K. \qquad (8)$$

(1)-ში (7) და (8)-ს გათვალისწინებით, მივიღებთ:

$$P_{\text{დ}} = Q + \sqrt{Q^2 + 2HQK} \qquad (9)$$

ანუ

$$P_{\text{დ}} = Q\left(1 + \sqrt{1 + 2HK/Q}\right) \qquad (10)$$

ჩვენი ამოცანის შემთხვევაში 1,ბ ნახაზის მიხედვით

$$K = 48EI/l^3$$

ვიცით რა დინამიკური ძალის სიდიდე, შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა დინამიკური მახასიათებელი.

შედარებისათვის გამოვიყენოთ დინამიკურობის კოეფიციენტის ფორმულა [1]:

$$K_{დ} = 1 + \sqrt{1 + 2H/Y_{სტ}}; \qquad (11)$$

(11)-ში შევიტანოთ $Y_{სტ} = Ql^3/48EI = Q/K$ გამოსახულება, მივიღებთ:

$$K_{დ} = 1 + \sqrt{1 + 2HK/Q}. \qquad (12)$$

რადგანაც $P_{დ} = K_{დ} \cdot Q$, (12)-ის გათვალისწინებით დინამიკური ძალა

$$P_{დ} = Q\left(1 + \sqrt{1 + 2HK/Q}\right) \cdot \qquad (13)$$

თუ შევადარებთ ერთმანეთს (10) და (13) გამოსახულებას, ვნახავთ, რომ სხვადასხვა ხერხით მიღებული დინამიკური ძალის საანგარიშო ფორმულა ერთიდ აიგივეა.




ნახ. 1

როდესაც ტვირთი ეცემა არა შუაში, არამედ საყრდენებიდან a და b მანძილებით დაშორებულ წერტილში (ნახ. 1,გ), მაშინ კინეტიკური ენერგია იქნება იგივე

$$T = Q\left(H + P_{დ}/K\right),$$

ხოლო პოტენციური ენერგიის ფორმულაში შეიცვლება დარტყმის წერტილში სისტემის სიხისტის კოეფიციენტი [3].

მაგალითად თუ $a = \frac{\ell}{4}$ და $b = \frac{3\ell}{4}$ , მივიღებთ:

$$K = 512EI/6l^3.$$

შედეგები ამ შემთხვევაშიც ერთიდაიგივეა.

III. დასკვნა

სხვადასხვა სიხისტის ელემენტისაგან შედგენილი დრეკადი სისტემისათვის, ახალი ინჟინრული ხერხი მარტივად ადგენს დინამიკური ძალის სიდიდეს, დინამიკურობის კოეფიციენტის გარეშე.

დინამიკური ძალა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მექანიკური და გეომეტრიული მახასიათებელი.

ამ ხერხის მიხედვით, დარტყმული სხეულის პოტენციური ენერგია განისაზღვრება განივკვეთებში დინამიკური ძალით წარმოშობილი შიგა დრეკადი ძალების საშუალებით, რაც სიახლეა.

სხვადასხვა სახის დარტყმისას მიღებული შედეგები არ განსხვავდება ცნობილი მეთოდებით განსაზღვრული სიდიდეებისაგან.

ლიტერატურა:


1. Anzor Khabeishvili, Tamaz Batsikadze. Résistamse des materiaux. Edition "l'Université techique", Tbilisi, 1998, p. 319, 320;
2. ანზორ ხაბეიშვილი, ნინო ხაბეიშვილი, რუსუდან გიორგობიანი. "დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშება". გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი 2017, გვ. 121.
3. Фесик С.П. Справочник по сопротивление материалов. Издательство Будiвельник, Киев, 1982, с. 227, 110.



***Anzor Khabeishvili, Emeritus***
***Georgian Technival University***

***Nino Khabeishvili, Professor***
***Georgian Technival University***

***Mariam Khabeishvili, Assistent-professor***
***Georgian Technival University***


## A new engineering method for the dynamic calculation of elastic systems


### Summary

Dynamic calculation of the elastic systems with using the engineering method is considered.

The potential energy is determined by help of the internal force factors, which are caused by the shock dynamical force.

This method can be applied in different cases of shocks.

***Key words:*** *System stiffness factor, parallel, serial and mixed connection.*

*მზია წულუკიძე, პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*დავით გამეზარდაშვილი, ქიმიის დოქტორი*

# კვების ეკო-სოციალური ასპექტები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია: ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ელემენტები; გარემო არის ხარისხი, როგორც ცხოვრების ხარისხის შემადგენელი კომპონენტი; შეფასების კრიტერიუმები; კვების ეკოლოგიური ეფექტი; კვების ეკოლოგია; კაცობრიობისათვის სრულფასოვანი კვების გადაწყვეტის პრობლემები; გამუდმებული შიმშილის შემაშფოთებელი შედეგები; საკვები პროდუქტების უკმარისობა ჩამორჩენილ ქვეყნებში; განვითარებულ ქვეყნებში უზრუნველყოფილი მაცხოვრებლების საკვების გადაჭარბება - სერიოზული დაავადებების მიზეზი; კვებითი ქცევების დარღვევები და მათი ფორმები; 2020 წლისათვის მსოფლიოში მოსახლეობის მოსალოდნელი მატება და მასთან დაკავშირებული პრობლემები; საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე საერთაშორისო კვებითი კანონმდებლობის გამკაცრების დაწესება; ევროკავშირის დირექტივა - სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა; ახალი კონცეფცია, ადამიანების ალიმენტარულად-დამოკიდებული დაავადებების კლასი; სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოება; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმებები.

*საკვანძო სიტყვები: ცხოვრების ხარისხი, კვების ეკოლოგია, საკვების უკმარისობა, სიჭარბე, კვებითი ქცევები, დარღვევები, კვებითი კანონმდებლობა, ევროკავშირის დირექტივა, ალიმენტარულად - დამოკიდებული დაავადებები. (WTO) შეთანხმებები.*

## I. შესავალი

თანამედროვე პირობებში ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვები „ცხოვრების ხარისხი“, რაც საზოგადოების და ცალკეული ადამიანის კეთიდლღეობას ნიშნავს. ერთის მხრივ ეს განსაზღვრავს ეკონომიკურ კეთილდღეობას, მეორეს მხრივ კი სოციალურს, ეკონომიკური კეთილდღეობის ელემენტებს წარმოადგენენ სამუშაო, ხელფასი, სურსათის, საცხოვრებლის, ტანსაცმლის, ტრანსპორტის, სამედიცინო მომსახურების ღირებულება და არსებობის სხვა საფუძვლები, სოციალური კეთილდღეობის შეფასება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცივილიზებული და მდგრადია საზოგადოება, გავრცელებულია თუ არა დანაშაულებები, გაუცხოება, ცრურწმენები. ეკონომიკურ და სოციალურ კომპონენტებთან ერთად ცხოვრების ხარისხში მოიაზრება კიდევ ერთი ასპექტი, ნაკლებად მკაფიო და ძნელად გაზომვადი, თუმცა არანაკლებ რეალური და მნიშვნელოვანი - გარემო არის ხარისხი.

II. ძირითადი ნაწილი

გარემო არის ხარისხი მკაფიო განმარტებას არ ექვემდებარება. მისი შეფასებისას თითოეული ადამიანი განსაზღვრავს თავისი შეკითხვების სფეროს, რომელიც ამ პრობლემასთან პირად მიდგომას ასახავს. მაგალითად, არის თუ არა წყალსაცავები საკმაოდ სუფთა სასმელი მიზნებისთვის მათ გამოსაყენებლად? შესაძლებელია თუ არა ბოსტნეულის შეძენა მათი ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების საფრთხის გარეშე? მდებარეობს თუ არა მახლობლად ტყე, რომელიც ღიაა ტურიზმისა და ფეხით მოსიარულეთათვის? ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან იმდენად რთულია, რომ მხოლოდ ეკოლოგიური მიდგომა იძლევა ფაქტორების მთელი სპექტრის ახსნის საშუალებას.

ცნობილია რომ ადამიანის სიცოცხლე მჭიდროდაა დაკავშირებული მისი გარეგანი გარემოს პირობებთან. ჰაერის ჟანგბადის გარეშე ადამიანმა შეიძლება გაძლოს 3 წუთამდე, წყლის გარეშე - 3 დღემდე, საკვების გარეშე - 30დღეზე ცოტა მეტი.

საკვების ეკოლოგიური ეფექტი ვლინდება ბიოლოგიური, კულტურული და ქცევითი მექანიზმებით. უპირველეს ყოვლისა, საკვები განსაზღვრავს ქსოვილების მთლიანობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესებს: იგი არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის ბიოქიმიურ მექანიზმებს და წარმოადგენს ზრდისა და განვითარების მთავარ დეტერმინანტს. ყოველივე ეს ადამიანზე, როგორც საზოგადოების წარმომადგენელზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს. საკვების სხვა ბიოლოგიური ეფექტები არც ისე ხილულია, მაგრამ განსაზღვრავენ პოპულაციის კულტურულ და ქცევით რეაქციებს, რაც ეკოლოგიურ პრინციპებს მთლიანად შეესაბამება.

კვების ეკოლოგიასთან თანამედროვე დამოკიდებულება შედარებით მოგვიანებით წარმოიშვა. 1992 წ. რომში შედგა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც განიხილებოდა კაცობრიობისთვის სრულფასოვანი კვების გადაწყვეტის პრობლემები. კონფერენციის ინიციატორები იყვნენ ორი საერთაშორისო ორგანიზაცია - სასურსათო და სასოფლო სამეურნეო ორგანიზაცია UN (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) კონფერენციის აუცილებლობა ეყრდნობოდა პარადოქსალურ მონაცემებს: მსოფლიოში, სადაც პლანეტის თითოეული მაცხოვრებლისათვის იწარმოება საკვების საკმარისი რაოდენობა, გამუდმებით შიმშილობს 800 მილიონი ადამიანი. გამუდმებული შიმშილის შედეგები შემაშფოთებელია - დაავადებები, სიბრმავე, გონებრივი განვითარების შეფერხება ბავშვებში, ნაადრევი სიკვდილი. ჩამორჩენილ ქვეყნებში საკვები პროდუქტების უკმარისობის პირობებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძირითად კვების პროდუქტებზე მოთხოვნილების უზრუნველყოფა მინიმალურად საჭირო რაოდენობით.

ამასთანავე განვითარებულ ქვეყნებში უზრუნველყოფილი მაცხოვრებლებისათვის ჭარბი კვება, რეგულარულად საკვების გადაჭარბება ყველაზე სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ეკოლოგიური სიტუაცია განაპირობებს სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისა და სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების პრობლემას. გარდა ამისა, ასეთ ქვეყნებში ყალიბდება ახალი კვებითი ჩვევები და შეინიშნება კვებითი ქცევის დარღვევები.

დღეისათვის, კვებითი ქცევის ცვლილება განიხილება ფსიქიატრებისა და ფსიქოთერაპევტების მიერ, როგორც თანამედროვე ადამიანის ფსიქოსოციალური ადაპტაციის დარღვევის ერთ-ერთი ფორმა. კვებითი ღირებულების ეს ფორმა სხვებისგან განსხვავებით (ნარკომანია, ალკოჰოლისა და თამბაქოსადმი დამოკიდებულება), გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე, მძიმე დაავადებების და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების მნიშნელოვან რისკის ფაქტორს წარმოადგენს.

კვებითი ქცევის დარღვევის მძიმე ფორმები, ისეთები როგორიცაა ღამის ნევროგენული მაძღრობა, ღამის კომპულსიური სინდრომი, ჰიპერფაგიური რეაქცია სტრესზე და ნერვული ბულემია შედარებით იშვიათად გვხდება. მათი სიხშირე 1-6%-ია.

განასხვავებენ 3 ძირითად ფორმას:

- ემოციოგენური (საკვების მიღება ემოციონალურ რეაქციებზე);
- ექსტერნალური (გარეგანი კვების სინდრომი - საკვების ჭარბად მიღება);
- შემზღუდველი (საკვების მიღების გააზრებული კონტროლი სხეულის მასის შემცირების მიზნით).

უკანასკნელ წლებში სასურსათო პროდუქტების ხარისხის და უსაფრთოების სიმწვავის პრობლემები განპირობებულია აგრეთვე სასურსათო უსაფრთოების განხორციელების აუცილებლობით. ასე, 2020 წელს მსოფლიოში ადამიანების რიცხოვნება დიდი ალბათობით საშუალოდ 7,6 მილიარდს მიაღწევს. რაც 1996 წელთან შედარებით (5,8 მილიარდი ადამიანი) მიგვიყვანს მოსახლეობის 31%-ით მომატებამდე. ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის რაოდენობის მოსალოდნელი მატება მოხდება განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, სპეციალისტების შეფასებით 1995-2020 წწ. პერიოდში განვითარებადი მსოფლიოს ქალაქების მოსახლეობა გაორმაგდება და მაიღწევს 3,4 მილიარდ ადამიანს.

ამგვარად, მზარდი მოსახლეობის საკვებ პროდუქტებთან წვდომისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ჩნდება მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის აუცილებლობა; საკვები პროდუქტების დამუშავების, გადამუშავების და გადანაწილების სისტემების ეფექტურობის ზრდა; ახალი ტექნოლოგიების შემოტანა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა არსებულმა მეთოდებმა და ტექნოლოგიებმა შეიძლება სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოებისა და კვების ხარისხისთვის პოტენციური პრობლემები შექმნან, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

სწრაფმა ურბანიზაციამ მიგვიყვანა აგრეთვე განსახილველი პრობლემის გართულემაბდე. ქალაქის სამსახურების შესაძლებლობებმა ზღვარს მიაღწია: ბევრ ქვეყნებში სასმელი წყალი არასაკმარისია, არ არის უზრუნველყოფილი ჩამდინარე წყლების მოცილება და სხვა აუცილებელი მომსახურების გაწევა.

კვების ეკოლოგიის მეცნიერების შესწავლისას იბადება შემდეგი კითხვები:

- „არიან თუ არა ჩვენი საკვები პროდუქტები უსაფრთხო?“

- „რაციონალური კვების პრობლემა, როგორც ადამიანის არსებობის პირობა.

კვების ეკოლოგიის განვითარების ისტორია ადრე დაიწყო. პირველი ტოქსიკოლოგი სავარაუდოდ პირველყოფილი ადამიანი იყო, რომელმაც დასკვნა გააკეთა იმის შესახებ, რომ უცნობი მცენარეები და ნაყოფი საკვებად ვარგისია იმ შემთხვევაში, თუ მათ ზიანის მიყენების გარეშე მოიხმარენ ცხოველები.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად თავი იჩინა კვებითმა კანონმდებლობებმა, რომლებიც აწესებს მოთხოვნებს სასურსათო ნაწარმზე.

საინტერესოა რომ ბაბილონში ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში პირველად გაჩნდა ჰამურაპის კანონები, რომლებიც ნაწარმისადმი მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებდნენ არაკეთილხარისხოვანი საკვები პროდუქტების გამოშვებასა და გასაღებაზე პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. ჩვ.წ.ა. 500 წელს ჩინეთის იმპერატორმა ტანგმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც უხარისხო ხორცის გამყიდველი ისჯებოდა მათრახით.

1624 წელს რუსეთში შეადგინეს სპეციალური სამთავრობო ინსტრუქცია: „სამახსოვრო ბოქაულებს პურის ცხობასა და გაყიდვაზე მეთვალყურეობისთვის“, რომელშიაც განსაზღვრული იყო ძირითადი მოთხოვნები ხარისხზე. დარღვევისათვის მცხობელები მკაცრად ისჯებოდნენ სხეულის ეგზეკუციითაც კი. საინტერესოა რომ მცხობელთა და საცხობების მუშაობაზე ზედამხედველობისთვის იწვევდნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებსაც და მასში მონაწილეობა დიდ პატივად ითვლებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში აშშ რამოდენიმე შტატში არსებობდა კანონები, სუფთა პროდუქტებზე. 1906 წელს გაჩნდა ფედერალური კანონი სუფთა სურსათსა და მედიკამენტებზე (The pure Food and Drug Act),რომელიც კრძალავს პროდუქტებში ნებისმიერი ისეთი დანამატის შეტანას, რომელთაც შეუძლიათ ადამიანთა და ცხოველთათვის სიმსივნური დაავადების პროვოცირება და ზღუდავს ნებისმიერი დანამატის გამოყენებას გარდა საყოველთაოდ მიღებული უსაფრთხო ნივთიერებებისა.

ამ სფეროში შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1994 წ. როცა აშშ-ს კონგრესმა გამოსცა რიგი კანონებისა: 1994 წლის კანონი კვების სფეროში განათლებისა და საკვები პროდუქტების შეფუთვის ინფორმაციული როლის შესახებ (The Nutrition and Education Act),1994 წლის ჯანსაღი საკვები ჯანსაღი ამერიკელებისთვის (The Healthy meal for Healthy Americans Act).

თუმცა, კვების ტექნოლოგიის, ქიმიის, მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის განვითარების შედეგად, უამრავი რაოდენობის კვებითი დანამატები გაჩნდა და ამასთანავე გაიზარდა გარემოს დაბინძურების დონე, რამაც საჭირო გახადა საკვები პროდუქტების უსაფრთხოების გამკაცრების კუთხით საერთაშორისო კვებითი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა. 1996 წლის იანვარში ევროკავშირმა მიიღო დირექტივა 93/94 CEE, რომელშიაც მითითებულია სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა მომავალი თაობებისთვის გენეტიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით.

თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებაში შეიქმნა ახალი კონცეფცია, რომელიც ადამიანის ალიმენტარულად-დამოკიდებულ დაავადებებს ორ კლასად ყოფს.

პირველი კლასი - შთამომავლობითი დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია გენების დეფექტებთან. მათ მიეკუთვნებიან ფერმენტების მონაწილეობით საკვები ნივთიერებების მეტაბოლიზმის გარკვეული რგოლის (ჯაჭვის) დარღვევით გამოწვეული დაავადებანი. ასე, მაგალითად, ცნობილია დაავადებები, რომელიც დაკავშირებულია ფიზიოლოგიური პროცესიდან ლაქტაზის ამოვარდნასთან; ფენილპიროყურძნის მჟავის გახლეჩასა და მეტაბოლიზმზე პასუხისმგებელი ფერმენტის არ არსებობასთან, რასაც მივყავართ ფენილკეტონურიამდე.

მეორე კლასი - დაავადებანი, რომლებიც დაკავშირებულია გენების ექსპრესიის პროდუქტების რეგულაციის დარღვევასთან - კვების ფაქტორის ხარჯზე ცილების პოსტტრანსლაციურ მოდიფიკაციასთან. ცნობილია, რომ ადამიანის უჯრედში არსებობს 45 ათასზე მეტი გენი. მათ შორის მუდმივად მუშაობენ გენების არაუმეტეს 20 %, ხოლო დანარჩენი 80% უჯრედის სიცოცხლის ციკლის განმავლობაში ერთვება მხოლოდ ერთხელ. კვების ხასიათი გენების ექსპრესიაზე მოქმედების და ცილების უჯრედების განახლების წამყვანი გარეგანიფაქტორია. სწორედ საკვები ნივთიერებები წარმოადგენენ უჯრედში სხვადასხვა ცილების შემცველობის მარეგულირებელ ფაქტორს გენური ექსპრესიის მოწესრიგების, ფუნქციონირების და ვირუსების (რნმ) სიცოცხლის ხანგრძლივობის ხარჯზე. ამასთანავე გენების ექსპრესიის სიგნალების რეგულირების ინტენსიურობა დამოკიდებულია როგორც საკვების ხარისხზე, ისე მის უსაფრთხოებაზე.

სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების პრობლემის განმაპირობებელ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სურსათით საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოება. სასურსათო ნედლეულითა და კვების პროდუქტებით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ დღეისთვის 450 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. 1995 წელს მარაკეშსკის შეთანხმების საფუძველზე მსოფლიო ვაჭრობის მოწესრიგებისათვის ჩამოყალიბდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). სასურსათო პროდუქტების ხარისხის და უსაფრთოების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს WTO-ს ორი შეთანხმება - სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამოყენების შესახებ შეთახმება და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გამოყენების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ისეთი სასურსათო პროდუქტების რეალიზაციას, რომელიც პასუხობს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტებისა ან რეკომენდაციების მოთხოვნებს. ასეთი ორგანიზაციებია FAO/WHO Codex Alimentarius (საკვები პროდუქტების უსაფრთხოება) და ცხოველთა უსაფრთოების საერთაშორისო ბიურო ეპიზოოტია (ცხოველთა უსაფრთხოება). მცენარეთა უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება განსაზღვრავს WTO

წევრების უფლებამოსილებას, რომელიც ზღუდავს ისეთი სავვები პროდუქტების შეზიდვა გამოზიდვას, რომლებიც არ პასუხობენ ხარისხის და უსაფრთხოების კრიტერიუმებს.

III. დასკვნა

სავვები პროდუქტებით ადგილობრივი და საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბებს გარკვეულწილად შეუძლიათ შეცვალონ მოსახლეობის ჯანმრთელობის და კვების მდგომარეობა მსოფლიოში.

ლიტერატურა:


1. Т.Г. Родина. М.А. Николаева и др. Справочник по товароведению продовольственных товаров. М.изд „Колос“. 2003.
2. А.М. Гвриленков. Экономическая безопасность пищевых производств: Учебное пособие для Вузов ГИОРД 2000с. 272.
3. Алеексева Е.В. Взаимосвязь качества пищевой продукции с концепцией качества жизни. Пищевая промышленность 2007. №10. с.78-79.
4. Л. В. Донченко. В.Д.Надыка. безопасность пищевых продукции. М. ДелиПринт 2007. с. 538.
5. Edward Elgar, Environmental Regulation and food safety. International development Research center, Ottava, 2005, P. 317.



***MziaTsulukidze, Professor***
***Georgin Technical University***

***David Gamezardashvili,***
***Doctor of Chemistry.***


## Eco-social aspects of food

## Summary


The article highlightes the elements of economical and social wellbeing. Environment is quality as a component of life; assessment criterias, Ecological effects of nutrition; Ecology of nutrition; Solution of problems related of the efficient nutrition of mankind; Devastating results of permanent starvation, Lack of food in underdeveloped countries, overfeeding in developed countries as a reason of various deseases. Distortion of nutrition behavious;Increase of population by 2020 and related problems; Restriction of legislation on food security; Directives of the EU; Necessity to implement food security measures; New concept;Expansion of international food trade; Alimentarity depended types of deseases.



***Key words:*** *Life quality, ecology of nutrition, lack of food, overfeeding, feeding behavior, disorders, food legislation, EU Directives, alimentarity depended deseases .WTO agreements.*

# ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა

# A R C H I T E C T U R A

*მარინა ცალქალამანიძე, დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ფერთა სემანტიკა. ადამიანთა ქცევის ტიპები და არქიტექტურული სივრცის ფერითი მოდელირების თეორიული საკითხები

რეზიუმე

ფერის მნიშვნელობისა და არსის განხილვისას ვლინდება მისი განუყოფელი კავშირი ადამიანის განვითარების სტადიებთან, მის ქცევას, აზროვნებასა და ინტელექტს შორის. ვინაიდან სინათლე და ფერი წარმოადგენს ძლიერ სტიმულს ადამიანის ცხოველმყოფელობისა, კანონზომიერია, რომ სემანტიკური ველების ფერითი მნიშვნელობები, ისევე, როგორც ფერთა კანონები, ათასწლეულების მანძილზე ინახებოდა სხვადასხვა კულტურებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ძირითადი მონაცემების მიხედვით, რომელიც მეცნიერებამ ფერის შესახებ შეიმუშავა, შესაძლებელი გახდა ფერის მოდელირების მეშვეობით ადამიანის ხატოვანი აზროვნების შემეცნება - გაგება. ეს სახეები - ასოცაციები შეიცავენ კ. იუნგის არქეტიპების და მ. ლუშერის ე. წ. ფერითი ქცევის მრავალ თვისებას.

მრავალი კულტურის მიერ ძირითადი ფერების მნიშვნელობა დაკანონდა როგორც პიროვნების თვისებათა შეუცნობადი მახასიათებელი, შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადამიანის საკეთილდღეოდ ფერით - კომპოზიციური გადაწყვეტების პროგნოზირებისას საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ინტერიერის უნივერსალური პროექტირების პროცესში, რითაც შეიქმნება წინაპირობა ადამიანის ჰარმონიული განვითარების, მისი ცხოვრების კეთილმოწყობის, კომფორტულობისა და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად.

*საკვანძო სიტყვები:* *ფერი, სემანტიკური ველი, ფერითი ქცევის ტიპები, ინტელექტი, არქიტექტურა*

I. შესავალი

უძველესი დროიდან გარესამყაროს მოვლენები ზეგავლენას ახდენენ ადამიანთა ფსიქიკაზე, რაც იწვევდა განსხვავებულ შეგრძნებებს: მხედველობითს, ყნოსვითს, სენსორულს და ა. შ. მათი მუდმივი ზემოქმედება ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოშობდა მყარ ასოციაციებს შესაბამისი შინაარსით, რაც საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის ევოლუციის შედეგად გენეტიკურად მყარდებოდა მის კოლექტიურ არაცნობიერში და გადაეცემოდა შთამომავლობით. ამის დასტურია ის გარემოებაც, რომ მრავალი ფერი ატარებს არა შესაბამის ორიგინალურ, არამედ ასოციაციურ სახელწოდებას: ცა - ცისფერი, ვარდი - ვარდისფერი, სტაფილო - სტაფილოსფერი, ასევე ნაცრისფერი, ფორთოხლისფერი, ყავისფერი და სხვა. ამგვარად (შესაბამისი შინაარსის მყარი ასოციაციებით) ყალიბდებოდა ყველა ადამიანისთვის მსგავსი, კულტურული და რასობრივი კუთვნილების მიუხედავად, ე. წ. არქეტიპების ნაკრები.

არქეტიპები წარმოადგენს უნივერსალურ თანდაყოლილ ფსიქოლოგიურ განპირობებულობებს (დისპოზიციებს), რომლებიც ქმნიან იმ სუბსტრაქტს, რომლისაგან შემდგომ წარმოიშობა ადამიანის გაუთვითცნობიერებული გამოცდილების ძირითადი სიმბოლოები. არქეტიპული სახეები წარმოაჩენენ მითოლოგიის, რელიგიისა და ხელოვნების საწყისებს, ამიტომაც, სხვადასხვა ქვეყნების ხალხების მითებს გააჩნიათ მრავალი მსგავსება, იდენტური მნიშვნელობა, „ერთიანი არქეტიპული შინაარსი", როგორც ამას აღნიშნავს ცნობილი შვეიცარელი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კარლ იუნგი (Carl Gustav Jung, 1875-1961).

ასოციაციები და ცნებები, წარმოქმნილი ადამიანის ფსიქიკის, როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე, ცალკეულ ფერებთანაა დაკავშირებული. არსებობს ადამიანთა ქცევის ე.წ. ფერთა ტიპები და მათი კომპენსატორული რეაქციები, რომელიც ვლინდება რთულ ქცევით მოქმედებებში. სხვადასხვა ფერთა ტიპების (ქცევის) ადამიანები შესაბამისად მოაწყობენ თავიანთ საცხოვრებელს, შეარჩევენ ტანსაცმელს, აქსესუარებს თუ დეკორს.

II. ძირითადი ნაწილი

ფერთა აღქმის ფსიქოლოგია

ფერის ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება განვიხილოთ როგორც პირველადი და მეორადი. პირველადი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად ადამიანს ექმნება გარკვეული შთაბეჭდილებები: სიმსუბუქე, სიმძიმე, სითბო, სიცივე და სხვა; მეორადი - ასოციაციების მეშვეობით გროვდება ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესში.




ფერთან დაკავშირებული ასოციაციები ათასწლეულებით თანსდევს ადამიანს და თანდათან მყარდება მის არაცნობიერში, ისეთი, როგორიცაა ყვითელისა და ნარინჯისფერის კავშირი - მზესთან, სითბოსთან და ენერგიასთან; ლურჯისა და ცისფერის კავშირი - ცასთან, ზღვასთან, შესაბამისად, სიცივესთან და სიმშვიდესთან და სხვა. საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა იძენდა გარკვეულ ცოდნას, სადაც დღე - მაქსიმალური დაცულობისა და მოქმედების დროა, საღამო და ღამე კი - ხიფათით სავსე პერიოდია. ამიტომაც დღესთან დაკავშირებული სპექტრის ფერები იწვევს აღგზნებას, ძალათა მოზღვავებას, ღამესთან ასოცირებული ფერები კი შფოთვას, გაურკვევლობას და საფრთხის შეგრძნებას წარმოშობს.

მრავალი კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ადამიანი თავდაპირველად აღიქვამს სწორედ ფერებს, რომელსაც უკავშირებს დღისა და ღამის შეგრძნებებს: აქრომატულ თეთრსა და შავს. ქრომატულ ფერთა ფსიქოლოგიური აღქმა ჩამოყალიბდა მოგვიანებით და ისიც უკავშირდებოდა დღე - ღამის ციკლს: დღის ფერი - ყვითელთან და ღამის - ლურჯთან. ამიტომ ონტოგენეზში (ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესი) და, შესაბამისად, ფილოგენეზში (სახეობის განვითარების ისტორიული გზა) თავდაპირველად ადამიანი სწორედ ამ ფერთა წყვილების გააზრებულ გარჩევას იწყებს.

მოგვიანებით ადამიანი იწყებს მომდევნო ორი ბუნებრივი ფერის გააზრებას. ეს არის წითელი და მწვანე (აქამდე მის მეხსიერებაში წითელი არსებობდა ცალკეულად, როგორც ცეცხლისა და სისხლის ფერი), სადაც წითელი ასოცირდება აქტიურობასთან, აგრესიასთან, ხოლო მწვანე, როგორც გარემოს ერთ-ერთი გამომხატველი ფერი, შეესატყვისება სიმშვიდესა და გაწონასწორებულობას.

ადამიანმა, შედარებით თავისუფლად, შეძლო ქცევითი ტიპების შერჩევა, რომელიც შეესაბამებოდა ამ ფერთა შეხამებას. სწორედ ეს ორი წყვილი: ყვითელი-ლურჯი და წითელი-მწვანე, შეადგენს ადამიანის ფერთა აღქმის ძირითად საფუძველს. მოგვიანებით, ამ წყვილებს შორის გამოიკვეთა შუალედური, ე. წ. დამატებითი ფერები, რომლებიც მოიცავენ ორივე გვერდზე მდგომ ძირითად ფერთა თვისებებს. ესენია ნარინჯისფერი, რომელიც მოიცავს, როგორც წითლის ენერგიას და აქტიურობას, ასევე ყვითლის სიმსუბუქესა და სიხალისეს; იისფერი - წითლის სიძლიერეს და ლურჯის სიმშვიდეს; ცისფერი კი ითავსებს ლურჯის სიღრმესა და მწვანის გაწონასწორებულობას.




ადრეული ასაკიდან ბავშვი აქტიურად აღიქვამს ფერისა და სინათლის სამყაროს. მშობლები გაუცნობიერებლად აცმევენ და ამყოფებენ მას იმ, მათთვის მისაღებ ფერთა სივრცეში, რომელიც შემდგომში განაპირობებს მათი შვილების შინაგან სამყაროს და

ფერთა აღქმის სიჯანსაღეს. ბავშვი თავდაპირველად (ქვეცნობიერად) ითავისებს მშობლის შეხედულებებს, თუმცა დროთა განმავლობაში მისი დამოკიდებულება ფერების მიმართ იცვლება. უკვე სამი თვის ასაკისათვის ბავშვი რეაგირებს წითელ ტონებზე, 6 თვისათვის - ყვითელზე, შემდეგ მწვანეზე, მოგვიანებით კი ლურჯზე. ჩვილის გუნებაზე უარყოფითად მოქმედებს კედლების ცისფერი საფარი, ხოლო ყვითელი - დადებითად; 3-5 წლის ასაკისთვის პატარას ისევ წითელი ფერი იზიდავს, 6-7 წლისათვის - ყვითელი, შემდეგ მწვანე და ლურჯი. მრავალი კვლევით დადასტურდა, რომ ფერის მიმართ ბავშვის სიყვარული - სწრაფვა ფერისადმი - იცვლება სწორედ ქრომატული წრის ფერთა განლაგების მიხედვით.

ბოლო სტატისტიკური კვლევებით დადგინდა, რომ ევროპელებში, ისევე, როგორც ამერიკელებში, უმრავლესობა, საყვარელი ფერების არჩევისას, ირჩევს ცისფერს (ან ლურჯს, ვინაიდან გერმანულ და ინგლისურ ენებში ლურჯი და ცისფერი ერთი სიტყვით აღინიშნება). მეორე ადგილზე უმრავლესობა აყენებს წითელს, შემდეგ ყვითელსა და მწვანეს. საგულისხმოა, რომ მათი არჩევანი კვლავ მკაცრად ქრომატული წრის მიხედვით ვლინდება, მხოლოდ ამჯერად დაწყებული ლურჯი ფერით.

ფსიქოანალიტიკოსების აზრით კონკრეტული ფერის უპირატესობის მინიჭება ემთხვევა ადამიანის ფსიქიკური განვითარების ფაზებს, რომელიც გამოყო

ზ. ფროიდმა (Sigmund Freud, 1856-1939). მუდმივად ერთი გარკვეული ფერისადმი სწრაფვით შეიძლება დაფიქსირდეს ადამიანის განვითარების ერთ ფაზაზე შეჩერება. რიგი მეცნიერის აზრით ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ნევროზების დიაგნოსტიკას. მაგალითად, იაპონელი პედაგოგები ახდენენ ბავშვთა ნახატების გაანალიზებას, იმისათვის, რომ გამოავლინონ ნახატში გამოყენებული ფერების სრულყოფა. მათი აზრით ფერთა აღქმის დარღვევა მიანიშნებს ფსიქიკის დარღვევებზე, რის აღდგენაც შესაძლებელია ფერთა აღქმის გამოსწორების მეშვეობით ფსიქო-თერაპევტული მეთოდებით და, შედეგად, მოხდება ბავშვის ფსიქიკის გამყარება. აქვე აღსანიშნავია, რომ დასავლეთში რომელიმე ფერის უარყოფა ნახატში მიჩნეულია შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლინებად.

ქრომატული წრის მიხედვით ფერთა თანმიმდევრული ცვალებადობის კანონს ესადაგება არა მხოლოდ მარტივი ფსიქიკური პროცესები, არამედ უფრო რთულიც. მაგალითად, სექსუალური აქტიურობა, რომელიც ნაკლებად იჩენს თავს ლურჯ - ცისფერ სექტორში, მატულობს იისფერში და მეტად გამოხატულია წითელში. ამგვარად, ფერთა განლაგება ქრომატულ წრეში განპირობებულია მათი შეგრძნების თავისებურებით: წითლიდან იისფერის გავლით ლურჯისკენ კლებულობს ძალისა და ენერგიის, სითბოსა და აქტიურობის და მატულობს სიცივის, სიშორის და სიმშვიდის, ხოლო ლურჯიდან ცისფერის გავლით მწვანისკენ მატულობს გაწონასწორებულობის შეგრძნება. წითლიდან საპირისპირო მიმართულებით, ნარინჯისფერის გავლით ყვითლისკენ კი, კლებულობს სიმძიმისა და აქტიურობის და მატულობს სიმსუბუქის შეგრძნება. ამგვარად, გამოდის, რომ სწორედ მწვანე - ბუნების - ფერი სრული ქრომატული წრის წონასწორობის ცენტრს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ადამიანები დროთა განმავლობაში ეჩვევიან გარემოში დომინირებულ ფერებს და შემდგომში მათ იზიდავთ საპირისპირო ფერთა პალიტრა, რომელიც აწონასწორებს არსებულ ერთფეროვნებას. მაგალითად, შუა აზიის მეჩეთის გუმბათების, დეკორის და ორნამენტების შეფერილობის მოჭარბებული ფირუზისფერი სავარაუდოდ მიანიშნებს ხალხის ლტოლვას წყლისადმი (ზღვის, მდინარის, ტბის), რის ნაკლებობასაც ისინი განიცდიან.

**ფერი და შეგრძნების ტიპები**

თვალის მიერ ვიზუალურად აღქმული ფერი ახდენს გავლენას აგრეთვე შეგრძნებებზე, რომელიც სხვა სენსორული არხებით მიიღება: სურნელი, გემო, სმენა, სითბო და ა.შ., რომლებიც თავისმხრივ გავლენას ახდენენ ფერთა აღქმაზე.

მე-XX-ე საუკუნის დასაწყისში ექიმები გამოთქვამენ აზრს იმის თაობაზე, რომ ფერის ზემოქმედება ხორციელდება არა მხოლოდ მხედველობის ორგანოების მეშვეობით, არამედ კანის საშუალებითაც, რაზედაც მეტყველებს ნეიროფიზიოლოგიის მონაცემები და ჩატარებული ცდები უსინათლო ადამიანებთან მიმართებაში. ფერი უფრო მკაფიოდ აღიქმება ძლიერ ხმასა და მკვეთრ სურნელთან ერთად, ანდა საპირისპიროდ, მაგალითად, წითელი ფერი აძლიერებს ხმაურს. ხედვითი რეცეპტორების მუშაობა მაღალ ხმაზე ძლიერდება და მაშინ მშვიდი, გაწონასწორებული ფერები აღიქმება მკვეთრად და შესაძლოა გაღიზიანებაც კი გამოიწვიონ. ასე, ნარინჯისფერი, მშვიდი მელოდიის ფონზე, იხრება ყვითელი ფერის სიმსუბუქისკენ, ხოლო ხმაურიანი და ხმამაღალი მუსიკის დროს - აღიქმება უფრო მკვეთრად და იძენს წითლის აგრესიულობას.

წმინდა ფიზიოლოგიურადაც ადამიანის თვალი არაერთგვაროვნად აღიქვამს ფერს ძლიერი და სუსტი სინათლის შემთხვევაში. თვალის მიერ ფერის აღქმის ამ ფენომენს, რომელიც 1819 წელს აღმოაჩინეს, ჩეხი ანატომის პურკინიეს (Jan Evangelista Purkinje, 1787-1869) პატივსაცემად „პურკინიეს ეფექტი“ ეწოდა. აღქმის ობიექტის ფერი იცვლება განათების შემცირებისას: წითელ ფერთა ტონები უფრო მუქად აღიქმება მწვანესთან შედარებით, ღამით კი პრაქტიკულად შავდება, ამავდროულად,

ლურჯი ტონები - ღიავდება. ძლიერი განათების შემთხვევაში, ფერის აღქმისას, მონაწილეობენ თვალის ის რეცეპტორები, რომელიც მაქსიმალურად მგრძნობიარეა ყვითლის მიმართ, ხოლო დაბალი განათებისას - მოლურჯო-მწვანეს, ამიტომაც ფერის აღქმა სხვადასხვა განათებისას განსხვავებულია.

ტემპერატურული შეგრძნების კავშირი ფერის აღქმასთან დამტკიცებულია მრავალი ექსპერიმენტით. მაგალითად, ნარინჯისფერ ოთახში ტემპერატურის შეგრძნება რამდენიმე გრადუსით მეტია, ვიდრე ლურჯში.

მჭიდრო კავშირშია ფერთან გემოც: წითელი აძლიერებს სიტკბოს შეგრძნებას; ყვითელი იწვევს ნერწყვის გამოყოფას და მადის აღძვრას; მწვანე აძლიერებს სიმჟავის შეგრძნებას, ლურჯი კი მომწარო შეგრძნებებს ამძაფრებს. ექსპერიმენტებმა ცხადჰყო, რომ წითელი ფერის ტკბილეული მეტად ტკბილი ეჩვენებათ, ხოლო, როგორც არ უნდა იყოს გასაკვირი, „შხამიანი" სალათისფერი რძის გასინჯვაც კი ვერავინ გაბედა.

საზოგადოდ მეტად მიღებულია შემდეგი კორელაციები, ანუ ორ ან რამოდენიმე მახასიათებელს შორის კავშირი, როცა ერთი ან რამოდენიმე სიდიდის ცვლილებას თან ახლავს მეორე ან რამოდენიმე სიდიდის შეთანხმებული სისტემატური ცვლილება:

წითელი და ნარინჯი - ტაქტილური;
ნარინჯი და ყვითელი - გემოვნებითი;
ცისფერი და ლურჯი - სმენითი;
ლურჯი და იისფერი - ყნოსვითი.

ექსტრასენსორიკის დარგში მომუშავე მკვლევარები და სპეციალისტები ცდილობენ გარკვეული გრძნობის ორგანოების სხვადასხვა ფერებთან დაკავშირებას. ჩვენს დროში არსებობს დიდი რაოდენობა თეორიებისა, რომელიც აერთიანებს სამყაროსა და ადამიანის უზენაესი ცნობიერების დონეებს, რაც თავის მხრივ, განსაზღვრულ ენერგეტიკულ ცენტრებთანაა ურთიერთკავშირში. ამ ტიპის ურთიერთკავშირები ნათლადაა გამოვლენილი აღმოსავლური კულტურების არატრადიციულ მედიცინაში, სადაც ფერით ხასიათდება არა მხოლოდ ორგანიზმის ფუნქციონალური თვისებები (ე. წ. ,,ველები"), შინაგანი ორგანოები, ენდოკრინული სისტემა, არამედ მათი კავშირი აზროვნებასთან, გონებასთან, ინტუიციასთან...



ადამიანის ფსიქიკის ყველაზე არქაული ნაწილი, ე. წ. არაცნობიერი, აღქმის პირველი საფეხური, ვითარდებოდა ათასწლეულების მანძილზე და ერთია მთელი

კაცობრიობისათვის. ამ დონეზე აღიქმება ისეთი ელემენტარული ყოფითი ცნებები, როგორიცაა სინათლე, ფერი, გეომეტრიული ფორმა, რიტმი, ტემბრი, მელოდია და სხვა. ამიტომაც, მიუხედავად ადგილმდებარეობისა, რასისა, ეროვნებისა და კულტურისა, ადამიანი ყოველივე ამას ფსიქოლოგიურად მსგავსად აღიქვამს. მაგალითისთვის, წითელი ერთნაირად აქტიურად აღიქმება როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში და აზიაში, მიუხედავად განსხვავებული სახელწოდებებისა.

ამ მოვლენამ ყველაზე მკვეთრი გამოვლინება ჰპოვა მითებში, ზღაპრებსა და ლეგენდებში, რომელსაც აერთიანებთ ბევრი მსგავსი თვისება და, სხვადასხვა ადგილზე მცხოვრები, სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებისთვის, ასეთი ფერითი კავშირები ერთნაირად მისაღებია: შავი ბოროტი ძალები, რუხი მგელი, თეთრი რაში, ლურჯი ფრინველი, ოქროსთმიანი მზეთუნახავი... და ა. შ.

**ფერთა სემანტიკური ველები**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე იკვეთება, რომ ფერთა სპექტრის აღსაქმელად გენეტიკურად ჩადებული წინაპირობა ყველა ცოცხალი არსებისთვის ერთნაირია და ფერთან დაკავშირებული ასოციაციები ადამიანებს არაცნობიერის დონეზე გამოუმუშავდათ მათი ნებასურვილის მიუხედავათ. ფერის აღქმისას არაცნობიერის დონეზე ჩამოყალიბდა ადამიანის ფსიქიკის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ძირეული მცნებები, რომელიც შემდგომ შეიმეცნებოდა და ფილოსოფიურ მნიშვნელობას იძენდა. ამ ყოველივეს შეჯამებით ისახება შემდეგი ცნებათა ჯაჭვი:

თეთრი - საწყისი, სინათლე;
ნაცრისფერი - სტაბილურობა, განცალკევებულობა;
შავი - დასასრული, სიბნელე;
წითელი - აგრესია, ვნება;
ყვითელი - სიმსუბუქე, გახსნილობა;
მწვანე - გაწონასწორებულობა, შინაგანი ძალა;
ლურჯი - სიმშვიდე, დაკმაყოფილებულობა.

შემდეგ სტრუქტურულად არაფორმირებული სახეები გარდაიქმნება კონკრეტულ არქეტიპებად, ჩნდება ცნებების შინაარსები, ყალიბდება სემანტიკური ველები (სემანტიკა - Semantics - ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც სემიოტიკური პოზიციებიდან იკვლევს სიტყვების, მდგრად სიტყვათა შეწყობებისა და ენის სხვა ერთეულების აზრთან, მნიშვნელობასა და ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულ პრობლემებს). ამასთან განსაკუთრებით ღირებულ და სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან ფაქტებს ადამიანები აკავშირებენ ფერთან. ამ ყოველივედან გამომდინარე, შეიძლება დასახელდეს ასოციაციები, რომელიც ჩნდება ფერთან გააზრებულად:

თეთრი - სიცივე, საღი გონება;
ნაცრისფერი - თავშეკავებულობა;
შავი - შიში;
წითელი - საფრთხე, აკრძალვა;

ყვითელი - სიხარული, ოპტიმიზმი;
მწვანე - უსაფრთხოება;
ლურჯი - სიღრმე, სიშორე.

ადამიანის ფსიქიკაზე ათასწლეულების მანძილზე მოქმედებით ფერი ფიზიოლოგიურად იწვევდა სხვადასხვა შეგრძნებებს და, როგორც ვხედავთ, თანდათანობით ადამიანი ამა თუ იმ ფერს უკავშირებს გარკვეულ წარმოდგენებს. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანებს გააჩნიათ ნერვული სისტემის განსხვავებული ფიზიოლოგიური თავისებურებანი, მისი ინდივიდუალური ფიზიოლოგიური ტიპისა და ფერის გავლენის შედეგად ყალიბდება შეხედულებების გარკვეული ნაკრები, რომელიც იწვევს შესაბამის ქცევით რეაქციებს. ამ მოვლენას მაქს ლუშერმა „ფერითი ქცევის ტიპი“ უწოდა.

მაქს ლუშერი (Max Lusher, 1923-2017), შვეიცარიელი ფსიქოლოგი, რომელმაც შეიმუშავა ფერთა აღქმის ფუნქციონალური ფსიქოლოგია და მის ბაზაზე შექმნა ფერთა ფსიქოლოგიური ტესტი, რის საშუალებით შესაძლებელია ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენა.

ასეთი ქცევის ტიპი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს ადამიანის ზოგადი ქცევისა, რაც განსხვავებული გარე ფაქტორების ზემოქმედებასაც მოიცავს, როგორიცაა საგნის გეომეტრიული ფორმა, სმენითი, გემოვნებითი, ტაქტილური ანალიზატორები და სხვა.

ყოველი ადამიანი მის გარშემომყოფებს მუდმივად გადასცემს გაუცნობიერებელ სიგნალებს: სამოსით, მიმიკით, სიარულის მანერით, ხმის ინტონაციით, საცხოვრებლის არჩევით და მისი მოწყობით, რაც გამოხატავს ხასიათის იმ ნიშანთვისებებს, რომელიც მას გააჩნია, ან სურს, რომ გააჩნდეს. რადგან მსგავსი სიგნალები - ნიშნები აღიქმება ძირითადად გაუთვითცნობიერებლად, მიმღებს მისი უპირობოდ სწამს. ცხოვრების მანძილზე ჩვენ გამუდმებით გვიწევს კომუნიკაციის სხვადასხვაგვარი მინიშნებების, როგორც მიწოდება, ისე მიღება და გაცნობიერება. ამგვარი არავერბალური სიგნალების ცნობიერების დონეზე აღქმისას შესაძლებელია მისი მიზანმიმართულად გამოყენება საჭირო შთაბეჭდილების შესაქმნელად.

ყველა „ფერითი ქცევის“ ტიპი გენეტიკურად არის ჩადებული ახალშობილში განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ყველა ტიპის თვისება თანაბრად გამოხატულია ჰარმონიული განვითარებისას და ზრდასრულ ასაკში ასეთი ადამიანი ადვილად გადის ადაპტაციას. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია სათანადო სიტუაციებში შესაბამისი თვისებების გამოვლენა, რადგანაც ყოველ ჩვენთაგანში ჩადებულია ყველა ფერთა ქცევის სტერეოტიპი და უნარები. თუმცაღა ხელოვნებაში და ცხოვრებაშიც, ასეთი ჰარმონიული განვითარების ადამიანები იშვიათობაა. სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა აღზრდა, მშობელთა და სხვა ავტორიტეტთა გავლენა, მატერიალური, თუ სოციალური პირობები და სხვა, რომელიც, თავის მხრივ, მეტწილად დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრებისეულ პირობებზე, მათ შორის გარემოს ფერთა კომფორტულობაზე, ადამიანი, როგორც წესი, არათანაბრად ვითარდება.

III. დასკვნა

დინამიური აზრობრივი სისტემების თანახმად, ადამიანის განვითარება - ინტელექტი - შეიძლება განიმარტოს, როგორც ინდივიდუალური და ინდივიდთაშორისი კავშირები, რომლებიც კორელირებენ ადამიანის სამ ძირითად - ბიოლოგიურ (არაცნობიერი), ფსიქოლოგიურ (ქვეცნობიერი) და სოციალურ (ცნობიერი) - მახასიათებელთან.

ფერთა კანონების ინტელექტის მაჩვენებლებთან მისადაგების შესაძლებლობა დასტურდება მრავალი მონაცემით, რომელიც ურყევად შემოინახა ადამიანის ფსიქიკამ და რაც ათასწლეულების მანძილზე აისახებოდა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ფერთა სემანტიკური მოდელის ძირითადი კანონზომიერებანი მჟღავნდება მსოფლიო კულტურაში იმ მეტწილად განზოგადებული ფერთა თვისებებით, რომელიც ამ კულტურამ დაუკავშირა ინტელექტს. ამგვარად, ფერთა კანონები შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის სუბიექტური ფუნქციების (ინტელექტის) გამოვლინების ობიექტურ რეალობად.

აქედან მომდინარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ადამიანის და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა ინტელექტის ძირითადი მაჩვენებლების მეშვეობით, როგორიცაა ცნობიერება, ქვეცნობიერება, არაცნობიერი და, შესაბამისად, აზროვნება, ინტუიცია, მოტივაცია.

ინტელექტის მაჩვენებლების ობიექტური და სუბიექტური შეფასების შედარება, რომელიც შესაძლებელია ფერის მეშვეობით, ისეთი ქმედითი ფუნქციების განსაზღვრას უწყობს ხელს, როგორიცაა სტაბილურობა, ტემპერამენტი, შფოთვა, კომუნიკაბელურობა...

ყოველივე ეს მოგვცემს, მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით, ფერის უნივერსალური ცნებებისა და მნიშვნელობების მიზნობრივი გამოყენების და გარემოშიდადებითიგანწყობისშექმნისსაშუალებას,რაცთავისმხრივხელსშეუწყობს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ინტერიერის უნივერსალური პროექტირებისას ფერით-კომპოზიციური გადაწყვეტების პროგნოზირებას და ამით შექმნის წინაპირობას ადამიანთა ჰარმონიული განვითარების, მათთვის კეთილმოწყობილი და კომფორტული გარემოს შექმნისთვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცეში მობილობისა და ორიენტაციის ხელშეწყობისთვის.

ლიტერატურა:


1. Ассоциативная психология : Эббингауз Г. Очерк психологии (пер. с нем.) Бэн А. Психология (пер. с англ.), изд-во «Научная книга» , «АСТ-ЛТД», Москва 1998 (ISBN 5-15-000935)
2. Серов Н. Свето - цветовая терапия. Смысл и значение цвета. Информация – цвет – интеллект, изд-во «Речь», Санкт-Петербург 2001 ( ISBN 5-9268-0035-8)
3. Стражный А. От иллюзии к реальности, изд-во «Аконит», Киев 1998 (ISBN 966-7173-16-X)

4. Осборн К. Берджес Д. Классическая мифология (пер. с англ.), изд-во «Аст-Астрель», Москва 2005 (ISBN 5-17-029927-3)

***Marina Tsalkalamanidze, PhD student***
***Georgian Technical University***

## Semantics of Color. Types of Human Behavior and Theoretical Aspects of Color Modeling of Architectural Space

### Summary

When discussing meaning and essence of color there will be revealed its close links with the stages of human development, behavior, judgment and intellect. As the light and color represents strong stimuli for human life, it should be found natural that color values of the *semantic fields* as well as principles of color have been kept for ages by different cultures.

Basic knowledge about properties of color developed by scientists enables us to understand human imagination by color modeling. These patterns and associations include multiple properties of Archetypes by K. Jung and so called Color Psychology by M. Lusher.

Meaning of basic colors has been established by many cultures, as unrecognizable characteristics of personality and consequently, it can be used in favor of human while forecasting color-composition decisions in the process of designing interior at public areas that will create preconditions for harmonic development, well-being and comfort of human and for development of optimal conditions for disabled persons.

***Keywords:*** *Color, Semantic field, Types of color behavior, Intellect, Architecture*